

სხანი ფოქ

იანვარი, 2008, №34
ფასი 5 ლარი

ღევილ რაბენიკი
ჰილარი კლინტონი
ბეჟა გორიაშვილი
დავით ჟორჯოლიანი
ალექსანდრა ვო
სალმან რაზლი და ორჰან ფაშუქი

სპეც-პროექტი:

წლის აღმნიშვნები

ბარეკანაშვილი
ნინია კაკაბაძე / ნინო ლეჟავა / ქეთი ჯორჯაძე

ფოტო-პროექტი:

სხვა ნიუ-იორკი

ლიტერატურა

იოსებ ბროდსკი
გივი მარგველაშვილი
ნორმან მეილერი
კარლოს ფუნტანა
მანია სარიშვილი
ნიკა ჯორჯაძე

ISSN 1512-2220




9 771512 222006





արիւնքեր և սպորտը մտնում են խոսքի մեջ



CELIO IS MEN

მიჯანმეარტულია კონკრეტულ სტილზე და მამაკაცებს ელვანდურ, თავისუფალ და გუნებრივ სტილს სთავაზობს, რას მათ აქლავს საშუალებას გამოხატონ პიროვნულობა და ყველანაირ გარემოში თავი კომფორტულად იგრძნონ.



- 5 ბიზნეს ფასეულობა: ინოვაცია, პასუხისმგებლობა, მომხმარებლის კონსულტაცია, მომგზავნობა, ზაფარი და აყრება •
- ბრანდის 5 დახასიათება: მამაკაცობა, მიზიდვლობა, ღია ხედვა, დიდსულოვნება, მომსახურება •
- 20 წლიანი გამოცდილება •
- 15 დიზაინერი კოლექციების მიღა •
- 4 კოლექცია ყოველწლიურად •
- 500 ამდელი ყოველი კოლექციისთვის •



- 80% ახალი პროდუქცია ყოველ კოლექციაში •
- 28 მილიონი გაყიდული საქონელი ყოველწლიურად •
- 4 ბაზარი: სპორტული ტანსაცმელი/ ყოველდღიური ტანსაცმელი/ ბიზნესი/ აქსესუარები •
- მალაზიის 2 ტივის კონსტრუქცია **Saguez & Partners** სააგენტოს დიზაინით •
- 40 **celio-club**- ის მაღაზია •
- 2 ბრანდი **celio** და **celio club** •

ბრანდის უმთავრესი მიზნები: წარმოების, სოციალური საკითხების, გარემო პირობების განვითარება. კოლექციების განახლება, საჭივებელი გამოწვევების მოწყობა, კლიენტების მოთხოვნების უმაღლეს დონეზე დაკმაყოფილება.





celio*

3 0 3 n 6 n 6 5



გააფერადე ახალი **2008** წელი კაპაროლთან ერთად!





78



62


№ 34

იანვარი

სხალი შოკოლადი



44



14 რედაქტორის წერილი

16 ჩვენი ავტორები

22 კულტ მიმოხილვა

40 შოკოლადი გირჩევთ

44 კომენტარი
ნაციის დაბადა ბიზანტიური გატოლან
ინტერვიუ ზაზა შათირიშვილთან
ესაუბრა ნინო ბუქიშვილი

52 წერილი ინდოეთიდან
ტაჯი, ტუკ-ტუკი და აივარია რაის თვალები
ინდოეთში
ავტორი: სალომე კიკალეიშვილი

62 ინტერვიუ
ღვივ რეზიკი
დინოზავრი თაიმს სკვერზე
ავტორი: შორენა შავერდაშვილი

72 ინტერვიუ
სალმან რაჰიმი, ორჰან ფაჰმი
თავისუფლების ამარა
ავტორი: შორენა შავერდაშვილი

78 ფოტო-პროექტი
სხვა ნიუ-იორკი
ფოტო: დავით მესხი

40

52





10 years

we have been focused on developing long term banking relationship with our business banking customers, by providing the financing and services they need to grow and prosper.


Grow your business with us! CARTU BANK

Business Banking:

- Loans & Lines of Credit
- American Express, Visa & MasterCard
- Operational Services
- Business Deposits
- Business Checks
- Internet Banking
- On line Banking
- Cash Collection
- Personal Corporate Banker

Personal Banking:

- Operational Services
- Deposits
- American Express, Visa & MasterCard
- American Express Traveling Checks
- Credit Cards
- Money Transfers
- Internet Banking
- SMS Banking
- Standing Order
- Personal Banker



102



116

110



90 ისტორია
ბაქა გონიაშვილი
ქარიშხლის მიმართულებით
ავტორი: კახა თოლორდავა

98 ისტორია
დავით ჟორჯოლაკა
ცოტა დაუფერებელი კაცი დავითი
ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი

102 ისტორია
ჰილარი კლინტონი
როგორ გადაწყვიტა ჰილარი კლინტონმა
სენატის დაპყრობა
ავტორი: ელიზაბეტ კობერი
თარგმნა თამარ ბაბუაძემ

110 ისტორია
ალექსანდრა ვო
არასოდეს აღაზევით პოლიტიკოსები
ავტორი: თამარ სუხიშვილი

116 სპეც-პროექტი
წლის ადამიანები
ავტორი: ნინო ლომაძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე, დავით მესხი, ნიკო ტარიელაშვილი

142 უახლესი ისტორია
იყო და არა იყო რა
ავტორი: დათო ტურაშვილი

146 ცრემლიანი სათვალე
გადახრა. 1998
ავტორი: გიორგი გვახარია

154 პირადი ენციკლოპედია
ავტორი: აკა მორჩილაძე

72



146



AIRZENA
Georgian Airways

*Happy
New
2008!*

სასტუმრო სანატორი:

10% ფასდაკლება

ყველა მიმსახურებელი!

Fly with us!

სხალი შოკოლადი

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ლომაძე

არტ-რედაქტორი
გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი

კორექტორი
ნინო საითიძე

ნომარა მუშაობდნენ:

ანა კორძია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე, თამარ სუხიშვილი, სალომე კიკალეიშვილი, გიორგი გვახარია, დათო ტურაშვილი, აკა მორჩილაძე, კახა თოლორდავა, ნინო ლომაძე, მაია ცეცაძე, ნინო ბექიშვილი, შორენა შავერდაშვილი

ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, ქეთო ცაავა, ნიკო ტარიელაშვილი, გოგიტა ბუხაიძე

ილუსტრაცია

მაია სუმბაძე, გიორგი მარი

დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე, კახა დოლიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ლელა შუბითიძე

გაყიდვების დირექტორი

ნესტან ავალიანი

სარეკლამო განყოფილება

ანა მგელაძე

რეკლამის განთავსება

შპს „მსა თბილისი“, ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: msa@msa.ge

დისტრიბუცია

ზვიად შენგელია

გამომცემელი

„ცხელი შოკოლადი“, „კინო-ცხელი შოკოლადი“, „ოზონი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დილოგი“.

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108,

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სტამბა

შპს „სეზანი“, თბილისი, წერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

www.shokoladi.com

გარეკანზე:
ნინია კაკაბაძე, ნინო ლეჟავა, ქეთევან კორძია
ფოტო: ლევან ხერხეულიძე
ინტერიერი: Interio
ვიზაჟი: სტუდია „გრემ-მასკა“
ტექნიკური უზრუნველყოფა: სტუდია „Kikala“





ავტომობილის შექმნის ყველაზე სწრაფი ფორმულა!



- ახალი და მეორადი ავტომობილის შესაძენად
- ყოველთვიური შენახანი: **50 \$ - ღირს**
- სკსნის დაფარვის თქვენთვის მოსახერხებელი ვადა

სკსნის მისაღებად **საქართველო** გქონდათ
ყოველთვიური შემოსავალი **200 ლარი!**

გაუსწარიტ ყველას **ფორმულა 1**-ით შეიძინეთ თქვენი ოცნების ავტომობილი

თბილისის ფილიალისა და სერვისცენტრების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ღუთისის ფილიალი	აღ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
საღვურის ფილიალი	რეინიგზის საღვურის მიმდებარე ტერიტორია	910600
წერეთლის ფილიალი	წერეთლის გამზ. 10	345556
პეინის ფილიალი	პეინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთლუღის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237
ჭავჭავაძის ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
მარჯანიშვილის ფილიალი	აღმაშენებლის გამზ. 112	243585

რეგიონების ფილიალისა და სერვისცენტრების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრიშაშვილის ქ. 6	(8 231) 58888
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	(8 211) 21353
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	(8 215) 50008

(8 22) 92 55 55 www.republic.ge

რადიკალური წერილი



რადგან ჩემი ხმა “ცხელი შოკოლადის” ამ საახალწლო-საიუბილეო (3 წლის გავხდით) და წინასაარჩევნო ნომერში ისედაც დიდი დოზით ისმის, გადავწყვიტე, თქვენთვის შემომეთავაზებინა ნაწყვეტი ვაცლავ ჰაველის პროფაილიდან, რომელიც 2003 წელს ჟურნალ “ნიუ-იორკერში” გამოქვეყნდა. სამწუხაროა, რომ ეს სტატია პირველად მხოლოდ რამდენიმე დღის წინ წავიკითხე. ასე რომ არ ყოფილიყო, იანვრის ნომერში სრულ თარგმანს აუცილებლად დავბეჭდავდი, რადგან იმას ამბობს, რისი თქმაც, უკვე დიდი ხანია, ძალიან მინდა. შესაძლებელია, იყო ხელისუფალი და დარჩე ადამიანად. შესაძლებელია, ალიარო შეცდომები და შეინარჩუნო ძალაუფლება. შესაძლებელია, შენი სისუსტე ძალად აქციო. ვაცლავ ჰაველმა ეს შეძლო.

ამონარიდი დევიდ რემნიკის სტატიიდან: “გასვლა სასახლიდან: ვაცლავ ჰაველი”

“ჰაველის წინამორბედები დიქტატორები იყვნენ, ამიტომ პრეზიდენტობა დიდწილად თავადვე უნდა ესწავლა. ბევრი მაგალითით იხელმძღვანელა, განსაკუთრებით, ჩეხეთის პირველი რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჰუმანისტი თომას მასარიკის და თავისი მეგობრის, გერმანიის პრეზიდენტის, რიჩარდ ფონ ვაიცზაკერის. ჰაველი ხშირად ფიქრობდა, რომ არაადეკვატური და ყალბი იყო. პრალის ნაცნობი ხმა, კავკას ხმა ხშირად ჩაესმოდა და ეუბნებოდა იმას, რაც პოლიციურ სახელმწიფოში გაზრდილმა ყველა ადამიანმა ინსტინქტურად იცის – ყველაფერი ისევე ადვილად შეიძლება დასრულდეს, როგორც დაიწყო.

“შე ვარ ადამიანი, რომელსაც ერთი წუთითაც არ გაუკვირდებოდა, თუ ჩემი პრეზიდენტობის შუანელში დამაპატიმრებდნენ და რალაც გაურკვეველ სასამართლოზე წარმადგენდნენ, ან პირდაპირ ჯურღმულში ჩამაგდებდნენ ქვების სატეხად. არც ის გამიკვირდებოდა, თუ ციხის საკანში გამომეღვიძებოდა. მერე კი, ჩემს კოლეგა პატიმრებს მოვუყვებოდი, რა შემემთხვა გასული წ თვის მანძილზე. რაც უფრო დაბლა ვარ, მით უფრო შესაფერისი ჩანს ჩემი ადგილი; რაც უფრო მაღლა ვარ, მით უფრო ძლიერია ეჭვი იმისა, რომ მე აქ არ უნდა ვიყო” – აღნიშნა ჰაველმა თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, პრეზიდენტად არჩევიდან წ თვის თავზე.

ჰაველის 13 წლიანი პრეზიდენტობის მანძილზე, მრჩეველები დაუსრულებლად ურჩევდნენ, ამოელო ან ცოტა შეერბილებინა ორჭოფობით გამსჭვალული საჯარო განცხადებები. რა გავლენას მოახდენდა ეს გამოსვლები ხალხზე, რომელიც გადაღლილი იყო თავისი ქვეყნის რადიკალური ტრანსფორმაციის მოლოდინით? თუმცა, ჰაველის გამოსვლები რედაქტირებას არ ექვემდებარებოდა. ერთადერთი მის ხელთ დარჩენილი ლიტერატურული ჟანრი საპრეზიდენტო სიტყვა იყო, ყველაზე პირდაპირი ფორმა, გამოეხატა არა მხოლოდ საკუთარი განცდები, არამედ გამორჩეულად ადამიანური პოლიტიკის სულისკვეთება. ამის ნახალისება კი, არაადამიანური იდეოლოგიის ათწლოვანი მმართველობის შემდეგ, ძალიან უნდოდა. მრჩეველები მის შეჩერებას ხშირად ცდილობდნენ, მაგრამ ამ გამოსვლებს მისთვის თერაპიული ეფექტი ჰქონდა. და მაინც, ჰაველი ხანდახან პრეზიდენტზე მეტად, კავკას ჰგავდა, რომელიც თავის დღიურებს კითხულობდა და თავის შიშებს გვიზიარებდა.

“გაუცხოების ძლიერი განცდა მაქვს ... განცდა აუტანელი წნეხისა, საჭიროება ველაპარაკო ვილაცას და დავიცვა საკუთარი თავი. მაქვს სურვილი მიულწევადი თანმიმდევრულობისა, რომელიც მით უფრო მიმძაფრდება, რაც უფრო გაუგებარი და მეჩხერი ხდება ლანდშაფტი... პირველ რიგში, ყველაფერში აბსურდულობას ვხედავ. ისეთი შეგრძობა მაქვს, რომ ყოველთვის ჩამოვრჩები ძლიერ, თავდაჯერებულ მამაკაცებს, რომელთაც ვერასოდეს დავენევი, რომ აღარაფერი ვთქვა მიბაძვაზე. სულ უფრო მეტად მძულს საკუთარი თავი, და მხოლოდ დაცივნას ვიმსახურებ” – წერდა ჰაველი.

... მისი პოპულარობის რეიტინგი, როცა ის პრეზიდენტი გახდა, 80 პროცენტზე მეტი იყო; პოსტი კი 60 პროცენტის მხარდაჭერის ფონზე დატოვა. ასეთი გამძლეობა გმირებშიც კი იშვიათია.

... ჰაველის გამოსამშვიდობებელი სიტყვა ყველგან გადაიკა. მან მადლობა გადაუხადა მეუღლესა და მხარდამჭერებს, სხვებს კი უთხრა – “ვისაც იმედები გაუცრუე, ან უბრალოდ ვშუღი – გულწრფელად ვწუხვარ და მჯერა, რომ მაპატიებთ”. ჰაველმა მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, **Victoria** გამოსახა და თავის ქვეყანას ასე დაემშვიდობა. მისი საქმეც, როგორც პრეზიდენტისა, ამით დასრულდა.”

შორენა შავერდაშვილი



საღამლევეო პროგრამა ჩემები გილოცავეთ შობა-ახალ წელს!

ჩემები - ჯანმრთელობა
ვისურვებთ ჯანმრთელობას!

ჩემები - სახლი
ვისურვებთ სითბოსა და
სიმყუდროვეს თქვენს
სახლებში!

ჩემები - ავტო
ვისურვებთ თქვენი
ავტომობილის
უსაფრთხო და
კომფორტულ მართვას!

ჩემები - სამოგზაურო
ვისურვებთ სასიამოვნო
მოგზაურობას!

ჩემები - სისოცხლე
ვისურვებთ ბედნიერ და
ხანგრძლივ სიცოცხლეს!



გიორგი გვათსარია

ამ წინასაარჩევნო კანდალში ერთი კითხვა დამება- და - რატომ არ წერენ ჩვენი პოლიტიკოსები "შოკო- ლადისთვის"? ეს ხომ უსამართლობაა... მე ვინვა- ლო, სიტყვები ვეძებო, სინონიმების ლექსიკონებში ვიქეეო, ეს ხალხი კი ქუჩა-ქუჩა უნდა დადიოდეს და მხოლოდ ლაპარაკობდეს? ან თუნდაც, მღეროდეს? ცეკვავდეს?

არ დაკვირვებხართ, როგორ უყვართ სინონიმები? იტყვიან "მლიქვნელი"... მაგრამ ერთი სიტყვით არ დაკმაყოფილდებიან და მიაყოლებენ: "ორპირი, ორ- გულა, ლაციცა, გაქნილი..." იტყვიან "ჩვენი ჯიში" და პატარა პაუზის მერე ჩამოთვლიან ხოლმე: "ჩვენი ჯილაგი, ჩვენი გუჯაბი, ჩვენი მოდგმა, ჩვენი ტომი, ჩვენი ნაშენი, ჩვენი თესლი..."

ინგა გრიგოლიაც კი ვერ აწყვეტინებს, როცა "სი- ნონიმების სამყაროში" დაიქოქებიან ხოლმე. ჰაერს შეისუნთქავენ, დაიწყებენ და არ გაჩერდებიან, სანამ ბოლომდე არ დაასრულებენ ჩამოთვლას.

ჰოდა, ამ ხალხმა არ უნდა წეროს და მე უნდა დავი- ტანჯო "სათვალის" ტექსტებზე? მე - გამოსახულებ- ბის, მაგრამ არამც და არამც სიტყვის მოყვარული, უნდა ვათენებდე ღამეებს იმისთვის, რომ "შოკოლა- დის" ძალიან ჭრელ-ჭრელ მკითხველს თავი მოვა- ნონო?

ან, თუნდაც, თავი შევაცოდო?

ჯერჯერობით ჭრის, მგონი. საქართველოში უყვართ ადამიანის შეცოდება. სხვადასხვა მიზეზით - ზოგს უხარია ("უპ, რა კარგად მიცხოვრია, ამდენი ტკივი- ლი რომ არ გადამიტანია!"), ზოგსაც ბაბუის, მამის, დედის, საყვარლის, შვილის ინსტინქტი ეღვიძება და გული უჩუყდება სხვის ტრავმებზე.

არ მესმის, რატომ არ აკეთებენ იგივეს ეს კანდიდა- ტები? რა სინონიმები, რა ჩამოთვლა აუტყდათ...არ შეიძლება გვითხრან: "მე ეს ვერ შევძელი, მე ეს მი- ექარე. მე შევეჭიდე და უნდა შევეჭილო ისტერიულ, გაუნათლებელ, დაბოლილ საზოგადოებას. ძნელია ეს! დამიჭირეთ მხარი!"

ასეთ კანდიდატს ხმას აუცილებლად მივცემდი. ჩემში ხომ უამრავი ინსტინქტი ბობოქრობს - არა- რეალიზებული მამის, საყვარლის და, თუ გნებავთ, არარეალიზებული ბაბუის ინსტინქტიც.



კატია თოლორდავა

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან ჩე- მთვის დიდი პატივი იქნება ამ დღის გახსენება. აი, ამ პატარა ბიჭის გამო. მას ბექა ჰქვია, გვარად გო- ჩიაშვილია. ის თერთმეტი წლისაა და დღეს მთელ საქართველოში მასზე კარგად ვერაფერ უკრავს ჯაზს. ბექასხელა ბავშვებს ვგულისხმობ რა თქმა უნდა. მოკლედ, ამ ბიჭს აბსოლუტურად და მკა- ფოდ გამოკვეთილი ვუნდერკინდული მონაცემე- ბი გააჩნია და თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს მასზე იმაზე მეტის გაგება, ვიდრე ახლა იცით. ეს სურათი ფოტოსესიის დროსაა გადაღებული ფი- ლარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ჩვენი თხოვნით სცენაზე უზარმაზარი როიალი გამოაგო- რეს. დარბაზი, რა თქმა უნდა, ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით აქეთ-იქეთ მოსიარულე დამლაგებლებს და დანარჩენ პერსონალს. სცენაზე ჩვენიან ერ- თად ფილარმონიის სხვა თანამშრომლებიც იდგნენ, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ დაგვხმარე- ბოდნენ. ციოდა. წინა ღამეს ბექას სიცხემ აუწია და სესიაზე მშობლებმა სანტა-კლავუსივით შეფუთული მოიყვანეს. ჩვენ კი, ფოტოსესიის კონცეფციიდან გამომდინარე, მხოლოდ თხელ თეთრ პერანგში უნდა დაგვეტოვებინა ის. მერე კი, სქელ თოკში უნდა დაგვებლანდა და გვეთხოვა იმ უზარმაზარი როიალის გაქაჩვა ეცადა. სანამ ვეშაბდებოდი გვთხოვა როიალთან დაგვადები, ასე უფრო სწრა- ფად გავთბებო. დაკვრა რომ დაიწყო, გარშემო მიმოვიხედე. არ ვიცი, ესმის თუ არა ბექას როგორ მომწონებოდა ეფექტს ახდენს გარშემო მყოფებზე, როდესაც ის უკრავს ხოლმე, მაგრამ დღემდე ვერ ვახერხებ თავის შეკავებას და სულელივით მეღიმე- ბა ხოლმე. ერთადერთი, რაც მანყნარებს ისაა, რომ ნებისმიერს ასე ემართება. იმ დღეს ბექამ დროებით შეაჩერა ფილარმონიის სამუშაო გრაფიკი იმიტომ, რომ ვინც დარბაზში ან სცენაზე შემოვიდა ამა თუ იმ საქმეზე, კარგა ხანს ვერ გავიდა იქიდან. გადა- ლებას რომ მოვრჩით, მის გვერდზე ჩამოვჯექი და ლევანს ვთხოვე, ერთი სურათი გადაგვიღე-მეთქი. რომ იცოდეთ, როგორი იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან ამ ფოტოთი ვიამაყებ...



სალომე კიკალიშვილი

send sms to kordzika – ანა... როგორ ხარ? ვზივარ ახლა წალკერში და ყოველ დღე წყაროზე დავდი- ვარ, ამბობენ, ეგ წყალი რკინას შეიცავს და სა- სარგებლოაო, არადა... მე ხომ ვიცი, რაც არის სასარგებლო! სად ვიყავი, ანა... ჩამოსვლა აღარ მინდოდა! მაგრამ არა უშავს, ადრე თუ გვიან, ისევ წავალ ინდოეთში, აუცილებლად წავალ :)

reply – ჰეი, სალომეშუკა! აქამდე არ იცოდი, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდის, აღმოსავლეთიდან! :)

ინდოეთში ისეთი დაშინებული მივდიოდი, მეგონა, ქუჩაში ვერ გავიდი. ეს არ ჰქნაო, ის არ ჰქნაო, სანამ რამეს შეჭამ, ასჯერ მაინც იკითხე რა არისო, როგორც კი შეზინდებდა, გარეთ მარტომ ცხვი- რი არ გაყო; კარებზე თუ მოგიკაკუნეს, პირდა- პირ არ ეცე და არ გააღო, რადგან თავის დროზე ერთ ქართველს მიუკაკუნეს და კარი რომ გააღო, ზღურბლთან მაიმუნი დახვდა და ცუდად დამთა- ვრდა ეგ ამბავიო... ამ ყველაფრის გამგონემ, ერთი წამით ვიფიქრე — რა იცი, რა ხდება, ჩემებს ხომ არ დავემშვიდობო-მეთქი. ამას თვითმფრინავში გაცნობილი კაცი დაემატა, რომელმაც "მეგობრუ- ლი" რჩევა მომცა, გარეთ რომ გახვალ, უცებ არ შეგემინდესო... ჰოდა, შემეშინდა კი არა, თავიდან ფეხებამდე ცარიელი ფობია გავხდი, პატარა და ში- შისგან თვალედაჭყეტილი ქალი-ფობია.

მაგრამ სად ინდოეთი და სად ფობია? რა უნდა მსგავს მაიმუნობებს ქვეყანაში, სადაც სამყაროს პირველად შევხედე ფართოდ გახელილი თვალე- ბით! სადაც ამდენი წლის მანძილზე, ვიგრძენი, რომ ცოცხალი ვარ! ცოცხალიი! აქ ხომ გრძნობის ყველა რეცეპტორი ავტომატურ რეჟიმში გადადის და უსასრულოდ გრძნობ, ჯერ კიდევ ამოუცნობი შეგრძნებები ვულკანივით რომ ფეთქდება შენში, მთელი სხეული ახალიდან იწყებს სამყაროს აღქ- მას, ცხოვრებას, სიცოცხლეს! ჰოდა, ამას, აბა, რო- მელი ცათამბჯენის ან ლამაზ-ლამაზი სასახლეების თვალეღობა შეიძლება შეადარო?!

ამბობენ, არსებობს ასეთი სინდრომი – ინდოეთით მოწამვლაო, ჰოდა, მოვიწამლე კი არა, განუკუნე- ბელი მჭირს, განუკურნებელი!

საქართველოს ბანკის
საანბნადნომ აქცია
ანაბიბიბი!



15 იანვარი

გახსენით ვადიანი ანაბარი და
მიიღეთ გაზრდილი წლიური
სარგებელი



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA



ჩვენი ავტორები



ნინო ლომაძე

ახალი წელი ახლავს გამახსენდა. როდესაც რედაქციაში მე და თორნიკე დავრჩით, ქუჩაში კი, ვილაცამ ჯორჯ მაიკლის Last Christmas-ის სიმღერით ჩაგვიწვინა. ასეა, უკვე ზემის სუნი ტრიალებს... და არჩვენების. ისე, კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა? ზემით, ბოლოს, იქაც იზეიმებენ (თუ აცალეს). რაზე ფიქრობს ნეტა ესხლა თოკო? ალბათ, ხვალინდელ სტამბაზე. მუსიკის ხმა არც გაუგია, თავის "HiMAC"-შია თავით შემძვრალი და ინდიანის ფაილს გულდასმით აკვირდება. მე კიდეც, Last Christmas-მა ნიუ-იორკი, ნიუ-იორკმა და თორნიკემ ერთად კი – "წლის ადამიანის" პირველი კონკურსი გამახსენა. თუმცა, ეს სულ სხვა ამბავია.

აბა, რა მოხდა წელს ყველაზე მნიშვნელოვანი? ამ კითხვით უკლებლივ ყველა "შოკოლადელი" ჩვენს საყვარელ გამჭვირვალე (სიმბოლურია ყველაფერი) მაგიდას მივუსხედით და ჩვენ-ჩვენი ამბები საგანგებოდ მომზადებულ უზარმაზარ დაფაზე ჩამოვწერეთ. გრძელი სია გამოვიდა. მერე, წლის ყველაზე საინტერესო მოვლენების 12 გმირი შევარჩიეთ და საქმეს შევუდექით. ჰოდა, როცა ამ დღეებში საყოველთაო მხიარულების საღამოები მოგებზრდებათ და ნაძვის ხეების ბრჭყვიალებაც თვალეებს აგიჭრებლეთ, გემრიელად მოკალათდით და "ძველი წლის" გასახსენებლად ჟურნალის რამდენიმე გვერდი გადაფურცლეთ. "წლის ადამიანები" მომდევნო გვერდებზე ამჯერადაც დაგხვდებათ.

P.S. და, ნეტავ, წელს თუ მოვა თოვლი 31-ში? ნამდვილი ახალი წელი რომ გვქონდეს, რაღაცნაირად, ჩუმი და თბილი. ისე, ასეთ ამბებს განსაკუთრებით უხდება ცოტა ხნით, სიცივისაგან დაორთქილი ფანჯრის წინ ჩამოჯდომა, ცოტა დაფიქრება და ერთი კარგი, გემრიელი გახსენება.



თამარ სუსნივილი

როდესაც ბრიტანელი მწერლისთვის - ივლინ ვოს-თვის (მასალა იხილეთ ჟურნალში, გვ.110) უკითხავთ, უნივერსიტეტის სპორტულ შეჯიბრებებში თუ იღებდით მონაწილეობასო, უპასუხია: კიო, ვსვამდი ჩემი კოლეჯის გამარჯვების სახელზეო. ჰოდა, როცა „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორმა მკითხა, რას გააკეთებ ჟურნალის საახალწლო ნომრისთვისო, მეც უპასუხე: რას გავაკეთებ და საახალწლო სასმისით გადღევრძელებთ-მეთქი ყველას. გაჭრა და არც გაჭრა...

რასაკვირველია, გადღევრძელებთ. გადღევრძელებთ ყველას, ჩემიანსა და უჩემოს და შევეცდები, ჩემი წინასახალწლო დაძაბული გუნება-განწყობილებით თქვენი ასევე მძიმე გუნება-განწყობილება კიდეც უფრო არ დაგიძიმოთ („შენი ვერძი რქა-გრეხილი ჩემსა ვერძსა რქაგრეხილსა...“ — რაღაც ამდაგვარად გამოვივიდა). გადღევრძელებთ და გისურვებთ, რომ ქართულ მედიაში გამოჩნდნენ ობრონ ვოსავით გულწრფელი, უშიშარი, უანგარო და იუმორის ნიჭით გამორჩეული ჟურნალისტები, პოლიტიკაში კი ისეთი პოლიტიკოსები, ამ ჟურნალისტების აზრს ხანდახან მაინც რომ დაუგდებენ ყურს. გადღევრძელებთ და გავიმეორებ ბრიტანელი ჟურნალისტის სიტყვებს: არასოდეს ალაზევით პოლიტიკოსები! და დატოვე დათვი ტყეში! (სახეობათა კონსერვაციის ცენტრის - „ნაკრესის“ გახმაურებული ეკოაქციის დევიზია). გადღევრძელებთ და განსაკუთრებით ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

ბევრი ხომ არ მომივიდა? კარგი, მეტს აღარ დავლევ...



ანა ჯორჯია-სამალაშვილი

თქვენც მოგდით დაუფერებელი sms-ები? ძალიან მაინტერესებს, ვინ მიგზავნის ხოლმე. დარწმუნებული ვარ, რომ უცხოები არიან, თორემ ოდნავ მაინც რომ მიცნობდნენ, ნამდვილად არ მომწერდნენ: "ჩემო სიყვარულო და იმედო! წმინდა (მნიშვნელობა არა აქვს, ვისი: პროხორის, კუკურის, ქნარიკას) მაღლი შეენიოს შენს ლამაზ ოჯახს. სიმშვიდე და სათნოება მრავალჟამიერ". ან კიდევ უკეთესი: "გაუგზავნე ეს უსტარი შვიდ მეგობარს, თორემ არც სიხარული გელირსება და არც სიყვარული". დაწყველეს! ვაიმე! და წარმომიდგენია, საშობაოდ და საახალწლოდ რაებს მივიღებ. დამძაბული ამბავია.

ჰოდა, გახსოვთ "ლორელი"? ფაქტი ისაა, რომ სევდა მერევა. პრობლემა ისაა, რომ არ ვიცი, რატომ.

თუ თავს არ ვუშვებ, ეს ტყუილად ზემი გადამრევს და გადამიყოლებს. ბრჭყვიალა ქალაქი, უცხო სუნელი, ორკვირიანი გაბმით სმა... თან ზოლიტიზირებული ახალი წელი. ესლა მაკლდა.

გავიგე, ბურიატებს შესანიშნავი წესი ჰქონიათ: საახალწლოდ ჩამოწერენ ხოლმე, რა არ უნდათ მომავალ წელს თან გაიყოლონ, და მერე ამ ფურცელს წვავენ.

გადავწყვიტე, წელს მეც ასე მოვიქცე – რამით ხომ უნდა გავერთო. ვერ წარმოიდგენთ, რამსიგრძე სია გამომდის. თან საფრთხილო საქმეა, ვინ იცის, რა პრინციპით მომაცილებს რაღაცებს განგება! ვთქვათ, ვიტყვი, არ მინდა სულელური გზავნილები-მეთქი და ისევ მობილურს მომპარავენ. სანერვიულო ადათი ჰქონიათ ბურიატებს.

სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რა მინდა. ჯანმრთელობა, ბევრი ფული და დიდი სიყვარული. ამ სამიდან ჯერჯერობით ერთი მაკლია, და თუ მომავალ წელს ესეც მომეცა, სულ ნაირ-ნაირი ქვეყნებიდან მოგწერთ ხოლმე ჩემი დიდი ბედნიერების ამბავს, და თქვენც იფიქრებთ, რომ ცხოვრება მშვენიერია: სადაც ანამ ნახა ჩანჩქერი ვიქტორია, ჩვენც ყველაფერი გვექნება!

გვექნებათ. მეც მექნება და თქვენც. აი, ნახავთ, თუ არა.

VICHY FRANCE
LABORATOIRES



NeOVADIOL ნეოვადიოლი

ზრდის კანის სიმკვრივის, ალდგენს ლიპიდების სტრუქტურას

ინტენსიური საშუალება კანის სიმკვრივის მოსამატებლად
რეკომენდებულია 50 წლის ასაკიდან

ცხელი ხაზი: 91 04 34

ვიშის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში
ფარმაცევტული კომპანია „ჯივისი“

www.gpc.ge



დათო გუშვილი

პრეზიდენტების სვეტი

საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი რომ ოცდაორმა ადამიანმა გამოთქვა (ფოტოც გადაიღო) და განცხადებაც შეიტანა საარჩევნო კომისიაში, ეს ამბავი, პირველად შოთა არველაძემ მითხრა ესპანეთში და მერე შემფოთებულმა დაამატა – ნაკრებისთვის თერთმეტი ფეხბურთელი ვერ მოგვიგროვებია და საქართველოში თუ ოცდაორი კაცია, ვისაც პრეზიდენტობა შეუძლია, მაშინ ტოპმოილერი მართლა ყ... ყოფილაო.

სიცილს რომ მოვრჩი, მერე შოთაც დავამშვიდე – ეგენი ძირითადად ერთი და იგივე ხალხია, ოღონდ სხვადასხვა სახელით და გვარით შეაქვთ განცხადებები-მეთქი.

სხვათა შორის, ზოგიერთმა ახლაც შეიტანა განცხადება ისევე, როგორც წინა არჩევნებზე და თანაც, იმავე სახელითა და გვარით. ერთ კანდიდატს კი (დანამდვილებით ვიცი), წინა საპრეზიდენტო (შეიძლება იმისწინა და უფრო ძველი) არჩევნებისთვის შეგროვებული ხელმონერები აქვს და როცა სჭირდება, ამოიტანს ხოლმე სარდაფიდან ლილინით და ცენტრალურ საარჩევნო კომისიასაც ლილინით აკითხავს.

რალაი ლილინი ვახსენე, ბარემ სტალინსაც გავისხენებ, რომელიც არჩევნების წინ ყოველთვის ერთი ფრაზით იმხნევებდა თავს – მთავარი ის კი არ არის, ვინ მონაწილეობს არჩევნებში, მთავარია, ხმებს ვინ ითვლისო. ჩვენ რუსებს ვერ ვანებებთ თავს და სტალინს ხომ, მით უმეტეს, კარგა ხანს ვერ შევეშვებით და ამიტომაც, ამ არჩევნების დანიშვნისთანავე პირველი ის ვიფიქრე, ნეტავ ხათუნა გოგორიშვილი ვის უჭერს მხარს-მეთქი და ეგ რომ ვიცოდე, ისიც ხომ მეცოდინება, არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს.

შოთა არველაძეს კი, მოგეხსენებათ, იუმორიც გოლებივით საუკეთესო აქვს და მე რას ვაჯობებდი იმ დღეს ან მერე, როცა ვალენ-

სიიდან დამირეკავდა ხოლმე და თბილისის პოლიტიკურ ამბებს საფეხბურთო კომენტარების თანხლებით მიყვებოდა. ერთხელ, მადრიდის ავტობუსში მომისწრო შოთის ზარმა და იმდენი მაცინა, რომ მძლოლმა დაატორმუზა და ჩასვლა მთხოვა – სიცილის დროსაც თავშეუკავებელი ვარ ხოლმე (როგორც თითქმის ყველაფერში), მაგრამ იმ დღეს ისეთ ფორმაში იყო არველაძე, როგორც რამდენიმე წლის წინ, უდინეზესთან გასვლაზე რომ გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ერთხელ კი პირიქით – დამირეკა და ისეთი გაბრაზებული იყო პრეზიდენტობის ერთ-ერთ ჩვენებურ კანდიდატზე, რომ ძალიან სერიოზული ხმით მომიყვა ნელსონ მანდელას ისტორია, რომელიც სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი მხოლოდ მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ გახდა. შოთა არველაძეს საკუთარი თვალთ უნახავს იოჰანესბურგში იმ საშინელი ციხის საკანი, სადაც ნელსონ მანდელამ ოცდაშვიდი წელი გაატარა თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის გამო და ის საკანი ისე აღწერა შოთა არველაძემ, რომ ნებისმიერ მწერალს შეშურდებოდა. ფეხბურთსაც რომ თავს დაანებებს, აუცილებლად წიგნი უნდა დაწეროს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თავისი გოლებივით, საუკეთესო საფეხბურთო წიგნის ავტორი იქნება ქართულ ენაზე და, მგონი, ნიჭიერი ადამიანების უმრავლესობა მართლა ყველაფერში ნიჭიერია. ჩემის სუბიექტური დაკვირვებით, სწორედ ეს არის კიდევ ნიჭიერი ადამიანების საერთო დამახასიათებელი თვისება და, მგონი, ამიტომაც მინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ნიჭიერი ადამიანი იყოს.

მინდა იყოს ჭკვიანიც, რადგან ჭკვიანები სხვა ქვეყნის სამსახურში არ დგებიან და, მით უმეტეს, არ ხდებიან დამპყრობელი ქვეყნის აგენტები და ლეგენდები მოაზროვნე აგენტებზე

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მოგონილი ზღაპრებია და მეტი არაფერი.

მინდა იყოს განათლებულიც, ნესიერიც და პატიოსანიც და რა სამწუხაროა, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის საერთოდ არ არის დიმიტრი გელოვანი, მეტიც – იგი საერთოდ არ მონაწილეობს არჩევნებში და უბრალოდ ზოროს ცხენივით მარტოა.

რას ნიშნავს მარტოობა ზოროს ცხენივით, ეგეც პირველად შოთა არველაძემ მითხრა, ოღონდ მაშინ აიაქსში თამაშობდა, რამდენიმე თვე ძვირფასი მეუღლის გარეშე დარჩა და მაშინ აღმოაჩინა ზოროს მთავარი სადარდებელიც.

რას ნიშნავს ზოროს ცხენივით მარტო ხარ-მეთქი – ტელეფონში ვკითხე და აბა, კარგად გაიხსენე ფილმებში ზოროს ცხენი როგორი მოწყენილია, სულ მარტო დაეხეტება და სულ იმის მოლოდინშია, ზორო როდის დაუსტვენს და დაუძახებსო.

მგონი, ჩვენი საქმეც სწორედ ასეა და არჩევნებში კი, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ხელისუფლებაში მაინც იგივე ხალხი ხვდება, როგორც ყველგან და ყოველთვის და იგივე თუ არა, ისეთივე მაინც.

ზორო და მისი ცხენიც ხომ მექსიკელები იყვნენ და მათ სადარდებელსაც ქართველობას ხომ არ დავაბრალებთ – ალბათ, ადამიანი ყველგან ჰგავს სწორედ მას, ვისაც ხმას აძლევს ან პირიქით.

მექსიკაში კი, ახლა ზაფხულია და მე კი იქ მინდა, სადაც თბილა, რადგან სიცივეს, უბრალოდ, ვერ ვიტან...

უცნაური კი ის არის, რომ ერთადერთს, სამშობლოს სიცივეს, მაინც ყოველთვის ვუძლეობდი, რადგან ყოველთვის მეგონა, რომ მაინც ყველაფერი უკეთესად იქნებოდა.

ისიც მეგონა, რომ სიცივე უფრო ასატანი იქნებოდა, ვიდრე მარტოობა ზოროს ცხენივით...



BALLY
SINCE 1851

Tbilisi · 995 99 77 10 90 · www.bally.com
Tbilisi · G.Tabidze Street 3/5 · (032) 98 52 81



თბილისის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი

წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ოქტომბრის ნაცვლად დეკემბერში გაიმართა. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები, ნინო ანჯაფარიძე და გაბა ჩხეიძე ამბობენ, საერთაშორისო კინოფესტივალის კალენდარი წელიწადის ამ დროს ნაკლებად დატვირთულია. გასულ წლებში თბილისში ჩამოსვლის მსურველთა რაოდენობა დიდი იყო, მაგრამ ბევრი მათგანი უფრო ცნობილ და პრესტიჟულ კინოფესტივალზე ამჯობინებდა წასვლას, შესაბამისად, მოგზაურობდნენ ფილმებიც და თავისუფალი ასლების მოპოვება რთულდებოდა.

თუმცა, თბილისის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალის წარმატებით ჩატარება მხოლოდ თარიღის გადაწვევით არ იყო განპირობებული. წლებგანდელ ფესტივალს, ბევრ საინტერესო სტუმართან ერთად, უპრეცედენტოდ ბევრი მაცურებელიც დაესწრო. საფესტივალო ფილმები კინოთეატრი “რუსთაველის” სახე დაარბაზეში გადიოდა. საბჭოთა ეპოქის შემდეგ, კომერციულ კინოთეატრს (მის ფოიეში არსებულ კაფეს თუ არ ჩავთვლით) ამდენი სტუმარი პირველად ჰყავდა. არადა, ფესტივალის გახსნამდე ერთი კვირით ადრე მისი ჩატარების საკითხი მოულოდნელად დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

მუნიციპალური კინოთეატრის არარსებობა და რუსეთის მიერ კინო-გაყიდვებში საქართველოზე ნაყიდი უფლებები კინოფესტივალს ტრადიციულად უქმნის პრობლემებს. ამ მიზეზით მაცურებელმა წელს ვერ იხილა ულრიჰ ზაიდლის „იმპორტ/ექსპორტი“, პიტერ გრინუეის „შუალამის შემოვლა“, პოლ ვერპოვენის „შავი ნიგნი“, ირჟი მენცელის „ინგლისის მეფის სამსახურში“, რომელთა ჩვენება ორგანიზატორთა მიერ დაგეგმილი იყო. ქართული სადისტრიბუციო ქსელის შექმნის უპერსპექტივობასთან შედარებით, პირველი პრობლემა სახელმწიფოს კინო-პოლიტიკის შეცვლის შემთხვევაში უფრო იოლად მოგვარდებოდა.

წლებგანდელ ფესტივალზე მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილებები არ მომხდარა. შეიცვალა კონცეფციაც საკონკურსო პროგრამასთან მიმართებაში. ამერიიდან კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ დებიუტანტი რეჟისორები პირველი ან მეორე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ნამუშევრით.

ასევე, დეკემბრის დასაწყისში თბილისში მსოფლიო კინემატოგრაფის ცნობილმა და წარმატებულმა ადამიანებმა მოიყარეს თავი. თუკი შარშანდელი ფავორიტი სტუმრები ოსკაროსანი რეჟისორი ჰიუ ჰადსონი და ქართველი გენერლის შთამომავალი მსახიობი მარიამ დ'აბო იყვნენ, წელს სწორედ მათი რეკომენდაციით, ფესტივალს ლეგენდარული ამერიკელი რეჟისორი — ბობ რაფელსონი ესტუმრა მასტერკლასით „რეჟისორის აღსარება“. სერბეთის მაგალითის გათვალისწინებით, სადაც მასტერკლასს ათასი მსმენელი დაესწრო, რეჟისორმა და მისმა აგენტმა ფესტივალის ორგანიზატორებს მიმართეს თხოვნით მასტერკლასისათვის მხოლოდ 200-300 ადგილიანი დარბაზი შეერჩია. საქართველოში, კინოგურმანებს და კრიტიკოსებს თუ არ ჩავთვლით, ბობ რაფელსონს ძირითადად მისი ორი ფილმით იცნობენ — „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს ზარს“ და „სისხლი და ღვინო“ (უკანასკნელს ჯენიფერ ლოპესის მონაწილეობის წყალობით). ამიტომ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც გადავსებულ დარბაზში კიბის საფეხურზე მომინა ჯდომა. საბჭოთა პერიოდის საქართველოში კი მაცურებლები მის სრულმეტრაჟიან დებიუტს ანიჭებდნენ უპირატესობას, ფილმს — „ხუთი მსუბუქი პიესა“, ფილმს, რომლითაც რაფელსონმა ახალი ჰოლივუდის ერთ-ერთ ლიდერად და კონვენციების უარმყოფელ რეჟისორად დაიმკვიდრა თავი. ქართველი მასპინძლების მხრიდან მისი ჰოლივუდის ვარსკვლავად მოხსენიება რაფელსონმა გახსნის სალამოსვე გააპროტესტა: „ამიტომ, რომ ჰოლივუდის წარმომადგენელი ვარ, ისე ნუ მიყურებთ, თითქოს უცნაური ცხოველი ვიყო. ჰოლივუდიდან არც ვარ, მე კოლოდაროს წარმოვადგენ“. ფაქტია, რომ ფილმებთან ერთად მაცურებლები რაფელსონის ექსცენტრიკითაც მოიხიბლნენ — მას მეორე ლექციის ჩატარებაც გადააჭედო დარბაზში მოუწია.

ფესტივალს წელს მეორედ ეწვია რუსული საპროდიუსერო კომპანიის „კინო ბეზ გრანიც“ პრეზიდენტი სემ კლებანოვი. შარშან სწორედ მისი კომპანიის მხარდაჭერით მოხერხდა მოსკოვიდან შევდეთის გავლით თბილისში ფილმების ჩამოტანა ევროპული კინოს ფორუმის სექციისთვის. „Прорвём блокаду!“ — ასეთი იყო საზღვრებს გარეშე



TRU TRUSSARDI

Tbilisi · G.Tabidze Street 3/5 · (032) 93 30 05



მოქმედი კინემატოგრაფის მსახურთა მოწოდება 2006 წელს: „რამდენიმე დღის წინ რუსეთის მიერ შემოღებულმა სატრანსპორტო ბლოკადამ ფესტივალი არაერთი პრობლემის წინაშე დააყენა. ფილმების მნიშვნელოვანი რაოდენობა რუს გამქიარებლებს უნდა გამოეგზავნათ“... ჩანს, საქართველოსთან თანამშრომლობას კულტურის მოღვაწეთათვის დისიდენტობის მომხიბვლელი სუნი უდის. თბილისში ის თავისი ფილმით ჩამოვიდა, თუმცა, ფილმს „გზა გალესკენ — მოხალისეთა დღიურები“ ისევე, როგორც ფესტივალზე წარმოდგენილ სხვა დოკუმენტურ ნამუშევრებს, აუდიტორია ნაკლებად სწყალობდა. არადა, დოკუმენტური ფილმების განყოფილებაში წელს რამდენიმე შესანიშნავი სურათი მოხვდა, მათ შორის, ლაილა პაკალინინას ლატვიური ფილმი „თეოდორის“ და „ჩეხური ოცნება“ (რეჟისორები: ფილიპ რემუდა, ვიტ კლუსაკი)...

სწორედ დოკუმენტური კინოს პოპულარიზაციას და დოკუმენტალისტიკის განვითარებას ისახავს მიზნად კინოკომპანია „საქდოკი“, რომლის პრეზენტაციაც საფესტივალო დღეებში შედგა. „სანამ დროა“ – ასეთია სლოგანი კომპანიისა, რომელიც „დოკუმენტის შექმნისკენ“ მოუწოდებს კინემატოგრაფისტებს. კომპანიის ნევრები უკვე სამი დოკუმენტური ფილმის პროექტზე მუშაობენ. ამასთან ერთად, ისინი მზად არიან კონსულტაცია და დახმარება გაუწიონ ქართველ რეჟისორებსა და პროდიუსერებს პროექტების განვითარებასა და საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობაში. „საქდოკი“ დაკავებულია რეკლამების დამზადებითაც, თუმცა, დამფუძნებლებს (ანა ძიაპშიპა, სალომე ჯაში, გიორგი ნიქარიშვილი) მიაჩნიათ, რომ დღეს საქართველოში მხოლოდ ერთი სარეკლამო კლიპის ბუჯეტით სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის გადაღებაც შესაძლებელია.

დოკუმენტური ფილმებისგან განსხვავებით, მაცურებლების თქმით, ფესტივალის ფავორიტი იუნიფრანსის მიერ შემოთავაზებული ფრანგული მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა გახდა, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა: „ოსტატების კოლექცია“ და „ახალი კოლექცია“. იუნიფრანსის პროგრამის კოორდინატორის, ანა ძიაპშიპას თქმით, ფილმების ფირების ასლების მოპოვებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მორის პილას, ფრანსუა ტრიუფოს, ჟან-ლუკ გოდარის, ერიკ რომერის, ჟაკ დონიოლ-ვალკროზის პირველი ნამუშევრების დიდ ეკრანზე ხილვა კინოს მოყვარულისთვის საქართველოში თითქმის წარმოუდგენელი ფუფუნებაა.

თუმცა, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის, გაგა ჩხეიძის აზრით, არსებობს მიზეზები, რომლის გამოც ფესტივალი მხოლოდ ფუფუნება ვერ იქნება:

„საერთაშორისო კინოფესტივალი ის ფორუმი, რომელზეც ინფორმაციის გაცვლა, პოტენციური პარტნიორების მოძიება და ერთობლივ პროექტებზე ფიქრი იწყება. ამ თვალსაზრისით, კინოფესტივალი ფუფუნება კი არა, აუცილებლობაა“.

ფესტივალს, ტრადიციისამებრ სამი ყოფილი პრეზიდენტი, ოფიციალური, ფიპრესის და ფარაჯანოვის, რომელთაც 11 ფილმისგან დაკომპლექტებული საკონკურსო პროგრამიდან თავისი ფავორიტები უნდა აერჩია. მთავარი პრიზი “ოქრის პრომეთე” და ფარაჯანოვის პრიზი “მინანქრის ბრონეული” პოლონურ ფილმს გადაეცა, ანჯეი იაკიმოვისის – “ხრიკებს”. ფილმს, რომლის პატარა გმირი რა ხრიკებს აღარ იგონებს, ოჯახიდან წასული მამა სახლში რომ დააბრუნოს. ვერცხლის პრომეთე გადაეცა ალექსეი პუპოვრესკის ფილმს „მარტივი საგნები“. ფიპრესის პრიზით, ისრაელელი რეჟისორი დევიდ ვოლახის პირველი ნამუშევარი დაჯილდოვდა – “ჩემი მამა, ჩემი ღმერთი”, რომლის სიუჟეტი ულტრა ორთოდოქსულ ოჯახში ვითარდება და აბრაამის და ისააკის ისტორიის თანამედროვე ინტერპრეტაციას გაგონებს.

საკონკურსო ფილმებში მშობლისა და შვილის ურთიერთობის თემა ფიგურირებდა (ფილმები „მამაჩემი - ჩემი ღმერთი“, „მაგნუსი“, „ყველაფერი, რაც ვიცი ლოლას შესახებ“, „პინგ-პონგი“, „ხრიკები“), რაც სიმბოლურად დამთხვავდა სპონსორთა რიგებში პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის სახით “ახალი მშობლის” შექმნის ფაქტს.

საკაშვილმა მთავარი პრიზის სპონსორობა გასწია და ფულადი ჯილდოს გადაცემას დახურვის საღამოზე თავად აპირებდა. ამის გამო კინოთეატრ რუსთაველში საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა — შენობა მთლიანად დაცვის თანამშრომლებმა აითვისეს. დახურვაზე მონვეულ ადამიანებს ე.წ. საკონტროლო პუნქტებზე ჩანთებს საგულდაგულოდ უმონებდნენ. ზოგიერთმა მაცურებელმა ამ ფაქტის გამო უარი თქვა დასწრებოდა დახურვის ცერემონიალს. ასეთი ვითარება ფესტივალის უცხოელი სტუმრებისთვისაც უჩვეულო აღმოჩნდა. თუმცა, განგაში არაფრის გამო ატყდა – სპონსორი არ მოვიდა.

[tride] *[tride]* *[tride]* *[tride]* *[tride]* *[tride]* *[tride]* *[tride]* *[tride]*

[tride]



[tride]



ელექტრონავტი 2007

4 დეკემბერს, სამეფო უბნის თეატრში თანამედროვე საკლუბო მუსიკის მოყვარულები, ე.წ. კლაბერები „ელექტრონავტ – 2007“-ის დაჯილდოების ცერემონიაზე შეიკრიბნენ. იმ დღეს საკუთარი სეტები 10-მა შემსრულებელმა ააუღერა, თუმცა, ელექტრონული მუსიკოსების გარდა, ელექტრონავტების საღამოზე, როკ-ჯგუფებმაც დაუკრეს. დაჯილდოების ცერემონია „Festival Georgia“-ს (რომელიც სამ კომპანიას: „ჯორჯიან ივენთს“, „სტეპ-რეკორდსა“ და „კომუნიკატორს“ აერთიანებს) ორგანიზებით ჩატარდა. საინფორმაციო მხარდამჭერი მუსიკალური ჟურნალი „ოზონი“ იყო. ეს გახლდათ ელექტრო-აკუსტიკური მუსიკის პირველი მასშტაბური ფესტივალი, რომელზეც ამ მუსიკალური ჟანრის მიმდევრები საქართველოში პირველად დაჯილდოვდნენ. ყველაზე დემოკრატიული კონკურსის მთავარი „ჟიური“ ელექტრონული მუსიკის მსმენელი იყო, რომელთა აქტიურობის საფუძველზეც ერთნაირი ინტერნეტ-გამოკითხვის საბოლოო შედეგი დაჯამდა და ფავორიტებიც გამოვლინდნენ. საუკეთესო ინტერნეტ გვერდის ტიტული – www.dance.ge-მ დაიმსახურა. ელექტრონული მუსიკის მხარდამჭერ კომპანიად – Kent-ი აღიარეს. საუკეთესო რადიოგადაცემად კი: Music Holl-ი. ნიკაკოს და ტუსია ბერიძის საერთო ნამუშევარს, საუკეთესო კლიპის სტატუსი მიანიჭეს. საუკეთესო უცხოელ მუსიკოსად Frank Nasty დაასახელეს. საუკეთესო ქართველი პრომოუტერი – გუგა ახალაძე აღმოჩნდა. საუკეთესო ივენთად კი „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ Frank Nasty-ს ივენთი აღიარეს. საუკეთესო კლუბის ტიტული „ნაით ოფისს“ ხვდა წილად, გიო ბაქანიძეს კი ქლაბერებმა გარჯა დაუფასეს და საუკეთესო ქართველ დიჯეიდ აღიარეს. რაც შეეხება გრან-პრის, ანუ საუკეთესო ელექტრონავტს, ეს საპატიო ტიტული ნიკა მანაიძეს ერგო და საჩუქრად საგანგებოდ დამზადებული „ელექტრონავტის“ სიმბოლო და „ჰაიმაკის“ უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერი გადაეცა. საუკეთესო ელექტრონული რეპერტუარის ძიების საშუალებას ფესტივალის ორგანიზატორები მსმენელს ისევ მისცემენ და გვპირდებიან, რომ ელექტრონული მუსიკის კონკურსს ტრადიციად აქცევენ.



იკოთეკური სესხი თქვენზე მორგებული 5 სიახლით

- ▲ ძველი სახლის გაყიდვას და ახლის შეძენას გეგმავთ? "შემავალ სახლი" – აღარ დაელოდოთ მის გაყიდვას, დააფინანსეთ განსხვავება დღესვე!
- ▲ არ გსურთ გრძელვადიანი სესხის აღება? "შინატანების ყოველწლიური ზრდის ფანჯარა" – დაგეხმარებათ უფრო მალე დაფაროთ სესხი.
- ▲ თქვენთვის მნიშვნელოვანია სესხის საპროცენტო განავეუთის შემცირება? გამოიყენეთ "კროსინგის შეხშირების ოქსაბ ფანჯარა".
- ▲ გიძნელდებათ თქვენი შემოსავლების შესახებ საბუთების მოძიება? "ბარანტირებალი სესხი" თქვენთვისაა, ერთად მოვეშხადლოთ თქვენი დიდი შენაძენისთვის!
- ▲ თქვენი ხელფასი არ იყო საყმარისი იკოთეკური სესხის მისაღებად? ახლა ჩვენი 30-წლიანი იკოთეკური სესხით ეს ხელმისაწვდომია.



იკოთეკური სესხი

მოიხყვე სხოვრება დღეს,
ბაღაიხაღა ხვალ!

☎ 27 27 27

www.tbcbank.ge

 **თიბისი ბანკი**
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ფერწერისა და მიწაწერის კომპოზიციური ინტერპრეტაცია

წითელი ლანდშაფტები, აბსტრაქტული პეიზაჟები, ნახნაგოვანი ფორმის სახლი... და საერთოდ, კრისტალიზებული ფორმებით შექმნილი ფერწერა, ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მხატვრის – ლევან ლალიძის შემოქმედების მთავარი ხიზლია. მხატვარმა, რომელსაც არასოდეს იტაცებს „ხმაურიანი“ გამოფენები და საკუთარი ექსპოზიციის გადამონემების მცდელობას, ძირითადად, საღამოებს უწოდებს ხოლმე, ამჯერად, წინასახალწლოდ საკუთარი ნამუშევრები ნანა ლალიძის ნეკეულობებთან ერთად გამოფინა. სასტუმრო „თბილისი-მერიოტის“ გალერეა „შარდენის“ საგამოფენო სივრცე დეკემბერში, სულ რაღაც 2 დღით, ლევან ლალიძის თავისთავადი ტექნიკით შეასრულებულმა ფერადოვანმა ექსპოზიციამ და მისი ნამუშევრების ინტერპრეტაციით ნანა ლალიძის მიერ შექმნილმა მინანქრის კომპოზიციებმა გაახალისა.

ამ გამოფენისთვის ავტორებმა საგანგებოდ იმუშავეს. ნანა ლალიძისთვის რიგით მესამე გამოფენაზე მუშაობა კი დიდი პატივიც აღმოჩნდა და, ამასთანავე, პასუხისმგებლობაც. ბატონი ლევანის ფერწერული ინტერპრეტაცია ნანას კომპოზიციურადაც ძალიან ნაადგა, ახალი ინოვაციური იდეებიც გაუჩნდა და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მინანქრის სამკაულების კეთება დეკორაციული კომპოზიციებით ჩაანაცვლოს.

შენდობით მოხსენიებული წინაპრები

„ელოდენის დიდების პატრონი ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე. შეძრვად ხელს ნუ მყოფთ, შენდობას მიბრძანებდეთ, გვედრებით.“ – მსგავსი შინაარსის მქონე წარწერებს მხოლოდ მითოვებულ და უკვე მტვერნაყრილ საფლავებზე თუ გადააწყდებით. ამგვარი ეპიტაფიები, საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ლაპიდარული ტექსტები ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილიც გახლავთ. სწორედ ეთნოკულტურის რჩეული ნიმუშების შეგროვების სურვილმა უბიძგა ამირან არაბულსა და ეთერ თათარაიძეს, რომ თითქმის მთელი საქართველო შემოევილოთ და წინაპართა საფლავები სოფელ-სოფელ მოენახულებინათ. ახლა 10 წლიანი, ინტენსიური მუშაობის შედეგი ვრცელ წიგნად აკინძეს და მკითხველს ანონიმურად მოღვაწე ეპიტაფისტებისა და უსახელო ქვითხურობების ნახელავის საფუძვლიანად გაცნობის საშუალება მისცეს. „შენდობით მომხსენიეთ“ - ასე ეწოდება წიგნ-კატალოგს, რომელიც ავტორებმა ზურაბ ჟვანიას ხსოვნას მიუძღვნეს. ამირან არაბულსა და ეთერ თათარაიძეს წიგნის გამოცემაში ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს საპატრიარქოს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა, პროკრედიტ ბანკმა, ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდმა, ვი თი ბი ბანკმა და სხვა ქველმოქმედებმა გაუწიეს.

ავტორების განმარტებით, ეს წიგნი ისეთივე სადა და მარტივია, როგორებიც ჩვენი წინაპრები იყვნენ. მათ საფლავებზე განაწული თუ გაუნაწავი ხელით გამოკვეთილი სიმბოლოები თუ ფრაგმენტები ნათლად მიგანიშნებს, რა სხვაობა ძველსა და ახალ საქართველოს შორის. ამ მასალების შეგროვებისას კი, ავტორებს არა მარტო ესთეტიკური ინტერესი და მკითხველამდე მიტანის სურვილი, არამედ ღრმა კულტურული ფესვების ძიება ამოძრავებდათ.

იმდენ ამბავს იტევს თითოეული საფლავის ქვა, რომ წიგნში მოძიებული მასალების მხოლოდ ნაწილი შევიდა. ნაწილი ჯერ მხოლოდ თაროზე დევს და მომდევნო გამოცემას ელოდება. წიგნის მორიგ ვერსიაზე ფიქრი დღის წესრიგში უკვე დგას, თანაც, ავტორებს წინ მთიან რეგიონებში მოგზაურობა ელით, რადგანაც მოსაძიებელი ჯერ კიდევ უამრავი საფლავის ეპიტაფიაა.



„შკოდა“-ს ოფიციალური
წარმომადგენელი საქართველოში

„კრეს ავტოჰაუსი“

მარშალ გელოვანის გამზირი

ტელ: (995 32) **50 61 22**



SIMPLY CLEVER



Fabia

14 300 \$ - დან

ან **233 \$** - დან თვეში

იბერია ბიზნეს ჯგუფი

მოკრძალებული პოეზიის ბანეფისი

მაია სარიშვილი ჯერ კიდევ 7-8 წლის გოგონა იყო, როცა რალაცაზე ძალიან გაბრაზებული, აივანზე იდგა, ცრემლებს ინმენდდა და საკუთარ თავს პირდებოდა – აი, გავიზრდები, დიდი პოეტი გავხდები, აუცილებლად მოვანყობ პოეზიის სალამოს, სადაც ბევრ ადამიანს დავპატიუებ, და შენ, ჩემ ბავშვობას, მადლობას გადაგიხდით. ბევრი წელი დასჭირდა ამ დანაპირების ასრულებას, მაგრამ ჯიუტი ადამიანების ამბავი ხომ იცით? პოეტმა ბავშვობისდროინდელი ოცნება რეალობად 16 დეკემბერს, არტ-კაფე “ქარავანში” აქცია, სადაც ახალი კრებულის პრეზენტაცია და მკითხველებთან შეხვედრა მოეწყო. მანამდე კი, გამომცემლობა „ლინკმა“ მაიას ლექსებს თავი ერთად მოუყარა, წიგნის მხატვრულ მხარეზე ზრუნვა – მაია სუმბაძეს, რედაქტირება – თამუნა ჟღენტს მიანდო და მაია სარიშვილის ლექსების ახალი კრებული – „მიკროსკოპი“ გამოსცა. სალამოზე წიგნის გამომცემელი, ინგრიდ დეხრავე საკუთარ თავს იმ „მტაცებელ ვეფხვს“ ადარებდა, გრანტებზე და საინტერესო პარტნიორებზე რომ ნადირობს ხოლმე. ამჯერად კი, ინგრიდის “ნანადირევი” მაია სარიშვილის პოეზია აღმოჩნდა. მართალია, პირველ ლიტერატურულ შეხვედრაზე მაია ძალიან ლელავდა, მაგრამ ავტორის მიერ ნაკითხულმა ლექსებმა დამსწრეები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ მისი ხმა – მოულოდნელი მეტაფორებითა და ფსიქოლოგიურად დატვირთულ ფრაზებით გაჯერებული ვერლიბრი თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მართლაც – გამორჩეულია და უნიკალური.



„კორნეტის“ ბრაფიკული ეტიუდების ინსტალაცია და მარაოები

რაინერ მარია რილკეს პოემა „კორნეტის“ ქართულ-გერმანულენოვანი კრებულის გამოცემის იდეა, ვახუშტი კოტეტიშვილსა და ლევან მეხუზლას 12 წლის წინ დაებადათ. რიგი მიზეზების (ძირითადად კი, დაფინანსების უქონლობის) გამო, მათი იდეის ხორცშესხმა ვერ მოხერხდა. ახლა, როცა პარიზში 5 წლიანი ემიგრაციის შემდეგ, მხატვარი ლევან მეხუზლა ინტენსიურ შემოქმედებით პროცესს ისევ სამშობლოში აგრძელებს, აღმოჩნდა – ამ იდეას აქტუალობა მრავალი წლის შემდეგაც არ დაუკარგავს. რილკეს პოემას მხატვარი ისევ მიუბრუნდა და უჩვეულო ტექნიკაში შესრულებული ეტიუდები ნოემბერში, “ბაია გალერეაში” გამოფინა. აქვე, შარდენის ქუჩაზევე, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში, ლევან მეხუზლამ მეორე, სრულიად განსხვავებული ექსპოზიცია “ესკიზები მარაოსთვის” წარმოადგინა. დიდი ზომის ლითოგრაფიებმა, რომლებიც თავის დროზე რუსეთშია დაბეჭდილი, ამჯერად, შერეულ ტექნიკაში სრულიად ახალი ცხოვრება და ჟღერადობა შეიძინა.

ზრუნვას მოკლავალი ბავშვები სხვებისთვისაც ზრუნავენ

ქუჩისა და რისკის ზღვარზე მყოფი ბავშვების ნდობის მოპოვება რთულია. მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, კიდევ უფრო რთული. არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ კი, 1995 წლიდან უკიდურესად გაჭირვებული, მიუსაფარი ბავშვების დახმარებას ცდილობს და სურს ისინი ქუჩიდან, საკუთარ დიდ „ოჯახში“ შემოიჩვიოს. აქ მათ ცხელი საკვები, სამოსი, განათლების დონის და შემოქმედებითი საქმიანობის ამაღლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია ელით. განსაკუთრებული მონდომებით ისინი ხატვაში, ჭრა-კერვაში, მცირე თეატრალიზებული წარმოდგენების გამართვაში დაოსტატდნენ და საქმეს ისეთი ინტენსივობით შეუდგნენ, რომ მათმა ნამუშევრებმა, პროფესიონალი შემფასებლებიც კი გააოცა. დეკემბერში „ბავშვი და გარემოს“ აღსაზრდელების მოკრძალებულმა ნამუშევრებმა, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო სივრცეც კი „აითვისა“ და დამთავალიერების მოხიბვლაც შეძლო. თან, მათი ნახატები ნათელი ფერებითაა შესრულებული და პოზიტიურ განწყობასაც ტოვებს. აქამდე მათზე არ (ან ვერ) ზრუნავდნენ, მაგრამ ახლა გადაწყვიტეს, რომ უკვე თავადაც შესწავთ სხვებზე ზრუნვის უნარი და 17 დეკემბერს, ბავშვთა მფარველი წმინდანის – ბარბარეს ხსენების დღე და დამდეგი შობა-ახალი წელი ნუცუბიძის ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფ აღსაზრდელებს მიულოცეს. საჩუქრად პატარებს საკუთარი ხელით დამზადებული, „ქვილის“ ტექნიკით შესრულებული 10 საბანი და დეკორატიული ფარდები გადასცეს.



ULTIMATE RADIANCE

Supreme Pearl Cream

The world's #1 ultra premium pearl cream recommended by Swiss medical doctors for its extraordinary benefits.

The *Supreme Pearl Cream* is the first Swiss Line skincare cream that corrects all visible signs of aging: it helps smooth out fine lines and wrinkles while reducing skin imperfections and pore size. An even radiant skin tone is revealed.



swiss line
BY DERMALAB

ქვეყნის დისტრიბუტორი საქართველოში შპს „აზური“
სალონი FRANK PROVOST PARIS; პეკინის 28; ტელ.: 38 60 68, 38 60 58

ქართული ფერწერა ფლორენსიაში


“ლორენცო ბრწყინვალისა და დიდი ოსტატების სულით გამსჭვალული” — ასე ახასიათებს საერთაშორისო პრესა ფლორენციის ბიენალეს, რომელიც 1-დან 9 დეკემბრამდე გაიმართა და “მსოფლიოს მისცა შესაძლებლობა იმისა, რომ კაცობრიობისა და მშვიდობის სადიდებლად უკვდავი ნამუშევრები შეექმნა”.

წელს ფლორენციის ბიენალეში მსოფლიოს 76 ქვეყნის წარმომადგენელი 840 ხელოვანი იღებდა მონაწილეობას. მხატვრები, მოქანდაკეები და ფოტოგრაფები თავიანთ დიდ თუ პატარა ქვეყნებს წარმოადგენდნენ. ხელოვნების ამ ზემის უმაღლესი ჯილდო ლორენცო დი მაგნიფიკოს მედალი გახლავთ.

წელს ფლორენციაში საქართველოს სახე იყო ქალბატონი თეა ბოტკოველი. მან სამი ფერწერული ნამუშევარი წარმოადგინა – “ტყის ნიმფა” (65 X 90), “მფარველი ანგელოზი” (50 X 75) და “განსხვავებულ სუბსტანციაში” (65 X 85) – ამ უკანასკნელ ნამუშევარს “საქართველოს ბანკის” კლიენტები კარგად იცნობენ, ის ვიზა ბარათზეა აღბეჭდილი. თეა მოყვა, ევროპაში ყოფნისას მუდამ აღტაცებული ვიყავი იმით, რომ სატელეფონო თუ საბანკო ბარათზე მხატვრების ნამუშევრები იყო გამოსახული – და აი, ნატვრაც აუხდა. თან არა მარტო ეს ნატვრა: ფლორენციის ბიენალეზე 36-ე პავილიონში მისი ფერწერა გამოიფინა, “ბოლომდე შენახვის პირობით”.

“უცნაური დამთხვევაა: ჟღერის 36-ში ვცხოვრობ და პავილიონიც 36-ე...” ისინი, ვინც ამ პავილიონს ვერ ეწვივნენ, “ტყის ნიმფას” ბიენალეს კატალოგში იხილავენ, ჩვენ კი თეა ბოტკოველის ამბავს სულ მალე უფრო ვრცლად გიამბობთ.

ავტორი: ანა კორძაია-სამადაზვილი



სამი ფოტოგრაფის სამი ისტორია



გალერეა „რაციომ“ წლის ბოლო და პირველი ფოტოგამოფენისთვის, საკუთარი სივრცე სამი სხვადასხვა თაობის ფოტოგრაფების: იური მეჩითოვის, ლევან ხერხეულიძისა და გოგა ჩანადირის ნამუშევრებს დაუთმო. იმისათვის, რომ გამოფენა არ ყოფილიყო მხოლოდ ერთი თემის სიუჟეტური განვითარება, გალერეის მესვეურებმა სამივე ავტორს არჩევანში სრული შემოქმედებითი თავისუფლება მიანიჭეს. შედეგად კი, სამი ფანრობრივად განსხვავებული ფოტოსერია მიიღეს.

იური მეჩითოვმა საკუთარ სერიას დაუდევრობის შედეგი უწოდა. 20 წლის წინ გადაღებული პორტრეტები, რომლებსაც მის ნესტიან სარდაფში, პირდაპირი მნიშვნელობით, ათოვდა და აწვიმდა, გადაახარისხა, შემდეგ დაასკანერა და ძველ ნამუშევრებს ახალი ესთეტური ხარისხი შესძინა.

ლევან ხერხეულიძის ფოტოგრაფიული პრიორიტეტი კი, ამ ეტაპზე მარტოობის თემა აღმოჩნდა. ლევანის მორიგი ექსპოზიცია მძაფრად ასახავს დღეისთვის აქტუალურ მდგომარეობას, რომელსაც ფოტოგრაფიც და ჩვენც, ხშირად ვანყდებით ხოლმე ცხოვრებაში. მის შავ-თეთრ ფოტოსერიას შესწევს უნარი, რომ დამთვალეიერებელი, ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ხვედრზე დააფიქროს...

რაც შეეხება გოგა ჩანადირის ექსპოზიციას, ეს გახლდათ პირველი შემთხვევა ავტორის შემოქმედებაში, როდესაც მან დოკუმენტური ფოტო საკუთარი განწყობის გამომხატველი ჩანახატებით ჩაანაცვლა. მისმა ფერადოვანმა ფოტოსერიამ (გადღაბნილი კადრებით, ჩრდილებითა თუ სხვა ტექნიკური დეტალებით), შეიძლება ითქვას, თითქმის დეკორატიული ფოტოს სახე შეიძინა. ამ „დღაბნაობაში“ ავტორს ბევრი საინტერესო სიახლეც აღმოუჩენია.

ავტორი: მაია სეცაძე



From Sarajishvili Unique Cellar

სახაჭიშვილის უნიკალური საცავებიდან

სარაჯიშვილი XO დაზღვებულია ქართული კონიაკის უუტყუებლად, დეკორირებულია საკულტურო ფონდში, დაცული 14-18 წლიანი დაბრუნების საკონიაკე სპირტებისგან, საკულტურო კომპონენტებში მოხარულია სარაჯიშვილის მემკვიდრის მიერ მოწოდებული სპირტებისგან არაბრუნების და გემოს მქონე 30 წლიან დაბრუნების საკონიაკე სპირტებისგან, გამოარჩევა პრემიუმული ოქროსფერია მემკვიდრისა და მოკლადის პრემიუმული ტონების მქონე მემკვიდრე არაბრუნებისგან, ხაჭიშვილისგან გემოთი.

SARAJISHVILI XO is made by using the classical technology from fifteen different oldest wine brands spirits reserved in the unique collection of David Sarajishvili's spirit warehouses. The average age is 14-18 years. Spirits aged up to 30 years are also included in its composition, giving it enriching taste. It is distinguished with its shiny golden color, pleasant tones of oak, vanilla and chocolate, soft and velvet taste.



SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

XO



ჰაინრიხ ბიოლის ჰაინრიხ ფონ ბოლი

სალაში იდეალისტებს!

ამ სიტყვებით მიესალმა გოგი გვახარია გოეთეს ინსტიტუტის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, და მე კიდევ ერთხელ ამიჩუყა გული გოგის იდეალიზმმა – აბა, სად დანახა იდეალისტები?

ჰაინრიხ ბიოლს, მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, პუბლიცისტსა და კრიტიკულ ინტელექტუალს, რომელიც 1945 წლის შემდეგ დასავლეთგერმანული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი და შთაბეჭდავი ფიგურა გახლდათ, 90 წელი შეუსრულდებოდა.

ორშაბათს, 17 დეკემბერს, გოეთეს ინსტიტუტში მიბრძანებულემა იხილეს გამოფენა, რომელიც თბილისელმა საზოგადოებამ თავდაპირველად ბიოლის ფონდის საზეიმო გახსნის დღეს დაათვალიერა. ის ეხება ჰაინრიხ ბიოლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და, წესით, ნებისმიერ ქვეყანაში თანაბარი წარმატებით შეიძლება იყოს ნაჩვენები, რომ არა სამი ფურცელი, რომლებიც ჰაინრიხ ბიოლის საქართველოსთან ურთიერთობას ეხება. ნობელიანტი ორჯერ, 1966 და 1972 წლებში ესტუმრა საქართველოს. მას მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდა მიმონერა ქართველ გერმანისტებთან, რეზო ყარალაშვილთან და ნოდარ კაკაბაძესთან. გამოფენის „ქართული ნაწილი“ სწორედ ამ ურთიერთობების შესახებ მოგვითხრობს.

რატომ მიეძღვნა ამ მოღვაწის ხსოვნას მთელი კვირეული, თან საქართველოში, რომელსაც განვითარების მოცემულ ეტაპზე თითქოს ყველაზე ნაკლებად დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი გერმანელი მწერლისთვის უნდა ეცალოს?

ის იყო დიდი პუმაანისტი. ის თვლიდა, რომ ბოლომდე არაფერი აიხსნება. მაშინ, როცა პოლიტიკა, მეცნიერება, ეკონომიკა ერთმნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა, როცა პოლიტიკური თუ რელიგიური იდეოლოგიები მტკიცედ აცხადებენ, თუ რა არის კარგი, რა არის ცუდი, ვინაა მტერი და ვინ – მოყვარე, ჰაინრიხ ბიოლი იცავს „შუალედურ სივრცეს, ნაშთებს, წინააღმდეგობებს, (ამოუცნობ) უფალს, ფიქციას“ – ეს მან ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში ბრძანა.

ამწერალი, ნობელიანტი, საერთაშორისო პენ-ცენტრის პრეზიდენტი ჰაინრიხ ბიოლი მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ დევნილთა საქმეებში დიდი გზებით ერეოდა. ის ილაშქრებდა ვიეტნამის ომის და საბჭოთა კავშირში „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ ჩაგვრის წინააღმდეგ, და ამაში ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავდა: „ჩვენ, მწერლები, ასეთებად გაგზნდით – ყველაფერში უნდა ჩავერიოთ. ვერევით მაშინ, როცა განტყვევების ვაცს ეძებენ და იმედებს მარხავენ. იდეალისტურად ჟღერს, მაგრამ ეს ასე არაა. ჩარევა ერთადერთი შესაძლებლობაა, რეალისტად დარჩე.“

იმავე დღეს ნაჩვენები იყო „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“, რომელიც 1975 წელს ფოლკერ შლიონდორფმა და მარგარეთე ფონ ტროტამ ჰაინრიხ ბიოლის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაიღეს.

ფილმი ნიგნისგან განსხვავებულად იწყება და მთავრდება. მოქმედება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვითარდება და იწყება იმით, რომ ლუდვიგ გიოტერი იქ ჩადის, სადაც წვეულებაზე კატარინა ბლუმს გაიცნობს. მაშინ, როცა ნიგნი კატარინა ბლუმის დაპატიმრებით მთავრდება, ფილმის დასკვნითი სცენა მოკლული ჟურნალისტის დაკრძალვას ასახავს. განსაკუთრებით ირონიულად ჟღერს „ცაიტუნგის“ გამომცემლობის ხელმძღვანელის სიტყვები, როცა ის კატარინა ბლუმის ქმედებას „პრესის თავისუფლების ხელყოფას“ უწოდებს. ბოლო კადრები უკვე სრულიად პაროდიულია – ნაცვლად ფართოდ გავრცელებული ფორმულირებისა „რეალურ ადამიანებთან მსგავსება შემთხვევითია და არა გამიზნული“, ავტორი წერს, რომ „გარკვეულ ჟურნალისტურ პრაქტიკასთან მსგავსება არც შემთხვევითია და არც გამიზნული“ – უბრალოდ, ასეა.

რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“ პრესის თავისუფლების და ადამიანის უფლებების თემას ეხება, მე მაინც მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ეს არის ნიგნი და ფილმი სიყვარულის შესახებ. ა.კ.ს.

შემდეგ გაიმართა დისკუსია თემაზე „პროფესია ჟურნალისტი: დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა“. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: დოქტორი პატრიცია ფლორი, გერმანიის ელჩი საქართველოში; ლაშა ბულაძე, მწერალი; მარინა ვაშაყმაძე, რადიო „თავისუფლების“ ხელმძღვანელი; პაატა ზაქარეიშვილი, კონფლიქტოლოგი. დისკუსიას უძღვებოდა ბატონი გოგი გვახარია.

მთელი დისკუსიის გადმოცემით თავს არ შეგანწყენთ. საბოლოოდ დასკვნა ასეთი გამოვიტანე: თუ ჟურნალისტი წერა-კითხვის უცოდინარი არ იქნა და ოდნავ აღზრდილიცაა – დიდება პრესის თავისუფლებას!

საქსაქსო ბანკი



14
ნაწილი

1 წლიანი
დეპოზიტი

14%

საქსაქსო
დეპოზიტი



დოლარი
ევრო
ლარი

სამშაბათს, 18 დეკემბერს, დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ პატივი მიაგო ბატონ ნოდარ კაკაბაძის და ქალბატონ ნელი ამაშუკელის ხსოვნას. ბიოლის ფონდის კოორდინატორმა, ნინო ლეჟავამ ბატონ ნოდარისა და ჰაინრიხ ბიოლის პირადი წერილები და ქალბატონ ნელის მოგონებები წაგვიკითხა.

ეს საღამო, რომელსაც ბატონი ლაშა ბაქრაძე უძღვებოდა, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მათთვის, ვისაც პირველად მოუწიათ მწერალ კოტე ჯანდიერთან შეხვედრა. მან წაიკითხა ნაწყვეტები მოთხრობიდან „გლობალიზაცია“, რომელიც 2006 წლის საუკეთესო მოთხრობად იყო დასახელებული.

იმ დღეს გვაჩვენეს 1976 წელს გადაღებული ფილმი „კლოუნის თვალთახედვით“ (ან „კლოუნის შეხედულებები“; სათაურის თარგმანმა დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია). პირველწყაროს პირდაპირი ეკრანიზაცია გვიამბობს ამბავს კლოუნისა და პანტომიმის, ჰანს შნირისა „ეკონომიკური სასწაულის ხანაში“. მსხვილბურჟუაზიული ოჯახის შვილი, ის ადენაურის დროს თითქოს გარეშე დამკვირვებლის თვალს ადევნებს. მის სახლში თვალთმაქცურად მაღალზნებრივი განწყობაა, მისი მეგობრები ოპორტუნისტები გახდნენ. ნაციონალ-სოციალიზმის შემდგომი ახალი საზოგადოება და საკუთარი სახელწოდებო ამბიციები მის თვალში თანაბარ მარცხს განიცდის. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ „კლოუნის თვალთახედვით“ არდავინწყების და კათოლიციზმის თემას ეხება, მე მაინც მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ეს არის წიგნი და ფილმი სიყვარულის შესახებ. ა.კ.ს.

სრულიად სხვაგვარი იყო ოთხშაბათს, 19 დეკემბერს ნაჩვენები „ჰაინრიხ ბიოლი საბჭოთა ვარსკვლავის ქვეშ“ – ამას სათაურითაც მიხვდებოდით. განსხვავებული იყო დისკუსიაც. სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ ისაუბრეს პოეტმა რატი ამაღლობელმა, „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელმა, გერმანიისტმა და მწერალმა ნაირა გელაშვილმა და პოლიტოლოგმა გია ნოდამ, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი გახლავთ. დისკუსიას უძღვებოდა ბატონი ლაშა ბაქრაძე.

მთელი დისკუსიის გადმოცემით თავს არ შეგანწყენთ. საბოლოოდ დასკვნა ასეთი გამოვიტანე: ადამიანი სუსტი არსებაა და ყველას გმირობა არ უნდა მოსთხოვო. ყველა ხომ ვერ იქნება ჰაინრიხ ბიოლი.

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, ფილმის ჩვენებაზე მისული ხალხის დიდი ნაწილი არა იმდენად ჰაინრიხ ბიოლის თაყვანისმცემელი იყო, რამდენადაც რომი შნაიდერისა. „ჯგუფური პორტრეტი ქალბატონთან ერთად“ გადაღებულია ჰაინრიხ ბიოლის რომანის „ბილიარდი ათის ნახევარზე“ მიხედვით. ეს არის სულშიჩამწვდომი ამბავი ქალისა, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგობის მიუხედავად საკუთარი იდეალების შესაბამისად ცდილობს ცხოვრებას. ამ როლის შესრულებისთვის რომი შნაიდერმა 1977 წელს მრავალი ჯილდო დაიმსახურა.

მოქმედება ვითარდება 1941 წლის გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საფრთხე ემუქრება, მენარმის 18 წლის ქალიშვილი ლენი ცდილობს თავის მასწავლებელს, მონაზონ რახელს დაუკავშირდეს, რომელსაც ებრაული წარმოშობის გამო მონაფე გოგონების „გაფუჭება“ წარუყენეს ბრალად. არადა, რახელი ერთადერთი ქალია, რომელსაც ლენიმ თავისი და ერჰარდის სიყვარულის ამბავი გაანდო.

ერჰარდი ვერმახტში გაინვიეს და ლენიც დანიაში გაჰყვა. მაგრამ გოგონას ბედნიერება იქაც ხანმოკლე აღმოჩნდა: ერჰარდი და ლენის ძმა სამშობლოს ლაღატის ბრალდებით დახვრიტეს. შემდეგ ლენის მშობლები უკანონო ქონების გამო დააპატიმრეს. ლენი სასაფლაოს მეზღის თანაშემწის საქმეს მიჰყოფს ხელს. ერთ დღესაც მას რუსი სამხედრო ტყვე, ბორისი შეუყვარდება და მისგან ვაჟიც ეყოლება, ბორისს კი – ცხადია! – სამხედრო პოლიცია წაიყვანს.

20 წლის შემდეგ ლენი კვლავ თავისი წარმოდგენების შესატყვისად განაგრძობს ცხოვრებას. მერე რა, რომ რუსის საყვარელი იყო; მერე რა, რომ ახლა თურქის საყვარელია. დიახ, მას უყვარს მემედი, ამას არც მალავს და მაინც გაჰყვება ცოლად. ხალხმა კი რაც უნდა, ის ილაპარაკოს.

აქ, მე მგონი ყველა დამეთანხმება: ეს არის ფილმი სიყვარულის შესახებ – ა.კ.ს.

პარასკევს, 21 დეკემბერს კი ჰაინრიხ ბიოლის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წვეულება გაიმართა, რომელიც ძალიან კარგი და სახალისო იყო. იქ გავიგონე ფრაზა, რომელმაც ძალიან გამართო: „მე ეგ კომუნისტი და მწვანე მეგონა, არადა, მაგარი კაცი ყოფილა“.

საუბარია ჰაინრიხ ბიოლზე.

ისე, მართლა ძალიან მაგარი კაცი იყო.

ავტორი: ანა კორძაია-სამაღაშვილი
ფოტო: ქეთო საავა, თამუნა შვანბირაძე

TBILVINO

ქართული ღვინო კვლავ იმარჯვებს!



7 მედალი ეველასე ჰრესტიულ საერთაშორისო კონკურსებზე 2007 წელს!



International Wine and Spirit Competition მსოფლიოში

ეველასე ჰრემიალური საერთაშორისო კონკურსია, რომელიც ეოველწლოუნად ღონღონში ტარღება. კონკურსში მონაწილეთა ეველასე დიდი რაოდენობა - 70 ქვეუნის 10000-ზე მეტი ღვინო მონაწილეთს. წელს თბილღვინოს მიერ კონკურსზე წარღვენილი

სუთივე სახეობის ღვინო მეღღებით დაბრუნდა!

თბილღვინოს ზანსაკუთრებული მარაღის მუკუნსანი კიღვე ერთი საერთაშორისო კონკურს Decanter-ის ბრინჯაოს მეღღის მფლობელი ჯანდა, ხოლო თბილღვინოს ქინძმარული საუკეთესო წითელ ღვინოდ დასსეღდა ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე კანდაში.

თბილღვინო - ჯამარჯვებული ქართული ღვინო!





„პილიგრიმის“ ეზომტიკური სამყარო

გნებავთ, საკუთარი ბინის ან საოფისე ფართის ინტერიერი მრავალფეროვანი გახადოთ? თქვენთვის ძვირფასი ადამიანებისთვის ორიგინალური საჩუქრის შექმნა გსურთ? მაშინ დიდხანს ნუ იყოყმანებთ და გირჩევთ, ქუთათელაძის 5 ნომერში, მაღაზია „პილიგრიმს“ მიაშუროთ. ნივთებს (როგორც უნიკალური, ისე ფუნქციური თვალსაზრისით), რომლებიც ქართული ბაზრისთვის ჯერ კიდევ უცხოა, აქ ნამდვილად გადააწყდებით. სადიზაინო აქსესუარები, რომლებსაც არქიტექტურული დაგეგმარებისა და ინტერიერის დიზაინის მცოდნე გუნდი გთავაზობთ, მოიცავს როგორც უკანასკნელ მინიმალისტურ ტენდენციებს, ასევე კლასიკურ ანტიკვარებს. ჩინური ცხენები, უჩვეულო ფორმის გამოსახულებები, აღმოსავლური ბუდეები, აბსტრაქტული ფიგურები, ღვინის ბოთლების სადგამები, კაბინეტის აქსესუარები, სარკეები, ჭურჭელი, შანდლები... ევროპული თუ აღმოსავლური ხელოვნების ძველი ტენდენციებისა და თანამედროვე შტრიხების გამოყენებითაა შექმნილი. თითოეულ ნივთს კი საკუთარი სიმბოლური ისტორია და მისტიკური წარსული აქვს. საფრანგეთი, ესპანეთი, ჩინეთი, თურქეთი – ეს ის ქვეყნებია, საიდანაც მაღაზიის მესვეურებს ცნობილი ბრენდების: **Sia, Habitat, Bohemia, Zara Home** და სხვათა სეზონური პროდუქცია ჩამოაქვთ. ახლო მომავალში კი პროდუქციას ამერიკაშიც მოიძიებენ და პარტნიორი ბრენდების ნუსხის გაფართოებასაც გეგმავენ. ჩვენ მცირე მეგზურობა გავინეთ. და ვინაიდან გავიხსენებთ მაინც ნანახი სჯობს, „საკუთარი სივრცის“ მონყოლა უკვე თქვენს სურვილებსა და „პილიგრიმის“ ფანტაზიას მიაწოდებთ.

„ალექსი ანდრიოტის“ მაღაზია რუსთაველის გამზირზე

ნოემბრიდან, საბერძნეთის საელჩოს მხარდაჭერით, თბილისელ მომხმარებელს ახალი მაღაზია ემსახურება. „ალექსი ანდრიოტი“ ქართულ ბაზარზე სამკაულებს, შარფებს, ქუდეებს, ხელთათმანებს, ქოლგებს, სხვადასხვა სახის ორიგინალურ აქსესუარებს, ძირითადად, ქალის ხაზს წარმოადგენს. მართალია, მცირე, მაგრამ სავაჭრო ობიექტის სივრცე, მამაკაცის აქსესუარებსაც დაეთმო. სამოსის, ფეხსაცმლისა და აქსესუარის სტილს კი მაღაზიის მესვეურები ქართველი მომხმარებლის მოთხოვნების მიხედვით ირჩევენ. მაღაზიის მრავალფეროვან პროდუქციას ფასებიც მრავალფეროვანი აქვს. აქ ნივთები 1-დან 500 ლარამდე შეგიძლიათ შეიძინოთ. მაგალითად, სპორტულ-კლასიკური სტილის ფეხსაცმელი 506 ლარი იმიტომ ღირს, რომ სვაროვსკის თვლებითაა განწყობილი. „ალექსი ანდრიოტის“ ერთი ტრადიციული „ინტერაქტიული აღმოჩენა“ გახლავთ, რომ საქართველოში ისევ და ისევ შავი ფერია პოპულარული. მაღაზია საკუთარ კოლექციას პერიოდულად, 2 კვირაში ერთხელ ანახლებს და მომსახურების სერვისის გასაუმჯობესებლად სეზონურ კოლექციებსაც შემოგვთავაზებს.





ი. ქუთათელაძის 5 (მრგვალ ბაღთან); ტელ.: 877 414040, 877 424040
I. Kutateladze Str. 5; Tel.: 877 414040, 877 424040



ბუდა ბარი



70-იან და 80-იან წლებში, ნიუ-იორკის ჰიპურ-ალტერნატიული უბნები იმით გამოირჩეოდა, რომ იქ შედარებით იაფი იყო ცხოვრება. იაფი იყო ყველაფერი – ბინის ქირა, პატარა კაფეები, ხის მაგიდებითა და ყოველთვის ნაცნობი ოფიციატებით, წიგნის მაღაზიები, ძველი გამოცემებითა და გამყიდველით, რომელსაც თავისი მაღაზიის ყველა წიგნი ნაკითხული ჰქონდა. აქ იყო ლამის კლუბები, სადაც ლამეში 25 დოლარად ცოცხალ მუსიკასაც მოისმენდი და დილამდე, დათრობასაც მოასწრებდი. მოკლედ, ნიუ-იორკის მთელი შემოქმედებითი “ტუსოვკა” სოპოსა და ისტ ვილიჯში იდებდა ბინას. თუმცა, 90-იანი წლებში, ბოჰემა უკვე მეინსტრიმი გახდა, ამ უბნებშიც შემოვიდა “მძვინვარე, კორპორატიული კაპიტალიზმი” და პატარა-პატარა კაფეები და მაღაზიები დიდმა რესტორნებმა და ბარებმა, სხვადასხვა ცნობილი ბრენდების მაღაზიებმა ჩაანაცვლა. ნიუ-იორკელი ჰიპების ახალმა ტალღამ კი, ახალი თავშესაფრის ძიება დაიწყო. და, თითქოს, მიაგნო კიდეც. ვილიამსბურგი და მიდფექინგის რაიონი... ამიტომ, რაც ახლაა ახალი და ჰიპური, ყველაფერი ამ უბნებში ცდილობს მოხვედრას. ასე მოხვდა ნიუ-იორკის “ბუდა ბარი” მიდფექინგის რაიონში.

“ბუდა ბარში” დგას ბუდას უზარმაზარი ქანდაკება. ერთი შეხედვით, უჩვეულო აქ სხვა არაფერია. თუმცა, თუ ყურადღებით დააკვირდები, მიხვდები, რომ კლუბ-მუზეუმში ხარ, სადაც თანაბრად საინტერესოა იაპონელ მზარეულთან გასაუბრებაც და მისი შემოთავაზებული “როლის” დაგემოვნებაც, კედლის მხატვრობის დათვალიერებაც და დიჯეის პულტთან მოხვედრაც, სადაც ყოველ ღამე ახალი დიჯეი დგას. იმ დღეს თურქი დიჯეი ტინკა იყო.

რადგან “ბუდა ბარის” მეწევერი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა, იმ საღამოს, როცა ბარში ჟურნალ “გოთშემის” მიერ ორგანიზებული “100 ყველაზე წარჩინებული უცოლო მამაკაცის” დახურული საღამო იყო, ჩვენ ბუდა ბარზე ვისაუბრეთ.

“რით არის ბუდა ბარი განსაკუთრებული? ის სხვადასხვა ელემენტების ნაზავია. კარგი მუსიკა, იტალიურ-იაპონური სამზარეულო და ინტერიერი, რომლისთვისაც მასალები სხვადასხვა ქვეყნებიდან – იტალიიდან, ინდონეზიიდან, იაპონიიდან ჩამოვიტანეთ. ავეჯი საფრანგეთიდანაა. ამ გადასაფარებლებმა ყველაზე ცოტა იმოგზაურეს – ნიუ-ჯერსიშია ნაყიდი. ბამბუკის ხის კედლები ინდონეზიიდანაა, შანდლები – ვენეციის ლუმელეზშია გამოძვარი, სუშის ბარის სვეტების დრაკონები ხელნაკეთია და არგენტინიდან ჩამოვიტანეთ... ეს ფრესკა, ამ კედელზე, სპეციალურად ჩვენი ბარისათვის ვიეტნამში დაიხატა... ბუდა საფრანგეთიდან ჩამოვიტანეთ, 3 ნაწილად, იმხელა იყო. ვიეტნამელი მოქანდაკის ნამუშევარია. ჭერი ლუერის პირამიდების არქიტექტორის გაკეთებულია...”

საჭმელიც ასეა. სხვადასხვა სამზარეულოების ნაზავია.

ნიუ-იორკის “ბუდა ბარი” ყველაზე ორიგინალური და მაგარია! ცხადია, ობიექტური ვერ ვიქნები, მაგრამ, მგონი, ასეა. “ბუდა ბარი” არსებობს პარიზშიც და ღუბაშიც, ბეირუთშიც იყო ერთი, მაგრამ ომის მერე დაიხურა, დაიბომბა...

პირველი “ბუდა ბარი”, სხვათა შორის, ნიუ-იორკში გაიხსნა, 1993-ში. ვარიკას ქუჩაზე, აქვე ახლოს. ძალიან პოპულარული იყო ნიუ-იორკელებში, მაგრამ, მერე, ერთმა ფრანგულმა კომპანიამ იდეა მოიპარა და პარიზში გახსნა. ამიტომ ფიქრობს ყველა, რომ პირველი “ბუდა ბარი” პარიზში იყო.

კვირის დასაწყისს თუ არ ჩავთვლით, თითქმის ყოველ დამე საესეა და დამეში დაახლოებით 1500 კაცი მოდის. სადილი 6-იდან იწყება.

რისთვის მოდიან აქ? მართალია, ეს არ არის “დაუნთაუნი”, მაგრამ მიდფეინგის უბანი უფრო და უფრო საინტერესო ხდება – იხსნება ახალი სასტუმროები, მუზეუმები, მალაზიები. აქაურობა განსხვავებულია და ამ განსხვავების შესაგრძნობად მოდიან აქ. როგორი ხალხი დადის? მწელი სათქმელია. დადიან უოლ სტრიტელები, ზემო ისტ საიდის ხალხი... ჩვენი სტუმრების უმრავლესობა ევროპელია, ალბათ, დაახლოებით 70 პროცენტი მაინც. ნიუ-იორკელებს თითქოს ესმით, რას ვაკეთებთ აქ, მაგრამ მთლად კარგად ვერ ამულამებენ. ეს არ არის ტიპური ბარი, უფრო ეთნიკურია და არაა ძალიან “გაპრიალებული”. მაგიდებზე თეთრი ტილოები არ აფარია, თუ ხვდები, რას ვგულისხმობ. უფრო პანკურია, და რაღაც თვალსაზრისით, სნობურიც. კლაბერები, ვინც ჩვენთან მოდიან, კარგად ჩაცმულები არიან, ბოტასებში არ დადის ხალხი ჩვენთან... იწყებენ სადილით და მაგიდებზე ცეკვით და ხელსაწმენდების ფრიალით ამთავრებენ... შუალამის შემდეგ, მთელი კლუბი ერთ დიდ წვეულებად იქცევა ხოლმე.

“ბუდა ბარში” ყველაზე მნიშვნელოვანი კარგი მუსიკაა. ყველაფერი დანარჩენი ამის გარშემო ტრიალებს. სხვა რესტორნებისაგან განსხვავებით, აქ არ არსებობს “ფონის” მუსიკა და ხალხიც ამიტომ დადის ჩვენთან. მუსიკას და დიჯეებს ძალიან დაკვირვებით ვარჩევთ. ვცდილობთ, აუთენტურები ვიყოთ ყველაფერში, მუსიკაში განსაკუთრებით.

ჩვენი თანამშრომლები? 200 კაცია დაახლოებით, მზარეულების, მუსიკოსების, ოფიციანტების, ბუღალტრების, მძღოლების და დამლაგებლების ჩათვლით. ჰო, და კოქტეილის მიმტანებიც გვყავს.

ჩემთვის ეს ბარი 24 საათიანი სამუშაო დღეა. უფრო ზუსტები რომ ვიყოთ, 18 საათიანი. დილის 10-ზე მოვიდვარ, 5-6-ზე სახლში ვბრუნდები, დუშს ვიღებ, ტანსაცმელს ვიცვლი და დილის 2-3 საათამდე აქ ვარ.

ვართ თუ არა წარმატებულები? ერთი წლის წინ გავიხსენით და, ამერიკის 10 ყველაზე მსხვილ რესტორანს შორის ვართ. ჩვენი ბრუნვა დაახლოებით 20 მილიონი დოლარია წელიწადში. პირველ ადგილზე რესტორანი ლას ვეგასში, მეორეზე – ნიუ-იორკის რესტორანია, მაგრამ ის დაუნთაუნშია და იქ სამსახურიდან გამოსული “სასტავი” დადის, 5 საათიდან 7-მდე. ჩვენ უფრო მოდურ ადგილას ვართ, მაგრამ ჩვენთან ისინი მოდიან, ვინც სამსახურის შემდეგ სახლში შეიარა, გამოიცვალა და სასადილოდ და დროის გასატარებლად გამოვიდა. ეს ორი საათი თი-



ლათო ქიი



შოკოლადი ბირჩხვთ

თქოს არაფერი, მაგრამ მთელ წელზე რომ გადაამრავლო, შემოსავლის თვალსაზრისით სერიოზულ სხვაობას გვაძლევს – რამდენიმე მილიონ დოლარს.

ჰო, ერთი მაგიდა, დარბაზში, ერთ კაცზე დაახლოებით 100 დოლარი ჯდება. შიგნით, კუპებში მაგიდა 1500 დოლარიდან იწყება. ამაში სასმელიც შედის.

ძალიან ფრთხილი ვარ ბარის საღამოების შერჩევის დროს. არ მინდა, “ბუდა ბარის” რეპუტაციის დაგდება. ახლახან კრისტიანა აგილერას კონცერტი იყო ჩვენთან, პრიალა ჟურნალების საღამოებიც ხშირად გვაქვს-ხოლომე. საშობაოდ “საცეკვაო ფართი” იქნება...

ამბობენ, რომ ძალიან რთული ბიზნესია. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. პირიქით, ძალიან იოლია და ამას კვანტური ფიზიკის ცოდნა ნამდვილად არ სჭირდება. ვიცი, რისი ჭამა მიყვარს, ვიცი, როგორ მინდა რომ მომეკცნენ, ვიცი, როგორი მუსიკა მომწონს... სულ ესაა... უბრალოდ, ზარმაცები არიან და ბევრი ძილი უნდათ. უძილობა მართლა რთულია – 4 საათი მძინავს, ჩემი ოჯახის წევრებსაც ვერ ვნახულობ ხოლომე, მაგრამ... სხვანაირად საქმე არ კეთდება.”

კვანტური ფიზიკა იქით იყოს და, ამ საქმეს ცოდნაც სჭირდება, გამოცდილებაც, დღეში 18 საათიანი მუშაობაც და, ალბათ, გამართლებაც! თუ გაგიმართლათ და ნიუ-იორკში მოხვდით, არ დაიზაროთ “ბუდა ბარში” შევლა. თუ “კუპეს” ვერ გასწვდებით, ბარის მენეჯერი, ქართული წარმოშობის დათო ქეი, ერთ კარგ კოქტეილსა და სუშიზე მაინც დაგპატიჯებთ. საამისოდ კი, მიდფეინგის რაიონში გავლა ნამდვილად ღირს.

შორენა შავერდაშვილი



საქართველო

[tride]





ნაციონალური დაჯილდოება ბიზანტიური გეგოდან

ინტერვიუ ზაზა შათირიშვილთან
ესაუბრა ნინო ბექაშვილი
ფოტო: ლევან ხარხელიძე

– თქვენ მიიჩნევთ, რომ 7 ნოემბერს დაიბადა ქართული სამოქალაქო ნაცია. რით განსხვავდება ეს “ნაცია” იმ ხალხისაგან, ვინც 2003 წლის ნოემბერში იქ იდგა?

– მაშინ, 2003-ში ხალხს მართლა ეგონა, რომ ოქროს ხანა დადგა. როგორც ჟან ბოდრიარი იტყვოდა, ეს იყო – სიმულაცია. უტოპიაც იყო – უტოპიური შეიძლება იყოს ძალიან რეალური რამეც, თუ ამის გაკეთება შენს ძალებს აღემატება. NGO-ცივილიზაცია, რომელიც მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ხალხის ინტერესებს არ გამოხატავდა, ეს იყო ელიტა, ავანგარდი, და მას ჰქონდა მოდერნისტული პროექტი – ერთი ჭეშმარიტება ერთ ტერიტორიაზე. დღეს სხვა რეალობაა, დღეს პოსტმოდერნია – ბევრი ჭეშმარიტებაა ერთ ტერიტორიაზე. 2003 წელს ქართველი ხალხი, როგორც სამოქალაქო ნაცია, არ არსებობდა. ის პარადოქსულად, დარბევის შედეგად 2007 წლის 7 ნოემბერს დაიბადა. რადგან ორი რამ თქვა: პირველი – რომ, უნდა იყოს კოლექტიური მმართველობა და მეორე – რომ, არავის არ უნდა ვაცალოთ.

– უნდა იყოს ანარქია?

– არა, არა, ანარქია რა შუაშია, უბრალოდ, როგორც კი ხელისუფლება ზღვარს გადავა, ეს მაშინვე უნდა ვთქვათ. უნდა გვეთქვა მაშინ, როცა სააკაშვილმა კონსტიტუცია 2004 წლის თებერვალში შეცვალა, როცა 2004 წლის აპრილის არჩევნები გაყალბდა...და ა. შ.

– ოპოზიციის გარკვეული ნაწილი აღფრთოვანებით შეხვდა პატრიარქის მონაწილას კონსტიტუციური მონარქიის შესახებ.

– როგორც დაგვიანებულია მოდერნის სახელისუფლებო პროექტი, ისევე, გუშინელი აზროვნება კონსტიტუციური მონარქია. კონსტიტუციური მონარქია ყოველთვის კონკრეტული ისტორიული გზის შედეგია, მისი გა-

დმონერგვა სრულიად შეუძლებელია. ინგლისში საპარლამენტო მონარქიამ გაასწორა ის, რაც კრომველის დიქტატურის შემდეგ ხდებოდა. პატრიარქმა სწორად შენიშნა, – “მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს” ისევე, როგორც – დეიზმის ღმერთი. დეიზმის ღმერთმა, მართალია, ეს საყარო შექმნა, მაგრამ აღარ მართავს. დეიზმი, ძირითადად, ინგლისური მოვლენაა... ინგლისური მონარქია დეიზმის ჩინებული გამოხატულებაა პოლიტიკის სფეროში...

ესპანეთში კონსტიტუციური მონარქია სიმბოლურად ბასკონიის, კატალონიისა და კასტილიის ერთიანობას გამოხატავს ესპანეთის მეფის გვირგვინის ქვეშ.

მართალი გითხრათ, ეს აზრი აფხაზებისგან ან ოსებისაგან რომ წამოსულიყო, ნამდვილად მივესალმებოდი – ბაგრატიონი ხომ “აფხაზთა, ქართველთა, სომეხთა, რანთა და ა.შ.” მეფე იყო. ის იყო ხალხების (“ეთნოსების” – ძველი ბერძნული გაგებით) მეფე და არა – ერთი ნაციონალური ტერიტორიისა.

– რამდენად მკვეთრად გამოხატული დღევანდელ რეალობაში საზოგადოების პასუხისმგებლობა და აქტიურობა? არ ვგულისხმობ პოლიტიკურ პარტიებს და მათ აქტივისტებს, ვგულისხმობ საზოგადოების პასუხისმგებლობას და, თუნდაც, ამ პასუხისმგებლობის ვერბალიზაციას. ჩანან საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც აქტიურები არიან?

– სამოქალაქო სექტორი ჩვენთან რეალურად არ არსებობდა, რადგანაც, ხალხის აზრს კი არ გამოხატავდა, არამედ, ავანგარდი, ელიტა იყო, მერე კი აღმოჩნდა, რომ ეს ტრამპლინი ყოფილა ხელისუფლებაში მოსასვლელად. სხვათა შორის, ეს გიგა ბოკერიას ჯერ კიდევ 1998 წელს ვუთხარი.

NGO-მ თავისი საქმე შეასრულა – მოვიდა ხელისუფლებაში...



– თუ შინაარსობრივ სამოქალაქო სექტორზე მეკითხებით, ეგეთი რამ საქართველოში არასდროს არ იქნება, ისევე, როგორც – იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იმიტომ, რომ ეს სხვა ტიპის ხალხია. ესენი სხვანაირად თვითორგანიზდებიან. აქ ძალიან ძლიერია ნათესაური კავშირები. მაგრამ საქართველოში მაინც არსებობს სამოქალაქო საზოგადოება – ქართული სუფრა ქართული სამოქალაქო საზოგადოებაა – ამას აბსოლუტურად სერიოზულად ვაცხადებ!

სამოქალაქო სექტორი ძლიერია ისეთ ხალხებში, სადაც ადამიანები ერთმანეთისაგან დისტანცირებულები არიან, – გერმანიაში, ავსტრიაში, შვედეთში და ა. შ. ისე, მე პროფკავშირების საკითხი უფრო მინტერესებს. ჟურნალისტებს თუ გაუჩნდებათ ეგ აზრი, კარგი იქნება. მაგრამ, ჯერ აუცილებელია საზოგადოებრივი ტელევიზია გაიყიდოს, არ შეიძლება ამ ქვეყანაში ტელევიზია საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობდეს, სჯობს თუნდაც სახელმწიფო ოლიგარქის ხელში იყოს, ვიდრე – საზოგადოებრივი ერქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აუცილებლად აღმოჩნდება რომელიმე ლევან რამიშვილის ხელში.

– თქვენ თქვით, რომ 2003-2007 წლები ესაა ნაციონალური “37 წელი”, და რომ აქ მთავარია “შეთქმულების თეორია”. მაგრამ “37 წელი” ყველაზე მეტად მაინც ჩაკეტილ სივრცეს და და ამ სივრცეში გლობალურ რეპრესიებს გულისხმობს. ჩვენი სივრცე კი ნამდვილად არაა ჩაკეტილი. რას იტყვით ამის შესახებ?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? ყველაფერი მიღობა ჩაკეტილს, თვითიზოლაციისკენ. სიმბოლურია ისიც, რომ იმ დღეს, როცა ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა “რეზონანსში”, გიგა ბოკერია 24 საათში თქვა – ჩვენ შეიძლება მარტონი, იზოლაციაში დავრჩეთ, მაგრამ საქართველოს გამო ყველაფერს ავიტანთო. 37 წელი ბრალდება არ არის, ეს ცნობიერების მდგომარეობაა. 37 წელი არა იმდენად ხალხის შიშია სტალინის წინაშე, რამდენადაც სტალინის შიშია ხალხის წინაშე. სტალინში ვგულისხმობ სისტემას. დღესაც სისტემასა და ბიომასას შორისა დაპირისპირება. სისტემას უნდა, ამ ბიოლოგიისგან გააკეთოს ახალი არსება, შექმნას ახალი ადამიანი, რისი დროც უკვე წავიდა. წავიდა ნაციონალური პროექტების დრო, თუ გვინდოდა ამის გაკეთება, ეს 1917 წელს უნდა დაგვეწყო. დღეს ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ტრანსნაციონალური ჰიბრიდიზმის დროა.

– არსებობს ქართულ საზოგადოებაში მოთხოვნილება ბელადზე?

– ეს ქართველი ხალხის ბრალი კი არ არის, უბრალოდ, ძალაუფლების ტიპია ასეთი. ძალაუფლება ჩვენში პიროვნებაზე მიბმული, პიროვნებიდან მომდინარეობს. თანაც ქარიზმული რალაცაა, და გასაგებია, რატომაც. ის, რაც ჩვენ გვეგონია, რომ პლუსკავამპერფექტია, შეიძლება სულაც არ იყოს წარსული და იყოს აწმყო. ფრანგი ისტორიკოსები ლაპარაკობენ იმაზე, რომ საფრანგეთის რევოლუციის შედეგები ჯერაც არ დამთავრებულა. მე კი ვიტყვი, რომ ჩვენთან ბიზანტიის იმპერიის დაშლა ჯერ არ დამთავრებულა. გარკვეული აზრით, საქართველოში (და არა მხოლოდ – საქართველო-

ში!) პოსტიბიზანტიური ეპოქა ჯერ კიდევ არ დამდგარა! “ბიზანტიზმი” ესაა იზოლაციისკენ და გამოყოფისაკენ სწრაფვა “ბიზანტიზმის” მეორე ნიშანი ძალაუფლების საკრალიზაციის ის ტიპია, რომელიც საქართველოსა და რუსეთში (და არა მარტო იქ) გვხვდება. ესაა ძალაუფლების საკრალიზაციის ბიზანტიური ტიპი და ასეთი რამ ევროპაში არასდროს ყოფილა. ევროპაში იმპერატორი (ან მეფე) ლეგიტიმაციას ეკლესიისგან იღებდა. ბიზანტიაში კი პოლიტიკური თეოლოგია შეიქმნა, რომელიც პირდაპირ ამბობდა, რომ იმპერატორი ქრისტეს მსგავსია – ანუ იმპერატორის ძალაუფლება “თვითლეგიტიმური” გახლდათ. ამას, სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიკოსები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. კაკო ბაქრაძე “დავინყებულ იდეაში” ამბობდა – ქართველებმა ბიზანტიური იდეა ვერ ავიტაცეთ და რუსებმა კი აიტაცესო. მიუხედავად ამისა, რელიგიურული, შემოკლებული სახით ეს ჩვენში მაინც იყო და არის. ბიზანტიური გაგებით, იმპერატორი თავის თავში აერთიანებს ორივე მომენტს – Imperium-ს – ძალაუფლებას, და Sacerdotium-ს – სინმედს – სწორედ აქედან წამოიშვა “სამოდერნუმი” კონცეპტი! ევროპაში ეს ორი რამ თავიდანვე გამოიყვანი იყო. ამიტომაც, ძალაუფლების მატარებელი პერსონის მიმართ ჩვენთან არ არსებობს მშვიდი და კრიტიკული დამოკიდებულება. ის ან მხსნელია, ან – დამაქცეველი. ასეთი განწყობა იყო ზვიად გამსახურდიას მიმართ, შევარდნაძის მიმართაც. უბრალოდ, შევარდნაძემ, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მშვიდად წასვლა მოახერხა. დღეს ჩვენში ინსტიტუციების კრიზისია, ვერ შეიქმნა თავისუფალი სასამართლო, დამოუკიდებელი პარლამენტი – ყველაფერი საპრეზიდენტო მმართველობაზე მიბმული და დამოკიდებული. ტიპოლოგიურად აბსოლუტურად ერთგვაროვნად ვითარდება მოვლენები რუსეთსა და საქართველოში. პუტინის ძალაუფლებაც მსგავსი ტიპის ძალაუფლებაა – პუტინი და სააკაშვილი შეიძლება უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ, გარკვეული აზრით, რუსეთი და საქართველო ერთმანეთს აირეკლავს და ეს ურთიერთმტრობა კიდევ უფრო ამყარებს ამ ძალაუფლებათა შინაგან სიღრმისეულ ერთიანობას.

არსებობს თუ არა აქედან გამოსავალი, ძნელი სათქმელია. ხელისუფლება კი შეიცვლება, მაგრამ ჩვენ რამდენ ხანს ვართ დაზღვეული მსგავსი რადაციისგან, ვერავინ იტყვის. ჩვენი კულტურა ხომ გეტოს ტიპის კულტურაა, ჩვენი ქრისტიანობაც ხომ “ტერიტორიულია”, იზოლაციისკენ მიდრეკილია, ორინტირებული სულაც არაა გასვლაზე, მისიონერობაზე... და როცა ქართველებს ჩვენი საკუთარი ძალაუფლება გაგვიჩნდა, მას აშკარად ბიზანტიური თვისებები აღმოაჩნდა. ბიზანტიაც, მიუხედავად იმისა, რომ იმპერია იყო, გეტოსავით იყო. მუსლიმური სამყაროს გაძლიერების შემდეგ პატარავდებოდა, პატარავდებოდა და ბოლოს მარტო კონსტანტინოპოლია დარჩა. რუსეთიც ხომ თითქოს ამხელაა, მასაც იზოლაციისკენ აქვს მისწრაფება – ცენტრისკენულია. ჩვენც ასევე ვართ. თან ორიენტი, რუსებიც და ქართველებიც, ჩვენს განსაკუთრებულებებზე ვლაპარაკობთ. ევროპოცენტრიზმი სხვა რამაა – ევროპა ცენტრიდანულია, “ექსპანსიური” – ევროპა მიდის, გადის და ნერგავს თავის ღირებულებებს. ასე იყო კოლონიების პერიოდში, დემოკრატის პერიოდშიც ასეა. ჩადავები რუსეთზე ამბობდა,

კომენტარი

რომ რუსეთი ისტორიიდან ამოვარდნილია – ჩვენ არა ვართ ისტორიში, თეთრი ლაქა ვართ. მსგავსი რამ, გარკვეულწილად, საქართველოზეც შეიძლება ითქვას. არადა, იყო პერიოდი, როცა ჩვენ, რუსეთისაგან განსხვავებით, ერთი მთლიანი საქრისტიანოს ნაწილი ვიყავით. როცა იოანე საბანისძე წერდა “ყურესა ამა ქვეყნისასა”, ეს ნიშნავდა, რომ ქრისტიანული ოიკუმენის საზღვარზე მეციხოვნედავით ვიდექით. ჩვენს მერე მუსლიმური სამყარო იყო. ეს არ ნიშნავდა იზოლირებულობას, პირიქით...

– შევარდნაძის ეპოქაში იყო მერაბ მამარდაშვილზე საუბარი, ვთქვით, მისი “მოზინაურების” მცდელობა, თუნდაც მაშინ, როცა ერნსტ ნეიზვესტინის ცნობილი ძეგლი დადგეს. დღეს მამარდაშვილზე ნაკლებად საუბრობენ, როგორ

ვებით იმ სიღრმისეული დაბრუნებისაგან ევროპაში, რასაც მოვწყდით და რაზეც ის ლაპარაკობდა. შეიძლება, ჩვენი ევროპელობა ლეგენდაა, ალბათ, ასე იტყოდა მამარდაშვილი, მაგრამ ჩვენ ამ ლეგენდის მიხედვით გვესმის საკუთარი თავი და, შეიძლება, ეს ლეგენდა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე რეალური ფაქტები.

მამარდაშვილის აზროვნების და ფილოსოფიის მთავარი მომენტი ძალისხმევის მომენტი იყო. ანუ ის, რომ, თუ რაღაც ხდება, ის ყველგან ხდება ერთნაირად, და ისტორიაც, რალაცნაირი აზრით, ყოველთვის არის. ამ მომენტს ფრთხილად ვუყურებ, და მგონია, რომ რალაცები მაინც იცვლება. მაგალითად, ჩვენ, ქართულ საზოგადოებას არ გვესმის ნაციონალიზმის თავისებურება, ქართულის კი არა, საზოგადოდ, – ნაციონალიზმის ფენომენის



ფიქრობთ, რატომ? მამარდაშვილი აქცენტს პიროვნების პასუხისმგებლობაზე, ისტორიის გააზრებასა და შეფასებაზე, ამავე ისტორიაში “ჩართულობაზე” აკეთებდა, რამდენადაა ჩვენი საზოგადოება დღეს “ჩართული” ისტორიაში?

– სწორედ მამარდაშვილი ამბობდა, თუ დასკვნები და გამოცდილება არ გამოვიტანეთ, შემდეგი წელი 1987 კი არ იქნება, არამედ – 1937 წელი. საუბარი იმაზე კი არ არის, 30 მილიონი კაცი დახვრიტეს, თუ 3 კაცი მოკლეს. ლაპარაკია გარკვეულ სიტუაციაზე, სადაც არის “შეთქმულების თეორია”, სწორედ იქაა 37 წელი. ეს კონსპიროლოგიური მომენტი ნებისმიერ ელიტას ახასიათებს, უფრომოდ მასისგან რალაცას გაკეთებას რომ ცდილობს...

როცა მამარდაშვილი ლაპარაკობდა ისტორიაზე, გულისხმობდა რალაც ისეთს, რაც მარადიულია, მეტაფიზიკურია, გულისხმობდა იმას, რაც ისტორიის საფუძველში დევს. ისტორიის მამარდაშვილისთვის ორი ძირი ჰქონდა – ანტიკური და ქრისტიანული. ანტიკურში ის გულისხმობდა თავისუფლების იდეას, ქრისტიანულში – პიროვნების. პიროვნებისა და თავისუფლების გადაკვეთა წარმოშობს იმას, რასაც მამარდაშვილი ევროპასა და ისტორიას ეძახდა. პრინციპში, ეს მისთვის ერთი და იგივე იყო. ამიტომ ამბობდა – ევროპა შეიძლება იყოს ტოკიოში, მაგრამ არ იყოს – მოსკოვსა და თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ ტოკიო არ არის ქრისტიანული. მამარდაშვილი ლაპარაკობდა ძალისხმევაზე, მარტო დგომის რისკზე, აქ პროტესტანტული (ფართო, არაკონფესიური გაგებით) მარტო დგომა იგულისხმებოდა მეტაფიზიკური რეალობის, ღმერთის წინაშე. მას უყვრდა ეს გამოთქმა – “რისიანი მარტო დგომა”. ამიტომაც, კირკეგორი ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისთვის. სხვებიც, მაგრამ კირკეგორთან კარგად არის ეს გამოხატული. ჩვენს ურთიერთობებში, როგორც რუსულში, ისე ქართულში, ის ხედავდა რალაც კოლექტიურ მომენტს, როცა ყველას ესმის ერთმანეთისა და მიიჩნევა, რომ აქედან ამოხტომა იყო აუცილებელი. მას მიაჩნდა, რომ საქართველო იმით განსხვავდება რუსეთისაგან, რომ ქართველებს გვიყვარს სიცოცხლე, მაშინ, როცა რუსული ცხოვრება ჯოჯოხეთია. სიცოცხლის სიყვარული არის რალაცნაირი პირობა, მაგრამ არა გარანტია ევროპაში, ისტორიაში დასაბრუნებლად. რა თქმა უნდა, მისთვის ევროპა ბევრად უფრო სხვა რამე იყო, ვიდრე – ევროკავშირი, ნატო და ა. შ. მისთვის ეს მნიშვნელოვანი, მაგრამ ზედაპირული მომენტები იქნებოდა, განსხვავებით

თავისებურება. ჩვენ გვგონია, რომ ნაციონალიზმი ოდითგანვე არსებობს. ამ დროს, ის XVIII საუკუნის ბოლოს, XIX საუკუნის დასაწყისში ისახება და მერე ვრცელდება. ჩვენ გვგონია, რომ XIX საუკუნის ქართული ნაციონალიზმი შუა საუკუნეების ქართული სამეფოს გაგრძელებაა, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ერთია სამეფო, თავისი იერარქიულობით და სულ სხვა რამეა – ნაციონალიზმი. ნაცია გულისხმობს ეგალიტარიზმს, თანასწორობას. მაშინ, როდესაც ის, რაც არის ნაცია – სამეფო – პრინციპულად სხვანაირია – იერარქიულია და სულ სხვა წესი აქვს ლეგიტიმურობისა. ჩვენ დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ლეგიტიმურობაზე. მნიშვნელოვანია ის, რომ საფრანგეთის რევოლუციამდე, ლეგიტიმაციის სულ სხვა წესი არსებობდა. ლეგიტიმურობის წყარო მანამდე იყო არა ხალხი, არამედ – ღმერთი. როგორც რუსთაველი ამბობს – “ მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მისმიერთა”. მეფე ლეგიტიმურია იმდენად, რამდენადაც ეკლესია ადასტურებს მის ლეგიტიმურობას. მეფე ლეიტისგანაა. ჯერ კიდევ წარმართ იმპერატორზე ამბობდა პავლე მოციქული – დაემორჩილეთ, სანამდეც შეგიძლიათო. მერე მეფეს თავს აჭრიან – საფრანგეთის რევოლუციას ვგულისხმობ. ეს რეალური აქციაა, მაგრამ დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს. მოდის ახალი რამ, ნაცია ჯდება ამ მოჭრილი თავის ადგილას და ამბობს, რომ ახალ წესებს ნერგავს, რომელთა წინაშეც ყველა უნდა იყოს თანასწორი, აღარ არსებობს დინასტია, იერარქია, აღარ არსებობს არისტოკრატის პრივილეგიები. ბურჟუაზია ამბობს, რომ ის არის ნაცია. სწორედ აქედან იბადება ნაციონალიზმი – ერთი კლასი – თითქოსდა ერის ნაწილი – თავის თავს მთლიანობას – მთელ ერს უიგივებს... არისტოკრატია, მეფე და სამღვდელთა ნაციის მოლაღატეებად შეირაცხა...

– პრეზიდენტი ილიას პორტრეტის ფონზე აძლევდა ინტერვიუს ინგა გრიგოლიას. წელს ილიას იუბილესთვის ველარ მოვიცალეთ. ილია ამბობდა, რომ აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს. რამდენად შეიძლება იყოს “სიცოცხლისუნარიანი” ილიას იდეები დღეს?

– ქართული ნაციონალიზმი, მართლაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაფორმდა. ილიას გარდა, სხვებიც იყვნენ: უფრო ადრე – თეიმურაზ ბატონიშვილი, შემდეგ – ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, სხვებიც,

ლიბო უძიანვი ქონება



ლიბო ღაჯაღმზღახი ბღიჯაზღმბღ
ქღჯბჯღი სიღბჯღღი ჯღღბჯღღ საღღღ
საბჯღღღ

მღღღღღღღ ღაღღღღღ 2008 წაღღ!

ტაღ: 277 772, მღბ: 895 27 73 73



ღაჯაღღღღღღ ჯღღღღღღ

კომენტარი

მაგრამ ილია მართლაც არის ქართული ნაციონალიზმის მამა. ილია ერთ პირად წერილში წერდა, ქართლის ცხოვრებას ვკითხულობდი და ხალხი ვერ დავინახე, ჩვენი ისტორია მეფეთა ისტორიააო. ამ მაგალითს ხშირად ვიმეორებ ხოლმე – ვახუშტი ბატონიშვილის წიგნს ჰქვია “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, ივანე ჯავახიშვილისას – “ქართველი ერის ისტორია”. ამ ორ ტექსტს შორის 130 წელია და უზარმაზარი განსხვავებაა, სადაც მეფე და სამეფო იყო – იქ ერი, ნაცია გაჩნდა... საფრანგეთის რევოლუციამ დაგვანახა, რომ მეფის მოჭრილი თავის ადგილი ნაციამ დაიკავა. მეფე იყო სუვერენი, რომელსაც ჰქონდა ნება, ის აღასრულებდა კანონებს, კანონს სჭირდება ნება, ეს მეფის ნებაა, მაგრამ ის ლეთისგან მომდინარეობს. მეტაფიზიკურად ძალიან გამართული მომენტია. კანონის უზენაესობა და

რიული პრობლემები მნიშვნელოვანია შუა საუკუნეებში, მაგრამ არ არის გადამწყვეტი. ნაცია კი, ეს არის – ერთი ეკონომიკა და ერთი ნაციონალური ნარატივი ერთ ტერიტორიაზე. იმპერია თავისი არსით უპირისპირდება ნაციონალიზმს და გლობალური ფენომენია. იმპერიაში მთავარია, რომ ის ფართოდება გარკვეული სამეფოების დინასტიურ პრინციპში შეყვანით – იმპერია გაფართოებადი მონარქიაა. ნაციონალიზმს კი სჭირდება კონკრეტული ტერიტორია და ბევრი სისხლიც იღვრება ამ ტერიტორიის დასაკავებლად. გარკვეული აზრით, ნაციონალიზმი სამოქალაქო ომსა და გენოციდს მოითხოვს. ფრანგებს დასჭირდათ საკუთარი ხალხის გენოციდი – ვანდუა, თურქებს – სომხების გენოციდი, იმიტომ, რომ ერთ ტერიტორიაზე ორ ერს ჰქონდა სხვადასხვა პროექტი. არადა, სომხები საუკუნეების მანძილზე



ნაციის სუვერენულობა სწორედ მეფის სუვერენობის ჩანაცვლებაა, და აი იმ ლეგიტიმურობისა, რომლის წყაროც არის ლმერთი. ამიტომაც, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ლეგიტიმურობის კრიზისის სიტუაციაში ვართ. ფრაზა – “კანონის უზენაესობა” – მალავს გარკვეულ მელანქოლიასა და სევდას ნამდვილი ლეგიტიმურობის – მეფის ლეგიტიმურობის მისამართით. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ლეგიტიმურობა შემცირდა ან გაიზარდა. არადა, ლეგიტიმურობა ან არის, ან არა, ის არ არის თვლადი. თუ ის იცვლება, მაშინ ის უკვე რეიტინგია და არა – ლეგიტიმურობა.

ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ იმაზე, რა პრობლემაც ონტოლოგიურად საფუძველშივე უდევს დემოკრატიას. ევროპული დემოკრატია და ნაცია ერთი და იგივეა. ილია ჭავჭავაძემ თქვა – “ენა, მამული, სარწმუნოება” და შეეცადა ის წყვეტა, რომელიც არსებობდა სამეფოსა და ნაციონალიზმს შორის, ამ ცნებებით ამოევსო. უფრო მეტიც – ილია შეეცადა მეფის ნაცვლად ერი გამოეცხადებინა საკრალურად... ამიტომაც, მას “ერის მამა” და “საქართველოს უგვირგვინო მეფე” უწოდეს. ეს კვაზიმონარქისტული ეპითეტები ძალიან სიმპტომურია! სამეფოში ყველაფერი მეფისადმი ლოიალობით იზომება, მაგალითად, ერეკლეს დროს ქართველები და სომხები რელიგიურად დაპირისპირებულები კი იყვნენ, მაგრამ ნაციონალური დაპირისპირება მათ შორის არ არსებობდა. იმიტომ, რომ არ არსებობდა ისეთი ხედვის კუთხე, როგორცაა ნაციონალიზმი. ეს დაპირისპირება შემდეგ გაჩნდა, რუსეთის იმპერიაში ჩვენი ყოფნისას, როცა ქართული არისტოკრატია და გლეხობა გაუუცხოვდა სომხურ ბურჟუაზიას. ეს ძალიან კარგად არის ნაჩვენები “ხანუმაში”, როცა ქეთოსა და კოტეს ქორწინების სახით ხდება ალკიმიური ქორწინება სომხურ ბურჟუაზიასა (რომელსაც რეალური კაპიტალი აქვს) და ქართულ არისტოკრატიას (რომელსაც სიმბოლური კაპიტალი აქვს) შორის. ისე, ჩვენ და სომხები ერთი ერი რომ გავმხდარიყავით, იდეალური იქნებოდა! ამას წინ ვერაფერი დაუდგებოდა...

მამათა და შვილთა ბრძოლა იყო არა იმდენად თაობათა შორის ბრძოლა, რამდენადაც იყო ბრძოლა მონარქიზმსა და ლიბერალურ ნაციონალიზმს შორის. მონარქიზმი გულისხმობს იერარქიულობას, ლიბერალიზმი გულისხმობს თანასწორობას; მონარქიზმი აგებულია დინასტიკის პრინციპზე, ის არ არის ტერიტორიაზე მიბმული – სადაც მეფეა, იქაა სამეფოც. ტერიტო-

მშვიდად ცხოვრობდნენ თურქეთის იმპერიის ფარგლებში. იმისათვის, რომ გაჩენილიყო თურქეთის სეკულარული ნაციონალური სახელმწიფო, თურქებს სომხების გენოციდი დასჭირდათ.

თუმცა, აქ სრულიად გარკვეულად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ნაციონალიზმი მაინც განსხვავდება ევროპული ნაციონალიზმისაგან – და საქმე სულაც არაა ის, რომ ჩვენ “ეთნიკური ნაციონალიზმი” გვაქვს, ხოლო ევროპული ნაციონალიზმი “სახელმწიფო ნაციონალიზმი”. საქმე ისაა, რომ XV საუკუნის შემდეგ ჩვენ “ბიზანტიურ გეტოს” წარმოვადგენთ... როგორ მოხდა ეს, ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ქართული ნაციონალიზმი, რომელიც XIX საუკუნეში გაფორმდა, ევროპული ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, სეკულარიზაციის ანუ – ეკლესიასთან დაპირისპირების გზით არ ჩამოყალიბებულა... პირიქით!

– რა განასხვავებს ევროპულ ნაციონალიზმს ქართული ნაციონალიზმისაგან?

– უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ქართული ნაციონალიზმი სხვა “აღმოსავლურ ნაციონალიზმებთან” ერთად (გულისხმობს სერბულ, ბულგარულ, რუმინულ, რუსულ და ა.შ. ნაციონალურ ნარატივებს), სეკულარიზაციის გზით არ ჩამოყალიბებულა. სეკულარიზაცია ესაა ეკლესიის “ამორთვა” ძალაუფლებიდან. XIX საუკუნემდე ეკლესია ძალაუფლების ლეგიტიმაციას უზრუნველყოფდა. ილიას ფორმულა – “ენა, მამული, სარწმუნოება” – კი გვიჩვენებს, რომ ეკლესია ქართული ნაციონალური პროექტის ნაწილია როგორც “კულტურული მემკვიდრეობა”, ხოლო რეალურად – როგორც ჩვენი “იზოლაციონიზმის”, “განსხვავებულობის” ნიშანი – ის, რომ ჩვენ “ბიზანტიურ გეტოს” წარმოვადგენთ... ეს დღემდე ასე რჩება. საინტერესოა, რომ ეკლესია თვით სტალინმაც კი ჩართო საბჭოთა “ნაციონალურ” პროექტში...

– საბჭოთა კავშირი არ იყო იმპერია?

– საბჭოთა კავშირი არ ყოფილა იმპერიულ პრინციპზე აგებული. ნუ დაგვაინყვებთ, რომ საბჭოთა კავშირი იყო თანამედროვე გლობალიზაციის პირველი მცდელობა, გლობალიზაციის პირველი ტალღა – მოდერნისტული გლობალიზაცია (განსხვავებით დღევანდელი პოსტმოდერნული



სადაც არის ყველაფერი
დასრულებულია

ქომენტარი

გლობალიზაციისაგან, რომელიც მარცხით დასრულდა. საბჭოთა კავშირი არის პერმანენტული რევოლუციის დამარცხების შედეგად წარმოშობილი იზოლაციონისტური ბასტიონი. 20-იანი წლების ბოლოს აღმოჩნდა, რომ პერმანენტული რევოლუცია არარეალურია (ის დამარცხდა ირანში, პოლონეთში, ფინეთში, ბევრგან). ამიტომაც, საბოლოოდ საბჭოთა კავშირი ნაციონალურ-ტერიტორიული ნიშნით მოაწყვეს, და სწორედ აქ ჩაიდო “ნელი მოქმედების ჭურვი”. საბჭოთა კავშირიც იყო ცენტრისკენული, მუდმივად იყო ორიენტირებული შენარჩუნება-შენახვაზე და, ამიტომაც, არსებობდა რკინის ფარდა – საბჭოთა კავშირი რკინის ფარდის გარეშე წამოუდგენელი! ეს იყო ნამდვილი გეტო, ესეც ბიზანტიური მემკვიდრეობაა. ეთნოკონფლიქტებიც კი სინამდვილეში ნაციონალურ-ტერიტორიული კონფლიქტებია. ჩვენც აღმოვჩნდით იმ სიტუაციაში, როცა ჩვენ და აფხაზებს ერთ ტერიტორიაზე სხვადასხვა პროექტი გვაქვს (ოსეთის სიტუაცია განსხვავებულია, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა!) – ესაა სამოქალაქო ომის სიტუაცია! ამიტომ, მძვინვარე სიტყვა გენოციდი სრულიად ბუნებრივია, ნებისმიერი ნაციონალიზმი გენოციდით მკვიდრდება.

– და რა, მეუბნებით, რომ აფხაზებს გენოციდი უნდა მოუწყვით?

– ნებისმიერი ნაციონალიზმი თავისი არსით შინაგანად გულისხმობს გენოციდს – სამოქალაქო ომს – ან საკუთარი ან სხვა ხალხის წინააღმდეგ. აქ მინდა ჩემი პოზიცია განვმარტო – მე ნაციონალიზმის წინააღმდეგი ვარ, რადგანაც მიმაჩნია, რომ ნაციონალიზმი ქრისტიანული ისტორიის გადანერაა, ნაციონალიზმი უპირისპირდება ქრისტიანულ პოზიციას. ნებისმიერი ნაციონალიზმი ქრისტიანობის ჩანაცვლების მცდელობაა – “ჩემი ხატია სამშობლო...” პირადად ჩემთვის ნაციონალიზმი ერესია! ვიმეორებ, ჩვენთან ბიზანტიის იმპერიის დაშლის პერიოდი ჯერ ბოლომდე არ დამთავრებულა... ქართული ნაციონალიზმის ჩანერა ევროპულ კონტექსტში აი ახლა – ჩვენ თვალწინ ხდება...

– რეფორმები ხომ ტარდება? მაგალითად, განათლების რეფორმა?

– ჩვენი ხელისუფლება შეეცადა, უნივერსიტეტის ზემოდან გაკეთებას, ეს შეუძლებელია. მაგრამ რალაცების “ზემოდან გაკეთება” შეიძლება – რუსეთის იმპერიაში, მაგალითად, შეძლეს და გააკეთეს დამოუკიდებელი სასამართლო. გავისხენოთ ბეილისის საქმე, 1913 წელს რუსული იმპერიის სასამართლომ გაამართლა ბეილისი. წარმოდგენაც კი მზარავს, რა მოხდებოდა, ქართულ სასამართლოს დღეს ბეილისი რომ გაესამართლებინა.

– რას უნდა დაეყრდნოს ქართული სახელმწიფოებრიობა?

– ჩვენ მოძრაობა ხელის ცეცებით გვიწევს. XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი ლაპარაკობდა ფრანგულად, დანარჩენი – ლაპარაკობდა სხვადასხვა დიალექტებზე და ერთმანეთის

არ ესმოდა. 50-60 წლის განმავლობაში განათლების სიტემამ და სკოლამ ჩამოაყალიბა თანამედროვე ფრანგი ნაცია. გარკვეული აზრით, ერი ხელოვნურად კონსტრუირებადი ფენომენია, მაგრამ ეს მეტაფორულად უნდა გავიგოთ – ეს ოთხ წელიწადში ვერ კეთდება! ერი – ესაა 1) ნაციონალური ნარატივი ანუ – საკუთარი ტერიტორიის წარმოშობის ისტორია, 2) განათლების სისტემა, რომელიც ამ ნარატივის შესწავლას უზრუნველყოფს და 3) ერთი ეკონომიკა ერთ ტერიტორიაზე.

– და ჩვენ სამივე გვაქვს.

– ჰო, მაგრამ დღეს ევროპული ნაციონალიზმი გადავიდა ახალ ეტაპზე. პოსტმოდერნული გლობალიზაცია – გლობალიზაციის მეორე ტალღა – არის ევროპული ტიპის ეკონომიკის გლობალიზაცია ერთ ტერიტორიაზე კი არა – მთელ დედამიწაზე. გლობალიზმი ევროპული ნაციონალიზმის გაგრძელებაა. ჩვენ ჯერ ბოლომდე გაფორმებული არა ვართ როგორც ნაცია, და უკვე გვინებს გლობალიზაციაში ჩართვა. ამიტომაც, დღეს რაც საქართველოში ხდება, ამას მხოლოდ ჩვენს ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ. მართალია, ეს ხელისუფლება უგუნურია, პროვინციულია, მაგრამ ესაა ნაციონალიზმისა და გლობალიზმის დაპირისპირება. დღევანდელი ხელისუფლების დაპირისპირება ბადრი პატარკაციშვილთან სხვა არაფერია, თუ არა ნაციონალური ეკონომიკის დაპირისპირება ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან, სწორედ ამას გამოხატავს “ნიუს კორპისა” და დღევანდელი ხელისუფლების კამათი. ისე არ გამოვიტოვოთ, თითქოს პატარკაციშვილი მომწონს, მაგრამ ბადრი არის ზეოლიგარქი, “ტრანსოლიგარქი”. ამიტომ, რაც ეპატიება ზეოლიგარქსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციას, ის არ ეპატიება ადგილობრივ პრეზიდენტს. არავინ გაიგოს ისე, თითქოს სამართალი არ არსებობს – ბუშმა და ჩეინიმ უამრავი ადამიანი დახოცეს ერაყში, მაგრამ მათ “ადგილობრივი” გირგვლიანი რომ მოეკლათ, ამას არავინ აპატიებდა. ასევე არ ვაპატიებთ ეს სააკაშვილს. აფხაზებთან რომ გაგვემართა ომი, და შეგვეწყვიტა ხალხი, ამას ვაპატიებდით სააკაშვილს (პირადად მე, არ ვაპატიებდი – მაგრამ ეს სხვა თემაა!), აი, გირგვლიანი არ ვაპატიებთ. ეს ძალიან ჰგავს რასკოლნიკოვის პრობლემას – რატომ არ შეიძლება, რომ მე მოვკლა ერთი “პროცენტშიცა”, თუ ნაპოლეონმა ათასობით ადამიანი დახოცა ომებში?! საქმეც ისაა, რომ თამაშის წესები ძალიან მრავალფეროვანია, და დამოკიდებულია გარკვეულ დონეებსა და სიტუაციებზე. ის, რაც შეიძლება ერთ სიბრტყეზე, არ შეიძლება – მეორეზე. არსებობს “დონებრივი” სამართლიანობა – სამართლიანობის სხვადასხვა დონეები...

– საპარლამენტო რეპუბლიკა ეს ის მოდელია, რომელმაც შეიძლება გაამართლოს?

– გარკვეული აზრით, ეს ექსპერიმენტი, ჩვენ აქაც ხელისუფლების ცეცებით მივიღვართ. ასეთ შემთხვევაში მთავარი პრაქტიკაა – მარქსიც ამას ამბობდა და ფუკოც. მთავარი საზომი პრაქტიკაა. საპრეზიდენტო მოდელმა არ გაამართლა, ვცადოთ ახალი. ჩავატაროთ ექსპერიმენტი. ხალხს უნდა ძალაუფლებაში მონაწილეობა. ეს უკვე ნაციაა.

– ხალხი იაზრებს ამას?

– ვერა, მაგრამ ეს სულაც არ არის აუცილებელი. რალაცები ხდება ტანით, მგრძობელობით. სხვა ხალხი ჩვენ არ გვყავს. დღევანდელ ხელისუფლებას უნდოდა ამ ხალხის შეცვლა და ეს უტოპია კრახით დამთავრდა.

– 5 იანვარს რას აირჩევს ეს ხალხი?

– რეალური კანონი კანონის დაწერამდე იბადება. დავინახე, რომ ეს ნაცია შედგა, ხალხი ამოქმედდა, მან გაუსწრო თავის ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ეს მოქმედება რეალობაა. ხალხი თვითონ გვთავაზობს თამაშის წესებს. მთავარი შედეგი არ არის, მთავარი პროცესია, ლიბერალიზმი პროცესია, თავისუფლებაც პროცესია, ისევე, როგორც ბაზარია პროცესი.





Ձմռանը սեպտ Ե՛ղբե
Հո՛հարուսե զհոսբ





ტაჯი, ტუკ-ტუკი და აიშვარია რაის თვალეზი ინდოეთში

ავტორი, ფოტო: სალომე კიკალაიშვილი



მიყვარს წერა, ჩემთვის წერა, სულ რაღაცას ვჯღაპნიდი ხოლმე ფურცელზე და მერე, სადღაც მივჩურთავდი. ყველაზე მაგარი, წლების მერე ამ ნაწერების აღმოჩენა, გადაკითხვა და მთელი ამ ემოციის თავიდან გავლა იყო. აეროპორტში ვზივარ, თბილისში ვბრუნდები. თვითმფრინავში ჯერ არ გვსვამენ, ჰოდა, რა უნდა ვაკეთო? ვწერ. თან იცი, რაზე ვფიქრობ? თვითმფრინავი რომ ჩამოვარდეს და მოგვკვდეს, იპოვიან ამ წერილებს, გამოაქვეყნებენ, ბევრ კარგს ისაუბრებენ ჩემზე და სინანულით იტყვიან – ეეჰ...

თუკი ასეთი არაფერი მოხდა, მაშინ ვერც ვერავინ აღმოაჩენს, უბრალოდ, მე ვიპოვი, გადავიკითხავ და გავისხენებ, რას? რას და:

აეროპორტში წავსვლამდე ორი საათი იყო დარჩენილი. მე და სანდრო ნავერიანი კომპიუტერთან ვისხედით და Google-ში მიტხუნ ჩაკრაპორტის სურათებს ვათვალიერებდით. ძალიან მთხოვა, თუ ნახავ, სურათი გადაუღე და ჩამომიტანეო.

იმ დღეს უაზროდ აუიტირებული ვიყავი, ჯერ ერთი, ჩემი დაბადების დღე იყო, მისხაროდა, და მეორე – ბილეთით და რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნი ვიზით ხელში ინდოეთში მივფრინავდი, დელიში, არაბული და აზიური კინოს ფესტივალზე. აბა, ამაზე მაგარი საჩუქარი რა უნდა მენატრას?! თან, ინდურ კინოსთან და ინდოეთთან ხომ ჩემი

პირადი, ძალიან ძველი მოგონებები მაკავშირებს. ყოველთვის, როცა შაბათ-კვირა მოდიოდა, ჩემი მშობლები მიზეზით – ბებიას მონატრებოდიო, გუდა-ნაბადს ამიკრავდნენ და ორი დღით დილომში მიკრავდნენ ხოლმე თავს. ბებიასთან კარგი იყო, ხელი-ხელ ჩაკიდებულები (8-9 წლამდე აუტანლად დამჯერი ბავშვი ვიყავი) დილმის ეზოებში დავსეირნობდით და რადგან „ბუბლიკები“ სასარგებლო იყო, სულ კნატუნ-კნატუნით დავყვებოდი გვერდში. ყოველ კვირას, დილის 10 საათზე კინოთეატრ „გაზაფხულში“ ინდური კინოს სენსი იწყებოდა, ჰოდა, მეც და ბებიაც ორი ბილეთით ხელში, ყოველ კვირას შესასვლელთან ვიდექით ხოლმე. სულ უკვირდა, ფილმი ჯერ მხოლოდ 15 წუთია რაც დაიწყო და როგორ ხვდები, მერე რა მოხდებაო?! მეც მიკვირდა და ვფიქრობდი, ალბათ, ძალიან მაგარი ვარ-მეთქი. არა, კინომცოდნეობაზე ჯერ არ ვფიქრობდი, მაგრამ, ჩემი თავით ძალიან ვამაყოფდი. 7 წლის რომ ვიყავი, მამა-ჩემი დელიში წავიდა, სოციოლოგების კონგრესი თუ რაღაც ამდაგვარი იმართებოდა. იქიდან თვალუბგაფართოვებული ჩამოვიდა – ვაიმე, ასეთი არაფერი მინახავსო და საჩუქრად (არა, უნდა ვაღიარო, რომ საჩუქრების არჩევა არასდროს ეხერხებოდა) სარკეებიანი ნაციონალური კაბა და შარვალი ჩამომიტანა. ერთადერთხელ ჩამაცვეს, პირველი კლასის ზეიმზე და ისიც ყველამ დამცინა – ერთი

ნახეთ, ამას რა ჩაუცვამსო! კაბაზე შარვალიო, ჰა-ჰა-ჰაო! ბავშვებს ეგეთი რაღაცები არ ესმითო – დამანყნარეს სახლში. ვიცი, შესავალი გამიგრძელდა, მაგრამ რა ვქნა, ჩემი ინდოეთი ხომ იმ სარკეებიანი კაბა-შარვლით და „გაზაფხულში“ გაშვებული ინდური კინოებით იწყება!

– „თუ პირველად მიდიხარ, არ შეგეშინდეს, არ დაიძაბო,“ – გამაფრთხილა თვითმფრინავში ჩემ გვერდით აღმოჩენილმა ქართველმა მამაკაცმა, რომელიც ნახევარი გზა (მეორე ნახევარი მეძინა) იმაზე ყვებოდა, თუ როგორ შედის ინდოეთის გამაგრებელი სასმელების ბაზარზე მათი კომპანია, რამდენი და როგორი ლიმონათები უნდა ჩაიტანონ და ა.შ. ამ ყველაფერმა დიდად არ დამაინტერესა, მაგრამ, როგორც ზრდილობიანი ადამიანი, შეუსვენებლად ვიმეორებდი – უი, მართლა, რას ამბობთ, რა საინტერესოა! აეროპორტში შევედი თუ არა, რაღაც უცნაური სუნი ვიგრძენი, უცნაური და ძალიან მძიმე, თავი ნაპირზე ამოგდებული თევზი მეგონა და ისიც გავიფიქრე, ახლა უფრო ღრმად თუ არ ჩავისუნთქე, აქვე დასრულდება ჩემი ჯერ არ დაწყებული ვოიაჟი-მეთქი. – გრძნობ მძიმე ჰაერს? აქ სულ ასეაო – დაამატა ჰაერში გაცნობილმა ქართველმა და აეროპორტიდან გამოსვლისთანავე, ჩვენი გზები ორად გაიყო: მე ფესტივალის შავ-შავი ბიჭები და-



მხვდნენ, უცნობ მამაკაცს – თეთრი-თეთრი ქართველები ლიმონათის კომპანიიდან. ჰოო, ამ ღამით, ჩემი და იმ კაცის სახით, 14 მილიონიანი მოსახლით დამძიმებულ დელის, ორი ქართველი შევემატეთ, ერთი უკვე მოშინაურებული, მეორე – ჯერ კიდევ დიდ გაურკვეველობაში მყოფი.

ფესტივალის სქელ კატალოგს გადავხედე თუ არა, მივხვდი, სანახავი ფილმების გრძელი სია სწორად უნდა შემედგინა. არაბული და აზიური ფილმების გარდა, დღეში ერთი ინდური აუცილებლად უნდა მენახა. თავი გავიგოე, თვითონ წავალ-მეთქი „სირი ფორტში“ – დელის კინოთეატრში. ყვითელ-მწვანე რიქმა გავაჩერე და მძლოლს ამაყად მივაძახე – სირი ფორტისკენ! უცნაურია ეს რიქმა, ერთი პედალი აქვს, კარები საერთოდ არ აქვს და რაღაც უბედურ ხმაზე ხრივინებს. – მემ, მეკითხება მძლოლი და თან როგორც დალაქი, ზუსტად ისე, სარკიდან მიყურებს; – იეს – ვუპასუხე დაყენებული აქცენტით; – თქვენს ქვეყანაში არის ტუკ-ტუკი?; გავსრი, გამომეტყველება შემეცვალა, თავში „სინიორ რობინზონის“ კადრები ამოტივტივდა, გვერდზე გავიხედე, თავი ამაყად ავნიე და ხმამაღალი ტონით ვუპასუხე – იცით რაა, არ ვიცი რაზე მელაპარაკებით და საერთოდ, ჩემს ქვეყანაში ტუკ-ტუკი არ არის-მეთქი. ცოტა ზედმეტი კი მომივიდა, У нас в советском союзе секса нет, აი, რაღაც ამის მსგავსი. უზრდე-

ლი – გავიფიქრე და მგზავრობის ბოლომდე, „ცისკარაში“, გაქვავებული მზია რომ ზის, ზუსტად ისე, ქვა და რკინასავით გამეხებული ვიჯექი. კინოში მივედი თუ არა, მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დაფუჭი, მძლოლთან ფასზე მანამდე უნდა შევთანხმებულიყავი, სანამ დაიძვრებოდა, კარგი, არა უშავს, შემდეგში გავითვალისწინებ!

– „იცით, დააგვიანეთ, ეს ხომ მსოფლიო პრემიერაა და ბილეთები გუშინ დამთავრდა“ – მითხრა ფესტივალის ბიჭმა. ვაი, იქნებოდა, ახლა ამ ინდური პრემიერის ხელიდან გაშვება! – გავიფიქრე ჩემთვის, თან კატალოგში ხომ დიდი ასოებით წერია, ფილმის ყველა ვარსკვლავი პრემიერას ესწრებაო! მაინც წავედი. კარებთან მივედი და რას ვხედავ? თავზე ბრილიანასმული, ლაკის ფესხაცმელე-ბიანი, პრიალა კოსტიუმში, ფერად-ფერადი თვლებით დამშვენებული ჰალსტუხიანი და შავ სათვალეებიანი კაცები დგანან – ესენი უეჭველად ვარსკვლავები იქნებიან-მეთქი გადავწყვიტე და გვერდზე დავედექი. არ შევცდი. ცოტა ხანში კარები საგანგებოდ გაიღო და ერთ რიტმში, ნელი მიხვრა-მოხვრით, ზანტად შევედით დარბაზში. მაყურებელი ტაშით შეგვეგება, უფრო სწორედ, მათ შეეგება და ჩაბნელებულ ეკრანზე წარწერები გამოჩნდა. – შენ რა, ინდური გესმის? – შუა ფილმის დროს მკითხა გვერდზე მჯდომმა ინდოელმა რეჟისორმა, რომლის გაცნობა

პირველივე დღეს მოვასწარი; – არა; – აბა, ჩვენწაირად რატომ გეცინება ყველაფერზე; – რა ვიცი, აბა, ბავშვობიდან ვიცნობ ინდურ კინოს, – ვუპასუხე დაბნულად – ჰო, ისე ტუკ-ტუკი რას ნიშნავს, ხომ ვერ მეტყვი? – ტუკ-ტუკი? შემოკლებით ასე ვეძახით რიქმა ტაქსებს“. ვაი! შემრცხვა! მე კიდევ...

ერთ რამეს მივხვდი, ინდოელებთან ერთად ინდური კინოს ყურებას არაფერი სჯობს. მერე რა, რომ სანამ კინოში შეხვალ, საკმაოდ უსიამოვნო პროცედურას გადიხარ, ქალებს და კაცებს ცალ-ცალკე გჩხრეკენ, ჯიბეებში ხელებს გიყოფენ და თითქმის ყველაფერს სპეციალურ სეიფებში გატოვებინებენ. ერთადერთი, კბილებს არ გიმომშებენ, თორემ ისე... სამაგიეროდ, არ ვიცი, მსგავსი კათარ-ზისის მიღება სადმე თუ შეიძლება კიდევ. თითოეული გმირის წარბის აქაჩვავზე ისე კვდება დარბაზი სიცილით, რომ... რა პრესის ვარჯიში და რის იოგა... თან, რაც მთავარია, იქ არ არსებობს მე, შენ, ის, იქ არის მხოლოდ – ჩვენ. ტირის ერთი? ტირის ყველა! იცინის ერთი? იცინის ყველა! ჰოდა, რადგან ამ ინდურ კინოებში, ძირითადად, ან ტირიან ან იცინიან, ამიტომ, გინდა არ გინდა, შენი გუნება-განწყობა, ეკრანზე ნაჩვენები ამბის პირდაპირპროპორციულია. მთელმა დარბაზმა, ჯერ იყო და, ერთად ბევრი ვიცინეთ, მერე ყველამ ერთხმად ბევრი ვიტირეთ, ფილმის გამირებმა კი ხან გვიცეკვეს, ხან გვიმღერეს



და ხან წარბები გვიქაჩეს დიდი ეკრანიდან. კარგი იყო. იცი, რა თქვეს ფილმში? – „თუ ქალი კაცს ვერ იშოვის, მთელი ცხოვრება ტირისო. თუ ქალმა კაცი იშოვა, მთელი ცხოვრება ატირებსო“, ესეც შენ ცხოვრებისეული სიბრძნე, აი ასე! დარბაზიდან გამოვედი თუ არა, მეორე რიგში ჩავდექი და არაბი რეჟისორის ნიკი კარმის ფილმზე შევედი. ოო, დავიტანჯე, დეგენერატმა ქმარმა მიატოვა, ეს განიცდის, მაგრამ არ ამუღანებს, სამსახურში პრობლემები აქვს... იმ ინდური მსოფლიო პრემიერის მერე სად მქონდა მაგის თავი? გამოვედი. ყოველთვის, როცა შენობიდან გამოდიხარ, გგონია, რომ, ჰოპ, და ვილაცამ გავარჯერებულ ტაფაზე დაგაგდო. თან კამკამა მზის ფონზე ეს ჩემი თმა შუქნიშანივით ანათებს და – მეემ... აუუ... მეემ – გესმის გაუთავებლად. ცდილობ, ღრმად ისუნთქო, მაგრამ სულ ტყუილად, არც არაფერი ჩადის შენს უბედურ ფილტვებში და არც იქიდან ამოდის რაიმე. დელის რუკა ბევრი ვატრიალე და გადავწყვიტე, რომ სანამ ღამის სეანსი დაიწყებოდა, კენჯი მიძოგუჩის „სირცხვილის ქუჩას“ უჩვენებენ, კუტუბ მინარის სანახავად წავსულიყავი. ისე, თბილისში რომ ჩამოვედი, მერე აღმოვაჩინე, რომ კუტუბ კი არა, კუტბ მინარი ჰქვია, თურმე. არა უშავს, ხდება ხოლმე. ფასზე წინასწარ შევთანხმდი – პიპტი? ნო, ნო, პორტი, პორტი, კარგად ვივაჭრე, თან მთავარი ისაა, რომ

ამ დროს თავი ენერგიულად უნდა აქიცირო და „ნო, ნოს“ თქმისას ხელები მოიშველიო, რაღაც, უფრო ინდურად გამოდის. თან, იცით რა, პირველივე დღეს, ჩავედი თუ არა, თავი, ყველაზე ცოტა, მერლინ მონრო მეგონა, ოღონდ მართლა! ქუჩაში რომ დადიხარ, ტრიალდებიან, რიქშიში ზიხარ და მისი ღია გვერდებიდან ხან ვინ გიკრავს თვალს და ხან ვინ. ვაიმე, საკუთარ თავზე აქამდე რა ცუდი წარმოდგენა მქონია-მეთქი, გავიფიქრე, ჩემდა უნებურად. თუმცა... მერე, ნელ-ნელა მივხვდი, რომ მერლინ მონრობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, 14 მილიონში უცხოელი რომ ხარ, ძალიან მოჩანს და... ეგაა რა, მეტი არაფერი.

უცნაური მძლოლი შემხვდა, მთელი გზა თავისთვის ლაპარაკობდა, ერთი ფეხი მოკეცილად, სკამზე ედო, „ფლოსტიც“ იქვე ეგდო და შიშველ თითებს რიტმში ათამაშებდა. ვაა, ეს ვისი თვალეხია – გვითხე, როგორც კი სარკეზე საგანგებოდ გაკრული ღამაზი თვალეხის ფოტო დავინახე; გაოცებულმა გამომხედა, როგორ არ იცი, – აიშვარია რაი, მითხრა ცოტა გაბრაზებული ტონით. ეტყობა, ამაში რაღაც მოულოდნელობის ეფექტი დევს, აბა, რატომ გაიკრა მაინც და მაინც სარკეზე? როცა სარკეში ჩახედვა სჭირდება, აიხედავს და ვის ხედავს? ჩემს თვალებს კი არა, აიშვარიას თვალებს, აიშვარიას! მერე ინდური ინგლისურით მითხრა: ერთ წამს

მაცადეთ, მემ, რაღაცას გამოვიტან მაღაზიდანო. მე რა ვიცოდი, რომ ასეთი საშიში იქნებოდა რიქშიში დარჩენა. რატომ? რიქში დაღმართზე გააჩერა, გადმოვიდა, მიიხედ-მოიხედა, იშოვა პატარა, მუჭის ოდენა ქვა, ქვა კი არა, კენჭი და დაუდო ბორბალს ქვემოდან, არ დაგორდესო. ეს დავინახე თუ არა, ჰაერი ბლომად შევისუნთქე და გავიყინე, კი არ გავიყინე, მთელი სხეული გამოვრთე და ისევე მზია გავხდი, რომ რაიმე უნებლიე მოძრაობას იმ კენჭის ძალა არ შეესუსტებინა. ასე, 5-10 წუთი მაინც ვიჯექი. – ყველაფერი ხომ კარგად არისო, მკითხა დაბრუნებულმა მძლოლმა, ვერაფერი ვუპასუხე, რადგან უშაეროდ ყოფნამ თავისი შედეგი გამოიღო და გონზე მოსასვლელად დრო დამჭირდა. კუტბ მინართან ჩამოვედი და შესასვლელი ბილეთის ასაღებად, სალაროსთან მივედი. ერთ ფანჯარას ეწერა – უცხოელებისთვის, მეორეს – ადგილობრივებისათვის. რა თქმა უნდა, პირველთან მივედი, ჩაბნელებულ ფანჯარაში თავი ენერგიულად შევყავი და ვაი, ვილაცის ფეხები, ისევე ენერგიულად რიტმში მოთამაშე თითები! უცბად გამოვინიე. მოლარე კაცმა ზანტად ჩამოიღო ფეხები ფანჯრიდან, ეტყობა, ანიავებდა და – რა გინდაო, მკითხა; – იცით რა, მე ჟურნალისტი ვარ, აი, ჩემი მოწმობა და უფასოდ მეკუთვნის შეშვება-მეთქი; – რაო? გავაგრძელე: – ჟურნალისტებისთვის უფასოა მუ-




ზეუმებში და მსგავს ადგილებში სტუმრობა და... – მერე, რა გინდაო? – აი, ლისაბონში, ბერლინში, მიუნხენში, პარიზში, ათენში (ვიფიქრე, ეს რაიმე წონას მომცემდა) სულ ასე დადვიდარ და, იცით, ეე, ალო, შესვლა თუ გინდა, ფული გადაიხადეო. გადავიხადე. შესასვლელში გამაგრებელი წვენი ვიყიდე, იმ იმედით, რომ გამაგრებელი ჰქვია და ცოტას მაინც გამაგრებდა, თუმცა... ნურას უკაცრავად! ბევრი ბოდილის შემდეგ, გადავწყვიტე, ცოტა დამესვენა და ქვის შენობაში ჩამოვჯექი. პირდაპირ სკამზე ვილაც კაცს გემრიელად ეძინა და ხმამალა ხვრინავდა. ისე დავილაღე, მეც კი წაფუძინებმეთქი, გავიფიქრე. რა ვქნა, მაპატიეთ, სულ გავიფიქრე-გავიფიქრეს რომ ვნერ, მაგრამ, მარტო დავდიოდი და ვფიქრობდი, აბა, სხვა რა უნდა მექნა? „კუტბ მინარი მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვის მინარეთია, მისი სიმაღლე 72,5 მეტრს ითვლის და შუა საუკუნეების ინდო-ისლამური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, რომელსაც იუნესკო გულდასმით უფრთხილება“ – ეწერა ბროშურაში. ვილაც მომიჯდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. უბრალოდ, ვიგრძენი, რომ დაჯდა და ნელ-ნელა ჩემკენ დაიწყო მოჩოჩება, ვერ მივხვდი. საზურგეს მივეყუდე, რომ თვალთა ხედვის არეალი გამფართოვებოდა და... ვილაც ბიჭი მიზის გვერდზე, თან ხელი ნელ-ნელა მოაქვს ჩემკენ, ისე, რომ არ

მიყურებს, თითქოს ხელის გადახვევა უნდა. უცებ, რაღაც ანიშნა მოშორებით, ჯგროდ შეგროვილ შავტუხა ბიჭებს და რომ დაიწყო ფოტო აპარატებით უსასრულო ჩხაკა-ჩხუკი... როგორც კი ჩემთან ფოტო სესიას მორჩა, ადგა და სულ კუნტრუშით გაიქცა სიცილისგან ჩაბურთულ მეგობრებთან. უი, რა სასაცილოა – ჩაბურტყუნე და ნანგრევების თვალიერება გაავარძელე.

მეორე დღეს დასვენება მოვიწყვე. გადავწყვიტე, რომ დიდი არაფერი დაშავდებოდა თუ დილის სენასებს გავაცდენდი და სასტუმროში დავრჩი. აუზზე გავედი. წყალში ერთი „იალიში“ მომივიდა, აუზის ძირს ფეხით სულ ვწვდებოდი და, აბა, რას წარმოვიდგენდი რომ ერთ ადგილას ღრმავდებოდა?! საიდან უნდა მცოდნოდა?! მოკლედ, გადავრჩი, ოღონდ ისეთი სახით ამოვფოფხდი წყლიდან, გეგონება წყლის ქვეშ ცურვის ასეთი სპეც. ჩანაფიქრი მქონდა. დელის მხურვალე მზეს მივეფიცხე, გრეიფრუტის ცივი წვენი მოვყლუბე და ჭირსაც წაულია ყველაფერიმეთქი, გავიფიქრე, ისე, სიტუაციიდან გამომდინარე. ოფიციალტმა „India Today“-ს ახალი ნომერი მომიტანა – ხომ არ ინებებთო; შუა-მეთქი, მივუგე და ჟურნალის ფურცვლა დავიწყე. ინდოელი მიშა ცაგარელის გვერდები გულდასმით დავათვალიერე და აი, ტესტიც! მიყვარს ტესტები, თან წერია

– გაინტერესებთ, რამდენ ხანს იცოცხლებთ? აბა რა! კი, არა, კი, არ ვიცი – ჩავნერე და, ქულების დათვლას შევეუდექი. ვაი, 47 წლამდეო... თავიდან გავაკეთე, იგივე გამოვიდა... 47, 47, 47... გავბრაზდი, სირი ფორტში ჯობდა წასვლა! აშკარად!

კიმ კი-დუკის ფილმზე დავრჩი. „კიმ კი-დუკი პაზოლინის ჰგავს და თან იმამურასო, ოღონდ, უკეთესი ტექნიკით იღებსო“ – გამოაცხადა ფილმის ჩვენებამდე ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. ასეთი საინტერესო შედარება ცხოვრებაში არ მომისმენია. კორეელთან ამჯერადაც იგივე მოხდა, რაც მის სხვა ფილმებში, ქალებმა კაცებს ვერ გაუგეს, კაცებმა ქალებს და იყო ერთი დიდი ტრაგედია. – „რა დროს ფილმია, წამო, ძველ დელიში მივდივართ“ – ჩამჩურჩულა ლოტფიმ და მეც ბედნიერი სახით გავყევი გარეთ. ლოტფი, აბდელია გვარად, ტუნისელია. ერთ-ერთ ტუნისურ ფილმში მთავარ როლს ასრულებს და ფილმთან ერთად, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ბევრ ფესტივალზე აქვს აღებული პრიზი. ისე, დელის ფესტივალზე „Osian’s Cinefan“-ზეც აიღო პრიზი, თან სულ იმეორებს, ტუნისელი სთარი ვარ და ეს, ჯერ მხოლოდ დასაწყისიაო. არადა, ხომ არ მივხვდები, რომ არის რა. მოგზაურობა მეგობრების მანქანით დავიწყეთ, რომლებმაც უცბად შემოგვატარეს ძველი



პეჟოთი დელი და ფანჯრიდან დაგვანახეს პარლამენტის შენობა, ინდოეთის ჭიშკარი... მთელი ქალაქი ტერაკოტის და ოხრას ფერების ნახავს წარმოადგენს და უცბად, ჭრელა-ჭრულა სარებში გამოწყობილი ინდოელი ქალები... ძალიან ლამაზია! როგორც კი ძველ დელიში ავღმოჩნდით, ველო რიქმებზე გადავჯექით და დაიწყეთ, მაგრამ რა დაიწყეთ! ორსამ სართულიანი სახლები დგას, სახლებსაც ვერ დაარქმევ, პიზას კომპიკით გადახრილად მოხრილია ყველა. ქუჩები უბედურად წვრილია, ასე, ოთხი ადამიანი თუ გაივლის გვერდგვერდ. თან არ დაგავიწყდეთ, რომ გარშემო 5-6 მილიონი ისე დააბიჯებს, როგორც არაფერი. რის ვაივაგლახით ატრიალებს ველოს მძღოლი პედლებს, აქეთ-იქიდან ეს 6 მილიონი გიყურებს და თვალს არ გაცილებს, დავპატარავდი, სულ შევიჭყეყე რიქმში და იქიდან უკვე მე კი არა, ჩემი ორი შვილები თვალი იყურებოდა. უცებ დავინახე, გვერდზე მეორე ველო რიქმამ ჩავგვიარა, ოღონდ, იქიდან ოთხი შეშინებული თვალი და ჩანთაში ჩაჭყეყილი, მაგრამ ობიექტივით ამოშვრილი ფოტოაპარატი მოჩანდა. – უი, ნახე, ჩვენნაირები – ვუთხარი ლოტფის. ხმაურია, გარშემო მაღაზიებია, სადაც საჭმელები, ნაჭრები და მე რომ მიყვარს, ისეთი ბრჭყვიალპრილა სამკაულები იყიდება. შესვლა რომ მოგიწევს, ველოდან ჩამოსვლა არც დაგჭირდება, ფეხს გადაყოფ და მაღაზიაში

ხარ. მთელი გზა გრძობ, როგორ გადებენ ხელებს ფეხზე, ზურგზე, უცებ, ისე, რომ რეაგირებას ვერ ასწრებ, ანდა, რა უნდა ჰქნა?! „თეთრი ხარ, უცხოელი და შეხება უნდათო“. კარგაა, შეხება უნდათ, თურმე, მე? მინდა? ისე, ლოტფიც მაგ დღეშია. ცხელა... თან საშინლად ნოტიო ჰაერია და იცი, რამდენჯერ ვიფიქრე, ახლა გული არ უნდა წამივიდეს, არ უნდა წამივიდეს, არ შეიძლება! არა! ამ წვრილ ქუჩებში ყველას ისეთი დამხეცებული აქვს მოძრაობა, რომ სულ ტყუილად ველოდე, აი, ახლა ან ჩვენ ამოგტრიალდებით, ან ჩვენს წინ მიმავალები, ან ვიღაცას გადავჭყლეთ-მეთქი. ჯამა მასჯიდან ჩამოვედით. როგორც იქნა, ბრბოში გზა გავიკვლიეთ და ფეხშეველებმა ბევრი, ძალიან ბევრი ვიბოდიანლეთ. ჰო, არც აქ გაჭრა ამან: „წურნალისტი ვარ, გამიშვით-გამატარეთ“.

აქამდე მეგონა, ასეთი რამ მხოლოდ კიპლიგთან შეიძლება მომხდარიყო; ქუჩა, სახლები, მანქანები, რიქმები... ადამიანები მოძრაობენ. თავს ოდნავ თუ აწევ, სახლებზე, კედელ-კედელ მოსიერნე მაიმუნებს დაინახავ – „ფრთხილად იყავი, კარგად დაიჭირე ჩანთა, ეს მაიმუნები განვრთნილები არიან და რამე თუ მოგპარეს, მორჩა... ერთადერთი, მაიმუნ პოლიციელებს თუ გამოვიგონებთ, თორემ ისე, ამათ კაციშვილი ვერ დაიჭერსო“ – მითხრა ჩვენმა მასპინძელმა. მაგრამ დავიჭირე კი არა, სულ ცხრა-ცხრა ფენად შემოვიხვიე

კისერზე. არადა, მეგონა, სპილოებს უნდა ესეირნათ ქუჩებში. რალაც ძალიან იდიოტურად გამომივიდა, იმ დღეს აპარაჯიტას ვკითხე, სპილოების ნახვა მინდა და სად უნდა ვნახო-მეთქი? გაიკვირვა – ზოოპარკშიო; – ეგრე ხომ ნანახი მყავს, მე ზედ მინდა დაჯდომა, ზედ-მეთქი; რა ვიცი, აქ არ დადიანო – ისე მითხრა, გეგონება პარიზში ვიყავით.

ძველი დელიდან სასტუმროში ისეთი დაღლილები დავბრუნდით, რომ წინა დღეს ჩემი და ლოტფის გეგმები – ხვალ იაპონიის ელჩი მიღებას მართავს და აზრზე ხარ, რამდენ სუშის გვაჭმევნო, დავივინყეთ და ხმამაღულბლად მივფორთხდით ჩვენ-ჩვენ ოთახებთან. ტელევიზორი ჩავრთე, ჯერ საინფორმაციოს ვუყურე, დიქტორი რალაცას მთელი ემოციით მიყვებოდა და მეც ხმას ავუწიე – სირცხვილი, სირცხვილი და კიდევ ერთხელ სირცხვილი, სირცხვილი მუმბაის! მძღოლმა 9 წლის ბიჭს მანქანა დაარტყა და არ გააჩერაო! რაც მთავარია, გავარკვიე, რომ ბიჭი გადარჩა და სხვა არხზე გადავრთე. მთელი 10 წუთი ინდოელ წურნალისტთან ერთად იმას ვარკვევდი, თუ რატომ თქვა უარი სალმან ხანმა, ტუჩებში ეკოცნა აიშვარია რაისთვის ერთ-ერთ გადაღებებზე. რადგან მანც ვერაფერი გავარკვიე, ტელევიზორის ლილაკს თითი დავაჭირე და ჩახ რუხ ხანს ვუყურე, რომელიც ამერიკის დროშის ფონზე იდგა და „preety woman“-ს სულ ცეკვა-ცეკვით მღეროდა. ეე, ნავერიანმა



ხომ მკითხა, ეგ კლიპი როგორ არ გაქვს ნანახიო? მგონი, ნავერიანიც ინდური ფილმების ფანია, ხო იცი!

ვერ ნახავ ყურნალს ან ბილბორდს, რომელზეც ჩახ რუხ ხანი ან ამიტაბ ბაჩანი არ იყოს გაკრული. ჰა, ჰა, უკიდურეს შემთხვევაში, ამიტაბ ბაჩანის შვილი. სხვადასხვა კომპანიების და მათი პროდუქციის რეკლამას ეს სამეული აკეთებს – „რა ვიცი, აბა, რა გითხრა?! ჩახ რუხ ხანი ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით ევროპაში, აი, გერმანიაში ხომ საერთოდ, ნუ იტყვი... რა ნახეს ამ კაცში, მართლა ვერ ვიგებ“ – მითხრა რეჟისორმა ნარეშ შარმამ – „საერთოდ, ჩვენ კინოთი დიდ ფულს ვშოულობთ, წელიწადში ასე 400-600 ფილმს მაინც უშვებს ბოლივუდი. ვცვლით დეკორაციებს, მსახიობებს, ტანსაცმელს, ქვეყნებს, ვიღებთ შვეიცარიაში, ამერიკაში. ძალიან გვიყვარს მრავალფეროვნება, ოღონდ, გარეგნული მრავალფეროვნება, თორემ ისე, ყველგან ერთი შინაარსია. ზოგჯერ, იცი, რას ვფიქრობ, კიდევ კარგი ინგლისმა დაგვიპყრო და არა საფრანგეთმა. რატომ? ინგლისური საერთაშორისო ენაა და ახლა უკვე ყველას ვაგებინებთ, რა გვინდა. ჰო, ისე, ადრე თუ ინგლისმა დაგვიპყრო, ახლა მწერებმა შეგვჭამეს, მაგრამ...“ დიალოგში ლატივიელი რეჟისორი ჩაერთო, რომელმაც ჩინურ კინოზე დაიწყო ლაპარაკი, იმაზე, თუ როგორი პოპულარული გახდა

ჩინური კინო მსოფლიოში, როგორი წარმატებით იღებენ პრიზებს ჩინური ფილმები მსოფლიოს სხვადასხვა კინოფესტივალებზე, მაშინ, როცა ინდური კინო... მოკლედ, მრავალმნიშვნელოვნად დაასრულა, მიდი, ახლა შენ გააგრძელო. – „იცი, რას გეტყვი, ჩინეთი ჩვენზე დიდია და ჩვენ მას მერე ვართ, მაგრამ არა უშავს, ესეც დროის საკითხია. ჩინური ფილმები ცნობილია? ჩვენც გავხდებით ცნობილები! ჩინელები რალაცებს იგონებენ? ჩვენც გამოვიგონებთ! ყველაზე მთავარი ხომ შთაგონებაა, ჰოდა, ჩვენც ამ შთაგონებას ჩინეთისგან ვიღებთ, გვაცადეთ, ბატონებო, გვაცადეთ!!!“ – უპასუხა ნარეშმა. ამ პასუხის გამგონე ლატივიელი ცოტა დაიბნა და უკომენტაროდ, თეთრი ღვინის წრუპვა-წრუპვით დაგვტოვა. ჰო, ისე ერთი საინტერესო რამ გავარკვიე, რომ ინდოეთში არა მხოლოდ ბოლივუდი, არამედ... სახელი დამავინწყდა... ტოლივუდი თუ რალაც ამდგვარი ყოფილა. ისიც თავისი ვარსკვლავებით და დიდი, დიდი კინონარმოებით. აი, ასე.

მწერებზე გამახსენდა. ღამე მანქანით მოვიდი და ერთი უცნაური ნიშანი დავინახე. საგზაო ნიშანს ჰგავდა, მრგვალი, წითელი კანტი და შუაში გადასმული წითელი ხაზით. უბრალოდ, ვერ გავიგე ნიშანის შუაგულში რატომ ეხატა თვალზედაჭყეტილი კოლო! არა, არ შემშლდა, კოლო იყო! არ უკბინოთ – არ გიკბინოთ თუ... არ ვიცი! ღამე ფეხით გავლა

თითქმის შეუძლებელია. ადამიანებს ან დიდი მანქანების სახურავებზე სძინავთ, ან სულაც, ტროტუარზე. ზოგს თხელი ნაჭერი უფენია, ზოგი ისე, პირდაპირ წევს გაფარვარებულ ასფალტზე. თან ზუსტად ხვდები, ვისთან რა სიტუაციაა, ზოგ ადგილას სამნი წვანან: დედა, მამა, შვილი, იქით სადღაც მარტო კაცია, მარტოა და... იქით ქალი და ბავშვი... გარშემო კი მანქანები გრიალებენ და ასიგნალებენ, ღმერთო ჩემო, სულ ასიგნალებენ. ზოგჯერ მგონია, რომ მოსწონთ ეს ამბავი. ჩაჯდებიან თუ არა თავიანთ მანქანებში, ხელს აჭერენ სიგნალს და სანამ დანიშნულების ადგილამდე მივლენ, არც ერთი არ უშვებს ხელს. საგიჟეთია... უცებ გვერდზე ძროხა ჩაგივლის, იქვე დაინახავ, როგორ ბანს ტროტუარზე მამა შვილს თავს და ამ დროს, კიდევ მოტოციკლეტიანი ბიჭი ჰაეროვან კოცნას გიგზავნის! რა არის?!

ისე, იმ დღეს თავი ინდური კინოს გმირი მეგონა. ყოველი ფილმის ბოლოს ხომ, როგორც წესი, წვიმს და გმირები წვიმაში ფეხშველები დარბიან! ჰოდა, მეც ასე მომივიდა, საშინელი წვიმა წამოვიდა, დიდი ამბით ერთ-ერთ ბაზარში ვიყავი წასული, ხელი უნდა შემეღება ხნით. „ეს წვიმა კიდევ დიდ ხანს არ გადაიღებსო“ – მითხრა აპარაჯიტამ. არადა, ისევ რალაც მიღებზე გვაგვიანდებოდა. ნახევარი დელი ფეხშველებმა შემოვიარეთ და უცბად,



ისე მომინდა მათ ენაზე დამეწყო ლაპარაკი, იდოოტივით ვილიმებოდი და კაცმა არ იცის, რა მიხაროდა ასე ძალიან.

არ მინდა წასვლა! მაგრამ უკან ისე როგორ დავბრუნდე, რომ მსოფლიოს შვიდ საოცრებაში შესული ტაჯ-მაჰალი არ ვნახო?! აპარაჯიტამ რაღაც ტურისტულ სააგენტოში დარეკა და ჩემთვის ადგილი დაჯავშნა. დილის 7-ზე გამომიარეს. პატარა მანქანაა, აი, ჩვენ „მარშრუტებს“ რომ ვეძახით ისეთი. ჩემ გარდა კიდევ ხუთნი სხედან. უცნაურია, ყველა ინდოელია! ჩემსავით, ფოტოაპარატით და ზურგჩანთით მოდიან აგრაში. მერე გავარკვიე, ესენი ლოს-ანჯელესიდან ინდოეთში ჩამოსული ინდოელები არიან. რამდენიმე წლის წინ რომ წავიდნენ და ახლა – ჩემი ინდური ძალიან ცუდია, სულ დამავინცდა, oh, really-ს? cool-ს რომ გაიძახიან ყოველ მეორე წინადადებაში. 4 საათი ისე ვიარეთ, რომ არც ერთი ცარიელი მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი კი არა, მიწის მტკაველი არ შეგვხვდებოდა. სულ დასახლებული პუნქტებია, სულ! ჩახ რუხ ხანი და ბანანი აქაც არიან, რა თქმა უნდა! გზაში უცნაური სადალაქო დავინახე, აქამდე ასეთი არაფერი მინახავს. კაცს ქურჩაში გამოუტანია სკამი, კლიენტის მოლოდინში თავად ზის ზედ და ფეხები დაბალ კედელზე აქვს აწყობილი. კედელზე მომცრო ზომის სარკე ჰქვია და ერთი და-

განახათ, რა ოსტატურად ათამაშებს ხელში მაკრატელს – აბა, აბა, ვინ პირველიო...

ტაჯ-მაჰალს როგორც კი მივუახლოვდით, მანქანიდან გადმოგვსვს და ფეხით წავედით. მაგრამ იცი, რა... ტაჯ-მაჰალზე შეუძლებელია სიტყვით მოყვე, ხელით დანერო ან თუნდაც შესტების ენაზე გამოხატო რაიმე. ტაჯ-მაჰალი უნდა ნახო! ჩვენს იქ ყოფნაში ამინდი ცხრაჯერ მაინც შეიცვალა და ყოველ ჯერზე, ტაჯ-მაჰალის თეთრი მარმარილოს კედლები სხვადასხვა ფერად აკიაფდა. გიდი გვერდიდან არ მცილდებოდა და ინდური ინგლისურით მიჰყვებოდა რაღაცებს, ვუსმენდი, აბა რა მექნა?! ხომ ვერ ვეტყვოდი არ მესმის შენი ინგლისური და ჩუმად იარე ჩემ გვერდით-მეთქი?! რაც გავიგე, ის ისედაც ვიცოდი, რომ ეს სიყვარულის ტაძარია, რომ ის შაჰ ჯაჰანმა რიგით მესამე ცოლს – მუმთაზ მაჰალს აუშენა, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი, მეთოთხმეტე შვილის მშობიარობას გადაჰყვა. იქიდან აგრას ციხესიმაგრე დავლაშქრეთ და დალილები, მაგრამ ბედნიერები ჩავსხედით „მარშრუტკაში“. არასდროს მეგონა, რომ 4 საათი გაუჩერებლად შემძლო ლაპარაკი. წინ ვიჯექი და მარტო მე ვხედავდი, პერიოდულად როგორ ყვინთავდა საჭესთან ჩვენი მძღოლი. შიგადაშიგ დამფრთხალი თვალებით გადავხედავდი ხოლმე უკან მსხდომ მგზავრებს და ჩუმად ვანიშნებდი – ვილუპებით, ეძინება-მეთქი. ისინი

კი მხრებს იჩენდნენ – არ ვარგა ეგო. ჰოდა, მეც მთელ ხმაზე გავკოდი, აღარ მახსოვს რას და როგორ, ოღონდაც კი, იმ მძღოლის ყურადღება მიმექცია და ის შავი კაცი თვალდახუჭული აღარ დამენახა.

ძლივს მოვასწარი სასტუმროში მისვლა, ბარგის აღება და აეროპორტში გავარდნა. გიჟივით შევვარდი ინდირა განდის სახელობის აეროპორტში. – „belly dancer?“ – მკითხა აეროპორტის მოსამსახურე პერსონალმა, არა-მეთქი – ვუპასუხე, მაგრამ საკუთარ თავს სარკეში რომ შევხედე, ცოტა შემეშინდა, აღარაფერი მეცხო ძველი სალომესი. გული დამწყდა, რომ მოვდიოდი, მაგრამ საკუთარი თავი მაინც ვანუგეშე, ან წინა ცხოვრებაში ვიყავი ინდოელი, ან მომავალში ვიქნები-მეთქი და ბარგი ჩავაბარე.

P.S. ისევ აქ ვარ. თვითმფრინავს რაღაც სჭირს და ცოტას ხომ დაგველოდებითო – გვკითხეს მგზავრებს, – აბა, რა ჯანდაბას ვიზამთო – ვუპასუხეთ ისევ ერთხმად.

ნავერიანს ფოტო ვერ ჩამოვუტანე, მიტხუნ ჩაკრაბორტი ვერ ვნახე. სამაგიეროდ, ბევრ ინდურ ფილმს ვუყურე და ჩემთვის, ისევ ისეთი სარკეებიანი კაბა და შარვალი ვიყიდე. ჰო, ჩემს ფოტოს კაცს ტელეფონით ვკითხე – ერთ კარგ ტაჯ-მაჰალს ხომ ამიშენებ-თქო და კიო – მიპასუხა.

Panasonic
ideas for life

DECT

*გუნდათ უსაზღვრო
სხუნა შენთან!*



პლ.წახეზვერის გამზირი, 9ა
ფონ: 381421 913018 250341



www.mze.com.ge
www.panasonic.com.ua



A NEW YORKER HUMOR REVIEW





1998 წელს დევიდ რემნიკი ამერიკის ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალის, „ნიუ-იორკერის“ რიგით მეხუთე რედაქტორი ხდება. მის არჩევას ამ პოსტზე ჟურნალის თანამშრომლები 5 წუთიანი ტაშით ხვდებიან. 9 წლიანი რედაქტორობის მანძილზე, რემნიკმა მოახერხა ის, რომ თითქმის საუკუნოვანი ტრადიციისა და უნიკალური გამოცდილების ჟურნალი, რომელიც ამერიკის კონტრკულტურას თუ ლიტერატურულ პროცესებს განსაზღვრავდა, კიდევ უფრო აქტუალური და ავტორიტეტული გაეხადა კრიტიკული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. რემნიკის რედაქტორობის პერიოდშივე მიაღწია ჟურნალის ტირაჟმა მილიონ ეგზემპლარს.

„არა მგონია, „ნიუ-იორკერი“ ოდესმე უკეთესი ყოფილიყოს. უფრო საინტერესო, უფრო წარამტებელი. კვირიდან-კვირამდე დევიდი ახერხებს თავი მოუყაროს საინტერესო მწერლებისა და ისტორიების საუკეთესო კომბინაციას, მარგინალურიდან მეინსტრიმამდე. ამის კეთება კი, იოლი არ არის. როცა „ნიუ-იორკერი“ იწყებოდა, მაშინ ბევრი სხვა კარგი ჟურნალი გამოდიოდა. ახლა ასეთი ჟურნალები ძალიან ცოტაა და ეს ცოტაც – გადაშენების პირას. დევიდისნაირი რედაქტორები, ალბათ, აღარც არსებობენ“ – ამბობს მაიკლ სპექტერი, რემნიკის დიდი ხნის მეგობარი, კოლეგა და ჟურნალის ერთ-ერთი ავტორი.

„ნიუ-იორკერის“ ჟურნალისტურ გამოძიებებზე დაყრდნობით, „ნიუ-იორკ თაიმსი“ ხშირად აკეთებს ხოლმე საპასუხო საგაზეთო სტატიებს ამერიკის ადმინისტრაციის „ინსაიდერულ“ ახალ ამბებზე ან უცხოეთის რეპორტაჟებზე ერაყიდან და ავღანეთიდან. „რატომ არის ერაყი ბუშის საერთაშორისო მოკავშირეების პოლიტიკური სიკვდილი“, ან „როგორ ცვლის ამერიკა ირანთან ურთიერთობის პოლიტიკას“ – „თაიმსის“ ეს შედღაინები პირდაპირ პასუხობს ხოლმე „ნიუ-იორკერის“ გამოძიებებს. „ჩვენ კონკურენტები ვართ, მაგრამ ეს მიღებული პრაქტიკაა. იმდენად ხშირად ვხდებით წყარო „თაიმსისთვის“, რომ როცა ეს არ ხდება, თან გაზეთის პირველ გვერდზე, უკვე გვიკვირს ხოლმე და ვბრაზდებით, რომ ჩვენი თემა არ განავრცეს, ანუ არ ჩათვალეს საკმარისად მნიშვნელოვნად“ – ამბობს რემნიკი – „თუმცა, „ნიუ-იორკ თაიმსი“ ხომ არ არის ვალდებული „ნიუ-იორკერის“ ქსეროქსის მანქანა იყოს?

დინოზავრი თაიმს სკვერზე

შეხვედრა ჟურნალ „ნიუ-იორკერის“ რედაქტორთან, დევიდ რემნიკთან

ავტორი: შოკრანა შავერდაშვილი

„ისი, ძვირფასო, ახლა რას მჭირდება, კონკრეტულად 10,000 სიტყვიანი სტატიის წაკითხვა“

„ეს არის უფრნალი, რომელიც 10,000 სიტყვიანი სტატიებს აქვეყნებს აფრიკის რესპუბლიკებსა და საპენსიო სისტემაზე, სადაც თითქმის არ არის სურათები და თავიდან ბოლომდე შავ-თეთრია. როგორ იყიდება „ნიუ-იორკერი“ კვირაში მილიონ ეგზემპლარზე მეტი? – წერს გაზეთი „გარდიანი“.“

ეს ის კითხვაა, რომელზე პასუხიც არავის აქვს. თუ რემნიკის წინამორბედი, თინა ბრაუნი 80-იანების და 90-ების ამერიკის სულისკვეთებას პასუხობდა და სამსახურში მხოლოდ პოპულარული მწერლები აპყავდა უზარმაზარ ჰონორარებზე, უფრნალის პრომოუშენისათვის ცნობილი ადამიანების სალამოებს მართავდა (რამაც უფრნალს წლიური 20 მილიონიანი დანაკარგი მოუტანა) და უარს ამბობდა ყველა სტატიანზე,

რომელიც ტრენაჟორზე ვარჯიშის დროს მის ყურადღებას ვერ იპყრობდა, რემნიკმა კი საერთაშორისო რეპორტაჟები, სუბკულტურებისა და მარგინალური თემების კვლევები დაამატა უფრნალს. ეს მაშინ, როცა სატელევიზიო ახალი ამბები ამერიკაში სამომხმარებლო, გასართობი ხასიათის გახდა და სულ უფრო ნაკლებად აშუქებდა გლობალურ მოვლენებს. „ჩემი გამოცდილება რეპორტიორის და უცხოეთის კორესპონდენტის გამოცდილებაა, მაგრამ რთულია, განასხვავო შენი ბუნებრივი მიდრეკილებები იმისაგან, რასაც დროის მოთხოვნა ჰქვია. ჩემი რედაქტორობის პერიოდი კრიზისს დაემთხვა – გახანგრძლივებულ, ჩახლართულ, ტრაგიკულ, თითქოს დაუსრულებელ კრიზისს, რომელიც მოიცავს 11 სექტემბრის პრეისტორიას, 11 სექტემბერს, ერაყს, ავღანეთს, დაძაბულ ურთიერთობებს ამერიკასა



დარბაზიდან ერთად გამოვდივით, ყველას ზრდილობიანად, მაგრამ ნიშნის მოგებით ვულივოდი, განსაკუთრებით, რემნიკის ასისტენტებს. ასე აღმოვაჩინე სრულიად მოულოდნელად, სრულიად აშჩიკრებული, უახლოეს „სტარბაქსში“ დავიდ რემნიკთან ერთად, მთელი საათით და 10 წუთით!



და თითქმის მთელ დანარჩენ მსოფლიოს შორის“ – ამბობს რემნიკი და ამით, თავის პრინციპულ გადანყვეტილებაზე მეტად, დროსთან თითქოს ბუნებრივ ადეკვატურობას უსვამს ხაზს. როგორც „ნიუ-იორკერის“ ერთ-ერთი ავტორი, მალკომ გლედველი აღნიშნავს, „ჩვენ, მოულოდნელად, ძალიან სერიოზულ დროში ვცხოვრობთ, სადაც გაჩნდა მოთხოვნა სერიოზული მოვლენების სერიოზულ გააზრებაზე“.



ისევ „გარდიანი“: „თუმცა, როგორ შეიძლება რემნიკის სარედაქციო სტრატეგიას ბუნებრივი ვუნდოთ, მაშინ, როცა მას სხვა არავინ მიმართავს? რაც არ უნდა ხშირად აკრიტიკებდეს თავის წერილებში პრილა უურნალის, „Vanity Fair“-ის რედაქტორი, გრეიდონ კარტერი ბუშის ადმინისტრაციას, მას მაინც ხშირად უწევს გარეკანის ვარსკვლავის „ბიკინებში“ გადაღება. მაშინ, როცა გამომცემლობა „კონდე ნასტის“ სხვა სართულზე („კონდე ნასტი“ ორივე ზემოხსენებული უურნალის მფლობელია –

შ.შ.), „ნიუ-იორკერს“ გარეკანზე სეიმორ ჰერშის გამოძიებები გამოაქვს და მაინც, წლიური 10 მილიონი მოგება აქვს. პოპ-კულტურის აღზევების ხანა არანაირად არ დასრულებულა და როგორ ახერხებს რემნიკი ამას?

რემნიკს კარგად ესმის ამ მოჩვენებითი მისტერიის, ამიტომაც, სარედაქციო გადაწყვეტილებების მისაღებად ფოკუს-ჯგუფებს არასოდეს იყენებს. როგორც თვითონ ამბობს, გენიოსობა არ სჭირდება იმის მიხედვრას, რომ

მისი მკითხველების ასი პროცენტი, სამსახურიდან სახლში დაბრუნების მერე, გასაღებს არ დადებს და არ იტყვის, „იცი, ძვირფასო, ახლა რაც მჭირდება, კონგოზე 10,000 სიტყვიანი სტატიის წაკითხვაა“. „ასე რომ, ბეჭდავ ამას და იმედი გაქვს, რომ რასაც დაუყოვნებლივ გადახედავს მკითხველი, კომიქსები, უფრო მოკლე სტატიები და კულტურული მოვლენების მიმოხილვებია. მერე, მეორე დღით, სამსახურისაკენ მიმავალ გზაზე, ვილაც ამ



2

- 1. რამენიკი მეულლესთან ერთად;
- 2. რამენიკი და სეიმორ ჰერში „ნიუ-იორკერის“ 2007 წლის ფესტივალზე;
- 3. ვუდი ალენთან;
- 4. ჯონ სტიუარტთან;
- 5. რამენიკი მისი ბოლო წიგნის „რეპორტაჟები“ პრეზენტაციასთან;
- 6. ორჰან ფაშუქი რამენიკთან და მის მეულლესთან ერთად;
- 7. ჰილარი კლინტონთან და ალექ ბოლდვინთან ერთად;
- 8. ბარი კასპაროვთან „ნიუ-იორკერის“ 2006 წლის ფესტივალზე;
- 9. ჯონ აბლაიკთან ერთად

1



3



4



5



6



7



8



8



9



1987 წელს რედაქციაში გამოაკრეს შეტყობინება, რომ „ვაშინგტონ პოსტი“ „კერინგტონის“ გამო აფართოვდა თავის მოსკოვის ბიუროს. შობა რუსული უკვე ვიცოდი და კალიან მიხედოდა მეტი მისწავლა, თან იქ წასვლა არავის უნდოდა, კალიან სივამო. ასე რომ, მოსკოვში 1988 წლის იანვარში გავიგებავარ და ღაბრუნდები გავიგე, როცა კრემლიდან საბჭოთა კავშირის დროზე ჩამოსხნეს.

წერილსაც გადაეყრება და, მისი სიგრძის მიუხედავად, თავიდან ბოლომდე წაიკითხავს“ – ხსნის რემნიკი. ასე რომ, ის, რაც ერთი შეხედვით ელემენტალური ლოგიკაა, რემნიკის ყველაზე ნარმატიული ექსცენტრიზმია.“

„პოსტის“ რედაქციური, მოსკოვის ბიურო, კულინარის კრემია, მუჰამედ ალი და სხვა

დევიდ რემნიკი პილსაიდში, ნიუ ჯერსიში, ებრაელების ტრადიციულ ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები სტომატოლოგი და სკოლის მასწავლებელი იყვნენ და გარანტირებული უზრუნველი მომავლისათვის, უნდოდათ, დევიდი ან ექიმი გამხდარიყო, ან იურისტი. ცხადია, სახლი სავსე იყო ნიგნებით. მრავალხმრივი ინტერესები ბავშვობიდან ჰქონდა. „ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ არ შეიძლებოდა ერთდროულად უოლტ უიტმენი და ნიუ-იორკის ბეისბოლის გუნდი მოგწონებოდა. ასეთი ტიპის დიქტომია ყოველთვის ხელოვნურად მეჩვენებოდა. თუ ლიტერატურა გიყვარს, არ შეიძლება სპორტიც გაღელვებდეს. რაც სრული აბსურდია“.

პრინსტონის უნივერსიტეტის „შედარებითი ლიტერატურის“ ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, რემნიკმა 10 წელი „ვაშინგტონ პოსტში“ გაატარა. ამ დროს ის წერდა გაზეთის „მეტროს“, „სტილის“ და „სპორტის“ სექციებისთვის. მისი პირველი წერილი მწერალ ტრუმან კაპოტეს ძალიან დახვეწილი და ღრმად გააზრებული პორტრეტი იყო. რემნიკის ცხოვრება რადიკალურად მას მერე შეიცვალა, რაც ის 1988 წელს „ვოშინგტონ პოსტის“ მოსკოვის ბიუროს კორესპონდენტი გახდა. ის ამ პოსტს ნაწილობრივ პირადი ინტერესის გამოც დათანხმდა – მისი ორივე ბაბუა რუსი-ებრაელი იყო და ენის სწავლა და თავისი წარმომავლობის უკეთ გააზრება უნდოდა. ქორწინებიდან 2 თვის თავზე, რემნიკი და მისი მეუღლე, ეშერ ფეინი, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი მოსკოვში გადაბარგდნენ საცხოვრებლად. დევიდმა მოსკოვში 4 წელი გაატარა, საიდანაც საბჭოთა კავშირის ნგრევაზე წერდა სტატიებს და ამ პერიოდის ისტორიის უნიკალური პუბლიცისტური კა-

ლეიდოსკოპი შექმნა. მან ყველა დროის ყველა ჟურნალისტის რეკორდი მოხსნა, როცა „ვაშინგტონ პოსტის“ ერთ ნომერში სამი სტატია ჰქონდა და სამივე პირველ გვერდზე. სამივე ერთი ქვეყნიდან – საბჭოთა კავშირიდან.

მისმა პირველმა ნიგნმა, „ლენინის სამარხი: საბჭოთა იმპერიის უკანასკნელი 10 დღე“ რემნიკს 1994 წლის პულიცერის პრემია მოუტანა. 3 წლის თავზე დაწერა მეორე ნიგნი რუსეთზე – „აღდგომა: ბრძოლა ახალი რუსეთისათვის“, რომელიც უკვე ელცინის რუსეთზე მოგვითხრობს.

„ვაშინგტონ პოსტის“ შეფასებით, „რემნიკს აქვს უნიკალური ნიჭი საჯარო პირებზე წეროს ისე, რომ მკითხველი ბოლომდე ჩანვდეს მათ გულსა და გონებას და, ამავდროულად, ზუსტად და ნათლად აღწეროს ის ისტორიული თუ კულტურული კონტექსტი, სადაც ეს ადამიანები ცხოვრობენ“. მაიკ ტაისონი, ალ გორი, ტონი ბლერი, ვლადიმირ პუტინი, ალექსანდრ სოლჟენიცინი, ვაცლავ ჰაველი, ბენიამინ ნეთანიაჰუ, იასირ არაფატი, ამოს ოზი, ქეთრინ გრევიჰამი, – ეს პროფაილები და ესეები „ნიუ-იორკერში“ სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა და „რემნიკის სხვა საუკეთესო სტატიებთან ერთად, მის ბოლო ნიგნში, „რეპორტაჟები: წერილები ნიუ-იორკერიდან“ არის თავმოყრილი.

ის წერს ყველაფერზე, რაც აინტერესებს – პოლიტიკა, სპორტი, ისტორია, რუსეთი, ახლო აღმოსავლეთი, ლიტერატურა. „30 წლების ინტელექტუალიზით ხარ: ყველაფერზე წერ, დაწყებული პოლიტიკიდან ბოქსით დამთავრებული“ – უთხრეს რემნიკს ერთ-ერთ ინტერვიუში. „ბოქსი შემთხვევითი ამბავია, უბრალოდ შეუძლებელია მუჰამედ ალით არ მოიხიბლო და მისი ფენომენი ჯეროვნად არ შეაფასო“- უპასუხა მან.

აქვე, ინსპირაციისათვის, ამონარიდი ნიგნიდან: „მუჰამედ ალი და ამერიკელი გმირის აღზევება“:

„ალი ამერიკული მითია, რაც უამრავი ადამიანისათვის ბევრ რამეს ნიშნავს: სიმბოლო რწმენის, სიმბოლო თავდადების და უკომპრომისობის, სიმბოლო მშვენიერების, ტაქტიკისა და გამბედაობის, სიმბოლო რასობრივი სიამაყის, მჭერმეტყველების და სიყვარულის. ალის ფიზიკური მდგომარეობა

შოკის მომგვრელია, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ის აჩქარებული ფორმა იმისა, რისიც ჩვენ ყველას გვეშინია – სიბერის პროგრესის, ცხოვრების საფრთხისა და მოულოდნელობის. ალიში ჩვენ იმ ადამიანის სისუსტეს ვხედავთ, ვისი საქმეც პლანეტის ყველაზე უშიშარ ადამიანად ყოფნა იყო. მაგრამ ალის ავადმყოფობის ამბავი არახალია და აღარც ისეთი განსაცვიფრებელი, და მოუხედავად იმისა, რომ მისი მოძრაობები ხისტია და საჯარო გამოსვლებიც თითქმის აღარ აქვს, ის მაინც ახერხებს, შთააგონოს ყველა ადამიანი ყველა აუდიტორიაში თუ სცენაზე, ყველა სტადიონზე, ყველგან, სადაც მიდის. ვიდრე ალი გადასახლებიდან დაბრუნდებოდა და ხელახლა მოიპოვებდა ჩემპიონის ტიტულს, მისკენ მიმართული თითქმის მთელი აგრესია განელდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ბევრი ხედავდა, როგორი გულწრფელი იყო, მოუხედავად იმისა, მისაღები იყო თუ არა მათთვის „ისლამური ნაცია“. ის აცინებდა მათ. და ბოლო-ბოლო, დრო შეიცვალა, მართლა შეიცვალა, ან ზოგიერთები შეიცვალნენ....

როცა ლისტონის და პატერსონის ორთაბრძოლებს ვუყურებდით, ვკითხვ, როგორ გინდა, რომ დაამახსოვრდე ხალხს-მეთქი. მაშინ არ მიპასუხა. მოგვიანებით, როცა ჯერ კიდევ შექმლო ლაპარაკი, ალიმ ამ კითხვაზე უპასუხა: „გეტყვით, როგორი მინდა, რომ გახსოვდეთ: როგორც შავკანიანი, რომელმაც მოიპოვა ჩემპიონობა მძიმე წონიანებში, ვისაც იუმორის გრძნობა ჰქონდა და ყველას კარგად ექცეოდა. როგორც კაცი, რომელიც ზემოდან არასოდეს არ უყურებდა მათ, ვინც მას აღმერთებდა და რომელიც დაეხმარა თავის ხალხს იმდენად, რამდენადაც შექმლო – როგორც ფინანსურად, ისე თავისუფლებისთვის, სამართლიანობისთვის და თანასწორობისთვის ბრძოლაში. როგორც კაცი, რომელიც არასოდეს შეარცხვენდა მათ. როგორც კაცი, რომელმაც ისლამის მეშვეობით სცადა მათი გაერთიანება. და თუ ძალიან ბევრს ვითხოვ, მაშინ დავეჯერდები იმასაც, თუ მომიგონებენ როგორც გენიალურ ბოქსიორს, რომელიც თავისი ხალხის მქადაგებელი და ჩემპიონი გახდა. და არა უშავს, თუ დაავინწყდებით, როგორი ლამაზი ვიყავი.“

რემნიკის კითხვისას ხედები, რომ მისი სტატიების გმირები, მუჰამედ ალის მსგავსად, თითქმის ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, ისინი ვიზიონერები არიან, ცვლიან სამყაროს თავის გარშემო და მკითხველისთვისაც ინსპირაციის წყარო ხდებიან.



„მე არ ვაბრძობ მარჯებს, არ ვთევზაობ, არ ვთავაშობ გოლფს, არ ვაქითებ იმას, რასაც სხვაბი აქითებან. მე ვკითხულობ, ვნერ, დროს ვატარებ მეგობრებთან და ოჯახთან ერთად და ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელოა, კისის სომის ნარჩენია“

შენხედრა ალტარ-მგოსთან

დევიდ რემნიკთან შეხვედრაზე არც მიოცნება. მაგრამ „ნიუ-იორკის“ ფესტივალზე მივდიოდი და რადგან მაქსიმალისტი ვარ, ვიფიქრე, იქნებ რემნიკთან ინტერვიუც მეცადამეთქი. ყველა წესის დაცვით ავანიოკე მისი პირადი სამდივნო, ჟურნალის „პარისა“ და ფესტივალის საორგანიზაციო სამსახურები. ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს, მაგრამ, იქნებ, რამე მოგიხერხეთო. თბილისშიც და ნიუ-იორკში ჩასვლის მერეც, მოთმინებით ველოდი პასუხს დეტალებით, „ინტერვიუ ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე, აქა და აქ“. თუმცა ი-მეილი არ ჩანდა. მაგრამ, ვიდრე ხელს ჩავიქნევი, ფესტივალის ერთ-ერთი ღონისძიების მერე, ჟურნალის ვეტერანი მკითხველების და რემნიკის ნაცნობების ალყა გავარღვიე და ინტერვიუ პირდაპირ ვთხოვე. „ქართველი ჟურნალისტი“ სტატუსმა გაჭრა. „с УДОВОЛЬСТВИЕМ“, რუსულად მიპასუხა. ეს კვირა მძიმე მაქვს, ახლა ხომ არ გცალია, ნახევარი საათით ყავაზე დაგპატიჟებდიო. რატომღაც..!

დარბაზიდან ერთად გამოვედი, ყველას ზრდილობიანად, მაგრამ ნიშნის მოგებით ვუღიმოდი, განსაკუთრებით, რემნიკის ასისტენტებს, რომლებიც გაკვირვებას ვერ მალავდნენ მისი გეგმების ასეთი მოულოდნელი შეცვლის გამო და ხელში რაღაც ქაღალდებს აჩერებდნენ. ასე აღმოვჩნდი სრულიად მოულოდნელად, სრულიად აუტირებული, უახლოეს „სტარბაქსში“ დევიდ რემნიკთან ერთად, მთელი საათით და 10 წუთით!

“ვაქითებ იმას, რას მგონია, რომ არსებობს. მხოლოდ ამის ქარბად კითხვისთვის მაქვს დრო” – რემნიკი. ინტერვიუ.

რით იყო საინტერესო მოსკოვის პერიოდი თქვენს ცხოვრებაში?

რემნიკი: მოსკოვი გაგანია „პერესტროიკის“ დროს ვიყავი. ხალხი, ვისაც მაშინ ვიცნობდი, ან უკვე გარდაცვლილები არიან, ან საზღვარგარეთ გადახვენილები, პენსიაზე გასულები ანდა, ციხეში გამომწყვედეულები. სა-

ქართველოსთან ახლა კიდევ უფრო ნაკლები მაკავშირებს. ერთადერთი, ამ ბოლო დროს სააკაშვილის რამდენიმე შეხვედრაზე ვიყავი აქვე, ვაშინგტონში. თქვენი პრეზიდენტი რიჩარდ ჰოლბრუკის ფანი ჩანს... თუმცა, ვიცი, ჩემთან საქართველოზე სალაპარაკოდ არ მოსულხარ, ამიტომ გისმენ.

ისევ მოსკოვს რომ დაუბრუნდეთ.....

რემნიკი: ჰო, ახლა 48 წლის ვარ. „ვაშინგტონ პოსტი“ რომ ვმუშაობდი, ოცდარაღაცა წლის ვიყავი. ვნერდი სპორტზე, კრიმინალურ ქრონიკაზე, ჟურნალებზე და რაზე აღარ. 1987 წელს რედაქციაში გამოაკრეს შეტყობინება, რომ „ვაშინგტონ პოსტი“ „პერესტროიკის“ გამო აფართოებდა თავის მოსკოვის ბიუროს – ერთი კაციდან ორ კაცამდე. ცოტა რუსული უკვე ვიცოდი და ძალიან მინდოდა მეტი მესწავლა, თან, იქ წასვლა არავის უნდოდა, ძალიან ცივაო. ასე რომ, მოსკოვი 1988 წლის იანვარში გავემგზავრე და დავბრუნდი მაშინ, როცა კრემლიდან საბჭოთა კავშირის დროშა ჩამოხსნეს. ჩემი იქ ყოფნის დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორც საბჭოთა იმპერიაზე და მოყანყალებულ სისტემაზე დაკვირვება, ისე უკრაინის, ბალტიისპირეთის და საქართველოს ეროვნული მოძრაობების პროცესების გააზრება. მარტო საქართველოში, ალბათ, 10-ჯერ ვარ ამ პერიოდში ნამყოფი.

ფანტასტიკური დრო იყო. რუსეთში ყოფნა მაშინ ველურ დასავლურ ფილმში ყოფნას ჰგავდა. ჩადიხარ მეტ-ნაკლებად მშვიდობიან იმპერიაში (გამონაკლისებს არ ვგულისხმობ), რომელიც იშლება, იცვლება და იხსნება დანარჩენი საყაროსათვის ისე, როგორც არასოდეს. ყველას უნდოდა და მზად იყო ამაზე ელაპარაკა. მაშინ, როცა ვაშინგტონში, გაცილებით რთული იყო ჟურნალისტიკისათვის მუშაობა. ველაპარაკებოდი არა მხოლოდ ლიბერალური ინტელიგენციის 4-5 წარმომადგენელს, არამედ „პოლიტიუროს“ წევრებს, „ცეკაკაპავესის“ ხალხს, არაფორმალებს, გლეხებს, ყველას. ეს აბუღადის „მონანიების“ პერიოდი იყო. ზოგადად, მონანიების პერიოდი. ასე

რომ, ჩემი ინტერვიუების და მოგზაურობის წყალობით, იმპერიას მისი ყველა კუთხე-კუნჭულიდან ვაკვირდებოდი.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ დასავლური პრესის ძალიან მცირერიცხოვანი კორპუსი იყო მოსკოვში. 2-3 კაცი „ნიუ-იორკ თაიმსიდან“, 2 კაცი „ვაშინგტონ პოსტიდან“, სააგენტოების ხალხი. მაშინ, როცა რამდენი კორესპონდენტი მუშაობს კონგრესში? უამრავი. ასე რომ, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ახალი ამბავი თავიდან ბოლომდე მე მეკუთვნოდა. მეკუთვნოდა არა, მაგრამ რეპორტიორისთვის სამოთხე იყო მაშინდელი საბჭოთა კავშირი. შეგეძლო შენი სახლის წინ სკამზე მჯდარიყავი და მხოლოდ ადგილობრივი გაზეთების, „მოსკოუ ნიუსის“, „იზვესტიას“ და „ლიტერატურნაია გაზეტას“ კითხვითაც კი, სახლიდან ფეხის მოუცვლეულად, დღეში 2 სტატია დაგენერა. და სხვათა შორის, მაშინ გაცილებით საინტერესო პრესა იყო რუსეთში, ვიდრე ახლა. მაშინ იწყებოდა „ეხო მასკვიც“. რეგიონული რეპორტაჟები გაცილებით სუსტი იყო – ინტერნეტიც მაშინ იდგამდა ფეხს. ახლა თუ შეგიძლია მოსკოვში იჯდე და მთელი რეგიონის ახალი ამბებს ინტერნეტით ლეზულობდე, ჩემს დროს ინტერნეტი არ ფუნქციონირებდა, ამიტომ, 14 რესპუბლიკას ერთნაირად კარგად ვერ ვაშუქებდით.

მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, ვიცი, რომ მზად ვიყავი და მინდოდა, წიგნის დაწერა საბჭოთა კავშირის ნგრევაზე. „ლენინის სამარხი“ 10 თვეში დავწერე.

მისი კითხვისას, ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ „ინსაიდერის“ დანერვილია.


რემნიკი: ჰო, რაღაც პერიოდის მერე, სტუმარი აღარ ხარ. როგორც ახლა შენ მოხვედი მეშვიდე ავენიუდან მეხუთეზე, მეც ასე დავდიოდი მოსკოვის ქუჩებში. მოვმინაურდი. თუმცა, ადგილობრივი ვერასოდეს ხდები. ამის ილუზია არ უნდა გქონდეს. ისე კი, უდავოდ ფანტასტიკური წლები იყო და თუ რამე შეცვალა ჩემი ცხოვრება რადიკალურად, ეს მოსკოვია.



Hundertwasser



Frank Lloyd Wright



Gaudi



Le Corbusier



Axis

www.axis.ge

THE
NEW YORKER
Festival
October
5|6|7



თავისუფლების ამარა

ავტორი: შორენა შავერლაშვილი

“ცხელი შოკოლადის” წინა ნომერში უურნალ “ნიუ-იორკერის” ფესტივალზე მოგიყევით და დაგპირდით, სალმან რაშდის და ორჰან ფამუქის საუბრის ჩანაწერს “თემაზე” სამშობლო, შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ-მეთქი. ვასრულებ პირობას.

მიყვარს, როცა ადამიანი აზროვნების პროცესში გრთავს და მგლის თავზე სახარებას კი არ კითხულობს, შენც მოაზროვნე ადამიანად მიაჩნისარ, თავის შეხედულებებსა და მოსაზრებებს ისე განვდის, როგორც თანასწორს და ფიქრის შანსს შენც გიტოვებს. სწორედ ასეთი მოსაუბრე აღმოჩნდა ორჰან ფამუქი და სრულიად მოვიხიბლე. თუ მის წიგნებში ნელ-ნელა, აუჩქარებლად იქარგება სიტყვები და ყველაფერს ნოსტალგიური და სევდიანი ელფერი დაჰკრავს, საუბრის დროს ის ჩქარობს, ხმაურობს, ბრაზობს, აპროტესტებს, ქაოტურ აზრებს აყალიბებს და ასოციაციებისთვის თანმიმდევრობის მიცემას ცდილობს. ასეთი კონტრასტი წარმოსახვით ფამუქსა და “რეალურ დროში” მოსმენილ ფამუქს შორის ნამდვილად მოულოდნელი იყო. თუმცა, ნობელის ლაურეატი მწერალი საუბარშიც უამრავჯერ უბრუნდება ერთსა და იმავე აზრს და სათქმელს რუდუნებით ქარგავს.

რაშიღი, მეორეს მხრივ, რაფინირებული მოსაუბრეა. მოზომილი შეფასებები, მოზომილი ტემპერამენტი და ბევრი ცინიზმი! რაშიღი, ფამუქისგან განსხვავებით, საკუთარ აზრებში არასოდეს იხლართება. ის მკაფიოდ და ლაკონურად აყალიბებს სათქმელს.

“ნიუ-იორკერის” ფესტივალის ლიტერატურული საღამოების ფარგლებში შედგა ეს შეხვედრა. მწერლები საუბრობენ “მშობლიურზე”, “შინ” დარჩენისა და “გზაზე დადგომის” ურთიერთსაწინააღმდეგო ვნებებზე, ანარქისტობასა და პასუხიმგებლობაზე, ლიტერატურასა და აზროვნების სანყისებზე.



სტატიის ბენეფალური სპონსორია ფარმაცევტული კომპანია „ჯინისი“ და ლიტერატურული კონკურსი „წარი“



რეპორტაჟები შეერთებული შტატებიდან მომზადდა „თი ზი სი“ ბანკის მხარდაჭერით





საუბარი მწერლებს შორის: სალმან რაშდი და ორჰან ფამუქი თემაზე – სამშობლო. საუბარს უძღვება “ნიუ-იორკერის” ლიტერატურული რედაქტორი

ორჰან ფამუქი 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში. ის უმეტესწილად სტამბოლში ცხოვრობს და თურქეთის წამყვანი მწერალი და სპიკერია. მოქმედება მის ბესტსელერ რომანებში – მათ შორის, “ჩემი სახელია ნითელი”, “შავი წიგნი” და “თოვლი” თითქმის ექსკლუზიურად თურქეთში ვითარდება და მათში ხშირად ისმის კითხვები კულტურულ და რელიგიურ იდენტობაზე, თურქეთის ისტორიასა და აწმყობაზე. მეშუარში – “სტამბოლი: ქალაქის მოგონებები” და ესეების ბოლო კრებულში – “სხვა ფერები” ფამუქი თავისი თანამემამულეების დაუფინყარ სახეებს ქმნის. იმავდროულად, მას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს თავის სამშობლოსთან. მისი გულწრფელობისა და საჯარო გამოსვლების წყალობით, ხშირად თავდასხმის ობიექტი ხდება, როგორც პრესის, ისე ნაციონალისტური ჯგუფების მხრიდან. 2005 წელს, ფამუქის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მისი ერთ-ერთ საჯარო გამოსვლის გამო, სადაც მან ოტომანების იმპერიას სომხების გენოციდში დასდო ბრალი. საქმე მოგვიანებით დაიხურა, მაგრამ მის წინააღმდეგ მიმართულმა აგრესიამ და თავდასხმების შიშმა, ფამუქი აიძულა მშობლიურ ქალაქში პოლიციის დაცვის ქვეშ ყოფილიყო.

სალმან რაშდი დაიბადა ბომბეიში, განათლება ინგლისში მიიღო. პაკისტანში

ცხოვრობდა იქამდე, ვიდრე საბოლოოდ ლონდონსა და ნიუ-იორკში არ დაიდო ბინა. მისი მეოთხე რომანი “სატანური სტროფები”, რომელიც 1998 წელს გამოქვეყნდა და ნაწილობრივ, მუჰამედის ცხოვრებით იყო შთაგონებული, ლონდონში მცხოვრებ 2 ინდოელ ემიგრანტზე გვიყვება. რაც ამ წიგნის გამოქვეყნებას მოჰყვა, ყველას კარგად მოგეხსენებათ – მუსლიმურმა სამყარომ ის ღვთის შეურაცხყოფად შერაცხა და აკრძალა. დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები, ირანის აიათოლა ჰომეინმა გამოსცა ფატვა - ბრძანება რაშდის მოკვლის თაობაზე. რაშდი წლების განმავლობაში იმალებოდა, თუმცა, მას შემდეგ ისეთი საყოველთაოდ აღიარებული რომანები დაწერა, როგორცაა “მავრის უკანასკნელი ამოსუნთქვა”, “მინა ფეხქვეშ”, “შუალამის შვილები”, “მრისხანება”; ასევე, პუბლიცისტური წერილები და ესეები. მისი ჯილდოებიდან, რომელთა ჩამოთვლას აქ არ დავინყებთ, აღსანიშნავია 2007 წლის დასაწყისში მიღებული “ბრიტანეთის იმპერიის რაინდის” ტიტული.

რა ასოციაციები გიჩნდებათ სამშობლოსთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ არის თურქეთი და ინდოეთი თქვენი სამშობლო, თუ წლების მანძილზე შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება ამ ქვეყნების მიმართ?

რაშდი: ვფიქრობ, რომ სახლი ის ადგილია, სადაც იზრდები. შინ ყოფნის განცდა სხვაგან არსად გიჩნდება. ჩემთვის ბომბეია ჩემი სახლი, მაგრამ არა ბომბეი ზოგადად, არამედ ბომბეი – ერთ კონკრეტულ დროს. ვფიქრობ, დღევანდელი ქალაქი ძალიან განსხვავდება

იმ ქალაქისაგან, სადაც მე გავიზარდე, თუმცა, ის მაინც ძალიან მიყვარს. მაგრამ სახლის განცდა დროსთან და სივრცესთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, როცა ინდოეთში ვბრუნდები, ყოველთვის მაქვს შეგრძნება, რომ სახლში ვბრუნდები. მშობლიურის განცდის დიდი ნაწილი ლინგვისტიკურია. ინდოეთში ჩასვლისას ვხვდები ხოლმე, რომ ენა, ჯერ კიდევ მახსოვს, მაგრამ დღეს, ამ წუთას, ის სადაც მესხიერების სხვენშია გამოკეტილი. ინდოეთში კი, ისევე მახსენებს ხოლმე თავს. სახლში ყოფნა გარკვეულწილად ამასაც ნიშნავს – იბრუნებ უნარს დაისადგურო შენ მშობლიურ ენაში.

ფამუქი: მეც მსგავსი პასუხი მაქვს. ცხადია, ჩემი სამშობლო თურქეთია, განსაკუთრებით, სტამბოლი. მე არც აქ ვგრძნობ უცხოდ თავს, მაგრამ... ასევე ძალიან არ მიყვარს, როცა მეუბნებიან, გადასახლებაში ხარო. ხაზი გაუსვით, ჰა! არ ვამბობ, რომ დევნილი ვარ. ყოველთვის შემძლია თურქეთში დაბრუნება. კი, იქ გარკვეულწილად მიწვეს პირად უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ზედმეტად ბევრი მუქარა მესმის ჩემი მისამართით, მაგრამ... ისევე დაფუბრუნდეთ იმას, თუ რატომ ვთვლი ჩემს სამშობლოს ჩემს სამშობლოდ. მგონია, რომ სამშობლო საწყისებია. ახალდაბადებული ცხოველივით ხარ, მგრძნობელობა გამძაფრებული გაქვს, ყველაფერს ისრუტავ და შთაბეჭდილებებს ჰარდ-დისკზე წერ. მოგვინებით, ამას იხსენებ, აფასებ, ანალიზებ მთელი დარჩენილი ცხოვრება. შეიძლება, ფროიდისეულად უღერდეს ეს ყველაფერი, მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილებებია – ენა, კულტურა და ყველაფერი ის, რასაც კუთვ-



„ქალიან ზაღაპირულია ყოფა, როცა სამოხლოში ხარ და ყველაფერს ეთანხმები. სამყაროს განსხვავებული ხედვა იმ ნიგნებიდან მომავლს, რომლებსაც ჩემი მართოდ ყოფნის დროს ვკითხულობ და ყველაფერს ამ იდეების კონტაქტში ვაანალიზებ. ამ სამუშაოს შესრულებით, მგონი, სამოხლოს უფრო უკეთ აღვიქვამ ვიდრე ისინი, ვისაც დისკომფორტი და პროტესტი არასოდეს განაჩინიათ“ – ორჰან ფაშაქი.

განცდა, ჩემი იდენტობის სიმძაფრე. ყოველთვის მქონდა ეს პრობლემები და მშობლიურზე ფიქრი პირველად მაშინ დავიწყე, როცა 1985 წელს ნიუ-იორკში, მეუღლესთან ერთად ჩამოვედი, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში დისერტაციას იცავდა. პირველად სახლი ფუნდამენტურად მაშინ გავაცნობიერე, როცა სახლში არ ვიყავი.

თქვენს რომანებში ყველგან მოგზაურობთ, მაგრამ მაინც მუდამ ინდოეთსა და თურქეთში ბრუნდებით. რამდენად გარდაუვალია ეს მიზიდულობა?

რამდი: ვფიქრობ, რომ სამშობლო ის არის, რაც მე მერგო, როგორც მწერალს. ხანდახან შემოქცევია მისთვის ზურგი, მაგრამ ყოველთვის მაბრუნებს უკან. ხანდახან ეს პროცესი ომს ემსგავსება, ხანდახან გინდა დაწერო სხვა რამეზე, მაგრამ ქრონიკულ განევ-გამონევაში ხარ ჩართული. ეს გარდაუვალია. ორჰანის აზრი მინდა გავაგრძელო: არც მე მაქვს „გადასახლებულის“ განცდა, ერთადერთხელ იყო, თითქმის 10 წლიანი პერიოდი, როცა ვერ ვბრუნდებოდი ინდოეთში, ცნობილი მიზეზების გამო. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომაც ვამაყოფ „მავრის უკანასკნელი ამოსუნთქვით“, არის ის, რომ ეს ერთადერთი რომანია, რომელიც ინდოეთზე, ინდოეთში ჩაუსვლელად დავწერე. და როცა ინდოელებმა წაიკითხეს ეს ნიგნი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლიმენტი მითხრეს – ესე იგი, შემოპარვა მოახერხე, არა? სხვა შემთხვევაში, როგორ გეცოდინებოდა ეს ყველაფერი?

ინდოეთზე წერა მაშინ უფრო იოლია, როცა იქ არ ხარ?

რამდი: არა, რთული იყო. „შუალამის ბავშვებში“ უფრო იოლი იყო. ლონდონში რომ არ მეცხოვრა, ვერც კი მექნებოდა ეს აბსურდული მისია, ერთ ნიგნში დამეწერა მთელ ქვეყანაზე. ამხელა ინდოეთში როცა ცხოვრობ, ერთ ქუჩას შეიძლება მიუძღვნა მთელი ნიგნი. ნახევარი მილიარდი ადამიანის ერთ ნიგნში ჩატევა სიგიჟეა და ვფიქრობ, ცოტა დისტანცირებული უნდა იყო, მასზე წერა რომ გაბედო.

ფაშაქი: ვწერ სახლზე, იმიტომ, რომ მხოლოდ ეს ვიცი. სტამბოლზე ვწერ იმიტომ, რომ იქ გავატარე ჩემი ცხოვრების 50 წელი. და როცა მთხოვთ, რომ ჰუმანიზმზე ვილაპარაკო, ვინცეც ჰუმანიზმზე ლაპარაკს ისე, რომ არ მაინცდება – მხოლოდ სტამბოლზე ვსაუბრობ. მაგრამ ეს განსჯის საგანია. თუ სამშობლოში არყოფნას ასე დრამატულად და გაზვიადებულად შევხედავთ და დავიჯერებთ, რომ არსებობს სამშობლო და დანარჩენი სამყარო, მაშინ რეპრეზენტაციის მახეში ვაგებებთ.

ვწერ სტამბოლზე, იმიტომ, რომ ჰუმანიზმს სტამბოლში ვეზიარე. ჩემი მიზანია არა თურქების დახასიათება, თუ როგორ გამოიყურებიან ან იქცევიან ისინი – ეს მაშინაც კი არ მიფიქრია, როცა სტამბოლიდან ფეხს არ ვიცვლიდი. ყოველთვის მქონდა განცდა, რომ ვწერდი კაცობრიობაზე. როცა ჩემი ნიგნების თარგმნა დაიწყო, ყველამ აღნიშნა, რომ თურქებზე და სტამბოლზე ვწერდი. მე კი მეგონა, რომ კაცობრიობაზე ვწერდი. ეს სწორედ ის პრობლემაა, რაც სამშობლოს თემასთან დაკავშირებით მანუხებს. ჩვენ ყველას გვაქვს სამშობლოს განცდა. ეს გარდაუვალია, თითქმის ცხოველური ინსტიქტი. მაგრამ ჩემი ცნობიერი, რომელიც უფრო ანონილ-დანონილია, უფრო ჭკვიანია და მართაგს ჩემს არსებას, მეუბნება, რომ, როცა საზღვარგარეთ ყოფნისას სახლზე მეკითხებიან, არ მინდა ხაზი გაუსვა განსხვავებას სახლსა და სხვა ადგილებს შორის. როგორც კი ამას აკეთებ, მაშინვე მის რეპრეზენტირებას იწყებ.

რამდი: ერთხელ მორიგ შარში გავხვდით... ჩემმა ერთ-ერთმა ნიგნმა ძალიან კეთილგანწყობილი შეფასებები მიიღო „ნიუ-იორკ თაიმს ბუქ რევიუსგან“. კრიტიკოსმა გამოიყენა ფრაზა, რომელიც მერე ყველა გამომცემელმა აიტაცა – „რამდის ნიგნების კითხვისას ხედები, რომ კონტინენტმა იპოვა ხმა“. დანარჩენი კონტინენტი ძალიან გაბრაზდა ამის გამო. „რა, ის ერთადერთია, ვინც ლაპარაკობს? რა ვუყოთ ამ კონტინენტზე 17 ენაზე დაწერალ 200 წლიან ლიტერატურას? და ამ ლიტერატურული მემკვიდრეობის ფონზე, შენ იპოვე მისი ხმა? ჩვენ რაღას ვაკეთებდით მთელი ამ ხნის მანძილზე?“ – ისმოდა ყოველი მხრიდან.

ნიღების აურა აქვს, თანამედროვე დედის შეგრძნება. სახლი იქაა, სადაც დედაა. დედა-ჩემი ჯერ კიდევ იქ ცხოვრობს და მირეკავს ხოლმე, „დედს ინტერვიუ გაქვს, ძვირფასო, არ დაგაგვიანდეს.“ სახლი იქაა, სადაც ეს დედობრივი ხმა გესმის, სადაც დაცული ხარ, სადაც კარტეზიანული ცნობიერება იწყება. სახლი სამყაროს დასაწყისია და ვეთანხმები სალმანს – ჩემთვის მშობლიური თურქეთის კონკრეტული პერიოდი. მაგალითად, როცა ნიგნში „სტამბოლი“ ჩემი მოგონებები დავწერე, თურქი მწერლების ახალმა თაობამ და მეგობრებმა მითხრეს, რომ ახლანდელი სტამბოლი ასეთი შავ-თეთრი აღარ არის, ის უფრო მხიარული ადგილიაო. მაგრამ მე სწორედ სვედიანი სტამბოლი მიყვარს, მიყვარს ჩემი მოგონებები. ასე რომ, სახლი დედაა, საწყისებია, მოგონებებია, და რაღა თქმა უნდა, მშობლიური ენაა. ერთადერთი მშობლიური, რაც მობილურია – ენაა. ჩემი ენა ყოველთვის ჩემთანაა, შემოძლია მარსზე გავფრინდე, ან ციმბირში და სამხრეთ ამერიკაში წავიდე – იქ, სადაც ყველაზე შორია, მაგრამ თურქული ენა ყოველთვის ჩემთანაა, ყოველთვის ჯიბეში მიდევს და სულში მაქვს. მე ამ ენაზე ვწერ. ის ჩემი სახლია.

ამ ყველაფერთან სერიოზული მიჯაჭვულობა მაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახლში ყველაფერს მშობლიურად აღვიქვამ. ასევე არ ვამბობ, რომ ეს მშობლიურია, დანარჩენი ყველაფერი კი – უცხოა და მეორეხარისხოვანი. პირიქით, ჩემი სახლის მშობლიურობას მაშინ უფრო უკეთ აღვიქვამ, როცა არ ვარ თურქეთში. „შავი ნიგნი“ ამერიკაში დავწერე და იქ ყველაზე რადიკალურად გამძაფრებული მქონდა თურქად ყოფნის



ფამუქი: აქ მხოლოდ რეპრეზენტაციების პრობლემა არ არის... აქ სხვა წნეხიც არსებობს. სიყვარულზე წერ და გეუბნებიან, რომ “თურქულ სიყვარულზე წერ.” იმხელა ზენოლაა, რომ მას ან უგულვებელყოფ, ან იმდენ ენერჯიას და ნებას ხარჯავ მის იგნორირებაში, რომ ბოლოს, მაინც რაღაცნაირად დეფორმირებული ხდები. ასე რომ, ვფიქრობ, რომ სახლი სახლია და მასზე ბუნებრივად უნდა ვილაპარაკოთ. საბოლოო ჯამში, შენი სახლი სამყაროა, სახლი იქ არის, სადაც კაცობრიობაა და საიდანაც ადამიანებს უყურებ. თუ კაცობრიობის ნაწილი არ ხარ, მაშინ არც სამშობლო გაქვს. ლიტერატურის გამოწვევაც ეს არის. ძალიან ცოტა რამ ვიცი ცხოვრებაში. ვიცი ჩემი სამეზობლო, ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები. ჩემი ყველა თურქი მეგობარი მეუბნება, ყველაფერი რაზეც წერ, ორჰან, ავტობიოგრაფიულიაო. ვპასუხობ: ეგრეა, მაგრამ არავის უთხრათ-მეთქი. ლიტერატურა ფანტასტიკური სწორედ ამითაა – ცვლი დეტალებს, ანზოგადებ შენს გამოცდილებას, კუთხეს უცვლი რეალურ ადამიანებს და, საბოლოო ჯამში, საკუთარი ავტობიოგრაფია კი არა, ზოგადსაკაცობრიო ამბავი გამოდის.

რამდი: დედაჩემმა ყველას ბინძური ქორი იცოდა – ქორაობის გარსია მარკესია – მას ჰქონდა ფანტასტიკური, რამდენიმე თაობაზე ჩახლართულად აწყობილი სტრუქტურა იმისა, თუ ვინ ვის რა გაუკეთა. ის გენიალური წყარო იყო ჩემთვის. ერთხელ გამომიცხადა, აღარ მოგიყვები არაფერს, იმიტომ, რომ მერე შენ ამ ყველაფერს შენს წიგნებში წერ და ამის გამო მე მხვდებაო. აქ, ალბათ, იმ აზრს ვუბრუნდებით, რომ სახლი დედასთან ასოცირდება. მაგრამ ერთი კონტექსტი, რომელშიც ეს იდეა

პრობლემატურია, მწერლების წარმომავლობას ეხება, განსაკუთრებით, მესამე მსოფლიოს მწერლებს. რატომღაც ამერიკელ ან ევროპელ მწერლებს შეეძლოთ ნასულიყვენ და ეცხოვრათ იქ, სადაც მოისურვებდნენ, მაგრამ მაინც ამერიკელ მწერლებად რჩებოდნენ. თუ სკოტ ფიტცჯერალდი ცხოვრობს რივიერაზე, ჯოსი ცხოვრობს ტრისტში ან ჰემინგუეი – პარიზში, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამით ისინი ამერიკელი მწერლის სტატუსს არ კარგავენ. მაგრამ თუ ინდოელი მწერალი ლონდონში ან ნიუ-იორკში ცხოვრობს, ეს პრობლემაა. და არა მხოლოდ ეს – არსებობს მოლოდინი, რომ მხოლოდ ინდური მასალის გამოყენებით უნდა წერო, მაშინ, როცა, დასავლელ მწერლებს ყოველთვის ჰქონდათ თავისუფლება, ეწერათ ყველაფერზე, რაზეც მოისურვებდნენ. ერთხელ მკითხეს, რა აზრის ვიყავი აფრიკულ ხელოვნებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთ ნიგნში აფრიკულ ხელოვნება მომქონდა მაგალითად. შეკითხვაც კი საწყენია. თუ ამერიკელ მწერალს სურს აფრიკული ხელოვნების მოდელად გამოყენება, ეს არაფერი. და თუ ინდოელ მწერალს უნდა დასავლური წყაროს გამოყენება შთაგონებისათვის, მაშინ ის უკვე ეჭვმიტანილია არააუთენტურობაში. ასე რომ, არსებობს ეს ორმაგი სტანდარტი და ჩვენ მას უნდა გავუმკლავდეთ. ინდოეთის შემთხვევაში, არსებობს უზარმაზარი დიასპორა, რომელსაც თავის კულტურა ჩამოუყალიბდა. ინდოელები უკვე ყველგან არიან. ინდური გამოცდილებაა როგორც ნაციონალური, ისე ინდური დიასპორის გამოცდილება. ვერ წარმომიდგენია, რატომ არ შეიძლება სილიკონ ველზე მცხოვრებმა მწერალმა დაწეროს კარგი რომანი ინდურ სოფელზე? ეს ხომ ბუნებრივი რეფლექსიაა. ინდოეთი ხომ კომპლექსურია.

თქვენ ორივენი წერთ თქვენი სამშობლოების ისტორიულ პერიოდებზე. ანუ, წყაროდ იყენებთ როგორც ისტორიას, ისე ფოლკლორს.

რამდი: ჰო, კარგია, როცა ძველი კულტურის წარმომადგენელი ხარ.

ფამუქი: აჰა! აბა, რას ფიქრობთ ამაზე?

რამდი: ბოდიში, ამერიკა!
ყოველთვის ვხალისდები ხოლმე, როცა აქ ყოფნისას ჩემი თანამგზავრები თითო გაიშვებენ რაღაც მცხბრამეტე საუკუნის შენობისკენ და მეუბნებიან, როგორი ძველია ის.

ფამუქი: ჩემთვის სამშობლოსთან დაკავშირებული ყველაზე ძვირფასი, არაა მისი ისტორია. ისტორია მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ისეთი ხელოვნური რამეა... იცვლება პოლიტიკა, იცვლება ისტორიაც. ამიტომ, შენ ცდილობ შენი ისტორია იპოვნო. სამშობლოს თემა აუთანტურობის იდეასაც ეხება. პირველი ხმები, პირველი სუნები, პირველი სიმღერები, პირველი შეგრძნებები შენს სახლში გიჩნდება. ამიტომ, ყველაფერ დანარჩენს ცოტა ხელოვნურობის ელფერი დაკრავს. მაგრამ თქვენი გონება უნდა გაუძლიანდეს ამ ინსტიქტს. თუ ზედმეტად დიდ დატვირთვას მიანიჭებ შენი პირველი შეგრძნებების, დედობრივი განცდებისა და ადრეული შთაბეჭდილებების განუმეორებლობას, აუთენტურობას და მშობლიურობას, მაშინ მახეში ებმები. ამ ყველაფრის პატივისცემა ერთგვარი ტაბუა და შენც ამის გაკეთებისკენ მოგიწოდებენ. მაგრამ ამით შეურაცხყოფას აყენებ დანარჩენ კაცობრიობას. შენი სამშობლოს მშობლიურობის გაზვიადებით რისკავ უარყო დანარჩენი სამყაროს ადამიანური გამოცდილება.

რამდი: მოდით, ასე შევხედოთ ამ ამბავს. ყველანი ვტოვებთ ჩვენს მშობლიურ სახლს. ყველანი ვიზრდებით ჩვენი მშობლების სახლში და მერე, რაღაც ეტაპზე, ვქმნით საკუთარ ოჯახს. ასე რომ, სახლის იდეა არ არის მხოლოდობითი. ის ნარატიულია. გვაქვს სახლი, რაც მოგვცა და გვაქვს სახლი, რასაც თავად ვქმნით. და ისინი, ვინც არასოდეს ტოვებენ მშობლების სახლს, ცოტა საწყლები არიან.

ფამუქი: არ გეთანხმები! ვაპროტესტებ! არავითარ შემთხვევაში!

რამდი: როგორც იქნა, რაღაცაზე არ ვეთანხმებით ერთმანეთს, ორჰან!



ფარმაცევტული კომპანია [GPC](#) და პორტალი [Literatura.ge](#) წარმოგიდგენთ ლიტერატურულ კონკურსს „წერილი“ ახალი საუკეთესო პროზაული ნაწარმოების გამოსავლენად.

კონკურსის გამარჯვებულებს გადაეცათ შემდეგი პრემიები:
პირველი პრემია: ლიტერატურული პრემია „წერილი“ და 2000 ლარი
მეორე პრემია: 1000 ლარი
მესამე პრემია: 500 ლარი

დასაჩუქრდა 10 ყველაზე აქტიური მკითხველიც.

ინფორმაცია კონკურსის შესახებ განთავსებულია ლიტერატურულ პორტალზე:

www.literatura.ge



ჯიჯისი წერილი? იქნება წერილი!




სხვა ნიუ-იორკი

ავტორი: დავით მესხი







PARKING
→






POP

BARNEYS
NEW YORK

MARC BY MARC JACOBS













WWW.PEELER.COM
WWW.PEELER.COM
WWW.PEELER.COM

BAST
BAST

77

Love is original
THE GREEN
HOUSE

Love is original.com

WWW.PEELER.COM



ყველაფერი, რას გავსმის, განაპირობებს
იმას, თუ რა მიმართულებით
იმოძრავებ. შენი საქმე მხოლოდ ისაა, როგორ
მუსიკას მიიღებ. ხოლო თუ მუსიკას გაყვები,
მეშინ ნებისმიერი მიმართულებით
შეძლება მოძრაობას.
სტივ ლინი

ცხოვრების რიტმი ჯაზის რიტმია, საყვარელო.
აი, ასე დაგვხიენინებს ღმერთები ჩვენ
ღაბგვსთონ კიუზი

ქარიშხლის მიმართულებით

ავტორი: ქანა თოლორდავა
ფოტო: ლევან ხერხეულიძე



“წყალს ნუ უკრავ! უბრალოდ დაკრული ერთი ფრაზა არ გამაგონო! მექანიკას მოერიდე. აი ასე! მარცხენა ხელი შენი ბიგ-ბენდია, გაიგე? იმლერე, იმლერე! შენ ვარჯიშობ, არ უკრავ!” უზარმაზარ ოთახში პიანინოსთან ორნი სხედან, კაცი და პატარა ბიჭი. მასწავლებელი და მოწაფე. მასწავლებელი ჩემი მეგობარი ზურა რამიშვილია, დიდებული მუსიკოსი და პედაგოგი. მისი მოწაფე კი ბექაა. ბექა გოჩიაშვილი. ის თერთმეტი წლისაა. მუსიკის გაკვეთილს სწორედ ამ ბიჭის გამო ვესწრები. მან უკვე იცის, რომ მასზე

სტატიის დაწერას ვაპირებ. აქ მოსვლამდე ვფიქრობდი, ჩემმა იქ ყოფნამ გაკვეთილის სრულფასოვან მსვლელობას ხელი არ შეუშალოს-მეთქი (ბავშვია მაინც), მაგრამ ზურამ დამაწყნარა, მაგას ვერაფრით შეაშინებო. მართალი იყო. რა თქმა უნდა, ვხედები, რომ ჩემი იქ ყოფნა რაღაცნაირად მოქმედებს ბექაზე, მაგრამ არ იმჩნევს. თუმცა, შეიძლება ვცდები კიდევ და ეხლა მას ჩემთვის ნამდვილად არ ცხელა. ალბათ, ასე უფრო უნდა იყოს. ამ წუთში ის მუსიკას და ზურას დარიგებებს მიყვება. თვალები დახუჭული

აქვს, თავი გვერდზე გადაგდებული. პერიოდულად, როტულ პასაჟს რომ “გადაწყდება” ხოლმე, კიდევ უფრო მაგრად ხუჭავს თვალებს და იმანჭება, აი ისე, ნამდვილ ჯაზმენებს რომ გამოსდით. ისეთი გამომეტყველება უხდება, თითქოს ეს-ესაა ტირილს დაიწყებო. არადა, “დასამანჭად” ნამდვილად აქვს საქმე, - ის ჩარლი ფარქერის “Billie’s Bounce”-ს უკრავს, ძალიან როტულ ჯაზ-სტანდარტს. მე და ვალერი, ბექას მამა, იქვე ოთახში ვსხედვართ და ვუსმენთ. დროდადრო ჩანანერებს ვაკეთებ და საერთოდ, ნამდვილი პროფე-

ჰო, ის მხოლოდ თერთმეტისაა, მაგრამ მას ჯაზისთვის აუხილებელი ყველა ინგრაიდის თანდაყოლილი შეგრძნება აქვს. ბლუზი და სუინგი ისე ჰარმონიულად თანაარსებობენ მასში, როგორც ნებისმიერ უკვე ჩამოყალიბებულ ჯაზმენში



სიონალი ჟურნალისტივით და ჯაზის ექსპერტივით მიჭირავს თავი, მაგრამ რაღაც მომენტში ვხვდები, რომ არც ეს ჩანაწერები მჭირდება და მკაცრი შემფასებლის როლის თამაშიც მიჭირს. ერთადერთი, რასაც გაკვეთილის მსვლელობისას ვცდილობ, ისაა, რომ საიდანაც მოვარდნილი სიხარულის ღიმილი ჩავახშო ჩემში, თორემ ბექამ რომ დამინახოს, შეიძლება, ზურა გამიბრაზდეს. არადა, ამისთვის თითქოს მზად უნდა ვყოფილიყავი; მე ხომ დღეს პირველად არ ვუსმენ ბექას დაკრულს? სულ პირველად ის საზოგადოე-

ბრივი მაუწყებლის ეთერში, პროგრამა “ღამის საუბრებში” მოვისმინე. ზურა ქარუმიძესთან იყო სტუმრად თავის მასწავლებელთან და თამაზ ყურაშვილთან ერთად. იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრად მიწვეულმა წამოგაყრანტალე კიდეც ამ ბავშვის საქართველოში დარჩენა არ შეიძლება-მეთქი. მეორედ ბექას კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოვუსმინე ამერიკის საელჩოს მიერ გამართულ კონცერტზე. კიდეც კარგი, დარბაზში ბნელოდა და ღი-

მითან შებრძოლებაც არ დამჭირდა, თანაც შევამჩნიე, რომ ჩემ გვერდით მჯდომი ზურა ქარუმიძეც ზუსტად ჩემნაირი გაბადრული უსმენდა ბექას დაკრულს. მოგვიანებით გავიგე, რომ მასწავლებელმა სერიოზულად დატუქსა ბექა კონსერვატორიის კონცერტის შემდეგ, - მუსიკაზე ნაკლებად ფიქრობდი, მაყურებელზე ცდილობდი ეფექტის მოხდენასო (აკი მოახდინა კიდეც!). და აი დღეს, დეკემბრის პირქუშ საღამოს, უკვე მესამედ მიწვევს მისი მოსმენა, ამჯერად უფრო შინაურ სიტუაციაში. სწორედ გამიგეთ, აქ იმაზე არაა საუბარი თუ რამდენად დახვეწილი და სრულყოფილი შეიძლება იყოს თერთმეტი წლის, წარმოშობით კახელი ბიჭის დაკრული ჯაზი. მას ჯერ რა თქმა უნდა არ შეუძლია დაკრულის სიმდიდრით და მრავალფეროვნებით ჯაზის მოყვარულთა გაკვირვება, რომ არაფერი ვთქვათ, ამ მუსიკის პირადულით გამდიდრებაზე. ამისთვის მას ჯერ არც საკმარისი “ლექსიკური მარაგი” აქვს და არც გამოცდილება. აკომპანიმენტში და ჰარმონიაშიც მოიკოჭლებს. ყველაფერი ეს მოგვიანებით მოვა ან შეისწავლება. აქ საუბარი მასში ჩადებული პოტენციის ინტენსიურობით გამოწვეულ ღიმილზე და სიხარულის შეგრძნებაზეა. აქ ის შეუდარებელია. სწორედ ამით გაკვირვებს და გზიბლავს ეს ბიჭი. “ის თერთმეტი წლისაა, ის მხოლოდ თერთმეტი წლისაა, ამის დედაც ვატირე. ის მხოლოდ თერთმეტი წლისაა,” - მოსვენებას არ გაძლევს შინაგანი ხმა და მეც იძულებული ვხდები კიდეც ერთხელ ვალიარო, - “ჰო, ის მხოლოდ თერთმეტისაა, მაგრამ მას ჯაზისთვის აუცილებელი ყველა ინგრედიენტის თანდაყოლილი შეგრძნება აქვს. ბლუზი და სუინგი ისე ჰარმონიულად თანაარსებობენ მასში, როგორც ნებისმიერ უკვე ჩამოყალიბებულ ჯაზმენში”. აი ახლაც, გაკვეთილის მსვლელობისას, ფარქერის და ჰენქოქის ურთულესი თემების დაკვრის შემდეგ, ის ისეთი თავდაჯერებით ეპყრობა ბლუზს, რომ სუნთქვა გეკვრის. “კარგია, - უდგამს ცალკეულ ფრაზებს ზურა, - მარცხენა და მარჯვენა ხელით დაკრული ერთმანეთს უნდა ამართლებდნენ. ახლა შეეცადე მელოდიური მდგომარეობა შეუცვალო ამ ყველაფერს, რისთვის სწავლობ ამ აკორდებს თუ არ გამოიყენე? აი ასე, ან ასე, გაიგე?” “აბა რა!”- მოკლედ პასუხობს ბექა და ეცინება. დავაკვირდი, როდესაც ზურას დახმარებით რაღაც თავისთვის ახალს გადააწყდება ხოლმე, სიხარულით ეცინება. ისინი დაკვრას აგრძელებენ, ვალერი კი ჩუმად მეუბნება, რომ დღეს ბექა თავის ახალ თემას შეასრულებს პირველად. აჰა, ესე იგი, ის მუსიკის წერასაც ცდილობს უკვე, არა? ეს ნამდვილად არ ვიცოდი. “კარგი, მოდი ახლა შენ ახალ თემაზე რომ

ისტორია

მეუბნებოდი ის დამიკარი” — ეუბნება ზურა ცოტა ხნის შემდეგ. ბექას სახე ებადრება. “რა იყო, რა გაცინებს?” — ეკითხება ზურა. “ამ თემას My Teacher (ჩემი მასწავლებელი) დავარქვი” — პასუხობს ბექა. ზურა ცდილობს, არაფერი შეიმჩნიოს. ის მხოლოდ ქოჩორს უჩნჩავს ბიჭს. “მიდი აბა, დაიწყე” — ეუბნება ბექას. მოკლედ ვიტყვი: ის, რასაც შემდეგ ბექა უკრავს, იმდენად ლამაზი, ლალი და ადვილად დასამახსოვრებელი თემაა, რომ არც ერთი ჯაზმენი არ ითაკილებდა მის შესრულებას და განვრცობას. ის პირველად ასრულებს თავის ამ კომპოზიციას და ძალიან ცდილობს. ერთხელ-ორჯერ ისევ ისეთ სახეს “კერავს”, რომ მგონია, ჰა და ჰა, ტირილს დაიწყებს-მეთქი. მერე კი, როდესაც ბექა თემის გარშემო იმპროვიზაციას შეუდგება, იმდენად არა-ბავშვურად “გიჟურ” ტემპს ირჩევს და ისე თამამად უჭირავს ეს პულსაცია მთელი კომპოზიციის განმავლობაში, რომ ამჯერად, ზურა ვეღარ იკავებს თავს. რაღაც მომენტში, ისე, რომ ბექამ არ დაინახოს, ზურა თავს დაბლა ხრის, ჩვენი მიმართულებით იყურება, თვალებს ატრიალებს და სწორედ ისეთი ბედნიერი ღიმილით ელიმება, რომლის ჩახშობასაც მთელი საათის განმავლობაში ვცდილობდი. ბექა დაკვრას აგრძელებს, ჩვენ სამნი კი, ზურა, ვალერი და მე უკვე დაუფარავად ვუღიმიით ერთმანეთს.

რამდენიმე დღის შემდეგ, მეტრო “ახმეტელიდან” ამოსული ეკლესიის მიმართულებით მივბიჯებ და გლდანის უფიქრ “არქიტექტურულ ძეგლებს” ვათვალიერებ. ვერც კი ვიხსენებ, როდის ვიყავი აქ უკანასკნელად, თუმცა, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. თბილისი და მისი გარეუბნები ცალკე თემაა მე კი, დღეს აქ ბექას და მის ოჯახთან შესახვედრად ვარ. ეს ჩვენი პირველი შეხვედრიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ ხდება. შუალედში, იმისთვის, რომ უფრო კარგად მცოდნოდა, ვის ველაპარაკები, კიდევ ერთ ჩემს მეგობარს და ჯაზის ენთუზიასტს, მერაბ ლორთქიფანიძეს შევხვდი, რომელმაც ნელს ზაფხულში ბექა ლატვიის პატარა ქალაქ საულკრასტეში წაიყვანა ყოველწლიურ ჯაზ-მასტერკლასზე და ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთად. (“ეს ჩემი ვალია”, - მი-თხრა მან, როდესაც დავურეკე და ვთხოვე, მოდი, შევხვდეთ, ბექაზე რამე მომიყვივი მეთქი. იცით, ამ ისტორიის უცნაური ხიბლი სწორედ იმაშია, რომ მისი მთავარი პერსონაჟები ჩემი მეგობრები და საოცრად კარგი ადამიანები არიან). მერე კი... არა, მოდი, თავიდან დავიწყებ. საულკრასტეს ფესტივალის დამაარსებელი ერთი ლატვიელი დრამერია, რომელმაც ბავშვებისა და მოზარდებისთვის

ჯაზ-მასტერკლასების მოწყობა ჯერ კიდევ ათი წლის წინ გადაწყვიტა. კარგი ინიციატივა იყო და ადგილიც შესაფერისი შეარჩია, პატარა, ზღვისპირა ქალაქი, სადაც ბავშვები მთელი კვირის განმავლობაში ცხოვრობენ სპეციალურად ამ ფესტივალისთვის დაქირავებულ კომპლექსში. დილის საათებში მასტერკლასები ეწყობა ხოლმე, საღამოობით კი, კონცერტები და ჯემ-სემინები. ფესტივალზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიებიდან ჩამოდიან კარგი, ძალიან კარგი და დიდებული მუსიკოსები. ისინი მასტერკლასებსაც ატარებენ და კონცერტებსაც უკრავენ. ნელს ივლისში საულკრასტეში სხვებთან ერთად დიდებულმა ამერიკელმა მუსიკოსებმაც მოიყარეს თავი: ვიქტორ ბელი, სახელგანთქმული ბასისტი და Weather Report-ის ყოფილი წევრი, ბენი მაუფინი, საქსოფონისტი და საოცრად დახვეწილი ბას-კლარნეტისტი, რომელიც ჰერბი ჰენქოქის, როი ჰეინზის, ჰორეს სიდლერის, ლი მორგანის, მაქსი თაინერის და მაილზ დევისის ალბომებზე უკრავდა, შარშან კი წლის ერთ-ერთი საუკეთესო სოლო ალბომი “Penumbra” ჩანერა, ლენი უაითი, აგრეთვე სახელგანთქმული დრამერი და Return to Forever-ის ყოფილი წევრი (სხვათა შორის, ორივე ეს მუსიკოსი უკრავდა მაილზის ეპოქალურ ალბომზე “Bitches Brew”) და ჯეფ ენდრიუსი, კიდევ ერთი დიდებული ბასისტი (ჩამოთვლას აღარ დავიწყებ თუ ვისთან უკრავდა და უკრავს ის)... მოკლედ, კარგი კამპანია შეიკრიბა. “ჩვენებს კონცერტი 26 ივლისს ჰქონდათ. ამერიკელები, ენრიუსის გარდა, 27-ში ჩამოდიოდნენ, - მიყვება მერაბი. — ბექას დაკრული ჩვენების გარდა, რა თქმა უნდა, არავის ჰქონდა მოსმენილი, თუმცა ვიღაც-ვიღაცები რეპეტიციებზე რომ შემოეხიროდნენ ხოლმე და ბექას უსმენდნენ, დარეტიანებული გადიოდნენ დარბაზიდან. ოცდაექვსში ქართული ბენდის კონცერტზე კლავიშებზე ჯერ გიარაქვიანებულმა დაიწყა, ასე გადაწყვიტეთ, მერე კი, სცენაზე ბექა გამოვიდა. არავინ ელოდა კონცერტის მსვლელობისას ასეთ ტრიუქს; ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ფურორი მოახდინა. ხომ გესმის, მიდის კონცერტი, მერე კი, სცენაზე ვიღაც პატარა ლანჩაკი გამოდის და ისეთების დაკვრას იწყებს, რომ შოკში ვარდები”. ამ ისტორიას რომ მიყვება, მერაბს ზუსტად ისეთივე სიამაყით ელიმება, როგორც ზურას რამდენიმე დღის წინ. კონცერტის შემდეგ კი ჯეფ ენდრიუსი მერაბს მივარდა და პირდაპირ მიახალა, ამ ბავშვს მე მივხედავო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო. მეორე დღეს ლენი უაითს მასტერკლასი ჰქონდა დრამერებისათვის. მერაბის დაუინებელი მოთხოვნით მასტერკლასს

ბექაც დაესწრო. საუბარი რომ დასრულდა, მოზარდები სცენაზე ავიდნენ უაითისათვის ავტოგრაფების გამოსართმევად. სანამ უაითი მათ ესაუბრებოდა. ბექა ინსტრუმენტს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო. “მეგრული კვილი გსმენია? — სიცილით მეკითხება მერაბი. — ჰოდა, თუ გსმენია, სწორედ ასე კიოდა ლენი უაითი... მთხოვა ჩვენი ბენდის რეპეტიციაზე მომიყვანეთ აუცილებლად”. რა თქმა უნდა, მიიყვანა. ბელიმ, მაუფინმა და მათმა პიანისტმა უკვე იცოდნენ, რომ მათთან ერთად რეპეტიციაზე ვიღაც პატარა ბავშვს უნდა დაეკრა საქართველოდან. სანამ ინსტრუმენტებს აწყობდნენ, უაითი ბენდის პიანისტს ემაყობებოდა ცოტაც დამაცადე და უმუშევარს დაგტოვებო. დაკვრა დაიწყეს და ცოტა ხანში უაითმა მერაბს ანიშნა, ბავშვი სცენაზე ამოვიდესო. “ასეთი სიტუაცია იყო, - აგრძელებს მერაბი, - უაითმა იცოდა ვისთანაც ქონდა საქმე, დანარჩენებმა კი არა. მაგათ იმდენ იმედის მომცემ ბავშვთან აქვთ საქმე, რომ ერთით მეტი, ერთით ნაკლები, არაფერს ნყვეტს. არც ბელის, არც მაუფინს და არც, მით უმეტეს, მაგათ უნგრული წარმოშობის პიანისტს დიდი ენთუზიზმი არ ეტყობოდათ სახეზე. ბექა რომ სცენაზე ავიდა. რა დავუკრათო, შეეკითხნენ. გადაწყდა, რომ All The Things You Are დაუკრავენ. დაიწყეს და აი, აქ უნდა გენახა ბელის და დანარჩენების სახეები. ყბები ჩამოუვარდათ! ბელი თვალს არ აშორებდა ბავშვს, სანამ უკრავდნენ. მაუფინი ხან ბექას უყურებდა, ხან მე, ხან კი გაბადრულ უაითს, რომელმაც ეს სიურპრიზი მოუწყო მათ”. მერაბს ისევ ელიმება. ამ ბავშვის ადგილი არც ევროპულ და არც სხვა რომელიმე ამერიკული ქალაქის მუსიკალურ სასწავლებელში არაა, მხოლოდ ნიუ-იორკში უნდა მოხვდესო, ასე გადაწყდა ერთხმად და ყველანაირი დახმარებაც შესთავაზეს. არ ვიცი, რაზე ფიქრობდა ამ დროს ბექა. “შენ საერთოდ წარმოგდგენა გაქვს, ვისთან ერთად დაუკარი დღეს?” — სიცილით შეეკითხა ბექას პავკა კვაჭაძე, მისი კიდევ ერთი მენტორი და დიდებული მუსიკოსი... ამასობაში მე ისევ გლდანში ვარ, ეკლესიასთან ვდგევარ, ამ ამბავს ვიხსენებ და ბექას ველოდები. შორიდან დავინახე ჩემკენ მომავალი ბიჭი, გზადაგზა ქურთუქს იკრავდა. დამინახა და ნაბიჯს აუჩქარა. ქოშინით მომიახლოვდა. “გამარჯობა” — ვუთხარი და გავუღიმიე. “გაგიმარჯოთ” — მიპასუხა და გამიღიმა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

ცივა. მე და ბექა გლდანის ერთ-ერთი მიკრო-რაიონის ქუჩაში მივბიჯებთ მისი სახლის მიმართულებით. ბექა ოდნავ გაცივებულია და ამიტომაც, ჩვენი ხანგრძლივი სეირნობა გადაიდო. მინდოდა სკოლა ეჩვე-



„არა, თავში ავარდნის
არანაირი მომენტი არა
მექვს. როცა კიან მქებენ
არ მიყვარს. „ყოჩაღ“
საქმარისია. მოვლენა
და აღმოჩენა ხარო რომ
მეუბნებიან არ მიყვარს“.

„წყნარი ქასი არა ვარ,
მაგრამ ჩხუბი არ მიყვარს.
თუ შემაბინებენ ვიჩხუბავ.
ისა კი, ჩემი საქმე მუსიკაა
და არა ჩხუბი“



ნებინა, სადაც სწავლობს, ადგილები, სადაც მეგობრებთან ერთად ატარებს ხოლმე დროს. ღმერთო, როგორი ერთფეროვანია გარშემო ყველაფერი! “სკოლა, აი, იქითაა, – თითოთ მანიშნებს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. — აქ კი, მე და ჩემი მეგობრები ვიკრიბებით ხოლმე. ფეხბურთს კი, აი, იქ, იმ მოედანზე ვთამაშობთ”. ბიჭებმა ჩაგვიარეს. “პრივეტ ბემქერ” — ეუბნება ერთი. ჰეჰ, ზედმეტი სახელიც ქონია! ნეტავ, ამ ბიჭებმა თუ იციან ვუნდერკინდული მონაცემების მეგობარს რომ ელაპარაკებიან, ვფიქრობ ჩემთვის. ალბათ, არა. ბექა

არაფრით გამოირჩევა მათგან. ის ერთი ჩვეულებრივი გლდანელი ბიჭია. ჯანმრთელი, ჩამჯდარი, შავტუხა ბიჭი გახსნილი ღიმილით. ისინი თბილისურად, ხელის ჩარტყმით და კოცნით ესალმებიან ერთმანეთს. “წავედით ბემქერ, - ვეუბნები, როდესაც ბიჭები მიდიან. ვიცი, რომ ბექას ოჯახში გველოდებიან, ამიტომაც, ჯერ ბევრს არაფერს ვეკითხები. გზაში ვიგებ, რომ სულ რაღაც, სამი თუ ოთხი წლის იყო, ვალერიმ პირველად რომ შეამჩნია მუსიკალური ნიჭი თავის უმცროს შვილს. ვალერიმ ეს ისტორია სრულად მოგვიანებით

მომიყვა. ისიც მუსიკოსია და ბექას დედა, სოფიკოც. ვალერი რესტორან “თეთრ სახლში” უკრავს კლავიშებზე, აკორდეონზე და დუდუკზე. ისტორია კი ასეთია: ერთხელაც, როდესაც ქალები ბაზარში წავიდნენ, ვალერიმ სამი წლის ბექა მუხლებზე დაისვა პიანინოსთან და სქოთ ჯოფლინის რეგთაიმი დაუკრა. შემდეგ კი, შვილის თითები აიღო ხელში და იგივე თემა დააკვრევინა. და მოხდა ის, რაც როგორც ვხვდები, ნებისმიერი მუსიკალური ოჯახის მითის ნაწილია, – ბექამ რამდენიმე ფრაზის დამოუკიდებლად გამეორება მოა-



ხერხა. “არ ვიცი, არ ვიცი” — მეუბნება ჩემი შინაგანი ხმა, მაგრამ რას გაიგებს უბრალო მოკვდავი, რა ხდება ვუნდერკინდი ბავშვის თავში? ბექა და მე უკვე კიბეებზე ავდივართ. ზევით ხმაური ისმის. მასპინძლებს კარი უკვე გაუღიათ და გველოდებიან. დღეს ყველანი სახლში არიან – ვალერი, სოფიკო, ბექას უფროსი ძმა ლაშა და ბექას ბებია და ბაბუა დედის მხრიდან. ჩვენ ერთმანეთს ვეცნობით. ვთხოვ, ცოტა ხნით მარტო დამტოვონ ბექასთან სასაუბროდ. ჩვენ ოთახში შევდივართ, დანარჩენები სამზარეულოში ქუჩდებიან.

დიდხანს არ გვისაუბრია, მაგრამ აი ყველაფერი ის, რაც მან მიაბო, მოკლედ და ნათლად: სკოლაზე: “კარგად არ ვსწავლობ. მუსიკის გამო ხშირი გაცდენები მინევს ხოლმე. მათემატიკის არაფერი გამეგება.” მუსიკის პირველ მასწავლებელზე: ბატონი თენგიზ ჩიტაიშვილი. კლასიკურ მუსიკას ასწავლიდა. სწორედ მისი მეშვეობით შეასრულა ჰაიდნის კონცერტი რვა წლის ბექამ გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში. “მე თუ დღეს მუსიკა მიყვარს და თითები გახსნილი მაქვს, მისი დამსახურებაა”. საკუთარ ტემპერამენტზე: “წყნარი კაცი

არა ვარ, მაგრამ ჩხუბი არ მიყვარს. თუ შემაგინებენ ვიჩხუბებ. ისე კი, ჩემი საქმე მუსიკაა და არა ჩხუბი”. მომავლის შიშზე: “არანაირი შიში არა მაქვს, ღმერთი ჩემთანაა”. სიზარმაცეზე: “ვერ ვიტყვი, რომ თავს ვიკლავ და ვიცი, რომ ზარმაცი ვარ. ვალიარებ. ტყუილს არ ვიტყვი, მაგრამ ამ ბოლო დროს ცოტა მოვუმატე. მთავარია დავჯდე და ვიმეცადინო”. უფროს ძმაზე: “მე რომ დაკვრას ვინყებ, ეგ სახლიდან გარბის ხოლმე ბურთით ხელში”. თავში ავარდნაზე: “არა, თავში ავარდნის არანაირი მომენტი არა მაქვს. როცა ძაან მაქებენ, არ მიყვარს. “ყოჩაღ” საკმარისია. მოვლენა და აღმოჩენა ხარო რომ მეუბნებიან, არ მიყვარს”. როკ და ჯაზ მუსიკაზე: “მამამ მითხრა სატანური მუსიკააო”. ქვით ჯარეთზე, მის საყვარელ მუსიკოსზე: “მე ჯარეთი არა ვარ, მაგრამ ერთხელ, სახლში მარტო რომ დავრჩი, წარმოვიდგინე, რომ ჩემი ბენდი მყავს და მასავით ფეხზე დამდგარი ვუკრავდი და თან ხმამალა ვაყოლებდი ხმას”. საკუთარ მუსიკალურ სტილზე: “მე ჯერ ჩემი საკუთარი სტილი არა მაქვს”. ჯაზზე: “ჯაზი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ არ ვაფანატებ”. ნოტების კითხვის უნარზე: “ადრე უფრო მიჭირდა, მაგრამ ვაუმჯობესებ. არა, ნოტებს რომ ვკითხულობ, მუსიკა თავში არ მესმის”. შენიშვნის შიშზე: ერთხელ, ზურამ რომ დამტუქსა, დავიძაბე, მაგრამ მითხრა რა ყურები ჩამოყარე, მე ერთხელ დაგტუქსე და ამერიკაში რომ წახვალ, იქ ნახე რას გიზამენო”. კონსერვატორიაში ავადხსენებულ კონცერტზე: “კონსერვატორიაში ემოციებს ავყევი, არადა, ზურა სულ მეუბნება პაუზებს მიაქციე ყურადღებაო. არ დავეჯერე”. ბითლებზე: “სულ ერთხელ მაქვს მოსმენილი”. თელონიუს მონქზე: “ჯერ ვერ გაუგე”. მეცადინეობაზე: სამეცადინოდ რომ დავჯდე, ჯერ თითქოს ხასიათზე არა ვარ, მაგრამ დავინყებ თუ არა, კარგ ხასიათზე ვდგები ხოლმე”. მშობლებზე: “ხელს მიწყობენ მაგრად”.. საკმარისია ბექას პორტრეტისათვის? მგონი, საკმარისია. საუბარი რომ დავასრულეთ, ოჯახის დანარჩენი წევრები რიგრიგობით შემოვიდნენ ოთახში. კი გავაფრთხილე ვალერი ჩემს გამო რამეზე არ შეწუხდეთ-მეთქი, მაგრამ ვინ მოგისმინა, — მამამისის და თავისის სიმამრის დაწურული ღვინოები გამოიტანა. ქალებმა სუფრა გაშალეს. სხვა რა გზა მქონდა, ახლა ღვინით გავაგრძელებ საუბარი. ვალერი ისევე ბექაზე მიყვება: “ნატვრა ამისრულდა, ჯაზი მაინტერესებდა და სულ მინდოდა ჩემი რომელიმე შვილი ჯაზმენი გამოსულიყო. მეც მინდოდა, ჯაზის დაკვრა რომ მესწავლა და ბატონ თენგიზ ჩიტაიშვილს ვთხოვე, ვინმეს ხომ არ იცნობ-მეთქი.

>>> ბაბრქიძე ბვ. 162

ისტორია

როგორი უნდა იყოს კაცი?

მშვიდი.

ლონიერი.

კეთილი.

გულუხვი.

მამაცი.

ცოტა მაინც ლომებზე მონადირე.

გამოგვივიდა დავით ჟორჟოლაძე.

არ ვიცი, შეიძლება ლამაზობით სახლიდან იპარება და ქუჩის ბავშვებს და მოხუც მათხოვრებს ერჩის ხოლმე, მაგრამ იმ ღირსშესანიშნავ დღეს, რომლის შემდეგაც გაუჩერებლად ვყვები, რომ ზებულონ სტრუმში არ მომკვდარა და ტყუილად არ ვოცნებობდი ჯო ჰანტერზე – სადაც ერთი დადის ამქვეყნად ასეთი, ესე იგი, კიდევ იქნება ერთი საჩემო, – იმ დღეს, თბილისის ზოოპარკში, მსგავსი არაფერი შემიმჩნევია.

...ქალაქ თბილისში ცხოვრობდა ერთი ბიჭი, დავითი, რომელმაც სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში მოსკოვში ჩააბარა. ამ სასწავლებელს ჰქვია ВАИ – ვაი. საავიაციო ინსტიტუტი. დავითი უნდა გამხდარიყო... ძალიან რთული სახელია, გასაგებ ენაზე ნიშნავს, რომ რაკეტები უნდა ეშენებინა. მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ ამას არც ფული მოჰქონდა და არც სიხარული, და მიუხედავად იმისა, რომ თავისი საქმის ჩინებულ მცოდნედ ითვლებოდა, თავგადასავლების საძიებლად და გასამიდრებლად იქ გაემგზავრა, სადაც ყველას გვიოცნებია – აფრიკაში. თქვენი არ ვიცი, მე კი ვოცნებობდი: *О тебе, моя Африка, шёпотом в небесах говорят Серафимы...*

...

კონტინენტი – აფრიკა, მხარე – აღმოსავლეთ აფრიკა, ქვეყანა – ტანზანია. მისი ოფიციალური დედაქალაქი დოდომაა, სადაც ძველი დედაქალაქიდან სამთავრობო ორგანიზაციები გადაიტანეს, მაგრამ მთავარი ქალაქი მაინც დარ-ელ-სალამია.

ჩრდილოეთიდან ტანზანიას კენია და უგანდა ესაზღვრება, სამხრეთიდან – მოზამბიკი, მალავი და ზამბი, დასავლეთიდან – კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ბურუნდი და რუანდა. აღმოსავლეთით ტანზანიის საზღვარი ინდოეთის ოკეანეა – ეჰ...

სოტა დაუჯერებელი კაცი დავითი

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი; ფოტო: პირადი არქივი

„ო, ლალი ველდი,“ ფიქრობდა პატარა ლომი, „ეს, ალბათ, უზარმაზარი გალიაა, ოღონდ ჭერი არა აქვს. ოღონდ გისოსები მაინც აქვს, მაგრამ ძალიან შორს, ვერც კი დაინახავ, ოღონდ ნამდვილად აქვს – სხვაგვარად ხომ გადარეული ადამიანები შემოცვივდებოდნენ.“

ო, ლალი ველდი...“

ყველაზე მაგარი ნიგნიდან „კაპიტანი კროკუსი“







აფრიკის სამი ყველაზე დიდი ტბა – ტანგანიკა, ნიასა და ვიქტორია – ნაწილობრივ ტანზანიის მიწაზეა. ქვეყნის დიდი ნაწილი პლატოა, დაახლოებით 1290 მეტრი ზღვის დონიდან. ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე აღმართულია კილიმანჯარო, აფრიკის უმაღლესი წერტილი – 5895 მეტრის სიმაღლისა. მთელი ბავშვობა სალაპარაკო თემა გვექონდა: აფრიკაში ხომ ძალიან ცხელია, რატომ არ დნება მის მწვერვალზე თოვლი?

კიდევ ტანზანიას ორი კუნძული ეკუთვნის, ზანზიბარი და პემბა. რაც ჩამოვთვალე, მგონი, სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ Fernweh დაგემართოს კაცს, რაც მდებარეა “შორეთის ტკივილად” შეიძლება ვთარგმნოთ.

ეს კეთილი სენი, როგორც ჩანს, ჩვენს გმირს მწვავე ფორმით სჭირს, თორემ სხვაგვარად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ 1995 წელს მეგობართან ერთად დარ-ელ-სალამიდან თბილისისკენ მანქანით დაიძრა. მარშრუტი ალაგ-ალაგ იცვლებოდა და საბოლოო ჯამში მგზავრობამ ორი თვე გასტანა: ტანზანია – კენია – ეთიოპია – ერეტრია – სუდანი – ეგვიპტე – სუდანი – საუდის არაბეთი – ეგვიპტე – ისრაელი – იორდანია – ისრაელი – საბერძნეთი – ბულგარეთი – სერბეთი – ბულგარეთი – რუმინეთი – მოლდავეთი – დნესტრისპირეთი – უკრაინა – რუსეთი – საქართველო.

ჰო, კიდევ ტანზანიამ არის ქალაქი ტანგა ზღაპრული სანაპიროებითა და გოგირდის წყლებით; საშუალო წლიური ტემპერატურა 27 გრადუსია; სერენგეტის ეროვნულ პარკში ზებრები, ანტილოპები, მარტორქები, ჰიპოპოტამები, ჟირაფები, ლომები, ავაზები და

მსგავსნი დაიარებიან – მაიმუნებსა და მსგავს წერილფეხობაზე აღარაფერს ვიტყვი, და ამ პარკში გარეული ცხოველების ბუნებრივი სეზონური მიგრაცია ხდება.

გასკდი, გულო! ჩაიქეცი, სისხლო! ო, დედა, როგორ მინდა ტანზანიაში!

ვიძახო და ვიყო ასე... აი, დავით ჟორჟოლაძე კი წავიდა. ის, ვისთანაც ჩავიდა, სულ მალე გაიქცა ცხელი ქვეყნიდან, რადგან, დავითის თქმით, აფრიკაში თავიდან ყველა ყველაფერს აგებს. დავითი დარჩა და დღეს ტანზანიის მკვიდრი ერთადერთი ქართველია და მთელს აფრიკაში ერთადერთი თეთრი მამაკაცი ბრძანდება, ვინც სრულიად კანონიერად ცხოველებს იჭერს – სიტყვა “საფარის” მოვერიდები; არ ხოცავს. იჭერს და თუ გაინტერესებთ, რა არსებები არიან მის მიერ დაჭერილი აარდვარკი და დიკდიკი, თბილისის ზოოპარკში მიბრძანდით. იქ ნახავთ და, მე მგონი, გაოცდებით.

დავითის საზოგადოება “აფრიკის ცხოველები” 1998 წლიდან წარმატებით მუშაობს და აფრიკულ ცხოველებს – ძუძუმწოვრებს, ფრინველებს, რეპტილიებს, ათასგვარ ცოცხალ არსებას მთელს მსოფლიოში აგზავნის.

თავად დავითი პატარა ცხოველებს აღარ დაგიღვეთ. ის დიდებზე “ნადირობს” – ანტილოპებზე, გარეულ კამეჩებზე, ჟირაფებზე და, როგორც თავად ფამილარულად უწოდებს, კატებზე: ავაზებზე, გეპარდებზე და ლომებზე.

ნადირობა ხდება თოფით, რომელიც ისვრის არა ტყვიას, არამედ ნემსს: მოხვდება ცხოველს და ცხოველი იძინებს. მაიმუნები მას ტუტუტუტურად ექცევიან – სანამ დაიძინებენ, აუცილებლად ამტკრევენ, იმიტომ,

რომ მაიმუნები არიან. მუხანათურად იქცევა აფრიკული გარეული კამეჩი: შეიძლება გეგონოს, რომ გაითიშა, ის კი წამოხტება და ეს არაა კარგი ამბავი. რაც შეეხებათ ლომებს, ტკბილად იძინებენ: “კატაა, რა”.

დევნა ძალიან ხანმოკლეა, სულ ორი წუთი. თურმე, მეტი არ შეიძლება, იმიტომ, რომ ცხოველს გული თუ მეტისმეტად აუჩქარდა, შეიძლება ამ ამბავს გადაჰყვეს. დიდხანს გრძელდება მისი შერჩევა, მასთან “გაცნობა”, მიპარვა და სხვა და სხვა – ხომ წაგიკითხავთ სათავგადასავლო წიგნები? ზუსტად ასეთი ამბავია, ოღონდ, ახლა ცხენებით კი არ მისდევენ, არამედ ჯიპებით.

უნინ დავითი ლასოთი იჭერდა ცხოველებს, ახლა უკვე ესვრის და აძინებს. პირველი “ნანადირევი” ანტილოპა ყოფილა, დიდი ხნის წინათ, 1993-ში. მას მერე იმდენი იყვნენ, რომ, მგონი, დიდად აღარ ახსოვს.

ცხადია, აღარც ცხოველებს ახსოვთ დავითი, არა იმიტომ, რომ ბევრ დავითს იცნობდნენ, არამედ იმის გამო, რომ მოკლე მესხიერება აქვთ. ასე, თბილისის ზოოპარკში მცხოვრებ ხალებიან აფთრებს არანაირი გრძნობა არ გაუმჟღავნებიათ მის მიმართ, ვის სახლშიც გაიზარდნენ და ვინც მათ იმას ასწავლიდა, რაც დედას უნდა ესწავლებინა – ახალ მომვლელს, დენისს ეთამაშებოდნენ. მათთან მეგობრობისთვის თავი არც დავითს მოუკლავს – გვერდით გალიაში სხვა აფთრები ეგულეობდა, ზოლებიანი, რომლებიც ახლახან თბილისში ჩამოიყვანა.

დავითი გალიაში შევიდა და მისი მაგალითით გულმოცემულმა მეც შევაბიჯე, ოღონდ გისოსის პირველ რიგს არ გავცილებივარ – მაინც აფთარია, რა ვიცი. აფთრები არ ჩანდ-



ნენ, ყუთში შემძვრალან, მგზავრობის შემდეგ სტრესი ჰქონიათ. ისხდნენ ყუთში და გამოსვლა არ უნდოდათ. დავითმა სთხოვა, გამოდითო. იმათ, არ გამოვალთო. დავითი ყუთს დასწვდა და გაისმა დიდი ფხაჭუნა: გამაგრდნენ და იძახდნენ, არ გამოვალთო. დავითმა ყუთს მისცხო და აფთრები გამოცვივდნენ. დიდები ყოფილან. არა, 25 კილო არიანო, დამამშვიდა დავითმა. ნუ იტყვი, დიდი ნუგეშია.

ერთი აფთარი გაიქცა და კუთხეში დაყუნცადა, ზუსტად ისე მიაჩერდა კედელს, ნაძირალა მასწავლებლის მიერ დასჯილი მოსწავლე რომ შვება ხოლმე, თან კანკალებდა და, ცოტა არ იყოს, შემეცოდა. მეორემ კი ჩაიძინა საშინელება, რომელმაც დამარწმუნა, რომ რაც არ უნდა იძახოს დავითმა, ეს ამქვეყნად ყველაზე გულითადი და სიმპათიური ცხოველიაო, აფთარი აფთარია: ჯაგარი აეშალა, თავზარდამცემი ხმა გამოსცა და ცუდი, ო, ძალიან ცუდი კბილები გამოაჩინა.

მე ვყოფილვარ ლაჩარი. ადრენალინმა ისე მომასხა, ვარაზისხევი ძაღლები აყმუვდნენ. ძალიან მომინდა მოკურცხვლა, მაგრამ ეს კაცი ისე მშვიდად იდგა, რომ შეძლებისდაგვარად ღირსეულად გავედი გალიიდან, მთლადაც არ წავიხდინე თავი. მერე დავითმა დენის უთხრა, ხილი უყვართ და საზამთროზე გიჟდებიან, აჭამე ხოლმეო. რას არ გაიგებს კაცი.

რომ დაგძვრებოდა? არაო. ვაჰ და მაინცმეთქი? ამხელას კისერში ხელი რომ ჩავავლო, მოვიქნეო, აი, ზრდასრული რომ იყოს, გამიჭირდებოდაო – თურმე ის ნადირი კიდე გაიზრდება! და რომ დაეფხაჭუნე, ნემსები უნდა გეკეთებინა-მეთქი? მხრები აიჩეჩა. არაო. რაც ნაკლებს ფიქრობ ასეთებზე,

მით უკეთესიო. და საერთოდ, აფთრები ყველაზე კარგი ცხოველები არიანო.

რა ვიცი, აბა... თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტელევიზორში ნანახი აფთრებისგან განსხვავებით, ესენი ლამაზები იყვნენ. მართლა.

მერე ტერარიუმში წავედით, გველებთან, ხვლიკებთან და მსგავს კომპარებთან. ახლა იქ დავითის მიერ გამოგზავნილი პითონიც ცხოვრობს. დავითმა მითხრა, მაინცდამაინც დიდი და საშინელი არაა, ოთხი მეტრი იქნებაო. ვნახე. დიდია და უსაშინლესი.

ამ პითონს ჯერ კიდევ აფრიკაში ყოვლად ბრიყვული ამბავი შეემთხვა: ერთ დღეს გველს მომვლელი თვალში არ მოუვიდა და გაჯავრებულმა ხელიდან დიდი რკინის ჯოხი გამოსტაცა. გამოსტაცა და ჩაყლაპა. გულგახეთქილი მომვლელი დავითთან მიქანდა და მოახსენა, რომ ცუდად იყო საქმე. პითონი მართლაც სავალალო დღეში იყო. მას ესროლეს, დააძინეს და მერე ჩამოკიდეს, კინალამ ვთქვი, ფეხებით-მეთქი. გველი მოდუნდა და ჯოხი როგორც ჩაყლაპა, ისე გადმოაგდო უკან.

კიდე დავითთან მაიმუნი ცხოვრობს. ოდესლაც დედამ მიატოვა და ჩვილივით გამოზარდეს, შპრიცით ასმევდნენ რძეს. ეს მაიმუნი ძალიან გაუზრდელია, მაიმუნია, რა: გერმანულ ნაგაზებს, რომლებიც დავითის კარ-მიდამოს იცავენ, ნერვებს უშლის, ხან ყურებში წარტყამს, ხან კუდზე მოქაჩავს და მერე დავითის ზურგსუკან იტუზება, აქაოდა, მე და დავითს ვინ მოგვერევაო.

...

როცა დავითი ამბებს ჰყვებოდა, ვფიქრობდი, რომ უზენდირესი კაცია: ცხოვრობს იქ, სადაც სულ თბილა, აქვს უზარმაზარი მიწა-

წყალი, ჰყავს ორი შვილი, ბევრს მოგზაურობს და ძალიან მოსწონს ისინი, ვისთანაც სულ აქვს საქმე – ცხოველები. სამოთხეა, ჰო?

თურმე, არა. ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, აფრიკაში არ წავიდოდიო. უწინ რომანტიკა იყო, ახლა კი სამუშაოა და მოვიწყინეო. აი, ეს შეიხიც რეკავს, რეკავს, ჟირაფი უნდა და ასეთ ტემპში ჟირაფი საიდან მოვუყვანო... მართლა სამ წუთში ერთხელ რეკავდა.

ეჰ, დავით. ჩემი ტელეფონიც სამ წუთში ერთხელ რეკავდა, ოღონდ ჟირაფი და მსგავსი სილამაზეები არავის უხსენებია.

მაინც ტანზანია ჯობია, ჩემო ბატონო.

...

სულ მალე თბილისის ზოოპარკში ორი თეთრი ლომი იცხოვრებს, გოგო და ბიჭი. ალბინოსები კი არ არიან, ასეთებად ჩაიფიქრა ღმერთმა. დავითმა თქვა, ისინი ისეთი მშვენიერი მხეცები არიან, მათი ნახვის მერე ყველა ლომი ნათრევ კატად მოგეჩვენებაო. ვნახოთ.

ბოდიში, უხერხული კითხვა კია, დავით, მაგრამ შუბლზე ეს ნაიარევი რა ამბავია?

ვიფიქრე, მიაბობს ახლა ლომებზე, ავაზებზე, ველურ ტომებზე! არა. ბავშვობაში ველოსიპედით დაეჯახა რალაცას.

გამიხარდა. იმედისმომცემი ამბავია. მამ, შესაძლებელი ყოფილა! რაც მე ველოსიპედით დავშავებულვარ! მამ, ოდესმე მეც აღმოვჩნდები ლალ ველებზე, ვნახავ კლიმანჯაროს და ვინ იცის, თეთრ ლომსაც. საახალწლოდ ამას ჩავიფიქრებ, რა იცი, რა ხდება.

P.S. დავითი მართლა არსებობს. არ გამომიგონებია. შეგიძლიათ იხილოთ www.africananimals.biz.



ჰილარი კლინტონი ბოლო დროს სტაბილურად პირველია. ბევრი ვარაუდობს, რომ დემოკრატიული პარტიაც ფსონს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე სწორედ ჰილარიზე დადებს. მისი საპრეზიდენტო კანდიდატურის წარმატებას თავისი საფუძვლიანი მიზეზები აქვს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყოფილი პირველი ლედის თანმიმდევრული კურსი და უცვლელი პოლიტიკური იმიჯია. ამ კურსს და იმიჯს ჰილარი კლინტონი, უკვე წლებია, ინარჩუნებს. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა სენატორობა გადაწყვიტა.

სტატია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სწორედ ამ პერიოდს მოიცავს – სენატის არჩევნებს და კლინტონის, როგორც სენატორის, საქმიანობას. რადგან ავტორის მთავარი თემა ჰილარი კლინტონის საქმიანობაა, ამიტომ წინასწარვე გაფრთხილებთ, რომ ეს არ გახლავთ ამერიკის ყოფილი პირველი ლედის და ერთ-ერთი მთავარი საპრეზიდენტო კანდიდატის დამტკბარი პორტრეტი – სენტიმენტალური შტრიხებით გაჯერებული, ცხოვრებისეული კადრებით სავსე და კლინტონის შინაგანი სამყაროს შეცნობის ამბიციით გამსჭვალული. თუმცა ვფიქრობ, ეს წერილი სწორედ ამიტომაც უფრო საინტერესო წასაკითხი. ერთი შეხედვით, მშრალი შეფასებებისა და საქმიანი და პოლიტიკური მსჯელობის მიღმა უამრავი ჩვენთვისაც აქტუალური საკითხი იმალება. ამიტომ პარალელების გავლება ქართულ საარჩევნო რეალობასთან ნამდვილად ღირს. როგორი შეიძლება იყოს საარჩევნო (და ასევე საკანონმდებლო) გარემო და როგორი გვაქვს ჩვენ – სტატის წაკითხვის შემდეგ სწორედ ამ კითხვებზე შევძლებთ ამომწურავი პასუხის გაცემას. ცხადია, ჰილარი კლინტონის მაღალ საარჩევნო კულტურაზე წერილში საგანგებოდ ყურადღება არაა გამახვილებული, რადგან ეს კულტურა იქ არავის უკვირს. თუმცა კი, მსგავსი დეტალები, ქართველ მკითხველს სხვაგვარი ინტერპრეტირების საშუალებას ნამდვილად მისცემს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ არჩევნები, რომელზეც წერილშია საუბარი, სენატისაა და არა პრეზიდენტობის, ამომრჩეველთან ურთიერთობის დონე კი მაინც ასეთი მაღალია.

როგორ გადაწყვიტა ჰილარი კლინტონმა სენატის დაკარგვა

ავტორი: ელიზაბეტ კოლბერი
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ
© პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“, 2003 წელს.

„ვფიქრობ, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ომი ბრძოლვადიანი ამოცანაა და ამ ფონზე მნიშვნელოვანია, ვიხილო, ზუსტად როგორი იქნება ჩვენი სამხედრო პასუხი და ვართ თუ არა საჭიროებისამებრ დასულნი. ისიც ნათელია, რომ მოქმედი ადმინისტრაცია, არჩეული სტრატეგიით, ფედერალურ ბიუჯეტს თავდასვრის ბარდა, ყველაფერზე ზოგავს. მე კი ვფიქრობ, შეხდომავა, დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის უამრავი საშინაო თუ საგარეო პრიორიტეტი. თუმცა, რადგანაც უზარადად დეფიციტსა და დაბროვილ ვალს მაინც აქვთ მივყვავართ, მიხდა ბავიარკვი, როგორ უნდა დაიხარჯოს თანხა“.



1993 წლის 26 იანვარს, თეთრ სახლში დასახლებიდან ექვსი დღის შემდეგ, ჰილარი როდჰემ კლინტონი ჟაკლინ კენედი ონასისს შინ ეწვია. პირველი ლედი ონასისმა მეხუთე ავენიუზე საკუთარ ბინაში მიიღო. სასტუმრო ოთახში, რომლის ფანჯრებიც ნიუ იორკის ცენტრალურ პარკს გადაჰყურებს, კლინტონს მსუბუქი საუბრე მიართვეს. ორ ქალბატონს მანამდე ერთმანეთი ერთი-ორჯერ ჰყავდათ ნანახი, მაგრამ კლინტონი ონასისს იმ იშვიათ ამერიკელ ქალად მიიჩნევდა, რომელსაც გულწრფელად შეეძლო მისი გასაჭირის გაგება. ორი საათის განმავლობაში საუბარი ბევრ თემას შეეხო, მათ შორის, ისაუბრეს საფრთხეებზე, რომლებიც ქარიზმატულ ლიდერებს ემუქრებათ და ბავშვების აღზრდის პრობლემაზეც ისაუბრეს, რაც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცევის შემდეგ ჩნდება ხოლმე. ბოლოს, ქალბატონები სამოსსაც შეეხნენ. თითქმის ყველაფერი, რაც თეთრ სახლში დასახლების პირველ დღეებში კლინტონმა გააკეთა, დაუნდობლად გაუკრიტიკეს – არც პრეზიდენტის კაბინეტის გვერდით ოთახში გადასვლა მოუწონეს და არც – შლაპების არჩევანი (ჩაიდნის მსგავსი ქმნილება, რომელიც ჰილარის პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიაზე ეხურა, ერთ-ერთ სტატიაში დაახასიათეს, როგორც მფრინავი თევზი, რომელიც მინაზე პირდაპირ თავით დაეშვა). კლინტონმა ონასისს ჰკითხა, მოდის კონ-

სულტანტებს ხომ არ მივენდო, როგორც ამას ბევრი მიჩვენეს. ონასისმა კი პირველ ლედის შემფოთებით უპასუხა: “არა, თქვენ ბუნებრიობა უნდა შეინარჩუნოთ”. ონასისის რჩევა კლინტონმა მშვენივრად გაიგო, მაგრამ დაბრუნდა თუ არა ვაშინგტონში, ის მაშინვე დაივიწყა. ამ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი იყო, ჰილარი კლინტონს ჯანდაცვის რეფორმაზე მომუშავე საპრეზიდენტო სპეც-კომისიისთვის უნდა ეხელმძღვანელა, რაც, თავის მხრივ, პირველი ლედისთვის უპრეცედენტო თანამდებობა გახლდათ. ამიტომ უამრავი ჟურნალისტი იღწვოდა, ახალ თანამდებობაზე დანიშნულ პირველ ლედისთან პირველი ინტერვიუ ჩაენერა. იმის ნაცვლად, რომ შანსი პოლიტიკური მიმომხილველისთვის ან თუნდაც ჯანდაცვის სფეროს ჟურნალისტიკისთვის მიეცა, კლინტონი სასაუბროდ “თაიმის” კერძების მიმომხილველს მარიან ბაროსს დაუჯდა. მალე “თაიმის” პირველ გვერდზე ბაროსის მასალა გამოქვეყნდა, რომლის მთავარი თემაც კულინარია გახლდათ; კერძოდ კი ის, რომ კლინტონმა თეთრი სახლის ფრანგული მენიუ ამერიკული სტილის კერძებით გადაახალისა. სტატისას თანდართული ჰქონდა ფოტო, რომლის გადაღებებზეც კლინტონმა დონა კარანის მხრებმომშველბულ საღამოს კაბაში იპოზიორა. წესით, მეორე აქტი ამერიკულ პოლიტიკაში არ უნდა არსებობდეს. თუნდაც იმიტომ,

რომ ამომრჩეველი სულსწრაფია და ამდენ ხანს ვერ ითმენს, ანდა იმიტომ, რომ უყურადღებობით გამოირჩევა და საზოგადოების წარმოსახვაში ერთხელ ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება, სხვა ალბათობების დაშვებას გამორიცხავს (ვთქვათ, მაიკლ დუკაკისი ტანკში, ანდა გერი ჰარტი მდიდრული იახტის “მანქა ბიზნესის” გემბანზე). არაგულწრფელობის რეპუტაციასაც აღარაფერი შველის, რადგან ღირსების დაბრუნების ყოველი მცდელობა საზოგადოებაში აღიქმება, როგორც მორიგი არაგულწრფელი ნაბიჯი. ჰილარი კლინტონის მეორე ვადა კი, მაინც დაინყო. იმის მიხედვით, თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ან სამი წლის წინ, სენატში არჩევით მოხდა, ანდა ცოტათი ადრე – როცა ბილ კლინტონის ღალატის ამბავი გაცხადდა. ასეა თუ ისე, ჰილარის მეორე ვადა ტრიუმფალურ პიკს ამ ზაფხულს მიაღწია, მემუარების “ცოცხალი ისტორიის” გამოქვეყნების შემდეგ. ეს წიგნი გავრცობილი მსჯელობა ყველა იმ თავსატეხის შესახებ, რაც პირველი ლედის სტატუსს მოაქვს. “ჯეკი კენედის ფარული მინიშნება გავითვალისწინე და გადაწყვიტე ჩემი ახალი მდგომარეობით მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო” – ასე იხსენებს წიგნში ჰილარი ონასისთან შეხვედრას; პრესაში მისი კაბის დაწუნებას კი კრიტიკოსების ენრო წარმოსახვას მიაწერს: “ყურადღებას კერძებსაც ვაქცევდი, რითაც თეთრ სახლში სტუმრებს ვუმასპინძლდებოდი და



ასევე, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაზეც ვზრუნავდი, რათა ის თითოეული ამერიკელისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი“. მხოლოდ შტატებში ჰილარის მემუარების მილიონნახევარი ეგზემპლარი გაიყიდა და გადააჭარბა კიდევ რვა მილიონ დოლარს, რომელიც გამომცემლობა “საიმონ ენდ შუსტერმა” წიგნში ჩადო (მემუარები 35 უცხო ენაზეც ითარგმნა და გამოიცა). მეტიც, ამ წიგნს ორმაგი ეფექტი მოჰყვა: ერთი მხრივ, გავრცელებულმა ხმებმა კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიაში ჩართვის შესახებ წიგნის გაცემებს შეუწყო ხელი. მეორე მხრივ კი – აურაცხელმა გაციდულმა წიგნმა ამ ხმების კიდევ უფრო უკეთ გავრცელება უზრუნველყო.

როგორ შეძლო ჰილარი კლინტონმა საკუთარი იმიჯის ასეთი შთამბეჭდავი რეაბილიტაცია, გაურკვეველია, მით უფრო, იმ ფონზე, როცა მისი მეუღლის ადმინისტრაციის მრავალი წარმომადგენელი, დღემდე ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას მიღებულ ყველაზე ცუდ გადაწყვეტილებებს ჰილარის აწერს. ამას ასეც ხსნიან: ჰილარი კლინტონი გაცილებით უფრო საღად აზროვნებს, როცა საქმე მის პირად კარიერას ეხება, ვიდრე – მეუღლისას. თვითონ ჰილარი კლინტონი კი “ცოცხალ ისტორიაში” წერს, რომ ყველა ის პრობლემა, რაც მას პირველი ლედობის პერიოდში თავს დაატყდა, სამინილი გაუგებრობის შედეგი იყო და სხვა არაფერი.



ჰილარი კლინტონი საზოგადოებრივ რადიოში დებატების დროს, 2007



სენატორი კლინტონი და მისი გუნდი ლათინური ასო L-ს ფორმის იმავე ოფისში დაბინავდნენ, რომელიც მთელი 25 წლის განმავლობაში კლინტონის წინამორბედს დენიელ პეტრიკ მოინიჭანს და მის ჯგუფს ეკავა. კლინტონის კაბინეტი L-ის ერთ-ერთ ბოლოშია მოთავსებული და სივრცითა და ჰაერითაა სავსე. ოთახს მარმარილოს ბუხარი ამშვენებს, რომელიც ოთხ დეკორატიულ და თხელ მორს იჭერს. კედლები ბაც ნარცისისფერ ტონშია შეღებილი და მორთულია აქსესუარებით, რომლებიც ოთახის შეფარულ ქაღურობას უსვამს ხაზს. სკამებზე პატარა, მახვილკუთხა ბალიშებია დამაგრებული, ერთ-ერთ ბალიშზე კლინტონის 1996 წელს გამოქვეყნებული წიგნის *It Takes a Village*-ის გარეკანია დაკრებული, მეორე კი განყოფილია წარწერით: “სენატორი ჰილარი”. როგორც პოლიტიკოსების კაბინეტების უმრავლესობაში, აქაც ბევრი ფოტოა, მაგრამ სტანდარტული, დაყენებული კადრების ნაცვლად, რომლებზეც პოლიტიკოსები ცნობილ ადამიანებთან ერთად პოზირებენ, ჰილარის გამოფენილი აქვს ფოტოები, რომელთა შორისაა, მაგალითად, რობერტ კენე-

დის პორტრეტი – ისიც ნიუ-იორკის სენატორი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკის შტატი მისი მშობლიური არ ყოფილა; იქვეა ბილ კლინტონის სახასიათო ფოტო – ყოფილი პრეზიდენტი ზურგით კამერისკენ დგას და ოვალური კაბინეტის ფანჯრიდან იყურება; იქვეა ჰილარისა და ელეონორ რუზველტის პორტრეტიც. ისე, ოფისი დიდად არაფრით გამოირჩევა – მოინიჭანს ბევრი შანსი ჰქონდა, საკუთარი სამუშაო კუთხე განეხლებინა, მაგრამ ეს არ გააკეთა. კლინტონსაც, როგორც ახალბედა სენატორს, ძველი ოფისი შერჩა.

გვიანი მაისის ერთ დილას ვაშინგტონში ჩავედი, კლინტონთან ერთად მთელი დღე რომ გამეტარებინა. ათის ნახევარზე ოფისში შევხვდი. კაბინეტში იჯდა და თუნუქის ქილიდან ცივ ყავას წრუპავდა. ამ დილაადრიან სენატორი, მაინცდამაინც, ფორმაში არ ჩანდა. ხოლო როცა კაბინეტში გარემოს დამცველთა ჯგუფის E2-ს წარმომადგენლები შევიდნენ, კლინტონი ისე გამოიყურებოდა, თითქოს, ჯერაც გაღვიძებას ცდილობსო. მათი საკითხები უამრავ თემას მოიცავდა – ოკეანეებში თევზაობაზე დანესებული ლი-

მიტის გადაცდენიდან დანყებული, ბუშის საკანონმდებლო პროგრამით დამთავრებული. კლინტონი ყავის წრუპვა-წრუპვით ეთანხმებოდა მათ მოსაწყენ მოსაზრებებს საწყლოსნო ცხოვრებასა და პრეზიდენტის ინიციატივებზე: “ადმინისტრაცია ხელიდან არ უშვებს არც ერთ შანსს, სუფთა ჰაერისა და სუფთა წყლის კანონები რომ შეასუსტოს”, – განაცხადა სენატორმა ბოლოს და, დასკვნის სახით, იმედი გამოთქვა, რომ “ეს მათი პირველი შეხვედრაა, რომელიც მომავალში რეგულარულ ხასიათს მიიღებს”. დასასრულს, გარემოს დამცველებს ბოდიში მოუხადა და კაპიტოლიუმში დანიშნულ პრესკონფერენციაზე წავიდა.

პრესკონფერენცია 2004 წლის თავდაცვის კანონს ეხებოდა, რომელსაც ჯერაც ვერ მიეღნია კონგრესამდე. რამდენიმე თვით ადრე კლინტონი სენატის შეიარაღებული სამსახურის კომიტეტში განწევრიანდა. როცა ვკითხე, რატომ სურდა ამ პოსტზე დანიშვნა, ასე მიპასუხა: “ვფიქრობ, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ომი გრძელვადიანი ამოცანაა და ამ ფონზე მნიშვნელოვანია, ვიცოდე, ზუსტად როგორი იქნება ჩვენი სა-



ჰილარი კლინტონი აიოვას შტატის მხარდაჭერა შეხვედრაზე, 2007



ბილ კლინტონი ჰილარის მხარდაჭერა შეხვედრაზე ნიუ-იორკში, 2007

კლინტონს ცნობილი ადამიანის აურა მუდამ სდევს თან. ამაზე ხმაყალა არავინ ლაპარაკობს, მაგრამ სწორედ ეს აურა განსაზღვრავს მთელ მის ურთიერთობებს. რესპუბლიკელი ბრეიბს, როცა პრეს ბალერიაში ქალბატონი კლინტონის გვირდით იჯდა, ალტაცებულის ჩანდა და, თან, ოდნავ დარსხვინილის – როგორც პატარა ბავშვი, კრანჭვისას რომ წაასწრავს.

მხედრო პასუხი და ვართ თუ არა საჭიროებისამებრ დაცულნი. ისიც ნათელია, რომ მოქმედი ადმინისტრაცია, არჩეული სტრატეგიით, ფედერალურ ბიუჯეტს თავდაცვის გარდა, ყველაფერზე ზოგავს. მე კი ვფიქრობ, შეცდომაა, დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის უამრავი საშინაო თუ საგარეო პრიორიტეტი. თუმცა, რადგანაც უზარმაზარ დეფიციტსა და დაგროვილ ვალს მაინც აქეთ მივყავართ, მინდა, გავერკვე, როგორ უნდა დაიხარჯოს თანხა”. სხვებმა, დემოკრატების ჩათვლით, სათქმელი უფრო მარტივად და მოკლედ მოჭრეს: მათი თქმით, ნაციონალურ უსაფრთხოებაზე ზრუნვით კლინტონი, უბრალოდ, საკუთარ რეზიუმეში არსებული სიცარიელის ამოვსებას ცდილობს.

ვინაიდან კლინტონი უმცროსი სენატორია, სენატის პრესკონფერენციებზე ხშირად ყველაზე ბოლოს გამოდის. ახლაც კონფერენციაზე, რომელიც თავდაცვის კანონში შესწორებას ეხებოდა (ამ შესწორების მიხედვით ეროვნული გვარდიის წევრები და რეზერვისტები სამხედრო ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში უნდა გაეერთიანებინათ), კლინტონი იძულებული იყო, რიგში

ჩამდგარიყო და ჯერ შესწორების დანარჩენი მხარდამჭერებისთვის მოესმინა. ისინი იყვნენ: სენატორი პატრიკ ლიპი ვერმონტის შტატიდან, სენატორი ტომ დეშლი სამხრეთ დაკოტადან და სენატორი ლინდსი გრემი სამხრეთ კაროლინადან. გამოცდილი პოლიტიკოსები ხშირად არც უსმენენ სხვა გამომსვლელებს, ვიდრე ისინი მჭევრმეტყველურად მსჯელობენ ათასგვარ ბანალურ საკითხზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მაგალითად, იმაზე, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის თავგანწირული სამხედროების სათანადოდ დაფასებას. კლინტონს მუდამ ეტყობა, რომ გატაცებით უსმენს თავის კოლეგებს. ახლაც, თანხმობის ნიშნად ენერგიულად უქნევდა თავს დეშლის, ლიპის და გრემს, ვიდრე ისინი დაუღალავად ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია, გვარდიელები და რეზერვისტები ჯანმრთელობის დაზღვევის მიღების აუცილებლობაში დაარწმუნონ. ბოლოს, როცა მისი გამოსვლის ჯერიც დადგა, კლინტონმა თქვა: “ამ კანონის მთავარი სათქმელი ესაა – “თქვენ ჩვენი ქვეყნისთვის ისეთი ძვირფასი რესურსი ხართ, რომ ჩვენგან სხვაგვარ მოპყრობას

იმსახურებთ”. შემდეგ კლინტონმა მადლობა გადაუხადა კოლეგებს, განსაკუთრებით კი, გრემს – კანონის მხარდამჭერთა კვარტეტის ერთადერთ რესპუბლიკელ წარმომადგენელს და აღნიშნა ისიც, რომ გრემი თავადაც მსახურობდა ეროვნულ გვარდიაში.

კლინტონს ცნობილი ადამიანის აურა მუდამ სდევს თან. ამაზე ხმაყალა არავინ ლაპარაკობს, მაგრამ სწორედ ეს აურა განსაზღვრავს მთელ მის ურთიერთობებს. რესპუბლიკელი გრემიც, როცა პრეს გალერეაში ქალბატონი კლინტონის გვერდით იჯდა, ატაცებულები ჩანდა და თან, ოდნავ დარცხვინილიც – როგორც პატარა ბავშვი, პრანჭვისას რომ წაასწრავს. “უნდა გითხრათ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა რაღაც გავიტანე”, – გამოაცხადა გრემმა. “ვეცდები, უფრო ხშირად ვესაუბრო ხოლმე სენატორს ნიუ-იორკიდან”. აშკარა იყო, გრემს ვერ გადაეწყვიტა, როგორ მიემართა ყოფილი პირველი ლედისთვის და საუბრის ერთ მომენტში, უბრალოდ “მან“-ითაც მოიხსენა. კლინტონი კი, თავის მხრივ, გრემს, უბრალოდ, სახელს – ლინდსის ეძახდა. ის აბსოლუტურად მშვიდი და განონასწორებული

ისტორია

ჩანდა, და თუ გრემის დაბნეულობას ამჩნევდა – და სავარაუდოა, რომ ამჩნევდა – ეს, ალბათ, ცოტათი ართობდა კიდევ.

კლინტონის სენატში არჩევის პირველივე ხანებში დამწყები სენატორისადმი გაჩნდა კითხვა – როგორ წარმოგიდგენიათ სენატში მუშაობა, თუ გავითვალისწინებთ თქვენი და თქვენი მეუღლის წარსულში დაძაბულ ურთიერთობას ამ ორგანოსთან. კლინტონმა აღნიშნა, რომ არ ღელავდა. “მგონი, კარგად მიმიღებენ”, – განაცხადა მან არჩევნების შემდეგ მანჰეტენზე გამართულ პირველივე პრესკონფერენციაზე, – “ბევრ რესპუბლიკელთან წარსულშიც ხშირად მიმუშავია. ახლაც ველოდები იმ დროს, როცა ორპარტიული თანამშრომლობის საფუძველზე მათთან ერთად კვლავაც ვიმუშავებ არა მხოლოდ ნიუ-იორკისთვის, არამედ იმ შტატებისთვის აქტიუალურ თემებზეც, რომელთაც ეს სენატორები წარმოადგენენ”.

იმავე დღეს, მაშინდელმა უმრავლესობის ლიდერმა, სენატორმა ტრენტ ლოტმა განაცხადა: “ერთ რამეს გეტყვით, როცა ეს ჰილარი სენატში მოვა, თუ საერთოდ მოვიდა – იმიტომ, რომ იქნებ, მეზი დაეცეს და ვერ შეძლოს – ჩვენ მუდმივად შევახსენებთ მას, რომ ის მხოლოდ ასიდან ერთ-ერთია”.

თუმცა, მსგავსი კომენტარების მიუხედავად, კლინტონის სიმშვიდე და თავდაჯერებულობა ძირითადად მაინც საფუძვლიანი იყო. შეიარაღებული ძალების ბიუჯეტში შესწო-

რების გარდა, რომელიც მან ლინდსი გრემთან ერთად გაიტანა, ჰილარი უამრავი სხვა წინადადების ინიციატორიც გახლდათ, მათ შორის: ორგონის შტატის რესპუბლიკელ სენატორ გორდონ სმიტთან ერთად მედეებისთვის სამუშაო ადგილების გასაზრდელად შემუშავებული ზომები; ოკლაჰომას შტატის ასევე რესპუბლიკელ სენატორ დონ ნიქლსთან ერთად უმუშევართა დახმარების გაზრდა; ხოლო ვირჯინიის შტატის რესპუბლიკელ სენატორ ჯონ უორნერთან ერთად იმ ადამიანების დახმარებაზე ზრუნვა, რომლებიც ხანდაზმულ ანდა, უნარშეზღუდულ ნათესაებს უვლიან. ბევრი ის პოლიტიკოსი, რომელიც წინა კლინტონის სახელს ჩირქს ცხებდა – მაგალითად, ოკლაჰომას შტატის რესპუბლიკელი სენატორი ჯეიმს ინჰოუფი – ახლა ჰილარის საკუთარ მეგობრად მოიხსენიებენ. ხოლო დოკუმენტების იმ სქელ საქალაქებში, რომელიც კლინტონის ხელქვეითებმა გამოიგზავნეს, იყო ამაღლეველი ციტატების მთელი კომპილაცია. ქების რამდენიმე წერილი იმ კონგრესმენებსა და სენატორებს ეკუთვნოდათ, რომლებიც წინა ჰილარი კლინტონს ცხარედ ეკამათებოდნენ, ან მისი მეუღლის იმპიჩმენტს უჭერდნენ მხარს, ანდა ორივეს წარმატებით ახერხებდნენ.

“მგონი, საქმეს თავს მშვენივრად ართმევს”, – აღიარა მერე ტრენტ ლოტმაც, – “ვფიქრობ, ცდილობს რაც შეიძლება ღრმად გაერკვეს საკითხში და სამინაო დავალება

ფრიადზე შეასრულოს, თან ცდილობს, თავმდაბალი და თავაზიანიც იყოს”.

იმ დღეს კი შემდეგი შეხვედრა კლინტონს ასა ჰაჩინსონთან ჰქონდა – ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტში საზღვრებისა და ტრანსპორტის უსაფრთხოების ოფისის ხელმძღვანელთან. ჰაჩინსონი არკანზასელია, ყოფილი კონგრესმენი. გრემთან ერთად ბილ კლინტონის იმპიჩმენტის პროცესში ისიც ერთ-ერთი მენეჯერის როლს ასრულებდა. მასთან შეხვედრა ახლა თვითონ ჰილარი კლინტონმა მოინდომა და ჰაჩინსონი საკუთარ ოფისში მიიღო. საუბრის თემა გახლდათ მცირე აერობორტებში უსაფრთხოების საკითხი. დიალოგის დასასრულს, კლინტონით გულწრფელად აღფრთოვანებული ჰაჩინსონი მიუბრუნდა სენატორს და უთხრა: “გილოცავთ, თქვენ რასაც მიაღწიეთ, უდიდესი გამარჯვებაა”.

“ასეთი კარგი პერიოდი ცხოვრებაში არასდროს მქონია”, – მიუგო კლინტონმა, – “ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდება? ვეკითხები ჩემს თავს ყოველ დილას და ლოყას ვიჩქმეტ”.

კლინტონის მოგზაურობა სენატისკენ შედარებით ოფიციალურად 1999 წლის 7 ივლისს დაიწყო. იმ დღეს ჰილარიმ განაცხადა, რომ კამპანიის საწარმოებლად შტაბს ქმნიდა. ამ განცხადების გასაკეთებლად მან ნიუ-იორკის ჩრდილოეთში, ერთ პატარა დასახლებაში პინდარს ქორნერში მდებარე დენიელ პატრიკ მოინიჰანის ფერმა აირჩია.

ის ყოველ მაგიდასთან ჩირღებოდა და ყველა მსურველს ხელის ჩამორთმევით ესალმებოდა, თითქოს, სულ სოფა ხნის წინ არაფარი უსიამოვნო არ მომხდარიყო. ერთმა ქალბატონმა კანდიდატთან მისალმებისას დაინფუნა, ახალგაზრდები სამსახურის ძებნისას აქ საშინელ სირთულეს აწყობიანო – მსგავსი უკმაყოფილება კლინტონს ათასჯერ თუ არა, ასჯერ გაიხსნა ჰქონდა მოსმენილი. გაბრამ ამ ქალბატონმა კლინტონთან დაპირების შემდეგ გაიხსნა დაასკვნა: „როსა ელასპარაქები, ის ყურადღებით ბისმენს, და შენს იჯერაბ, რომ შენი სათქმელი მართლა აინტერესებს, ანუ მხოლოდ თავიდან მოსილუბის მიზნით არ გათანხმება“.



მონიჰანმა და კლინტონმა ჯერ სკოლის შენობაში მოითათბირეს, შემდეგ კი ახლადმოთიბული თივის მინდვრისკენ გაეშურენ, სადაც უკვე გაეშალათ სპეციალური სამაგრები კამერებისთვის. კლინტონმა ის კითხვები წამოსწია ნინა პლანზე, რომლებიც მისი აზრით, ყველას ანუხებდა: “რატომ სენატი? რატომ ნიუ-იორკი? და რატომ მე?” ბოლოს პრესიდან აკრეფილი რამდენიმე კითხვაც არ დაივიწყა. თუმცა, რაც ილაპარაკა, პასუხებს დიდად არ ჰგავდა, რადგან, მართალია, ხშირად წარუმატებლად, მაგრამ მაინც – თავის არიდებას ცდილობდა.

კლინტონის პრესკონფერენციაზე თან მეგობარი წავიყვანე, რომელიც პინდერს ქორნერზთან ახლოს ცხოვრობდა. მის გარდა, ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ღონისძიებას თითქმის არავინ ესწრებოდა, ამიტომ, ჩემი მეგობრის კომენტარი თითქმის მთელმა პრესამ ჩანერა. ერთმა ტელეჟურნალისტმა ჰკითხა, სჭირდებოდა თუ არა ნიუ-იორკს სენატორად პირველი ლედი. მან კი, ისე, რომ ვერც გაიაზრა, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, უპასუხა: “ნიუ-იორკს პილარი კლინტონი არ სჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ნიუ-იორკელების უმრავლესობა მხარს უჭერს სწორედ მის კანდიდატურას”. საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში კი მისი კომენტარის მხოლოდ პირველი ნახევარი გაუშვეს.

>>> ბაზრძილუბა გვ. 164



ორი საპრეზიდენტო კანდიდატის შახვარა ფილალელფიაში. 31.10.2007



არასოდეს აღაზვოთ კოლიტიკოსები!

ავტორი, ფოტო: თამარ სუხიშვილი

„ბექდების მბრძანებლის“ ავტორმა და, ამავდროულად, ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური ენის პროფესორმა ჯ.რ.რ. ტოლკინმა მამაჩემს უთხრა, რომ ჩვენი გვარი — Waugh (ვო) Wales-ის (უელსი) მხოლოებითი რიცხვის ფორმაა და გამომსახველობითად ნიშნავს ერთ (მოსაწყენ, უღიმღამო) უელსელს. მამამ ეს ამბავი დიდი ამბით ახარა უელსის პრინცესა დაიანას, მაგრამ მისდა გასაოცრად პრინცესამ, როგორც ჩანს, ვერაფერი გაიგო...“

შენი საქციელი ვოს სახელს სრულიად არ შეეფერება, — ხშირად გაისმოდა ხოლმე ტრადიული შეგონების ეს ფრაზა ვოების დიდ ოჯახში. როგორც ჩანს, ოჯახის უხუცესს აზრადაც არ მოსვლია ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში ჩაეხედა და სიტყვის მნიშვნელობა ამოეკითხა, — ხუმრობს ალექსანდრე ვო, — თორემ ასეთი მგზნებარებით აღარ ახსენებდა ვოს სახელს.

წარმოშობით „ვო“ კელტური სიტყვა უნდა იყოს და თავის დროზე, სავარაუდოდ, „უცხოვს, განდგომილს“ ნიშნავდა, მერე კი — უბრალოდ ერთ უჭმურ უელსელს.

ალექსანდრე ვო — მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. დაიბადა 1963 წელს. სანამ მწერალი გახდებოდა, არაერთი პროფესია გამოიცვალა, ერთხანს ლინის ბიზნესშიც იყო ჩაბმული. „პრინციპში ყველაფერი ვცადე, რაც შემიძლო“. ჯერ მუსიკას ასწავლიდა მანჩესტერის უნივერსიტეტში, ორი წლის განმავლობაში იმპრესარიოდ და მუსიკალურ აგენტად მუშაობდა. მერე ოპერის მთავარი კრიტიკოსი იყო „მეილ ონ სანდისა“ ლონდონის „ინინგ სტანდარტში“. „ბოლოს (სხვათა შორის, საკმაოდ გვიან) მივხვდი, რომ უნდა მწერა, თანაც ოჯახისთვის შესაძლებელი მჭირდებოდა.“

დანერვილი აქვს რამდენიმე წიგნი მუსიკის შესახებ. მათ შორის, ბესტსელერი - „კლასი-

კური მუსიკა: მოსმენის ახალი გზა“ (Classical Music: A New Way of Listening), რომელიც ოთხ ენაზეა თარგმნილი. თავის დროზე წარმატება ხვდა წილად მის რომანებსაც: „დრო“ (Time) და „ღმერთი“ (God).

იღებს დოკუმენტურ ფილმებს „ბი-ბი-სი 4“-სთვის. არის გამომცემელი, მხატვარი და ილუსტრატორი. მისმა მიუზიკლმა — „ბედნიერი მგზავრობა!“ (Bon Voyage!) — ვივიან ელისის მე-12 პრიზი მოიპოვა საუკეთესო მიუზიკლისათვის. ამჯერად დიდ ბრიტანეთში, სომერსეტში, ცხოვრობს, მეუღლესა და სამ შვილთან ერთად...

ერთი ჩემი სნობი ბრიტანელი მეგობარი რომ არა, ჩემს რესპონდენტს ვერ შევხვდებოდი. სწორედ ჯეინმა გადმომცა „სანდის ტაიმის“ ლიტერატურული ფესტივალის პროგრამა, რომელშიც საკუთარი თავის პატივისმცემელი ბრიტანული სნობური საზოგადოებისთვის ღირსშესანიშნავი ღონისძიებები მარკერით იყო მონიშნული. მარკერით მონიშნულ ღონისძიებათა შორისაც გარკვეული იერარქია იყო დაცული, ფერებით განსხვავებული. ჯეინი ძონისფერზე გიჟდება, სალამოს კაბაც ძონისფერი აქვს და ფეხსაცმელიც. ჰოდა, რჩეულთა შორის რჩეული ღონისძიებაც ამავე ფერის მარკერით გაეფერადებინა.

ასე აღმოვჩნდი „ბი-ბი-სი 4“-ის ფილმის პრეზენტაციაზე, რომელიც ალექსანდრე ვომ საკუთარი ნაწარმოების მიხედვით გადაიღო. რომანი, რომელსაც სახელად „მამები და შვილები“ (Fathers and Sons) ჰქვია, დიდ ბრიტანეთში ცნობილ მწერალთა ოჯახური დინასტიის ცხოვრებას ეხება. თავად ავტორიც ამ დინასტიის შთამომავალია. „მამები და შვილები“ არა მხოლოდ ძირძველი არისტოკრატიული შტოს დაფარულ საიდუმლოებებს ახდის ფარდას, არამედ, მთელი ეპოქის ისტორია — სხვადასხვა დროს, სხვადასხვა

მწერლის თვალთ დანახული, რომელიც, „სანდის ტაიმის“ ლიტერატურულ კრიტიკოსებს თუ დავუჯერებთ, „ყველა მამამ და შვილმა უნდა ნაიკითხოს“.

მამები და შვილები

რომანის ბოლო თავში — „მამაჩემი“ ალექსანდრე ვო წერს: „ბევრი წიგნი წამიკითხავს მამებისა და შვილების შესახებ. ამ მარადიული კონფლიქტის თემაზე საუბრისას, პირველ რიგში, დაუფარავი ბრალდებები წამომიტივტივდება ხოლმე გონებაში, მაგალითად, ისეთი, მორიც თომსენის ექსტრაორდინარულ ავტობიოგრაფიაში („ჩემი ორი ომი“) რომაა. არასოდეს დამავინყდება რომანის პირველი ფრაზა: „ეს არის წიგნი ჩემი ცხოვრების ორი საშინელი კატასტროფის — მეორე მსოფლიო ომისა და მამაჩემის შესახებ...“

„თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტორს მამა სძულდა ან, პირიქით, აღმერთებდა მას. მამაშვილურ ურთიერთობაში კონფლიქტი ყოველთვის არსებობს. ეს კონფლიქტი ბავშვური ნდობით იწყება, რასაც ზოგჯერ გმირის ხატის შექმნაც კი მოსდევს და მერე ხშირად ილუზიები იმსხვრევა... ეს იმის ბრალია, რომ მამა უფრო ძლიერია, ვიდრე შვილი. დიდი ხნის განმავლობაში მამა იღებს გადაწყვეტილებას შვილის მაგივრად, მამა ირჩევს შვილის საცხოვრებელ ადგილს, მამა ზრუნავს მის განათლებაზე, შვილი კი ეწინააღმდეგება და ებრძვის მშობელს. ეს ბიოლოგიური პროცესივითაა; მშობლებისა და შვილების ბრძოლა რაღაც დარვინული ამბავია და ისიც სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ბრძოლა არასოდეს მთავრდება...“

მწერალთა ოჯახური დინასტიის ისტორია ამ მამაშვილური ურთიერთობების ქრილშია დანახული. კაცმა რომ თქვას, ეს ისტორია სწორედ ამ კონფლიქტიდან იწყება:

ისტორია


„ჩვენ ყველანი მწერლები იმიტომ გავხდით, რომ ჩვენი მამების გული მოგვეგო. ეს არც შენიშვნაა და არც სიამაყით ნათქვამი. უბრალოდ, ფაქტი დავაფიქსირე, მეტი არაფერი. ჩვენი ოჯახის ისტორიას რომ გადავხედე, კიდევ უფრო დავრწმუნდი ამ სიმართლეში. ასეა, ვწერდით იმიტომ, რომ ჩვენს მამებზე შთაბეჭდილება მოგვეხდინა.“

ღინასტია

ვოების ლიტერატურული ღინასტიის სათავეში დოქტორი ალექსანდრე ვო დგას, საკუთარ ოჯახსა და შთამომავლობაში „ალექსანდრე სასტიკის“ სახელით ცნობილი. მას მოსდევს ართური — გამომცემელი, პოეტი, კრიტიკოსი და ბიოგრაფი. როდესაც ართურს სიტყვა „სადისტის“ მნიშვნელობა განუმარტეს, მას უთქვამს: გასაგებია, სადისტის არის, რაც მამაჩემიაო. ართურს მოსდევს მისი საყვარელი პირმო ალექვი — ტრაგიკული ბედის ახალგაზრდა კაცი, რომელიც პირველივე სკანდალური რომანითა („ახალგაზრდობის მირაჟი“, The

Loom of Youth) და არანაკლებ სკანდალური ცხოვრების წესით გახდა ცნობილი და მისი უმცროსი ძმა, მამის სიყვარულით არცთუ განებივრებული ივლინი, რომელსაც თავდაპირველად კრიტიკოსები უნდობლად და თითქოს დაყვედრებით მოიხსენიებდნენ ართურის ვაჟად და ალექვის ძმად; თუმცა, სულ მალე ამავე კრიტიკოსებმა მისი შემოქმედების წლები ვოების ღინასტიის ალორძინების ხანის სახელით მონათლეს. მაგრამ ივლინი ვო არც ამას დასჯერდა. მან არა მხოლოდ ოჯახური ღინასტიის, არამედ ბრიტანული მწერლობის საზღვრებიც კი გაარღვია: „ერთადერთი ბრიტანელი გენიოსი კომიკოსი ბერნარდ შოუს შემდეგ“, „საუკუნის უდიდესი რომანისტი“... მეტს აღარ გავაგრძელებ. ივლინის ვაჟმა ობრონმა ოჯახის ლიტერატურული ტრადიციიდან ოდნავ გადაუხვია და ჟურნალისტიკა აირჩია. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ობრონი ვოს ნამდვილ გენიოსად განიხილავდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ობრონი მამაზე ბევრად უკეთესი მწერალიც კი იყო, რომელმაც შექმნა თავ-

ნამედროვეობის კომიკური რომანი და რომ არცერთ თანამედროვე მწერალს დედამიწის ზურგზე არ გაუკეთებია ისეთი ადამიანური კომენტარი ამ ცხოვრებაზე, როგორც ობრონი ვომ გააკეთა. 2001 წელს ობრონი ვოს გარდაცვალებამ მის მრავალრიცხოვან მკითხველებს, მართლაც, ძალიან დასწყვიტა გული. სწორედ მამის სიკვდილმა გადააწყვეტინა ალექსანდრე ვოს, დაენერა წიგნი მამებსა და შვილებზე და იქვე, ეპილოგში, თავისი შვილისთვის ასეთი დარიგებაც დაეტოვებინა: „გეამაყებოდეს შენი გვარი, მაგრამ იცოდე, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს, უსათუოდ მწერალი უნდა გამოხვიდე, რომ ეს შენი მოვალეობაა, ანდა შენი ბედისწერა. ასე არ არის. რა აზრი აქვს წერას, თუ არაფერი გაქვს სათქმელი, ანდა არ იცი, როგორ თქვა...“ ამ სიტყვების ადრესატი ჯერ პატარაა, ჯერ არც მამის წიგნი ნაუკითხავს და არც ვოების ლიტერატურულ ბედისწერაზე უფიქრია. ასე რომ, ჯერჯერობით არ ვიცით, კიდევ რამდენ თაობას გაჰყვება ეს ბედისწერა...



ვინაიდან წარმოდგენა არ მქონდა, რა ფორმით სთხოვენ ჟურნალისტები ინტერვიუს თავიანთ რესპონდენტებს ცერემონიებისა და გადაჭარბებული ზრდილობის მოტრფივალ ბრიტანულ საზოგადოებაში, ავდექი და ფილმის ჩვენების შემდეგ რეჟისორს პირდაპირ მივეჭერი და ინტერვიუ ვთხოვე, არა — მოვთხოვე. გამიმართლა, არც იმას ჰყვარებია დიდი ცერემონიები: სიამოვნებით, — და იქვე შეეთანხმდით. მერე თავისი ფეხით დიდი ხალისით მოვიდა სტუმრად ჩემს კოლეჯში. არც ის ნამოუწუნუნია, ცოტა დრო მაქვს და მეჩქარებაო. მიდი და თქვი ამის მერე — ეგ სნობი არისტოკრატიო. მისტერ ვო მარტო საინტერესო მოსაუბრე კი არა, ძალიან უშუალო და მხიარული კაცი აღმოჩნდა.

როგორც მითხრა, იმდენად გულახდილი ბიოგრაფია გამოუვიდა, რომ მოსაყოლი პრინციპში აღარაფერი დარჩა, ან თუ დარჩა, ესე იგი, იმის მოყოლას არც აპირებს. თუმცა, მაინც დიდხანს ვისაუბრეთ, მის წინაპრებზეც, ახალ წიგნზეც და ზოგ სხვაზეც...

მოზონებაში ივლინ ვოჯა

„რაც გავაკეთე, ბრწყინვალედ გავაკეთე,“ — ვოს დიდ თავმდაბლობას ვერ დავნამებთ. თუმცა, ტყუილი არ უთქვამს: გაკეთებით მართლაც ბევრი გააკეთა და თანაც ბრწყინვალედ: რომანები — „შავი ბოროტება“ (Black Mischief), „დაცემა და დასასრული“ (Decline and Fall), „ერთი მუჭა მტვერი“ (A Handful of Dust), ტრილოგია „პატიოსნების მახვილი“ (Sword of Honour) და კიდევ მრავალი სხვა. განსაკუთრებით პოპულარული, მაინც, „დაბრუნება ბრაიდსჰედში“ გახდა, რომელიც მწერალმა 1945 წელს დაწერა, იუგოსლავიიდან ჩამოსვლის შემდეგ. ივლინ ვო იქ ბრიტანეთის სამხედრო მისიაში მსახურობდა და ავიაკატასტროფის დროს სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. 1981 წელს ამ რომანის მიხედვით ცნობილი სერიალი გადაიღეს, ჯერემი აირონსისა და ანტონი ენდრიუსის მონაწილეობით. ნოსტალგიური ამბავი სილამაზისა და სიმახინჯის შესახებ დღესაც ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით, ბრიტანეთის სტუდენტურ წრეებში. ჩემი სნობი მეგობარი ამ ფილმზე მთლად ჭკუას კარგავს, თუმცა, მე მაინც ჯვინზე უფრო კომპეტენტურ კრიტიკოსებს დავიმოწმებ: „ნაბიჯი ულტრათანამედროვეობიდან „ულტრამონტინიზმამდე“ (რომის პაპის აბსოლუტური ავტორიტეტის აღიარებამდე), „მანერულობის მეტამორფოზა ანტიმანერულობად“. რალაც ძალიან გადაპრანჭული ჩანს, მგონი, ეს კრიტიკოსებიც სნობები უნდა იყვნენ.

ვოს გარდასახვამ სახტად დატოვა მთელი ლიტერატურული სამყარო. რას უნდა გამოეწვია მწერლის მეტამორფოზა ულტრათანამედროვეობის „აბსურდული კარიკატურიდან“ კათოლიციზმის „ნამდვილ სამყარომდე“? მედია რალაც განსაკუთრებულ სენსაციას ელოდა. ჟურნალისტები დიდხანს და მონდომებით ცდილობდნენ მწერლის გარდასახვის საიდუმლოს ამოხსნას. ივლინმა კი მარტივად განმარტა: მივხვდი, რომ თანა-

მედროვე სამყარო ქრისტიანობასა და ქაოსს შორის არჩევნის წინაშე იდგაო.


ისე, მე მწერლის სხვა, შინაურული, განმარტება უფრო მომწონს: „წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რა საზიზღარი ადამიანი ვიქნებოდი, კათოლიკე რომ არ ვყოფილიყავი. ის კი არადა, ალბათ, ადამიანიც კი ვერ ვიქნებოდი ზებუნებრივი ძალის დახმარების გარეშე.“

მართლაც რომ, აუტანელი ხასიათი ჰქონდა. თუმცა, გარშემო მყოფთათვის ყველაზე აუტანელი და მიუღებელი მისი უხეში და მართალი პირდაპირობა გახლდათ. ალბათ ამიტომაც არ ეხატებოდათ გულზე საბჭოურ სივრცეში. ამას ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან ამოწერილი ეს ციტატაც მოწმობს: „მისი [ივლინ ვოს] სატირა შეზღუდულია დადებითი სანწყისისა და ეთიკური პრინციპების უქონლობის გამო.“ (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან!)

„საშინლად გულწრფელი იყო, მოურიდებლად პირდაპირი. ყველაფრის თქმა შეეძლო, პირდაპირ მოგახლიდა ყველაზე უსიამოვნო სიმართლეს. რალა თქმა უნდა, ყველა ადამიანი ასეთი რომ იყოს, სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სრულიად აუტანელი და საშინელი იქნებოდა. მაგრამ, ამავე დროს, ასეთი ადამიანების არსებობა სამყაროს უფრო აკეთილმოიბილებს და მრავალფეროვანს ხდის. ჩვენ ხომ ძალიან ხშირად არ ვამბობთ იმას, რასაც ვგრძნობთ.“

მის პიროვნებაში შერწყმული იყო, ერთი მხრივ, საოცარი გულწრფელობა და პირდაპირობა და, მეორე მხრივ, — კათოლიციზმის რწმენა, რომელიც ბევრს მწერლის სნობურ ახირებად ეჩვენებოდა და ამის გამო ხშირადაც აკრიტიკებდნენ ხოლმე.

ერთი კრიტიკოსი წერდა: ივლინ ვოს პიროვნებაზე სრული წარმოდგენა რომ შეგექმნათ და მისი ექსტრაორდინარული ხასიათის თვისებებს რომ ჩასწვდეთ, ამისათვის არქეოლოგისა და ფსიქიატრის ალლოთიც უნდა გამოირჩეოდეთო.



წარმოდგენას კი არ გაქვთ, რა საზიზღარი ადამიანი ვიქნებოდი, კათოლიკე რომ არ ვყოფილიყავი. ის კი არადა, ალბათ, ადამიანიც კი ვერ ვიქნებოდი ზებუნებრივი ძალის დახმარების გარეშე



„ნამდვილად ძალიან ექსცენტრული და რთული პიროვნება იყო. ივლინის მიერ ცხოვრებაში გადადგმული არაერთი ნაბიჯი უფრო საკუთარი ოჯახის წინააღმდეგ მიმართული რეაქცია იყო. მამამისი მის უფროს ძმაზე ალექსეზე გიჟდებოდა, ამტკიცებდა, რომ სწორედ ალექსე იყო მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე კარგი მწერალი, ივლინს კი იგნორირებას უკეთებდა... ამიტომაც ვფიქრობ, რომ ივლინის ქცევა, პირველ რიგში, აჯანყება იყო საკუთარი ოჯახის წინააღმდეგ. მერე კი მოხდა ისე, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ბოლოს ის მამამისს დაემსგავსა...“

ივლინი რომ გარდაიცვალა, ალექსანდრე ძალიან პატარა იყო. ამიტომ, სახელოვანი პაპა ბავშვობის მოგონებების მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტიდან ახსოვს. როგორც ამბობდნენ, პირს ისე არ გაალებდა, რამე სახუმარო რომ არ ეთქვა. თუმცა, მცირეწლოვან შვილიშვილთან თამაშის დროს მისი იუმორის გრძნობა და მხიარულება ლომივით ღრიალსა და ოთხზე თოხარკით სირბილში უფრო გამოიხატებოდა.

„მანცდამანც ბევრი არაფერი მახსენდება. მახსოვს, როგორ მეთამაშებოდა, მახსოვს წიგნი, რომელიც მე მომიძღვნა, კიდევ რაღაც წერილები. ბავშვობაში ძალიან მემამაყებოდა, მისი შვილიშვილი რომ ვიყავი. მთელი გარემო, რომელშიც გავიზარდე, ივლინით იყო გაჯერებული. ის იყო ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანი. მისი სახელი მუდმივად თან გვდევდა. ყოველთვის არსებობდა რაღაც ან ვიღაც, რაც პაპას მახსენებდა: ხან ფილმს აჩვენებდნენ ტელევიზიით, ხან სტატიას აქვეყნებდნენ გაზეთში,

ხან ვოს რომელიმე რომანის ახალი გამოცემა იბეჭდებოდა, ხანაც უბრალოდ მასზე ლაპარაკობდნენ... მერე, 12-13 წლის ასაკში, მისი წიგნების კითხვაც დავიწყე. თუმცა ყველაზე მეტი ივლინის შესახებ მაშინ გავიგე, როცა ამ წიგნის წერას შევეუდეთი.“

ჩანაწერებიდან, სხვების მოწყობიდან თუ ყურმოკრული ამბებიდან ივლინის ცხოვრების, მისი ხასიათის ბევრი საინტერესო დეტალი ამოკრია. იმაშიც დარწმუნდა, რომ ივლინის პიროვნების შეფასებისას ბევრ რამეში ცდებოდნენ: არც ისეთი წარმატებითა და ფუფუნებით განებივრებული ცხვირანული სნობი ყოფილა, როგორც ამას თანამედროვეები ხატავდნენ.

„ქველმოქმედი კაცი იყო. სულ გასცემდა, მუდმივად სწირავდა შესანიშნავს კათოლიკურ ეკლესიას, ეხმარებოდა ღარიბ ბავშვებს – სკოლაში სიარული რომ შესძლებოდათ, ხელს უმართავდა უქონელ მწერლებს... საკუთარი თავიც არ ავიწყებოდა: ყოველთვის ჰქონდა კარგი ღვინო, ლამაზი პიჯაკები, აგროვებდა ძვირად ღირებულ ფერწერულ ტილოებს, განსაკუთრებით ვიქტორიანული ეპოქის ფერწერა უყვარდა... ომის მერე კი, გადასახადები რომ ავარდა, ძალიან გაუჭირდა.“

ერთხელ ვირჯინია ვულფმა საყვედურიც კი გამოთქვა: ივლინ ვო ნამდვილ სოციალურ პრობლემებს ყურადღებას არ აქცევსო. ასეთი „ბრალდებები“ სხვებიც იყო: „თვითმხილველები იხსენებენ, თუ როგორი ყურადღებიანი იყო ხალხის მიმართ, როგორ უსმენდა მათ ნაამბობს; მაგრამ, რატომღაც ყველამ დაივიწყა მისი ეს თვისება და ხალხის წარმოდგენას ივლინ ვო გაბლენძილი არისტოკრატი სნობის სახით შემორჩა. არა-

და, მას ყოველთვის აინტერესებდა უბრალო ხალხის ცხოვრება, ამ ცხოვრების დეტალები, ნებისმიერი საცნაური და უცნაური ისტორია, რადგან თუ გინდა, რომ კარგი მწერალი იყო, ხალხს უნდა აკვირდებოდე, მოუსმინო, ისწავლო...“

„ძალიან, ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა. თუმცა, მასთან ურთიერთობა ბევრს აშინებდა. რა თქმა უნდა, ამჩნევდა, რომ გაურბოდნენ და სწყინდა. ბოლოს საძაგელი ხუმარას როლის თამაშშიც მობეზრდა, თითქოს დაიღალა. სევდაც შეეპარა. რაღაც გაუცხოების გრძნობა გაუჩნდა...“

ალბათ, ამ გაუცხოების გრძნობამ ათქმევინა: როდესაც ადამიანი ცხოვრებაში ცნობისწადილს კარგავს, ე.ი. იმ ასაკს მიაღწია, ავტობიოგრაფია რომ უნდა დაწეროსო.

„ბოლო წლებში ძალიან დეპრესიული გახდა. მანამდე სულ ხალისიანი და სიცოცხლით სავსე იყო. კარჩაკეტილი ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია: ომშიც წავიდა, ჯუნგლებშიც მოგზაურობდა, არანაირ ხიფათს არ ერიდებოდა, ყველაფერს აკეთებდა, მათ შორის, ბევრ სისულელესაც. ბოლოს კი თითქოს ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. სიკვდილზე ხშირად ფიქრობდა. თავის ძველ რომანებს ჩაჰკირკიტებდა და რევიზიას უკეთებდა.“

„ახლა, მის ბიოგრაფიას რომ გადავხედე, შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერში თანავუგრძნობ ჩემს პაპას, კათოლიციზმის გარდა. დიდი მორწმუნე არ ვარ. კიდევ ერთ რამეს ვერ ვპატიობ — ჯარში სამსახურის დროს მძიმედ დაჭრილი მამაჩემი სავადმყოფოში რომ არ მოინახულა...“

საქართვებანკის ბანკის სანახანდრო აქცია!

იპო+



მასობრივი სახიფათო
ბანკით 14%

შეიძინეთ
ააშენეთ
გარემონტეთ



საქართვებანკი
BANK OF GEORGIA



წლის აღმნიშვნები

ავტორი: ნინო ლომაძე

ვიზაჟი: სვულია „ბრიმ-მასკა“

„წლის აღმნიშვნები“ – ასე დავარქვით ჩვენს სპეც-პროექტს ჯერ კიდევ შარშან, როდესაც ახალი წლის დამდგმს, გასული წლის ერთგვარი შეჯამება და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების კიდევ ერთხელ განხილვა გადავწყვიტეთ. ამჯერად, 2007 წლის ქრონიკას კიდევ უფრო ყურადღებით გადავხედეთ და გრძელი ეპისტოლეს მსგავსი მრავალფეროვანი სია მივიღეთ, საიდანაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თორმეტი კატეგორია გამოვყავით. ამ მოვლენების ავტორები კონკრეტული აღმნიშვნები არიან: ისინი სხვაზე მეტს ფიქრობენ, აქტიურად მოქმედებენ და დანერჩევაზე თავდაჯერებულად მიიწევენ წინ. ისინი ჩვენი შთაბოძების წყაროს ხშირად ხდებიან, რადგან, შესაძლოა, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც სვლიან საფაროს თავის გარშემო.

პროექტის გენერალური სპონსორია
„საქართველოს ბანკი“



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA





წლის სამოქალაქო აქტივისტი

ნინია ქაპაბაძე

ყველაზე მეტი ღიად დაფიქსირებული მოქალაქეობრივი პოზიცია და კრიტიკული თვალსაზრისი.

100-ზე მეტი პუბლიკაცია და რეპორტაჟი ყველაზე აქტუალურ თემებზე (გაზეთი “24 საათი”, ჟურნალი “ანაბეჭდი”, “რადიო უცნობი” - გადაცემა “თავისუფალი აზრი” და რადიო “ამერიკის ხმა”).

გოეთეს ინსტიტუტისა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ გამართული საჯარო შეხვედრების და დისკუსიების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე და მომხსენებელი.

სტამბოლში გამართული ქართულ-აფხაზური შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე და მომხსენებელი.

2007 წლის ნოემბრის მოვლენებთან და მედია კრიზისთან დაკავშირებით “საგანგებოდ” მონყობილი “მედია კონფერენციის” იდეის ავტორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი.

წლის საზოგადოებრივი დისკუსიების პლატფორმა – ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი

ნიმუ ლაჟავა – ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის დირექტორის მოადგილე, სასტიკენდიო და დემოკრატიზაციის პროგრამების კოორდინატორი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი საქართველოში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას 2003 წლიდან უწყობს ხელს და, თავისი ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში, ყოველ მეორე ოთხშაბათს მოქალაქეებს სხვადასხვა თემაზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ეზატიყება. წელსაც, საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი დისკუსიების მრავალფეროვანმა და აქტუალურმა თემატიკამ გამოიწვია. საჯარო შეხვედრები კვლავაც ხალხმრავალი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ქართული სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობს. განსაკუთრებით მწვავე და საინტერესო გახლდათ დისკუსიები თემებზე: დედაქალაქის ტოპონიმიკა: ახალი უბნები, ახალი ქუჩები; რელიგიური უმცირესობები; ხელოვნება და ძალაუფლება; შატამზაიტ: ბოდიშის კამპანია — რატომ უნდა მოეუხადოთ ბოდიში აფხაზებს?; ჰომოფობია, როგორც სოციალური პრობლემა; გზა NATO—საკენ: ქართული რეალობის შეფასება; ინფორმაციის თავისუფლება - საგანგებო მდგომარეობა; პროფესია ჟურნალისტი: თავისუფლება და პასუხისმგებლობა; საზოგადოება და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.



ნლის რეჟისორი
დიტო სინსაძე

2007 წელი გერმანიაში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორისთვის წარმატებული აღმოჩნდა. მის სატელევიზიო ფილმს, "რევერსი" საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ უჩვეულოდ, ფილმის სანახავად კინოთეატრში ბევრი მაყურებელი წავიდა და შეფასებებიც არაერთმნიშვნელოვანი იყო, მათ შორის, კრიტიკოსების მხრიდანაც. ამას გარდა, დიტო ცინცაძის გერმანულ-ქართულ ფილმს, "კაცი საელჩოდან" არც საერთაშორისო დონეზე მოჰკლებია აღიარება. ფილმი წარმატებით აჩვენეს ლოკარნოსა და მარდელ-პლატას საერთაშორისო კინოფესტივალებზე და პრიზებითაც აღინიშნა (საუკეთესო მამაკაცი მსახიობისა და საუკეთესო სცენარის ნომინაციებში).

დიტო ცინცაძე წარმატებით ახერხებს, იყოს თანაბრად საინტერესო, როგორც ქართველი, ასევე დასავლელი მაყურებლისთვის, გადაიღოს თანამედროვე კინო. მაყურებელი მისგან უხერხულ თემებზე გულახდილ თხრობას ელის და ეს მოლოდინი სწორ შემთხვევაში არ უცრუვდება.





წლის ფესტივალი – “CLOSE ENCOUNTERS 2007-2008” –
 აქტუალური მუსიკის ფესტივალი
 მანანა ახმეტელი

“Close Encounters 2007-2008” – წელს მეორედ გაიმართა კლასიკური ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი. თუმცა, პირველთან შედარებით, წლევეანდელი ფესტივალი გაცილებით უფრო მასშტაბურიც იყო და აქტუალურიც. ის ევროპაში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების, ტექნიკური ნოვაციების, საინტერესო ექსპერიმენტების, მუსიკალური ავანგარდიზმის უახლესი ტექნოლოგიური სიახლეების ქართულ მუსიკალურ სივრცეში შემოტანას ისახავდა მიზნად და, ამასთანავე, დღევანდელი ევროპული მუსიკის სამყაროში ქართველი მუსიკოსების ინტეგრირების პირველი სერიოზული მცდელობა გახლდათ. ფესტივალის ფარგლებში ქართველ მუსიკოსებთან ერთობლივი კონცერტები გამართეს თანამედროვე მუსიკის ისეთმა ცნობილმა, უკვე კლასიკოსებად აღიარებულმა შემსრულებლებმა, როგორებიც არიან: ნილს ვოგრამი (ტრომბონი), ფილიპ შაუფელბერგერი (გიტარა), ლუკას ნიგლი (დასარტყამი), ჯონ ეკჰარტი (კონტრაბასი), კარლჰაინც შტოკჰაუზენი, იანის ქსენაკისი. ასევე გაიმართა გია ყანჩელის “ღამის ლოცვების”, მიხეილ შულღიაშვილის სექსტეტის და ზვიად ბუცხრიკიძის ნაწარმოების მსოფლიო პრემიერები.

ფესტივალის ორგანიზატორები გახლდნენ: თამრიკო კორძაია, რეზო კიკნაძე, მანანა ახმეტელი, ანა კრაიერი და ფელიქს პროფოსი





**წლის ლიტერატურული ქეჩი –
ლიტერატურული არტ ქაფი „ქარავანი“**

ლიტერატურული საღამოების
ორგანიზატორი ლელა შუხითიძე

უკვე ერთი წელია, ყოველ კვირა დღეს, ლიტერატურული შეხვედრები, დისკუსიები და საღამოები “ქარავანში” ტრადიციად დამკვიდრდა და ფურცელაძის N10 ლიტერატურის გურმანთათვის თავშეყრის საყვარელ ადგილად იქცა. სალონური შეხვედრების ციკლი მწერლისა და მთარგმნელის, გიორგი ლობჯანიძის შემოქმედებითი საღამოთი დაიწყო და შემდეგ, დავით წერედიანის, ზაზა თვარაძის, ჯემალ აფიაშვილის, ლია სტურუას, ვახუშტი კოტეტიშვილის, შოთა იათაშვილის, გაგა ნახუცრიშვილის, მაია სარიშვილის და მრავალი სხვა ავტორის საინტერესო საღამოებით გაგრძელდა.

წლის ყველაზე მასშტაბური ღონისძიება –
თბილისის მე-8 საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი – ბაბა ჩხეიძე
თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი – ნინო ანჯაფარიძე

წელს, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალ „პრომეთესა“ უპრეცედენტოდ მრავალფეროვანი და მასშტაბური პროგრამა ჰქონდა. ფესტივალის ფარგლებში თბილისს ეწვია სამოცზე მეტი ცნობილი სტუმარი. მათ შორის, ლეგენდარული ამერიკელი რეჟისორი ბობ რაფელსონი („ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს ზარს“ და „სისხლი და ღვინო“), ცნობილი სცენარისტი და პროდიუსერი კლერ დაუნსი, რეჟისორი, სცენარისტი და ფოტოგრაფი ულრიკე ოტინგერი, გერმანელი რეჟისორი - სონია ჰაინენი, როტერდამის საერთაშორისო ფესტივალის წარმომადგენელი ბიანკა ტალი და კიდევ მრავალი სხვა.

საკონკურსო ფილმების გარდა, მაყურებლის დიდი ინტერესი საფესტივალო პროგრამამ გამოიწვია, სადაც ევროპული კინოს ფორუმი (ახალი ევროპული ფილმები), ჰორიზონტები (ახალი ფილმები მთელი მსოფლიოდან), ქართული პანორამა (ახალი ქართული ფილმები), ამიერკავკასიური დოკუმენტური ფილმები (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი), დოკუმენტური ფილმები, რეტროსპექტივა, სპეციალური ჩვენებები, ახალი გემანული კინო, მასტერკლასები და სემინარები გახლდათ წარმოდგენილი.





წლის უფლებათა დამსველი

საქართველოს სახალხო დამსველი – სოზარ სუბარო

– “სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე, შსს გენერალურ ინსპექციაში გამოძიებულ ნიკოლოზ ხუციშვილის მიმართ, დისციპლინური წარმოება დაიწყო და შენიშვნა გამოეცხადა”

– “სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს უფლებადარღვეული პირის თანამდებობაზე აღდგენის რეკომენდაციით მიმართა”

– “სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პარლამენტის შენობის წინ, რიყესა და ტელეკომპანია „იმედის“ წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის დარბევისას არ არსებობდა რეზინის ტყვიების გამოყენების სამართლებრივი უფლება”

– “საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, უზრუნველყოს საქართველოს იმ მოქალაქეთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რომლებიც კოსოვოსა და ერაყში იმყოფებიან”

– “სახალხო დამცველი სააღსრულებო დეპარტამენტისაგან სასამართლო გადაწყვეტილების დროულად აღსრულებას ითხოვს”

– “სახალხო დამცველი ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიმართ განხორციელებული ქმედების შესწავლას ითხოვს”

– “სახალხო დამცველი ტელეკომპანია “იმედის” ქონების დაყადაღებაზე ბრძანების გამცემი მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას მოითხოვს”

ეს მხოლოდ ერთი კვირის მანძილზე მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე გაკეთებული მიმართვების მოკლე ჩამონათვალია. 2007 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის ოფისში შესული განცხადებების რაოდენობამ გასულ წლებთან შედარებით 300%-ით იმატა. ეს ფაქტი კი, საზოგადოების მხრიდან ომბუდსმენის აპარატის მიმართ იგივე 300%-ით გაზრდილ ნდობას ადასტურებს. მიზეზი მარტივია: ისინი არიან ყველგან, სადაც ადამიანის უფლებები ირღვევა.







წლის კულტურული კერა – გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში

ვერნერ ვიოლ, თამთა გოგიტაშვილი,
ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი

გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში უკვე თოთხმეტი წელია არსებობს და ის ქართული საზოგადოებისთვის გერმანიის და, ზოგადად, თანამედროვე ევროპის კულტურული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ფასეულობების დამკვიდრებას ემსახურება. გასულ წლებთან შედარებით, 2007 წელს, ინსტიტუტის სამუშაო გრაფიკი გაცილებით დატვირთული, ხოლო ღონისძიებათა ნუსხა – უჩვეულოდ გრძელი გახლდათ. 2007 წელი გოეთეს ინსტიტუტში გერმანულ რიტორიკაში მიძღვნილი სალამოთი, იფა-ს (უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის) მონოგრაფიული გამოფენით და დისკუსიით დაიწყო. შემოდგომაზე კი, იფა-ს კიდევ ერთი გამოფენა მოეწყო და დამთავალიერებელმა ბაუჰაუზის ორმოცზე მეტი შესანიშნავი ფოტო ნახა. მნიშვნელოვანი პროექტი გახლდათ “საუბრები ლუსტრაციაზე”. გოეთეს ინსტიტუტმა, მაისში, ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, ჯაზის მოყვარულებს ახალგაზრდული ტრიო “ემ“-ის კონცერტით, საინტერესო სალამო მოუწყო. აღსანიშნავია გერმანული ფილმის კვირეული, მადე ინ ჩერმანე, რომელიც, ტრადიციულად, საერთაშორისო კინოფესტივალის “პრომეთეს” ფარგლებში ტარდება, წელს შვიდი ახალი გერმანული ფილმი იყო ნაჩვენები. გარდა ამისა, მთელი წლის განმავლობაში გოეთეს ინსტიტუტმა ჩაატარა მრავალი სემინარი და ვორკშოპი ისეთ თემებზე, როგორებიცაა: თეატრალური განათება, თანამედროვე ცეკვის თეატრი, ექსპერიმენტალური ფილმი, კინო და არქიტექტურა და ა.შ.

ნლის არტ-აქცია – „კავკასიური რეკვიემი“

ქეთევან კორძახია

2006 წელს ქეთევან კორძახიას, ხელოვნებათმცოდნის და გალერისტის მიერ უშგულში განხორციელდა ლენდ არტის პროექტი „ვირტუალური არმია“ — პაციფისტური აქცია, რომელშიც მონაწილეობას 6 ქვეყნის ხელოვანები იღებდნენ. წელს, ამ პროექტის შედეგად, კომპოზიტორმა თომას ჰაიბერმა, ფოტოგრაფმა გერჰარდ შაბელმა და მწერალმა ანა კორძაია-სამადაშვილმა წარმოადგინეს „კავკასიური რეკვიემი“, – „წარმოდგენა ხანში შესული მოცეკვავე ქალისა და სიმფონიური ორკესტრისათვის“. ისევე, როგორც „ვირტუალური არმია“, „კავკასიური რეკვიემიც“ ამტკიცებს, რომ „სჯობს დაკავდე სიყვარულით, ვიდრე ომით“. მომავალ წელს „კავკასიურ რეკვიემს“ უკვე ქართველი მაცურებელიც იხილავს.



ფოტო: ბიორჩი ნაღიკაძე

წლის ეკო-აქცია – უკაცხადნეტო ეკო-აქცია. 2007 წლის 29 აპრილი
ორგანიზატორი – სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“

გამთენიისას თბილისის აეროპორტიდან სამი მურა დათვი საგანგებო საჰაერო რეისით თბილისი – მასტრიხი ჰოლანდიაში გაემგზავრა. რამდენიმე საათში მობილურ ტელეფონზე ტექსტური შეტყობინებაც მოვიდა: დათვები მშვიდობით ჩამოფრინდნენ. დღესდღეობით, სამი დათვი, რომელთაც სამშობლოში ევთანაზიის განაჩენი გამოუტანეს, ქალაქ რენენის „უვეჰანდისის“ ზოოპარკთან არსებულ დათვების თავშესაფარში ცხოვრობს.

როცა რუსთავის გაუქმებული ზოოპარკის ბინადარი დათვების სიცოცხლეს საფრთხე დამუქრა, მათი პატრონობა ჯერ ზოოპარკის დირექტორმა, მერე კი „ნაკრესმა“ იტვირთა. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, უკვე კარგა ხანია, საქართველოში ტყვე დათვების პრობლემაზე მუშაობს. ჰოლანდიელი პარტნიორის - ფონდ Alertis-ის დახმარებით, ეკო-აქციაც დაიგეგმა. „ნაკრესის“ პროექტი „ტყვე დათვების გადარჩენის ინიციატივა“ 2007 წლის ყველაზე განმაურებული ეკო-პროექტი გახდა.



ირაკლი შავგულიძე, თაბარ სუხიშვილი, ლევან ბუთხუჯი, გეორგი ლორთქიფანიძე





2007 წლის საუკეთესო გამოცემა –
 „მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობის ანთოლოგია“
 შემდგენელი – თამაზ ვასაძე

თამაზ ვასაძემ „მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობის ანთოლოგიაში,“ გასული ასწლეულის ქართველი მწერლების რჩეულ, მაგრამ შედარებით უცნობ ნაწარმოებებს მოუყარა თავი. ასეთებია: ნიკო ლორთქიფანიძის „საბა“, დავით კლდიაშვილის „მიქელა“, არჩილ სულაკაურის „დიდოვლობისას“, ოთარ ჩხეიძის „უხსენებელი“, რეზო ჭეიშვილის „გია“. თითქმის ყველა მათგანმა, თავის დროზე, ლიტერატურულ წრეებში სმაურიანი და მწვავე დისკუსიები გამოიწვია და ერთგვარ მოვლენებადაც კი იქცა. მოგვიანებით, მოთხრობებთან ერთად, ზოგიერთი მწერალიც აღარავის გახსენებია. ანთოლოგიაში ისეთ ნაწარმოებებსაც გადაწყდებით, ათეული წლები არსად რომ არ დაბეჭდილა. მკითხველი, ამ წიგნით, ისევ გაიხსენებს მოთხრობებს: ჯემალ თოფურაძის „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“, მერაბ აბაშიძის „აქეთ მამხალეები, კვაზიმოდო!“, სოსო პაიჭაძის „ბაქანი ბოტანიკური ბაღი“, გიორგი ბაქანიძის „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“ – და დარწმუნდება, რომ დიდი მწერლების სათქმელს აქტუალობა და სინამდვილესთან კავშირი დღესაც არ დაუკარგავს.



წლის სპორტული წარმატება –
საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრები

2007 წელს, საქართველოს რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე მეორედ იასპარეზა. ქართველი “ბორჯღალოსნები” საფრანგეთის, არგენტინის, ირლანდიის და ნამიბიის ქვეჯგუფში მოხვდნენ. მსოფლიოს ორ ფავორიტ გუნდთან – არგენტინასთან და, განსაკუთრებით, ირლანდიასთან ღირსეულად ითამაშეს (ყველასათვის მოულოდნელად, პატარა ანგარიშებით წააგეს), ნამიბიის ნაკრები დაამარცხეს და ჩემპიონატი მეცამეტე ადგილით დაასრულეს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი გახლავთ, რადგან ჩვენი ნაკრები იმ ოცდაექვს გუნდს შორის მოხვდა, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატზე ოდესმე უასპარეზია.







წიგნიდან იყო და არა იყო რა

ავტორი: დათო ტუკაშვილი
ფოტო: გობიტა ბუხაიძე, გობი
საბარკლი

(ბაზრქმუბა)

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს, რასაკვირველია, ჩვენამდე და ჩვენ გარდა, სხვა დამცველებიც ჰყავდა (მათ შორის, მოსკოვშიც) და (მაგალითად) იქ მოღვაწე ქართველი გენერალი არჩილ გელოვანი, გარეჯის გადარჩენას ჯერ კიდევ სტალინის დროს ცდილობდა. თუმცა, ყველაზე გამორჩეული და ენერგიული ამ თვალსაზრისით, მაინც ზვიად გამსახურდია იყო, რომელმაც გარეჯში სამხედრო პოლიგონის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლების თვითგამოცემებში გაილაშქრა. სამოცდაათიან წლებში მას სხვებზე შეუერთდნენ, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ნაციონალური მოძრაობა მაშინ, ისეთი მასიური და მრავალრიცხოვანი, როგორც ოთხმოციანი წლების ბოლოს, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა. ამიტომაც, ჩვენი მშობლების თაობიდან ერთეულების ძალისხმევა და თავგანწირვა, შეიძლება, გაცილებით მნიშვნელოვანი იყო თავისუფლების გზაზე, ვიდრე ჩვენი დროის საყოველთაო აღტკინება.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს კი, როცა ნებადართული ლიბერალიზაცია საბჭოურ პროვინციებსაც შეეხო, ბუნებრივია, რომ სითამამე (როგორც ადამიანური თვისება), ჩვენი საზოგადოების გაცილებით დიდ ნაწილს შინაგან მოთხოვნილებად ექცა. მაგრამ მანამდე, როცა რეჟიმი არნახული სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოიჩინებოდა, სამართლიანობისა თუ თავისუფლების ხმამაღალი წყურვილი მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ. ის ერთეულები, მართლაც, გამორჩეულები იყვნენ და საზოგადოების დიდი ნაწილი, თუ აქტიურად არ ერეოდა მაშინდელ ეროვნულ მოძრაობაში, ფაქტია, რომ აშკარად თანაუგრძნობდა ქართველ დისიდენტებს. ფაქტია ისიც (თუმცა გადმოცემით ვიცო), რომ სწორედ თანაგრძნობის გამო, 1978 წელს ზვიად გამსახურდიას სატელევიზიო მონაწილად იმდროინდელი საზოგადოების საკმაო ნაწილში გულწრფელი სინანული და წყენა გამოიწვია. ჩვენი სტუდენტობის დროს (მიტინგებამდე) სიონის ეზოში (როგორც წესი კვირაობით), უფროსი და საშუალო ასაკის ძველი დისიდენტები იკრიბებოდნენ ხოლმე და კარგად მახსოვს, რომ ზვიად გამსახურდია, მუდამ განცალკევებით, სევდიანი და ჩაფიქრებული იდგა. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს იყო ზვიად გამსახურდია და თავის დაკვრით ან ხელის ჩამორთმევით ვესალმებოდით ხოლმე. მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მას გამარჯობასაც არ ეუბნებოდნენ და მე ეს, უბრალოდ, არ მომწონდა, რადგან მაშინაც მჯეროდა და ახლაც მწამს, რომ ერთადერთი, ვის მიმართაც ადამიანი მკაცრი და მომთხოვნი უნდა იყოს, საკუთარი თავია.

ამიტომაც, მგონია, რომ იმ განცხადების გავრცელება მაშინდელ თბილისში, რომელსაც მერაბ კოსტავა აწერდა ხელს ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად, სრულიად ზედმეტი იყო, რადგან უკეთილშობილესი მერაბ კოსტავა არათუ ბავშვობის მეგობრის ნაცვლად, ნებისმიერი ქართველის გამოც ჩაჯდებოდა ციხეში, თუნდაც, ათი წლით. ეს ყველამ მშვენივრად იცოდა საქართველოში და მერაბ კოსტავამ, მართლაც, ათი წელი გაატარა ციმბირის ყველაზე ცივ ბანაკებში ზვიად გამსახურდიასაგან განსხვავებით. ალბათ, ამის გამო გაჩნდა კიდევ ცნობილი შავი ხუმრობა მაშინვე, როცა გამსახურდიას მომხრეებმა 1978 წლის გამსახურდიას სატელევიზიო მონაწილეობა საბჭოთა რეჟიმის ზენოლას დააბრალეს. ძენოლა, რასაკვირველია, ყოველთვის იყო, მაგრამ ქართველების ნაწილმა მაინც არ დაიჯერა, რომ ის ნემსები, რომელიც გამსახურდიას გაუკეთეს ზემოქმედების მიზნით, ცოტა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებას და სწორედ მაშინ გაუთავდათ, მერაბ კოსტავას რომ დაუპირეს დისკრედიტაცია.

იყო სხვა ვერსიებიც, მაგრამ სრულიად ზედმეტი, რადგან ზვიად გამსახურდია მაინც გახდა საქართველოს პრეზიდენტი და ქართველებმაც სწორედ ის დაიჯერეს, რისი დაჯერებაც თვითონ სურდათ.

მეც იმთავითვე მჯეროდა, რომ ადამიანი კეთილი არსება უფროა, ვიდრე ბოროტი და პირველივე მიტინგზე ისეთი სისასტიკით დაგვარბიეს, რომ გულწრფელად გამიკვირდა.

პირველი მიტინგი, როცა სასტიკად დაგვარბიეს და გაკვირვებულები დავრჩით, 1987 წლის 27 დეკემბერს დიდუბის პანთეონში ჩატარდა, მიუხედავად იმისა, რომ მიტინგის მონაწილეები და მხარდამჭერები ძალიან ცოტანი ვიყავით და დამსწრეთა ძირითად ნაწილს უშიშროების წარმომადგენლები შეადგენდნენ. უნივერსიტეტიდან ვიყავით კურსელები და მეგობრები: ლაშა ხეცურიანი, კახა ბუაჩიძე და მე, და მონაწილეთაგან ყველაზე აქტიურები – გია ჭანტურია და ირაკლი შენგელაია მახსოვს. მახსოვს, უჩა ძიძავაც, რომელიც სერიოზული მონდომებით ჩხუბობდა მილიციელებთან და პირადად, გაშლილი ხელის გემო და სიმწარე პირველად სწო-

სოდეს ვყოფილვარ და ყველა საპროტესტო აქცია, რაც სტუდენტობის დროს მოვანწყეთ, ჩვენის მხრივ იძულებითი ნაბიჯი იყო და იმ ჩვენს პირველ მიტინგამდეც, კარგა ხანს ვიარეთ რედაქციიდან რედაქციამდე წერილით ხელში. იმ წერილშიც არაფერი განსაკუთრებული (ან საშიში) ნამდვილად არ ეწერა – იყო თხოვნა და მოთხოვნა ხელისუფლებისადმი, დასანგრევად არ გაენირათ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. მაგრამ წერილი, რა თქმა უნდა, არავინ დაბეჭდა (არცერთმა გაზეთმა) და როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე, ჩვენც იძულებულები გავხდით, უკიდურესი ზომებისათვის მიგვემართა.

მიტინგისათვის მზადება, ჩვენი ჭკუით, კონსპირაციულად დავინწყეთ, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა და რამდენიმე დღით ადრე მერაბ კოსტავამ გვთხოვა, სადმე სასაუბროდ შევხვედროდით.



რედ იმ დღეს გავიგე. თუმცა, მუშტი, რა თქმა უნდა, მანამდეც მომხვედრია, მაგრამ გაშლილ ხელს ნამდვილად არ ველოდი, ისევე, როგორც ასეთ სისასტიკესა და დაუნდობლობას ჩვენი მილიციის მხრიდან. თუმცა, მაშინდელი ხელისუფლების ქცევასა და ამგვარ რეაქციას გულბოროტებით ნამდვილად არ ვხსნიდი და, თუ რუსეთში უკვე იგრძნობოდა (თუნდაც უმნიშვნელო) ლიბერალიზაცია, საქართველო კვლავ რჩებოდა (უპირველესად, გონებრივი დეფიციტის გამო) საბჭოური აბსურდის ბასტიონად. აბსურდში კი, ყველაზე მკვეთრად თვალშისაცემი (რაც არსებობდა) იყო შიში, საშინელი შიში ყოველგვარი ცვლილებების მიმართ და მაშინდელ ხელისუფლებასაც, წარმოუდგენლად ეშინოდა ნებისმიერი მიტინგის. სიმართლე რომ ვთქვა, მიტინგების დიდი ტრფიალი არც არა-

წავედით თედო ისაკაძე და მე, შევხვედით მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე, ეგრეთ წოდებულ ახალ გზაზე. კოსტავა დუმდა, არაფერი უთქვამს, გამსახურდიამ კი პირდაპირ გვკითხა, რატომ ვაპირებდით მიტინგის ჩატარებას მათ გარეშე (სიტყვა „ნებართვა“ არ უხსენებია – ცოდვას ვერ ვიტყვი). მე არაფერი მითქვამს, ვდუმდი გაოგნებული. ისაკაძე შეეცადა იმის ახსნას, რომ სამშობლო ყველასია და გამოუვიდა თუ არა, ზუსტად არ მახსოვს. მახსოვს ჩემი კითხვა – საიდან გაიგეს ინფორმაცია ჩვენი მიტინგის შესახებ. მაინტერესებდა პასუხი, რადგან მაშინ თბილისში იყო ძალზედ მოარული აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ინსტიტუტში, კურსსა თუ ჯგუფში, უშიშროებას ვიღაც ჰყავდა თავისიანი და ჩემი მოკლე ჭკუით, იქნებ ამოვიცნო-მეთქი.

უახლესი ისტორია

ერთმანეთს საკმაოდ თბილად დაემორღობა (კონსპირაციის ფარგლებში), უფრო მეტიც, გამსახურდიამ ბოლოს გაგვიღიმა და იხუმრა კიდევ – იქნებ მიტინგზე მოსვლაც დამიშალოთო. მაგდენს ნამდვილად ვერ ვიკადრებდით და ჩვენც გალიმებულემა სულგრძელად დავპატიჟეთ ჩვენს პირველ მიტინგზე, რომელიც 1988 წლის 24 თებერვალს, უნივერსიტეტის წინ ჩატარდა. ხალხი, რა თქმა უნდა, ბევრი არ დასწრებია და ეს გასაგებიც იყო, რადგან მაშინ, ჯერ კიდევ საშინი იყო ყოველგვარი ანტისაბჭოური აქტიურობა და დამსჯელი აპარატიც ჯერ ისევ ძლიერად მოქმედებდა. რასაკვირველია, უფროსი თაობის დისიდენტები მობრძანდნენ და მიტინგს დაესწრნენ. იქვე იდგნენ და როგორც შევთანხმდით, სიტყვით გამოსვლა არ მოუთხოვიათ. არც ვიცი, როგორ მოვიქცეოდით, ამის სურვილი რომ გასჩენოდათ, მაგრამ ძალიან გვინდოდა ეს ყოფილიყო მხოლოდ სტუდენტური მიტინგი, რადგან ვგრძობდით, რომ ასეთ შემთხვევაში გაცილებით რთული პრობლემა ვიქნებოდით ხელისუფლებისათვის. თავად კი, ამას ადვილად იმიტომ მივხვდი, რომ პირველივე დაბარებაზე (სადაც ჯერ არს) თქვენი

ლოს მაინც დავასახელე: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გრიგოლ ხანძთელი, შოთა რუსთაველი, ნიკო ფიროსმანი და ა. შ.

სხვათა შორის, ერთ-ერთი მონადინებული დამსწრე, ისეთი მონდომებით აწვალებდა ამ დროს კალამს, რომ არ გამლიმებოდა, ალბათ, გამარჯვებული სახით ჩაიწერდა კიდევ იმ მშვენიერ სიას...).

ჩვენს ლიდერებს კი იმიტომ ეძებდნენ, რომ სატელევიზიო გადაცემისთვის უკვე მომზადებული ჰქონდათ შესაბამისი ფრაზები მიტინგის შემდეგ: „აიყოლიეს რა...“, „ჩაითრიეს რა“, „შეაცდინეს რა“ და ა. შ.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (როგორი პატარა ჭკუაც არ უნდა მქონდეს), მაინც საკუთარი ჭკუის წვალება მირჩევნია სხვების კარნახით ცხოვრებას და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ადამიანს სწორედ იმიტომ აჩენს, ტვინი რომ გაანძრიოს და იაზროვნოს...

მგონი, ამის ყველაზე მეტად ეშინოდა საბჭოთა ხელისუფლებას და იმ ჩვენი პირველი მიტინგის შემდეგ, სასწრაფოდ მოიწვიეს მაშინდელი ცეკას ბიუროს კრება, როგორმე მიტინგის ფაქტი რომ აღარ განმეორებულიყო და მოძრაობაც მასიური არ გამხდარიყო.



ლიდერები დაასახელეთო – მითხრეს. რამდენჯერმე კითხვა რომ გამიმეორეს და ვერც ერთხელ ვერავინ დავასახელე, ჩათვალეს, რომ ვერ გამომტყხეს და ვერც დაიჯერებდნენ, რომ ლიდერებს მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო არ ვასახელებდი, რომ ლიდერი, უბრალოდ, არ გვყავდა. მათთვის წარმოდგენაც კი ძნელი იყო იმისა, რომ სხვების კარნახის გარეშე დამოუკიდებლად ვაზროვნებდით და გადაწყვეტილებებსაც ვიღებდით. მათთვის, ვისაც მთელი ცხოვრება მონობასა და სხვების დიქტატში ჰქონდა გატარებული, მართლა ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ჩვენ, მეორეკურსელი ლანჩრაკები, დამოუკიდებელ ნაბიჯებს ვდგამდით და თანაც, ამ ნაბიჯების არ გვეშინოდა. (სხვათა შორის, ყელში რომ ამომვიდა ერთი და იგივე შეკითხვა, რამდენიმე ლიდერი ბო-

იმ დღესაც გარეჯში, კერძოდ ნათლისმცემლის მონასტერში ვმუშაობდით, როცა ჰორიზონტზე მანქანა გამოჩნდა უცნობი ადამიანებით და დასვრილი ჯინსებითა და ჭუჭყიანი ბათინკებით გამოქცავულიდან პირდაპირ ცეკაში, ბიუროს სხდომაზე „ვოლგით“ მიგვაშავეს. შესვლისთანავე მივხვდი, რომ გარეჯის საკითხს ჩვენს გასაგონად და მოსასმენად განიხილავდნენ, რათა ეჭვი არ შეგვპარვოდა, რომ ისტორიულ ძეგლზე ხელისუფლება სერიოზულად ზრუნავდა. საკითხის განხილვისას, უცებ, პაუზა გააკეთეს და ერთ-ერთმა (ალბათ ინსტრუქტორმა) სასწრაფო ელვა ანუ დეპეშა წაგვიკითხა, რომელსაც ვილაც მშობელი მაშინდელ ცეკას მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს უგზავნიდა და შევლას თხოვდა – ვილუპები, ჩემი ბავშვი ზვიად გამსახურდიამ ჩაითრია და იქნებ, როგორმე მიშველოთო.

აშკარა იყო, ყველაზე მეტად ჩვენს გასაგონად წაიკითხეს მშობლის ცრემლები და ცეკას მდივნები სიტყვის თქმასა და უმკაცრესი აზრის გამოხატვას არ აცლიდნენ ერთმანეთს – აი, გამსახურდია ბავშვებიც დალუპა და საჭიროა მისი იზოლაცია და ა. შ.

ჩემსავით თუ არა, არანაკლებ ტალახიანმა ფიქრია ჩიხრაძემ შემატყო, გინების დანყებას რომ ვაპირებდი, დამასწრო და ხელი ასწია – შეკითხვა მაქვსო. ის ბავშვი რამდენი წლისაა, გამსახურდია რომ ჩაითრიო. ჩაიხედეს ფურცლებში და ოცდაცხრა წლის გახლავთ, სკოლის პედაგოგიაო...

ისეთი ხარხარი ამიტყდა, ახალჩაძინებული ალექსი ინაური გავადვიძე და პატიაშვილმაც ისე დაუბრიალა თვალები ელვამომარჯვებულ (ალბათ) ინსტრუქტორს, იმ დეპეშას, ჩვენი რომ არ მორიდებოდა, იქვე სხაპასხუპით შექამდა, ალბათ, ის გათეთრებული ინსტრუქტორი...

სწორედ იმ დღეს და იქ, პირველად ვნახე ცოცხალი ინაური და იმ ბიუროს სხდომაზე მას, მართლა ჩაეძინა. ოღონდ, ეძინა ცალთვალდახუჭულს და მეორე ღიად, ალბათ, სამორიგოდ ჰქონდა დატოვებული. თუმცა, ბატონი ალექსი მაშინ უკვე ასაკოვანი კაცი იყო



და ზემოთქმულში არაფერია გასაკვირი. მიუხედავად წლებისა, მისი ისევე ეშინოდათ, როგორც მანამდე და სახელის სხენებაც კი შიშის ზარს სცემდა ისედაც დაშინებულ ყურს. მაგრამ პირადად, სამიოდე თვის შემდეგ იმ ჩვენი პირველი მიტინგიდან, უფრო ახლოს გავიცანი ალექსი ინაური და მომეჩვენა, რომ როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, უკვე მომტყდარი იყო. ყოველ შემთხვევაში, ნაღდად არ შემშინებია და ჩვენი შეხვედრა და გაცნობაც უცნაურად და უჩვეულოდ მოხდა...

მათ შორის, ვისაც მადლობა ეთქმის ჩვენი სტუდენტობის დროინდელი გარეჯისათვის, უპირველესად ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს (ეროვნაში ირაკლი მახარაძეს), რომელიც ოჯახთან ერთად რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა დავითის უდაბნოში და გარეჯის გადარჩენაშიც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის.

მეუფე დავითის უმცროსი შვილი გიორგი მხოლოდ რამდენიმე თვისა იყო, როცა თბილისიდან გარეჯში წაიყვანეს და იგი იქ გაიზარდა. ზაფხულობით თელავში, დედულეთში მიყვანდათ ხოლმე და იქიდან გემრიელი კახური აქცენტით ბრუნდებოდა. გიორგის პატარაობიდან აჩვევდნენ ლოცვაზე დგომასა და ეკლესიის მიმართ მოწინებებს და მისთვის, პატრიარქზე დიდი ადამიანი სამყაროში არ არსებობდა, რომლის ფოტოებიც ყველა ოთახში იყო გაკრული. ერთხელაც სამზარეულოში სამი წლის გიორგი მახარაძემ შემოაბოტა და კახური მახვილებითა და თელავური აქცენტით გვახარა – კათოლიკოზი ჩამოიდაო...

ჩვენ მოულოდნელობისაგან დავიბენით კიდეც, რადგან უწმინდესის ჩამობრძანებას, როგორც წესი, წინასწარ გვატყობინებდნენ ხოლმე. გამოვვარდით სახლიდან და იქვე, შენობასთან გაჩერებულ მანქანასთან ალექსი ინაური დავინახეთ. ფორმა ეცვა და, როგორც ჩანს, მოწინებით რომ გაუღეს მანქანის კარი, პატარა გიორგიმ გადაწყვიტა, რომ სწორედ ეს იყო კათოლიკოსი და ამიტომაც ექცეოდნენ ასეთი ზახგასმული მოკრძალებით. ცოცხალი ინაურის დანახვაზე, რა უნდა მეფიქრა, მაგრამ ჩემს დასაჭერად თუ თვითონ ალექსი ინაური (თავისი მანქანით) შეწუხდებოდა, რას წარმოვიდგენდი. მაგრამ ხელი რომ ჩამოგვართვა და როგორი დაუფერებელიც არ უნდა იყოს, ასე ვთქვათ გაგვიღიმა, ერთი ძველი, რუსულენოვანი ანეგდოტი გამახსენდა. ველურ, ამერიკულ დასავლეთში, კოვბოების პატარა ქალაქში, გიჟივით დააჭენებს ცხენს იარაღასხმული მხედარი. ქალაქში ახლადჩამოსული კაცი თვალს გააყოლებს მხედარს და ვინ არისო იკითხავს:

- „неуловимый Джо!“ - ეტყვიან სერიოზულად.
- „А почему не могут его поймать?“ - გაიკვირვებს ახლადჩამოსული.
- „А кому он на хуй нужен!..“

არც ისეთი ამბარტავნები ვიყავით და არც ისეთი ბრიყვები, რომ მართლა გვეფიქრა – ჩვენს დასაპატიმრებლად თვითონ უშიშროების მთავარი გენერალი ჩამოვიდოდა თბილისიდან და ინაურმა ბერთუბანში გაყოლა გვთხოვა ნიკო ნიკოლოზიშვილს და მე. რომ დავრწმუნდით, დაპატიმრებას ნამდვილად არ გვიპირებდა, გზაში თავი არ დაგვიზოგავს და, რაც კი ცუდი გაგვასხენდა საბჭოთა რეჟიმზე, ყველაფერი ჩამოვთვალეთ.. სიმართლე ვთქვა, ხმა არ ამოულია და აშკარად, ეს უფრო ცუდი იყო. ხანდახან მოიხდიდა ხოლმე ქუდს და უზარმაზარი თვალებით გვაკვირდებოდა. მგონი, გიჟები უფრო ვეგონეთ, ვიდრე დისიდენტები და უფრო გავთამამდი – ბერთუბნის მონასტერი „ძვირფასი“ ქართველი კომუნისტების წყალობით ოციანი წლებიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა და გასაგები მიზეზების გამო, ალბათ, ყველაზე მეტად დაინგრა და განადგურდა. ალექსი ინაურსაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, გზაში უკვე თქმულის შემდეგ, ისიც რომ შევაპარე, ბოდიში და ბერთუბანი ხომ არ დაგვებრუნებინა-მეთქი, გენერლის ქუდი კიდეც ერთელ მოიხადა, მარჯვენა ხელი მოიჩრდილა და, რამდენს ლაპარაკობ, ბიჭო, არ დაგიჭირონო – ღიმილნარევი ხმით მითხრა. თქვენ თუ არ დამიჭერთ, სხვა ვინ ოხერი-მეთქი...

იმ დღეს ცოცხალი ალექსი ინაური კი მეორედ ვნახე, მაგრამ მანამდე უამრავი რამ მსმენოდა მის შესახებ და ბერთუბნიდან უკან მომავალ გზაზე ისიც კი ვთხოვე, ნიკიტა ხრუშჩოვის დაკავების ამბავი მოეყოლა. გადმოცემით ვიცოდი, რომ ხრუშჩოვის დაპატიმრების ოპერაციას ინაური ხელმძღვანელობდა, მაგრამ ბატონმა ალექსიმ უარი გვითხრა, ჯერ ადრეა და რომ მომხსნიან, ყველაფერს მოგიყვებიო. თქვენ ვინ მოგხსნით-მეთქი, – აღარ მიწუნუნია და რამდენიმე წლის შემდეგ (როცა საქართველოს უშიშროების ხელმძღვანელი აღარ იყო), მისი დაპირება გამახსენდა (სინამდვილეში არც დამეინწყებია) და სახლში მივაკითხე “იბერვიზიის” ოპერატორთან ერთად...

გიორგი გვანარია ნაწილი ოსტაბაიჰსა ბადახრა

1998

«I did not have sexual relations with that woman, Miss Lewinsky. There is no sexual relationship»

რა ბედნიერებაა, როცა ხვდები, რომ ცოტა მაინც გესმის ინგლისური, ანუ, ცოტა მაინც არ გრძნობ თავს საბჭოთა ადამიანად. აკი, მოგვმართა კიდეც შალვა რამიშვილმა ერთ-ერთ "ფსიქოში": "ძვირფასო ქართველო ინტელექტუალებო, ღრმადპატივცემულო "ფსიქოს" მაყურებლებო, ნუ ცდილობთ ყველას მოჭრას თქვენს თარგზე, ნუ გაკიცხავთ მათ, ვისაც უყვარს ბროლის ჭალები და უპატიოსნოდ შოულობს ფულს... კულტურა არის ფუფუნების საგანი. ჯერ ისწავ-

რი ადამიანია!" - განაცხადა "ალიას" კორესპონდენტთან საუბარში ლიანა ისაკაძემ.

არა. აბსოლუტური იდიოტიზმია მტკიცება, თითქოს საქართველო ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებს ჰგავს, სადაც სახელმწიფო გადატრიალება და პოლიტიკური ლიდერების ცვლა, ცხოვრების ნორმაა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს, ქართულ ინტელიგენციას საერთო არაფერი აქვს, მაგალითად, ჩილელ პოეტებთან, 98-ში თავისას რომ მიაღწიეს და დააპატიმრებინეს პინორჩეტი. ჩვენებურების უმრავლესობა უფრო ანტონიო გრამშის "ინტელიგენციის ფორმულის" უნივერსალურობას ამტკიცებს, ანუ იმას, რომ საკუთარი აგონიის ჟამს, ის ხალხი, ვინც თავიანთ თავს "კულტ-მუშაკს" უწოდებს, როგორც წესი, ცდილობს ყველას მოახვიოს აზრი, რომ ქვეყანა ინგრევა... არადა, გრამშის თუ დაეუფერებთ, ამ დროს ინგრევა მხოლოდ და მხოლოდ ამ ხალხის მიერ დამკვიდრებული ფასეულობები და ის კულტურა, რომელსაც ერის გადარჩენის პრეტენზია ჰქონდა.

"THERE IS NO SEXUAL RELATIONSHIP"... მესმის, რისი თქმა უნდოდა ბილ კლინტონს! მთელი არსებით მესმის შეერთებული შტატების კრედიტის, როგორც მიიჩნევს, რომ მის ლევიანსთან „ორალური სექსუალური არ არის ის, რასაც ბანკოვანების მოყვარულებმა "SEXUAL RELATIONSHIP" უწოდეს

ესაა ცხოვრება! რაღაც საკითხებში შალვა-მემარჯვენესა და ანტონიო-მემარცხენესაც კი (იტალიის კომუნისტური პარტიის დამაარ-

ლეთ ინგლისური და კომპიუტერი, იმუშავეთ, იყიდეთ პური, გაძეხით და კულტურის მოთხოვნილება თავისთავად გაჩნდება»

"ტიტო და მე" – ასე ერქვა სერბულ ფილმს, რომელსაც იმ გადაცემაში ვარჩევდით. თუმცა, შალვას სამიზნე არა იმდენად ბროზ ტიტო და ყოფილი იუგოსლავია, რამდენადაც ქართული-საბჭოთა კულტურა გახდა, უფრო სწორად, ქართული-საბჭოთა ინტელიგენცია, რომელსაც ინგლისური და კომპიუტერი დიდად არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ ძალაუფლებას მაინც ვერ თმობდა - ჯერ ჯაბა იოსელიანს გაჰყვინენ და შევარდნაძე ჩამოიყვანეს (რომელსაც ათქმევინეს – "გადავარჩინეთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენ!"), მერე ჯაბა იოსელიანი ტერორისტად გამოაცხადეს... 98 წელს მისი სასამართლო პროცესი დაიწყო. კულტურის მუშაკები "კურიერსა" და "მოამბეში" ყოველ საღამოს შესცქეროდნენ სასამართლოს გალიაში ჩამწყვდეულ "ქართველ რობინ-ჰუდს", რომელსაც, ახლა, უახლესი საქართველოს ისტორიის ყველა უბედურება დაბრალდა.

სებელს) შეიძლება ერთიანი პოზიცია ჰქონდეთ. ლიანა ისაკაძე და ასლან აბაშიძეც შეიძლება გააერთიანოს რამემ. თუნდაც, მუსიკის სიყვარულმა! თავის მხრივ, თითქმის მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრიც შეიძლება გაერთიანდეს – მემარცხენეები, კომუნისტები, ტრადიციონალისტები, ლიბერალები... თუკი, მაგალითად, "ქათქათა ბათუმში" დიდი პოლიტიკურ-კულტურული სმა-ჭამა გაიმართება.

რას იზამ? ადამიანებს, პოლიტიკოსებს და იმათაც, სილამაზეს რომ ემსახურებიან, ისტერიულად ეშინიათ მარტოობის.

გაერთიანების ამ საერთო ტენდენციის ფონზე გამონაკლისები მაინც იყო. მაგალითად, 1998 წლის სახელმწიფო ტელევიზია და "რუსთავი 2". უფრო სწორად, ამ ორი ტელეკონკურენტის საინფორმაციო პროგრამები, "მოამბე" და "კურიერი". პირველი მთელი წელი იმეორებს, როგორ აგვაშენებს საქართველოზე გამავალი ნავთობსადენი და რამდენ სიკეთეს მოგვიტანს "აბრეშუმის გზა", მეორე – ამ სიკეთეებს მაინც და მაინც არ ცნობს. უფრო სწორად, არ სჯერა. იქმნება ყველა პირობა იმისთვის, რომ ტელემყურებლად ქცეული სრულიად ქართული საზოგადოება ორად გაიხლიჩოს – "რომანტიკოს-ოპტიმისტებად" და "რეალისტ-პესიმისტებად". მაგრამ "კურიერის" მზარდი რეიტინგით თუ ვიმსჯელებთ, "აინონა-დაინონას" პერსპექტივა ქვეყანაში არ არსებობს; რომანტიკოსი-ოპტიმისტების

Indigenous



სრამელიანი სათვალე

რიგებს ნელ-ნელა ის ხალხიც ტოვებს, ვინც არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ფიოდორ მიხაილოვიჩი წაიკითხა და დაიჯერა – "Красота спасет Мир!"

არ ვიცი, როგორ ითარგმნა ეს ინგლისურად. ჩემი ინგლისური დიდი-დიდი ამ ფრაზას განვდექ – "There is no sexual relationship"... თანაც, ორმაგად ამაყი ვარ – არა მარტო ამ ინგლისური სიტყვების მნიშვნელობა ვიცი, არამედ, მესმის, რისი თქმა უნდოდა ბილ კლინტონს! მთელი არსებით მესმის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, რომელიც მიიჩნევს, რომ მის ლევისისკისთან "ორალური ცელქობა" არ არის ის, რასაც განზოგადების მოყვარულებმა "sexual relationship" უწოდეს... ჰო, განზოგადდეს, რათა უფრო გაემარტივებინათ ცხოვრება. არადა, აღმოჩნდა, რომ სამყარო სავსეა ნიუანსებით, რომელთა არსს იურისტი ვერასდროს ჩანვდება, თუკი ხანდახან ფიოდორ მიხაილოვიჩს არ გადაიკითხავს, თუკი, არ გაიაზრებს, რომ სილამაზე მხოლოდ ის არაა, რასაც ეგრეთ წოდებული "ინტელიგენცია" ქადაგებს, თუკი, არ იტყვის უარს ფორმულებზე და განსახვავებულობის, ე.ი. ნიუანსების შეცნობას არ დაინყვებს.

1998 წელს ჯაზის ნიუანსების მხურვალე თაყვანისმცემელმა, პრეზიდენტმა კლინტონმა დიდი საქმე გაუკეთა კაცობრიობას – დაწყებული მის ლევისისკით, რომელიც ამ სკანდალის მერე სახელგანთქმული ქალი გახდა, დამთავრებული მთელი პლანეტით, მათ შორის, საქართველოთი, სადაც უმანკო "მოამბემა" კი პირველი სიუჟეტები არა აბრეშუმის გზის უტოპიას, არა გალიაში ჩამწყვედიულ ჯაბა იო-

კაბებზე სპერმის ლაქები არ ყოფილა. თავად საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი კი, რომლის სახელს ირინა როდინისა ოლიმპიური გამარჯვებები უკავშირდება, თავს ასე იმართლებდა: "რა სისულელეა. ვინ აპირებდა მაგათ შეცდენას. მე მწვრთნელი ვარ და მაქვს უფლება, შევეხო ხოლმე ჩემს მოსწავლეებს".

კლინტონისა არ იყოს, სტანისლავ შუკის ამბების გახსენებაც ორმაგ სიამაყეს აღძრავს ჩემში; ჯერ ერთი მიხარია, რომ იმ საბჭოთა (და პოსტსაბჭოთა) მოქალაქეებისგან განსხვავებით, რომლებმაც ლამის ჩაქოლეს "ნითელსახიანი" მწვრთნელი (სმა რომ უყვარდა, თავადაც აღიარებდა), კარგად მესმის, ოლიმპიური ჩემპიონების აღმზრდელის "შეხება" – ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური აქტია. ხომ გახსოვთ? შეხებას დავრდომილი აუყენებია, უსინათლოსთვის თვალი აუხელია, მკვდარი გაუცოცხლებია... ამაყი იმიტომაც ვარ, რომ ამ პლანეტაზე მცხოვრები ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობისგან განსხვავებით, არა მარტო ფიგურული სრიალის ნიუანსებში, არამედ სპორტის ამ სახეობის სამზარეულოშიც ჩინებულად ვერკვევი... სრულიად დარწმუნებული ვარ, ამ ქვეყნიდან (ე.ი. ამ პლანეტიდან) წასვლის წინ, აღსარებაზე, როცა მღვდელი მეტყვის, სულ "არა, არას" და "არ ვიცი, არ ვიცი" რატომ გაიძახი, ნუთუ არაფერია, რაზეც ნამდვილად შეგიძლია თქვა, კი, კი, ვიციო, წამოვდეგები საწოლიდან, გავშლი ხელებს "ფლიპის" პოზაში და განვაცხადებ: "კი, კი. ერთი რამე ნამდვილად ვიცი – ფიგურული სრიალი!"

იცით, რატომ არის კარგი ფიგურული სრიალის ცოდნა და სიყვარული? ჯერ ერთი, ზამთრის არ გეშინია. უფრო პირიქით, მოუთმენლად ელი იანვარს, როცა ფიგურისტებს ახალი სეზონი ეწყებათ. თუკი მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში ცხოვრობ, ე.ი. მთელი დღე მეცხრე ბლოკის "შელოცვით" ხარ დაკავებული, არის საშიშროება წყვილიაღმომჩნდე იმ დროს, როცა განათებულ დარბაზებში ფიგურისტები ევროპის, ან მსოფლიო ჩემპიონობისთვის იბრძვიან. მაგრამ მეოცე საუკუნე და ტექნიკური პროგრესი საშუალებას გაძლევს ეს პრობლემა ადვილად გადაწყვიტო - იყიდო პატარა გენერატორი, ჩაასხა ბენზინი და გამოქაჩო. ჩაირთვება ტელევიზორი, გამოსრიალდებიან ფიგურისტები და დაგავინყდება, სად ცხოვრობ!

ფიგურული სრიალის სიყვარული უძილობის პრობლემასაც ადვილად გადაგინყვითავთ.

მეოცე საუკუნის დასრულებამდე ორი წლით ადრე, როცა საქართველოში ელექტროენერჯის კრიზისმა კულმინაციაშია მიადნია, როცა "მოამბისა" და "კურიერის" ნამყვანები განუწყვეტილად იხდიან ბოდის "ძაბვის ვარდის" გამო, უძილობა და ნევროზი ლამის ეროვნული სენი გახდა. არადა, ჩვენს "ჰესიმისტ-რეალისტებს" ფიგურული სრიალი რომ ჰყვარებოდათ, ადვილად წარმოიდგენდნენ, როგორ სრიალებენ განათებულ დარბაზში, ყინულის ქათქათა მოედანზე და ტკბილადაც ჩაეძინებოდათ.

მე გახლავართ ცოცხალი მაგალითი; საბჭოთა ეპოქის "გადმონაშთი", რომელმაც რუსული ენა ღრმად ბავშვობაში, ფიგურული სრიალის კომენტატორების მოსმენით ისწავლა, მერე, მეოცე საუკუნის მიწურულს, ზოგიერთ ინგლისურ სიტყვასაც დაეუფლა "აიეტში" ჩართული "ევროსპორტის" კომენტატორების წყალობით; ბოლოს კი, როცა ტელევიზიებმა ფიგურულ სრიალზე გული აიცრუეს - კომპიუტერს მიადგა და ინტერნეტში დაინყო ფიგურისტების თვალთვალი.

მადლობა ბებიაჩემ ვერას, რომელმაც 5 წლიდან შემაჩვია ამ დიდებული სპორტის ყურებას. რომ არა ფიგურული სრიალი, აბა, ვინ შემეყვარებდა მუსიკას, ვინ მასწავლიდა აზარტის, ე.ი. კინემატო-

რომ არა ფიგურული სრიალი, აბა, ვინ შეამყვარებდა

მუსიკას, ვინ მასწავლიდა აზარტის, ე.ი.

კინემატოგრაფიულ ლექსიკონს თუ ლავინასებში,

„სასკანდის“ ხილვის სიამოვნებას და ბოლოს, ვინ

მაზიარებდა უმხიარულობაში დარჩენის უპირატესობას;

როცა ხვდები, რომ მარტოობა სასჯელი კი არა –

მადლია!

სელიანს, არამედ მონიკას ლურჯ კაბაზე აღმოჩენილ კლინტონის სპერმას მიუძღვნა. დიდი საქმე გაუკეთა თავის სამშობლოსაც – კლინტონის სექსუალური თავგადასავლებით გახალისებულმა სრულიად მსოფლიომ ერაყის პირველი დაბომბვა საერთოდ არ შეიმჩინა.

სექსუალური სკანდალი, როგორც ჩანს, არც ეროვნებას ცნობს და არც პოლიტიკურ სისტემას. საბჭოთა კავშირშიც კი, სადაც, მოგეხსენებათ, ამტკიცებდნენ, "სექსი არა გვაქვსო", რეალური საბჭოთა კომუნისტის სექსუალურ ცელქობას ერთხელ გაზეთი "პრავდაც" კი გამოეხმაურა. 80-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე ცნობილმა ფიგურისტმა გოგონამ საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტს ღია წერილით მიმართა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი მწვრთნელი, სტანისლავ შუკი "რასპუტინი" ცხოვრებას ეწევა – ვარჯიშებზე მთვრალი მოდის და, რაც მთავარია, მოსწავლეების შეცდენას ცდილობს. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, წერილი მთავარ საბჭოთა გაზეთში დაიბეჭდა. შუკი, რომლის სახელს საბჭოთა ფიგურული სრიალის აღმავლობას უკავშირებდნენ, პარტიიდან გარიცხეს და სიცოცხლის ბოლომდე სამუშაოს გარეშე დატოვეს. თუმცა, არ დაუპატიმრებიათ – გოგონებმა ვერ დაამტკიცეს, რომ შუკს მათთან "sexual relationship" ჰქონდა. სტანისლავ შუკი, როგორც ჩანს, კლინტონზე უფრო წინდახედული აღმოჩნდა – გოგონების "ბლიოსტკებიან"



სრამლიანი სათვალე

გრაფიულ ლექსიკონს თუ დავესესხებით, "სასპენსის" ხილვის სიამოვნებას (ამას ჰქვია "ფიგურული სრიალიდან – კინომდე) დაბოლოს, ვინ მაზიარებდა უმცირესობაში დარჩენის უპირატესობას; როცა ხედები, რომ მართობა სასჯელი კი არა – მადლია!

ჰო. ფიგურულ სრიალს და კინოს საერთო არაფერი აქვს. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. არიან, რა თქმა უნდა, ადამიანები, რომელთაც სიამოვნებათ კიდეც კინოში მარტო სიარული და განმარტოებით ფილმის ყურება. მაგრამ, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს გადახრა – კინო კოლექტიური აღქმისთვისაა გაჩენილი!

ფიგურული სრიალი კი – ერთი დიდი გამონაკლისია. ზიხარ (ან ნეცხარ) შენთვის, იკეტები ოთახში, თიშავ ტელეფონებს... მარტობისგან სიამოვნების ჟრუანტილი გივლის, მაშინაც კი, თუ ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე დიდ ბედნიერებად მიგაჩნია... და ერთადერთხელ, მაშინ როცა მარტო ხარ, აღარ იმეორებ იმას, რაც ყველაზე ხშირად გითქვამს, ან გიფიქრია – "ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე!"

მარტობა ხომ სასჯელი არაა? თუკი სამყაროს არ ენდობი, თუკი გგონია, რომ შენს "ჭეშმარიტ მეს" ვერაფერ გაუგებს, დარჩები მარტო, აბა რა! ასეთ ხალხს, როგორც წესი, ძალიან მნიშვნელოვანი რამე ჰგონია თავისი ეს "ჭეშმარიტი მე". ასეთ ხალხს შეარქვეს სწორედ ნარცისები. თუმცა, ჩვენს თავს ყურადღებით თუ დავუყვირდებით, თუკი სიმართლის არ შეგვეშინდება, აუცილებლად ვალიარებთ, რომ ასეთი ნარცისი ყველაში ცხოვრობს, ყველას აქვს "გადანახული" რალაც, რასაც არავის უზიარებს – რალაც ძალიან სანუკვარი.

ძალიანაც კარგი, თუკი საქართველოში ფიგურული სრიალი არავის ესმის, თუკი უმრავლესობას სპორტის ეს სახეობა "ბალეტ ნა

ლა ჩანანერი შენახული მაქვს და ზეპირად ვიცი მათი პროგრამები? როგორ დაგაჯერო, რომ 1993 წლის მინურულს, როცა ჯვინმა და კრისტეფორმა განაცხადეს, დიდ სპორტს ვუბრუნდებითო, სიხარულისგან უძილობა დამენყო, ვლოცულობდი (რასაც ძალიან იშვიათად ვაკეთებ), რომ მალე დადგეს ევროპის ჩემპიონატი, შემდეგ კი ოლიმპიადა... როცა ხელახლა ვიხილავდი ჩემს რჩეულებს.

მარინა მაშინ ცოცხალი აღარ იყო. ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი, მარინა მამულაშვილი, რომელსაც მეგობრებმა მეორე სახელიც მოუვუგონეთ - "მიშა"... ვერაფრით ვიხსენებ, ეს "მიშა" რატომ გაჩნდა. შეიძლება იმიტომ, რომ ბიჭებთან უფრო მეგობრობდა, ვიდრე გოგოებთან, შეიძლება იმიტომ, რომ ჰოკეი (!) და ფეხბურთი უყვარდა და ხშირად იმეორებდა, გამაგებინეთ, რატომ არ შეიძლება, ქალი იყოს ფეხბურთის კომენტატორი.

თუმცა, მე და მარინა არა ფეხბურთმა და, მით უმეტეს, ჰოკეიმ, არამედ ფიგურულმა სრიალმა დაგვამეგობრა. 70-იანი წლების ბოლოს ერთმანეთი როცა გავიცანით ამ, ჩვენს ძალიან ძალიან ინტიმურ სამყაროზე ერთი-ორი სიტყვა გავცვალეთ და მივხვდით, რომ მარტობის განცდა ძალიან დიდი ილუზიაა და რომ სადღაც, არცთუ ისე შორს, ყოველთვის იმყოფება ადამიანი, რომელიც შენს "გადანახებს" არა პათოლოგიად, ანომალიად, არამედ სრულიად ბუნებრივად აღიქვამს, რომელთანაც არ დაგჭირდება კუკუ-დამალობანას თამაში.

მარინას დიაბეტი ჰქონდა. შაქარი როცა აუნევდა, სრულიად ექსცენტრიული ხდებოდა ხოლმე. უსულო საგნების მრავლობით რიცხვში მოხსენიება უყვარდა ("რა კარგი სიგარეტები არიან" და ა.შ), ხანდახან თავის პატარა "ფიგურას"(ეს სიტყვაც მისი ლექსიკონიდანაა) ისე შეკუმშავდა, რომ სულ ციციქნა ხდებოდა. ამ დროს ხითხითს იწყებდა და ამბობდა: "რა საყვარელი ვარ! ხომ საყვარელი ვარ?". თბილისში ადამიანს ვერ ნახავდით "მიშა" რომ არ ყვარებოდა. თუმცა, უნივერსიტეტში და ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაინყო მუშაობა, უფრო მეტად მისი "ექსცენტრიულობის" გამო აფასებდნენ. ძალიან სერიოზული კი, მარინა მხოლოდ მაშინ იყო, როცა ფიგურულ სრიალს უყურებდა.

ჩემთან ერთად. ფეხბურთსაც ხომ ასე უყურებენ ჭეშმარიტი გულშემმატიკივრები - "ნახე, რა ქნა?", "გამაზა!", "გეყოფა ეხლა, ტრაკის თამაში"... ასეთი რეპლიკების გაცვლა-გამოცვლა ურთიერთობის ფორმაა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთი, ტარკოვსკის ფილმებისა არ იყოს, გაუთავებელ მთქნარებას იწვევს ჩემში, სანახობის კოლექტიური აღქმა (განსაკუთრებით, როცა ასეთივე კოლექტიური კომენტარები მოჰყვება ხოლმე), იმ შეხების ერთ-ერთ გამოვლინებად მიმაჩნია, რომლის დეფიციტს მუდმივად განიცდიან ადამიანები. მათ შორის ბილ კლინტონიც.



მაგრამ მარინასთან ერთად ფიგურული სრიალის ყურება, მაინც, სულ სხვა სიამოვნება იყო. ჩვენ სულ სხვა ენაზე ვლაპარაკობდით; მაგალითად, როცა კომენტატორი, გვარად სარქისიანიცი, იტყოდა "звучит наша русская калинка" ერთმანეთს თვალს ვუკრავდით და სულ სიცილ-სიცილში გადაგვქონდა ყოველივე საბჭოთას მიმართ ჩვენი აგრესია. იყვნენ, რა თქმა უნდა, რუსი ფიგურისტები, რომლებიც მოგწონდა და ვგულშემმატიკივრობდით კიდევ, მაგრამ, ზოგადად, ფიგურული სრიალის საბჭოთა სკოლა – "ბლიოსტკებიანი" კაბებით, "კალინკებითა" და "ლეზგინკებით", მუშინას ქანდაკების განუწყვეტელი იმიტაციით (ხომ გახსოვთ, "მუშა და კოლმეურნე ქალი" ვედეენახზე?) – მთელი ეს მარაზი რალაც ძალიან უცხოვდა, ამავე დროს, თავს მოხვეულებად მიგაჩნდა. ფიგურული სრიალი

მარინასთან ერთად ფიგურული სრიალის ყურება მაინც სულ სხვა სიამოვნება იყო. ჩვენ სულ სხვა ენაზე ვლაპარაკობდით; მაგალითად, როცა კომენტატორი, გვარად სარქისიანიცი, იტყოდა "звучит наша русская калинка" ერთმანეთს თვალს ვუკრავდით და სულ სიცილ-სიცილში გადაგვქონდა ყოველივე საბჭოთას მიმართ ჩვენი აგრესია.

ლდეუ" (როგორც მამაჩემი ამბობს ხოლმე) ჰგონია. ძალიან კარგი, რომ მსაჯობის ძველი სისტემა გამოცვალეს და "6 — 0"-ის დანახვის მოთხოვნილებაც კი ჩაუკლეს პუბლიკას. დღეს ფიგურისტებს სხვა სისტემით აფასებენ. სიამოვნებით აგისხნდი, საყვარელო მკითხველო, ამ სისტემას. ამისათვის ერთი შეჯიბრების ერთად ნახვაც საკმარისია – დავჯდები (ან დავწვივები), გიაგობო ფიგურისტებზე, მათ ძველ ნარმატებებსა და ნარუმატებლობაზე, გაგინმარტავ, რა განსხვავებაა, მაგალითად "ლუცსა" და "სალხოვს" შორის, ანდა, რას ნიშნავს "ტვილზები" ცეკვებში.

მაგრამ არ ვაპირებ, ეხლა, შეგაყვარო ჩემი ყველაზე სანუკვარი სამყარო. მართალია, თავი მემარცხენედ მიმაჩნია, მართალია, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კერძო საკუთრებას ბოროტება უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე, ფიგურული სრიალი – ჩემი სამყაროა, ჩემი საკუთრება, რომელსაც არავის გავუყოფ.

თანაც, ხომ ვიცი, რომ ვერ გამიგებ, ან, უბრალოდ, არ დამიჯერებ. როგორ დაგარწმუნო, მაგალითად, რომ ჯვინ ტორვილისა და კრისტოფერ დინის დიდი სპორტიდან ნასვლა 1984 წლის ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტრესი იყო ჩემს ცხოვრებაში? როგორ დაგაჯერო, რომ ამ ინგლისური წყვილის ყვე-



სრამლიანი სათვალე

ჩვენთვის ერთგვარი ტესტი გახდა ადამიანთა გამოსაცნობად; საკმარისია საბჭოთა კავშირის ჰიმნზე ატირებული სპორტსმენის დანახვაზე ვინმეს ეთქვა "ვაა, ჩვენებმა მოიგეს?", ეს "ვინმე" მაშინვე ამოიშლებოდა ჩვენი ნაცნობ-მეგობრების წრიდან. და არა იმიტომ, რომ განსაკუთრებით გვანუხებდა საბჭოთა იმპერიის ძალადობა. უბრალოდ, ინტუიცია გვეუბნებოდა – ძალიან ყალბი, ძალიან შეითხნულია ის, რასაც ვილაღვ ვილაღვები "საბჭოთა ფიგურულ სრიალს" უწოდებდნენ.

არ იფიქრო, ძვირფასო მკითხველო, რომ აკვიატებული გვექონდა ეს გრძნობა. ბალეტზე, მაგალითად, ასეთი არაფერი გვემართებოდა. უფრო პირიქით; 70-იანი წლების ბოლოს, მოსკოვის დიდ თეატრში, ორივეს, მეც და მარინასაც ლაპა-ლუპით წამოგვივიდა ცრემლები ხანატურიანის "სპარტაკზე"... ეს სულ სხვა პათეთიკა იყო - მონობისგან განთავისუფლების ბუნებრივი, ადამიანური ვნება, რომელიც იმ ქართველებში, "ჩვენებმა მოიგესო" რომ ამბობდნენ, სრულიად ჩაკლული იყო.

"ტესტი მონობაზე" ფრიად სახალისო რამ გახლდათ. სრულიად მოულოდნელი შედეგებით.

ეს ტესტი არაერთხელ ჩაგვიტარებია ბიჭვინთის კინემატოგრაფისტთა სახლში, სადაც მე და მარინა ყოველ ზამთარს სტუდენტურ არდადეგებს ერთად ვატარებდით. აქ იკრიბებოდა მთელი ქართული-საბჭოთა ელიტა, რომელსაც "დომ ტვორჩესტვოს" ორთახიან ლუქსებში უყვარდა დასვენება. ბიჭვინთის ლუქსებში ყველა სიკეთესთან ერთად ტელევიზორებიც იდგა. ჰოდა, ჩვენ მეტი რა გვინდოდა – დავუმეგობრდებოდით ამ ხალხს, ერთ-ორ ტკბილ სიტყვას ვეტყვოდით "დასტავესკიზე", მერე კი ფიგურული სრიალის ყურებას ვთხოვდით

წავიუზრდელეთ – გვარაგს ვაბრახუნებდით, სასიკვამო „ტვიზლებს“ ხარისხს ვარჩევდით, მუსიკალურ განათლებას ვავლენდით. ძალიან გვინდოდა, ნაკვები აშლოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ უმსიკისოა კი არის უმსიკისოა, მაგრამ უმრავლესობის ბალიზიანება მაინც შეუძლია. თანაც, მისსავე ტერიტორიაზე.

ხოლმე. პირველი რეაქცია ყველას ერთნაირი ჰქონდა: "რა? ფიგურული სრიალი?...". ნუ, ბუნებრივი იყო მათი გაკვირვება. თუმცა, უარს არასდროს გვეუბნებოდნენ და ჩვენც, მე და მარინა, საღამოებს უკვე ტელევიზორთან, კულტმუშაკების გარემოცვაში ვატარებდით.

"ჩვენები არიან?... ამას ყოველთვის კითხულობდა მასპინძელი.

1984 წელს, როცა ჯეინ ტორვილი და კრისტოფერ დინმა, ოლიმპიადაზე, რუსების მრავალწლიან ბატონობას მოუღეს ბოლო, "ფიგურულ სრიალზე" თეატრის ერთი ყმანვილი რეჟისორი გემასპინძლობდა. თეატრალურ ნიჭზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს კაცი რეჟისორისთვის აუცილებელი ერთი თვისებით მაინც გამოირჩეოდა – დაკვირვება უყვარდა. როცა ხვდებოდა, რომ მე და მარინა მისთვის უცხო ენაზე ვლაპარაკობდით, გაოგნებული გვათვალისწინებდა, მაღლა სწევდა და ათამაშებდა თავის დიდრონ, შავ წარბებს. თავიდან აზარტში შევიდა, მოდი, ერთად შევაფასოთ ფიგურისტებიო, მაგრამ რამდენიმე დღეში მისი ცნობისმოყვარეობა ღია აგრესიამ გადაიზარდა. განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც მარინამ მისთვის ჩვეულ "ექსცენტრიულ გამობტომებს" მიმართა და საბჭოთა-კომუნისტური სტილის შაყირი დაიწყო.

ის საღამოს, როცა გენიალური "ბოლეროს" დასრულების შემდეგ

ტორვილი და დინი გამარჯვებას ზეიმობდნენ, ველარ მოითმინა და გვითხრა: "რატომ ხართ ასეთი სნობები, რას მიმტკიცებთ?". ღმერთი, რჯული, არაფერს ვუმტკიცებდით. უბრალოდ, საქართველოში ოდითგანვე უზრდელობად ითვლებოდა ხალხში "უცხო ენაზე" ლაპარაკი, საქართველოში ოდითგანვე ღიზიანდებოდნენ იმაზე, რაც არ ესმოდათ. ჩვენ კი, იმათზე გაბრაზებულბმა, თვალცრემლიან საბჭოთა ფიგურისტებზე რომ გაიძახოდნენ, "ჩვენები ტირიანო", ცოტა ნავიციელქეთ. ნავიუზრდელეთ – გვარებს ვაბრახუნებდით, საცეკვაო "ტვიზლების" ხარისხს ვარჩევდით, მუსიკალურ განათლებას ვავლენდით. ძალიან გვინდოდა, ნერვები აშლოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ უმცირესობა კი არის უმცირესობა, მაგრამ უმრავლესობის გაღიზიანება მაინც შეუძლია. თანაც, მისსავე ტერიტორიაზე.

ჩემპიონატი რომ დამთავრდა, ამ ყმანვილს მხოლოდ სასადილოში ვხვდებოდით ხოლმე. ცდილობდა, ელადავა ჩვენზე; "Как дела у Чайковского?" – ქილიკობდა, თავის ჭკუაში.

საბჭოთა ინტელიგენციის ეს კლასიკური სიმბოლო ჯერ 1994 წელს მომაგონდა, როცა ჯეინ ტორვილი და კრისტოფერ დინი ზამთრის ოლიმპიადაზე გამოგვეცხადდნენ თავიანთი უნიკალური პროგრამით (მაგრამ დამარცხდნენ), მერე კი 98 წლის ნოემბერში, როცა რუსულმა ტელეარხებმა სტანისლავ ჟუკის გარდაცვალების ამბავი გვაუწყეს. ჟუკის "გარყვნილი მანერები" რუსებს აღარ გაუხსენებიათ. პირიქით, სულ იმას იმეორებდნენ, რომ ამ კაცმა საბჭოთა ფიგურული სრიალი "მსოფლიო ასპარეზზე" გაიყვანა.

უცნაური დამთხვევა მოხდა. სწორედ ნოემბერში დაიწყო ახალი შეტევა "ფსიქოზე". ამ შეტევის ერთ-ერთი ორგანიზატორი კი ჩვენი სათვალისი ყმანვილ-კაცი აღმოჩნდა. საერთოდ, "ფსიქოს" რატომღაც ის ხალხი გადაემტერა, ვისაც წესით და რიგით უნდა დაეცვა გადაცემა საპნის ოპერებით განებზერებული დიასახლისებისგან და ჰოლივუდის "ბოვეიკებზე" გაზრდილი ქართველი ძველი ბიჭებისგან. მაგრამ საქართველო ხომ პარადოქსების ქვეყანაა – შევარდნაძის ინტელიგენციამ, იმ ყმანვილკაცის თამადაობით, სულ მუსრი გაავლო გადაცემას. ამ ხალხთან ჭიდილი ძალიან მეზარებოდა. მით უმეტეს, მარინა აღარ მყავდა გვერდით, რამე, ძალიან ექსცენტრული რომ მომეფიქრა.

98 წლის ზამთრის ოლიმპიადასაც მარტომ ვუყურე. კომენტარების, ქილიკისა და ხმამაღალი გინების გარეშე. ოთხიდან სამ სახეობაში ისევ რუსებმა გაიმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ ღრმა ბავშვობიდან ვუყურებ "სრიალს", პირველად სწორედ 98 წელს გავიზარე, რომ აღარავის ვგულშემატკივრობ და ოლიმპიადას მხოლოდ და მხოლოდ ჩვევა მაყურებინებს – მხოლოდ და მხოლოდ განმარტოების სურვილი და "უნიკალურობის" განცდა. ეს ვნება თვითტკობაში რომ არ გადაიზარდოს, მუდმივად უნდა გახსოვდეს, რომ ამ პლანეტაზე შენაირი "გადახრილი" არც თუ ისე ცოტაა. ესენი თუ არა, ისინი მაინც ხომ გაგიგებენ?

98-ში საქართველოში ინტერნეტის ბუმი დაიწყო. მე, პირადად, ორ მისამართზე შევედიოდი ყველაზე ხშირად – ფიგურული სრიალის ინგლისურენოვან ფორუმზე, სადაც ხალხი ისევ ჯეინ ტორვილსა და კრისტოფერ დინს მისტიროდა და პრეზიდენტ კლინტონის მხარდამჭერთა კლუბში, სადაც უმრავლესობა ერთსა და იგივეს იმეორებდა – "ჩვენ გვესმის შენი ბილ, ეს არ იყო" სხეულ რელატიონს", შენ, უბრალოდ, სტრესებისგან გინდოდა განთავისუფლება – შეხება გინდოდა!"

ამდენი ინგლისური ვიცოდი. თუმცა, არაფერი დამიპოსტია. ბავშვობიდან მეშინოდა გრამატიკული შეცდომების. რუსები კი ამ ფორუმებზე არ შემოდიოდნენ.





ერთხელ, ჩემმა მეგობარმა მიუზიკლისთვის სიუჟეტის დანერგა მთხოვა. ხოლმე დავწერა. არაფერი გათვალისწინებდა ამ მიუზიკლისთვის.

სადგურის მადონა

ავტორი: აკა მორჩილაძე

ილუსტრაცია: ბიორბი მარი

პერსონაჟები:

ჩამონერძილი ორთქლმავალი ვალოდია გაგნიძე — ეს არის ძველი ორთქლმავალი, რომელსაც აღარავინ იყენებს მრავალი წელია. ის დაგდებულია სადგურის ჩიხში, გამოცლილი აქვს გულ-მუცელი და არის მეტად დარდიანი და კრუსუნა. პატრონი ერთადერთი ჰყავს, ბებერი მემანქანე ხარაზა, რომელიც, ოდესღაც, ამ ორთქლმავლით დაატარებდა შემადგენლობებს. ხარაზა მოინახულეს ხოლმე და წმენდს, მაგრამ ვალოდია ძლიერ განიცდის, რომ რელსებზე გაგულავება აღარ შეუძლია. მისი ოცნება ეს არის, რომ ბაქანზე გამოსრილდეს და ხარაზას სულ იმას ენუნუნება, კარგად კი მივიღო, მაგრამ გულ-მუცელში ნაწილები შემიკეთეო. ვალოდია გაგნიძე მარტო შეშაზე, ან ნახშირზე მუშაობს და რომც გააკეთონ, შეშა იქნება საშოვნელი.

გვარდიელების მეთაური ჯემალა — სადგურზე მალიმალ ჩამოივლის ხოლმე გვარდიელების ათეული, რომლის მეთაურიც არის ჯემალა. ჯემალა სერიოზული, გვარიანად ბრიყვი, მაგრამ კეთილი კაცია. სამხედროული ტრაბახი უყვარს და ჩხუბში სწრაფად ებმება ხოლმე. აქვს ერთი ლიმონკა და როცა ჩხუბი მოსდის, ნაიდრობს და იმის გასახსნელად იქაჩება. ცხადია, ბოლოს ირკვევა, რომ ლიმონკა არ უნდა აფეთქდეს.

მომპარავი ბიჭი სტრელო — ეს არის თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი, რომელიც ვაგზის მომპარავთა გუნდის წევრია, ძალიან მარდი და ნიჭიერი, მოსწრებული სიტყვა-პასუხით. მისი გამზრდელია ბაზრის მპარავთა მეთაური რაფო, რომელიც ჭკუას არიგებს ხოლმე. სტრელო თავზეხელაღებული ბიჭია, მაგრამ ჯერ მაინც ბავშვია. კაი მასალას რომ ეძახიან, ისეთი. თუმცა, რა გამოვა ამ

მასალისგან, გაურკვეველია.

მარტოხელა გოგო მადონა – მადონა არის გულუბრყვილო, ჩვიდმეტი წლის გოგო, უპატრონო, რომელიც ნათესავთან ცხოვრობს სადგურის ახლოს. მას ყველა იცნობს სადგურზე და ყველას თან ეცოდება, თან უყვარს. მადონა ყოველდღე გადის პერონ-ბაქანზე და იქ ვილაცას ელოდება. დიდი მეოცნებე გოგოა და ყოველთვის ყვება ერთი და იგივე ამბავს, რომ მკითხვემა უთხრა, რომ ხედავს მატარებლიდან ჩამოსულ ბიჭს, რომელსაც ის დიდი ხანია უყვარს და, თუ მადონა დროზე დაუხვდება ბაქანზე, ისინი ერთმანეთს შეხვდებიან და ეს ლამაზი ბიჭი, ამ გოგოს წაიყვანს საუცხოო და დიდებულ ქვეყანაში.

მეძავთა გაერთიანებული გუნდი – ესენი ვაგზლის ბოზები არიან, რომლებიც ბევრს მღერიან, ცეკვავენ და ნაირგვარ რთულ სიტუაციებში გაეგებებიან ხოლმე. მათი პანიკა მაშინ იწყება, როცა გვარდია მოდის.

გვარდიელთა გაერთიანებული გუნდი – ესენი კიდევ ოტროველა სოფელი ბიჭები არიან, რომლებიც მარშით დაიარებიან, ოღონდ თავგზა ებნევათ, როცა მეძავთა გუნდს დაინახავენ და ველური ყიჟინით დასდევენ ხოლმე მათ. აქა-იქ ამ ორ გუნდს შორის რომანებიც იბმევა.

მედუქნეთა გაერთიანებული გუნდი – მეყვავილე, მებაჭაპურე, ოქროს გამყიდველი, ლუდის ჩამომსხმელი, მატარებლის ბილეთების გამყიდველი და ა.შ. ამათ უწევთ ბრძოლა ქურდ ბიჭებთან და პოლიციელთან, რომელიც სულ რაღაცის მათხოვრობაშია.

ძველი სარკინიგზო მექანიკოსი ხარაზა – ძველი მემანქანე, ახლა ხელოსნად მუშაობს მატარებლებზე. კეთილი კაცია, ძველი ყადისა, რკინიგზელის გაცვეთილ ფორმაში ჩაცმული, ცდილობს, როგორმე მადონას უპატრონოს, ნაირგვარ წერილებს წერს ქალაქის გამგეობას, რომ გოგოს მიხედვა სჭირდება. მას დასცინიან ხოლმე, რადგან ძალიან ძველმოდური კაცია, მაგრამ ჯიუტია და სრულიად უტყუარია, ამიტომ, ბევრი გრძნობს, რომ ხარაზასთან სიფრთხილე მართებს.

ქუჩის მქადაგებელი ლოთი გოძია – ლოთი გოძია გიჟი უნდა იყოს. ვაგზლის ერთ კუთხეში, ქვაფენილზე ცხოვრობს დიდ ყუთში, მთელი თავისი ავლადიდება ძირს აქვს გაშლილი. გოძიას გადახუხვა უყვარს და აქვს ძალიან ტრაგიკული ხმა, ხშირად ორი კაპიკისთვის წარმოთქვამს მეტად უცნაურ, სასიყვარულ ო ლექსებს, რომელთა ავტორიც თვითონაა. გოძიას ნივთებიდან მთავარია ძველი ტელეფონი, რომლითაც ის შეკრებილთა წინაშე წარმოდგენებს მართავს. ამ ტელეფონით ელაპარაკება პრეზიდენტს, ღმერთს, ნაპოლეონს, ბუბა კიკაბიძეს და მერე მოსიერიებს მოუთხრობს. ამ ტელეფონს ის ერთხელ, გადამწყვეტ მომენტში გამოიყენებს მადონას დასახმარებლად.

სქელი მეპონჩიკე თამარა – კეთილი, თახთახა და უტვინო ქვრივი, რომელიც სულ კაცებზე ლაპარაკობს.

ჯიბის ქურდების გაერთიანებული გუნდის ატამანი რაფო – აპასნი პასაჟირია. ძალიან ჭკვიანი და ჩუმი, დიდი გავლენა აქვს მომპარავ ბიჭებზე და, საერთოდაც, სადგურის ნამდვილ პატრონად მიიჩნევენ. დანიანი კაცია, კეპი ახურავს.

მილიციონერი – უბედური ხნიერი პუსტაპუსტა. ფაქტიურად გამათხოვრებული. თუმცა, მაინც ჩაიდენს გმირობას.

მოლაპარაკე მთვარე – მისი მოლაპარაკეობა არავინ იცის მადონას გარდა, ხოლო მადონამ არ იცის, რომ მთვარის ნაცვლად ლოთი გოძია ელაპარაკება ლამლამობით, დაცლილ პერონზე.

მოლაპარაკე გვირგვინი ყვავილების დახლზე – ეს არის შემჭვანარი და ულამაზო გვირგვინი, რომელიც არავინ იყიდა საპანაშვიდედ და ახლა დახლზეა გამოდებული, როგორც ნიმუში. ძალიან დეპრესიული ვინმე გახლავთ და ერთთავად სიკვდილზე ლაპარაკობს

და მეტად დამთრგუნველად მოქმედებს ხოლმე მადონაზე.

პერონის ხალხი – სულ ნაირ-ნაირი, ინტელიგენტებიდან ძალიან შიშვლებამდე, ამათ შორის იჭყლიტება ხოლმე მადონა, როცა პერონზე გადის ოცნების ბიჭის შესახვედრად. ხან იქეთ გაისვრიან, ხან აქეთ გამოისვრიან.

წიგნების გამყიდველი დოცენტა – სათვალისანი ორმოციოდე წლის კაცი, რომელიც ძალიან განიცდის, რომ წიგნებს არავინ ყიდულობს. უვლის თავის დახლს, რომელსაც ხან ვინ გადუყირავებს, ხან ვინ. ჩხუბიც ამის გამო მოსდის. მალიმალ დასტაცებს ხოლმე ხელს რომელიმე წიგნს და იქედან ციტატას წამოისვრის. ემტერება გოძიას, რომელიც თავის კონკურენტად მიაჩნია. მეპონჩიკე თამარა ეკურკურება და თან დასცინის. ეს ვერ ხვდება მის კურკურს.

ბოზების უფროსი გულიკო – სახიფათო და ვერაგი ქალი, უცნობებთან დაშაქრულად მოლაპარაკე, გოგოების ნამდვილი რისხვა. ძუნწი. ისე, რომ თავს არ უტყდება, შეყვარებულია რაფოზე. მადონაზე თვალი აქვს დადგმული, უნდა, რომ თავის მეძავთა რიგებში ჩარიცხოს და ამ საქმეში რაფოს დახმარებას სთხოვს.

მოქმედება წარმოებს ვაგზალზე და მის სარემონტო ჩიხში ომიანობის დროს.

საკუთრივ ამბავი ზოგადად:

მთელი ქვემოთ მოთხრობილი ამბავი მიმდინარეობს წვრილწვრილ ყოფით, ხალისიან ეპიზოდთა ფონზე.

ამბის არსი იმაში გახლავთ, რომა, გვარდიელების მეთაური ჯემალა შეყვარებული ყოფილა მადონაზე, მაგრამ მადონა განაგდებს მას და აღუწერს, თუ როგორია მისი შეყვარებული, რომელიც მკითხვემა დაანახვა.

ცხადია, ჯემალა არა ცხრება და ათასგვარ საჩუქრებით და მოთაფლვებით ცდილობს, რომ გოგო თავისკენ მოაბრუნოს.

მაგრამ მადონაზე შეყვარებული გახლამს ჯიბის ქურდი სტრელცოც, რომელსაც უფრო ვაჟკაცურად, ანუ უთქმელად უყვარს გოგო, ისე, რომ არავინ იცის. სტრელცომ არ იცის, რომ ჯემალას უყვარს გოგო და ჯემალამ არ იცის, რომ სტრელცოს უყვარს გოგო. მადონას დიახაც გამოსდის სტრელცოსთან ურთიერთობა. უფრო იმიტომ, რომ ბიჭი მოთმენით უსმენს მის ნალაპარაკებს.

ერთხელ ღამით, სტრელცოს გოძია დაუძახებს თავის ბუდრუგანიდან და ეტყვის, რომ მიუხვდა გოგოს შეყვარებას. გოძია ურჩევს, რომ ბიჭი არ შეეწინააღმდეგოს ქალის აზრებსა და მოლოდინს და მეტიც, მიეხმაროს, გამოჰკითხოს.

მალევე სტრელცო ოქროს ვაჭარს ბეშედს ააცლის და მადონას აჩუქებს, რომ იმ ბიჭმა გამოგიგზავნა ვილაცის ხელითო.

მადონა, დიახაც დიდი მოლოდინით, ყოველ ცისმარე გადის პერონზე, ყველას ეუბნება, რომ ბიჭი არ უნახავს, მაგრამ ისინი თვალებით იცნობენ ერთმანეთს.

გულიკო მოდის სადგურზე და დათაფლულად ელაპარაკება მადონას, ჩემთან წამოდი, მოგივლიო, ისაო, ესაო, მოკლედ, კერავს. ამას ხარაზას თამადობით მთელი სადგური ეწინააღმდეგება, ხოლო გულიკოს კი გააგდებენ.

მადონა ღამით ბაქანზე რჩება და ოცნებობს, რაშიც მთვარესავით ელაპარაკება გოძია.

მთელი ეს დრო საოცნებო ბიჭი არ ჩანს.

ხარაზა კი ჩიხში თავის ძველ ორთქლმავალს ეფერება. ის გადასწყვეტს მის შეკეთებას.

გულიკო სთხოვს რაფოს, გოგოს დათრევაში დახმარებას.

ბოლო ის არი, რომ მატარებლით ჩამოვილიან და წაიყვანენ.



დინოზავრი „თაიმს სკვერზე“

<<< ლასანჟისი №3. 62

ამ წიგნით გარკვეულწილად დაგვირგვინდა თქვენი მოსკოვური ეპოპეა. მერე რა ხდება თქვენს ცხოვრებაში?

რემნიკი: დავბრუნდი და „ნიუ-იორკერში“ დავინწყე მუშაობა. სამსახურში ახალმა დანიშნულმა რედაქტორმა, თინა ბრაუნმა ამიყვანა. თინა ძალიან კარგად მექცეოდა. შეიძლება ითქვას, მანებივრებდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მას რუსეთის პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებდა, წელიწადში 2-3-ჯერ მაინც ვბრუნდებოდი მოსკოვში მივლინებით. ასე რომ, გარკვეულწილად არ დავკარგე რუსეთთან კავშირი. ჩემი ბოლო ვიზიტი მოსკოვში სულ ახლახან იყო, გარი კასპაროვის პროფაილისათვის, რომელიც, თითქოს, პრეზიდენტობის კანდიდატობას აპირებს.

აქვს კი მას რამე შანსი?

რემნიკი: არა, რაღა თქმა უნდა. და ეს მასაც კარგად ესმის. ის არ არის იმის ილუზიებში, რომ პუტინს დაამარცხებს. კასპაროვის მიზანი პოლიტიკური კონტექსტის, განსხვავების, არჩევანის შექმნაა. მისი პოზიცია ინტელექტუალური ოპოზიციონერობაა. ის ამიტომაც იყრის კენჭს და ეს მისასაღებელია. ამ სტატიით მინდოდა დამეწერა რუსეთის ამჟამინდელ პოლიტიკაზე მისი გადმოსახედოდან, მისი შანსების გაზვიადე-

ბის გარეშე. როგორც პოლიტიკური პარტია „სხვა რუსეთის“ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც აერთიანებს ლიბერალებს, ნეო-ბოლშევიკებსა და ყველას, ვისაც პუტინის კრიტიკა უნდა, კასპაროვი მხოლოდ ნომინალურად განსაზღვრავს ოპოზიციურ პოლიტიკას იმ ქვეყანაში, სადაც, სინამდვილეში, არ არსებობს რეალური პოლიტიკა გარდა იმისა, რაც მისი ამჟამინდელი პრეზიდენტის ორ ყურს შუა არსებულ ენიგმატურ სივრცეში ხდება. უმრავლესობის ხედვა პუტინზეა ფოკუსირებული, პუტინზე და პუტინიზმზე. თუმცა, ჩვენთვის, დასავლეთისთვის, რთულია აკრიტიკო რუსეთის ხელისუფლება. გარდა იმ ბუნებრივი რესურსებისა, რაც რუსეთს აქვს, რუსეთის კოზირი ამერიკის, როგორც საერთაშორისო მოთამაშის დემორალიზაციაა. ასე რომ, დასავლეთის კრიტიკას პუტინი კრიტიკითვე პასუხობს: „შეხედეთ ამერიკას და ნუ მიკითხავთ დემოკრატიის გაკვეთილებს. შეხედეთ აბუ გრეიბს, გუანტანამოს, სხვა უამრავ რამეს“. და ჩვენდა ძალიან სამწუხაროდ, მისი ეს სიტყვები უსაფუძვლო ნამდვილად არ არის.

1998 წელს დაუბრუნდით. როგორ გახდით „ნიუ-იორკერის“ რედაქტორი?

რემნიკი: 1993-1998 წლამდე ვწერდი „ნიუ-იორკერისათვის“. ყოველ დღე ვწერდი, ბევრს ვმოგზაურობდი. და მერე, თითქმის ერთ ღამეში, თინას წასვლის მერე, ამირჩიეს რე-

დაქტორად. მანამდე ცხოვრებაში არც ერთი გვერდი არ მქონდა გარედაქტირებული. თუ არ ჩავთვლით, სკოლის გაზეთს, რომელიც ძალიან ცუდი იყო.

გქონიათ იმის შეგრძნება, ბავშვობაში, რომ ოკეანეში შეგიცურიათ, ტალღას დაუფარიახართ და არ ყოფილხართ დარწმუნებული, ისევე სუნთქავდით თუ არა?! ჩემი რედაქტორობის პირველი წელი დაახლოებით ასე იყო. მაგრამ მას მერე ბევრი წელი გავიდა.

რა შეიცვალა „ნიუ-იორკერში“ თქვენი 9 წლიანი რედაქტორობის პერიოდში?

რემნიკი: ვფიქრობ, რომ ბევრ ცვლილებას სამყარო გახვევს თავს. არა მგონია, 90-იან წლებში ჟურნალს ამდენი ენერჯი სავრთაშორისო მოვლენებზე. ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ აზია, გარემოს დაცვის საკითხები, რაც სულ უფრო და უფრო სერიოზული თემა ხდება ჩვენთვის. ბევრს ვწერთ ვაშინგტონზე, გასაგები მიზეზების გამო – 11 სექტემბერი და ასე შემდეგ. ასე რომ, ეს შეიცვალა. ასევე, ჩემი რედაქტორობისას დავინწყეთ ჟურნალის ვებ-გვერდი და მას მერე ის უმჯობესდება და უმჯობესდება. ასევე ბევრი ცვლილებაა იმაში, თუ როგორ ვმუშაობთ და ვავრცელებთ ჟურნალს. მაგალითად, ზიხარ თბილისში, კრეფ www.newyorker.com და ჟურნალის ორ მესამედს ონლაინ რეჟიმში კითხულობ. მალე, იმედი მაქვს, ჩვენს საიტზე მთელი ჟურნალი დაიდება, თუ მოვახერხებთ და მოვიფიქრეთ, ამისათვის ფული როგორ გადაგახდევინოთ. ესეც ცვლილებაა.

იმედი მაქვს, ჟურნალი იმაზე სასაცილოა, ვიდრე იყო. თუმცა, ეს ძალიან რთულია. ლიტერატურა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი კომპონენტია ჩვენი ჟურნალისათვის და ეს ასე იქნება იქამდე, ვიდრე ჩემს სიტყვას აქ რამე ფასი აქვს. ეს მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა სხვა ჟურნალმა ლიტერატურაზე ხელი ჩაიქნია.

ბევრ საათიანი სამუშაო დღეები გაქვთ?

რემნიკი: კი, მაგრამ მე ოჯახიც მყავს.

სამი შვილი გყავთ.

რემნიკი: ჰო, ინტერნეტი სასაცილო რამეა. ბევრი რამე იცი. უფროსი 17 წლისაა, უმცროსი 8-ის.

როგორი უერთიერთობა გაქვთ შვილებთან? ცდილობთ, მათ თქვენი ინტერესები მოახვიოთ თავზე?

რემნიკი: არა მგონია. თუმცა, თუ მიცდია, არ გამომსვლია. ისე, ჩემთან აღმზრდელობითი რჩევებისათვის არ უნდა მოხვიდე, მაგრამ უფროს ბიჭს, ალბათ, ყველაზე მეტად აინტერესებს ჩემი აკვიატებები – ისტორია,

ლიტერატურა. თუმცა, ძალიან დიდი შეცდომაა შეიღებოს პირში ჩასწარმო შენი სურვილები. უბრალოდ, უნდა შეუქმნა ისეთი გარემო, სადაც მათ ეცოდინებათ, რომ ყველაფრის კეთება შეიძლება, რაც საინტერესოა, გარდა იმისა, რაც არალეგალურია.

სამუშაო დღეებზე მკითხე. მე არ ვაგროვებ მარკებს, არ ვთევზაობ, არ ვთამაშობ გოლფს, არ ვაკეთებ იმას, რასაც სხვები აკეთებენ. მე ვკითხულობ, ვწერ, დროს ვატარებ მეგობრებთან და ოჯახთან ერთად და ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელოა, პიცის ცომის ნარჩენია. ვაკეთებ იმას, რაც მგონია, რომ არსებითია. მხოლოდ ამის კარგად კეთებისთვის მაქვს დრო. ესეც, ღმერთმა უწყის, რამდენად წარმატებულად. თუმცა, ვცდილობ.

ლეგენდები დადის იმაზე, რომ თქვენ ძალიან სწრაფად წერთ სტატიებს. მარკ სინგერი ამბობდა, დევიდი ერთი კვირით მიდის მივლინებაში და 12,000 სიტყვიან სტატიას უკანა გზაზე, თვითმფრინავშივე ამთავრებსო.

რემნიკი: ძალიან სწრაფად ვწერ და უმოწყალოდ ეფექტურად ვიყენებ დროს. ჩემი ერთ-ერთი გმირი, ლიბლინგი ამბობდა, რომ ის წერდა იმათზე კარგად, ვინც წერდა უფრო სწრაფად, და უფრო სწრაფად, ვიდრე ისინი, ვინც წერდნენ უფრო კარგად. მე ლიბლინგის მესაყვირე არ ვარ, მაგრამ ეს პრინციპი ცოტათი ჩემზეც ვრცელდება.

ერთ-ერთ ინტერვიუში წავიკითხე, რომ თვლით, რომ ძალიან ილბლიანი ხართ. მაგრამ რატომ, აღარ ეწერა.....

რემნიკი: ილბლიანი ვარ იმიტომ, რომ ჩემი პირველივე სამსახური „ვამინგტონ პოსტში“ იყო. თავიდან პოლიციაზე ვწერდი, მაგრამ მერე მითხრეს, კრიმინალური ქრონიკის წერა არ გამოგდის, იქნებ სპორტი გეცადაო.

ეს როგორ მოახერხეთ? კარგი უნივერსიტეტი დაამთავრეთ და ამიტომ მოხვდით „პოსტში“?

რემნიკი: კარგი უნივერსიტეტი კი დავამთავრე, მაგრამ ეს არაფერი შუაშია. კარგი უნივერსიტეტი კარგ იურიდიულ სკოლებში ჩაბარებაში დაგეხმარებათ. გაზეთებში ეს არავის აინტერესებს. ფეხებზე ჰკიდიათ. შეგიძლია თუ არა წერა? შეგიძლია თუ არა კარგი ამბის მოტანა? მე ორჯერ ვიყავი იქ ინტერნატურაზე და ამდენი მოვახერხე.

ასევე ილბლიანი ვარ იმიტომ, რომ მოსკოვში მოვხვდი. 28-29 წლის ვიყავი და ჩავედი დაუფერებელ ამბავში. ალბათ, იქ ურიგოდაც არ ვაკეთებდი ჩემს საქმეს და ამან ფუნდამენტურად შეცვალა ჩემი ცხოვრება. „ნიუ-იორკერში“ მუშაობის იდეაც და ამ ყურანალთან ასოცირებული თავისუფლებაც ძალიან მომიხიბლავი იყო. ასე რომ, ჩემს

პროფესიულ ცხოვრებაში, მართლა ძალიან გამიმართლა.

„ნიუ-იორკერთან“ საუკეთესო თანამედროვე მწერლები თანამშრომლობენ. რთული მათთან ურთიერთობა?

რემნიკი: მათთან ურთიერთობა ჩემი საქმეა. ჩემი დროის ნახევარზე მეტიც ამაზე მიდის. ისე, დღეს სეიმორ ჰერში ერთ-ერთ ასეთ ამბავს იხსენებდა, გასსოვს? ერაცზე ბოლო სტატიის რედაქტირებისას, წამომიხტა, ხელე-ბი ჰაერში აისროლა და შესძახა: „მორჩა, ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ, თქვენი დედაც!“ და ოთახიდან შურდულივით გავარდა. ზუსტად ორ დღეში დავურეკე და მისი ახალი გამოძიების თემაზე, ირანის ატომურ სადგურებზე და მის წყაროებზე ვილაპარაკეთ.

ფანტასტიკური რესპონდენტები გყოლიათ. გამოარჩევდით ვინმეს?

რემნიკი: ბევრი ცნობილი ადამიანის დასახელება შემიძლია. მაგრამ უცნობებთან უფრო საინტერესო და ღირებულია მუშაობა, მათთან უფრო მეტი დროის გატარების საშუალება გეძლევა. რაც უფრო ცნობილია რესპონდენტი, მით უფრო ხელოვნური და მოზომილია საუბარი. უფრო ფრთხილობენ, უფრო მეტი აქვთ დასაკარგი. კითხვების აცილების უფრო მეტი გამოცდილებაც აქვთ, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამიტომ, ვცდილობ, ჩემი რესპონდენტებს მათი ცხოვრების იმ ეტაპზე შევხვდე, როცა ისინი უფრო გახსნილები არიან, როცა თავის „პიარ“ სამსახურებით არ არიან გარემორტყმული, როცა წააგეს, გადადგნენ და ბევრი აღარაფერი აქვთ დასაკარგი. როცა წარმატების ზენიტი გადავლილია და ისინი ისეც ადამიანები ხდებიან. ასე იყო ალ გორთან, როცა მან არჩევნები წააგო, უფრო სწორად, მოიგო, მაგრამ ვერ გახდა ქვეყნის პრეზიდენტი. მას სწორედ იმ დროს შევხვდი, როცა ის ცდილობდა გამორკვეულიყო ამ წარმატებლობის შემდეგ რა უნდა ეკეთებინა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ლექციებს კითხულობდა გარემოს დაცვის თემებზე. ყველა ლექცია ამ სიტყვებით იწყებოდა: „გამარჯობა, მე შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი ვიყავი“. აუდიტორია იცინოდა. ის კი პასუხობდა: „სხვათა შორის, ეს არ არის სასაცილო“...

ვაცლავ ჰაველს შევხვდი მაშინ, როცა ის თავის ჯადოსნურ საპრეზიდენტი კარიერას ასრულებდა და პრალის სასახლის დასატოვებლად ემზადებოდა. სოლჟენიცინის მაშინ ვესტუმრე, როცა მისი ოჯახი ჩემოდნებს ალაგებდა და რუსეთში ბრუნდებოდა...

„სოლჟენიცინი ვერმონტში“ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პროფილია...

რემნიკი: სოლჟენიცინი, სოლჟენიცინი...ძა-

ლიან საინტერესო ადამიანია. რატომღაც, მის ცოლს მოვენონე და ვერმონტში, თავის სახლში დამპატიჟა. მაგრამ თვითონ სოლჟენიცინთან ბევრი დრო არ გამიტარებია. სულ ორჯერ შევხვდი. ძალიან უცნაურია, მეცხრა-მეტე საუკუნეში ცხოვრობს ჯერ კიდევ. ბევრი მასზე აგდებულად ლაპარაკობს და მესმის, რატომაც. მაგრამ მგონია, რომ ის მაინც პერიოკული ადამიანია.

ასევე ძალიან საინტერესო იყო მწერალ ფილიპ როფზე მუშაობა... თუ ის სხვა დროს ძალიან მხიარული და ენაწყლიანი ადამიანია და „ნიუ-იორკერის“ რედაქციაში სტუმრობისას თავის გარშემო იკრებს ყველას, ვინც კი იმ წუთას რედაქციაში ჭაჭანებს, მონიკა ლევენსკის ზაფხულში, როფი ვერ იყო ხასიათზე. იმ ზაფხულს კითხვის ქვეშ დადგა სიტყვა „არის“ მნიშვნელობა, იმ ზაფხულს ვლაპარაკობდით და ვფიქრობდით, რას ნიშნავდა ლალატი, ტყუილი, მატყუარას მცდელობა თვალი გაეწნორებინა ამ თავზარდამცემი სიმართლისათვის. მაშინ ფილიპ როფმა თავი მოიფხანა და თქვა: მგონი, კლინტონი უნდა ადგეს და საჯარო განცხადება გააკეთოს, სადაც ყველაფერზე ილაპარაკებს – გრძელ და რთულ ქორწინებაზე, თავის სისუსტეებზე, შეცდომებზე და იქნებ გაებედა კიდევ და რიტორიკული კითხვა დაესვა მაცურებლისთვის: წუთუ მარტო ვარ ამ განცდებში? ცხადია, პოლიტიკოსები ასე არ იქცევიან, მაგრამ როფი გამოვიდა ინიციატივით, რომ ყურნალს დაეწყო დისკუსია ამ თემაზე. საბოლოოდ, თვითონ ველარ მოიცალა ამ საქმისათვის, იმიტომ, რომ წერდა წიგნს, ტრილოგიის მესამე ნაწილს, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკაზე იყო საუბარი... მოკლედ, მასთან მუშაობაც ძალიან საინტერესო იყო....

დრო ამოიწურა

ჩვენი ინტერვიუს დაწყებიდან ერთი საათისა და 10 წუთის მერე, რემნიკს მეუღლემ დაურეკა. „სამწუხაროდ, უნდა დაგემშვიდობო, მთელი კვირაა მე და ემერს ერთმანეთი არ გვინახავს, გუშინ დაბრუნდა ბეირუთიდან და პაემანი გვაქვს დანიშნული“. ვერ გავაპროტესტდები, სამწუხაროდ. „ილბალს გისურვებ, ჩემნაირ რესპონდენტს საკუთარ თავსაც არ ვუსურვებდი“.

მე კი, მაინც ძალიან კმაყოფილი ვიყავი. გარდა იმისა, რომ თქვენ ახლა წავიკითხეთ სტატია მსოფლიოს ყველაზე მაგარი ყურნალის ყველაზე მაგარ რედაქტორზე, გამორთული დიქტოფონის ფონზე რემნიკისაგან მოვისმინე ის, რისი გაგებაც ძალიან მჭირდებოდა და რის მერეც არც ერთი სარედაქციო გამოწვევის აღარ შემეშინებდა. ამას კი, თქვენი ნებართვით, ჩემთვის შევინახე.



თავისუფლების ამარა

<<< დასაწყისი გვ. 72

ფაშუქი: ვეცდები ავხსნა ჩემი დამოკიდებულება. როცა “სტამბოლი” დავეწერე, ძირითადად, სტამბოლში ვცხოვრობდი. მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ფიზიკურად სად ცხოვრობ. მთავარია, რომ შენი სამშობლოს გააზრებისას გამოიყენო ის კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება არ იყოს შენი კულტურის ნაწილი. შეიძლება სამშობლოში, შენს სახლში ცხოვრობდე, მაგრამ გულწრფელად გრძნობდე დისკომფორტს შენ გარემოსთან. იყო მორალური, ნიშნავს – არ გრძნობდე თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში, სადაც არ უნდა იყოს ეს შენი სახლი. იმისათვის, რომ თავი საკუთარ სახლში არ იგრძნო, უნდა გქონდეს განსხვავებული კრიტერიუმები, განსხვავებული იდეები, რომლებიც არ არის “მშობლიური” და “ჩვეული”. ამ შემთხვევაში, სადაც გინდა იქ იცხოვრე. შეიძლება, შენი მისამართი არ შეიცვალოს – ნეტავ, ჩემი მისამართი არასოდეს იცვლებოდა, ამას არაფერი აჯობებდა – მაგრამ მთავარია, არ გქონდეს კონფორმისტული გონება და გქონდეს განსხვავებული შეხედულებები, კითხვობაზე განსხვავებულ წიგნებს, გქონდეს განსხვავებული კრიტერიუმები – ეს არის გადამწყვეტი. ძალიან ზედაპირულია ყოფა, როცა სამშობლოში ხარ და ყველაფერს ეთანხმები. სამყაროს განსხვავებული ხედვა იმ წიგნებიდან მომავლეს, რომელსაც მართლაც ყოფნის დროს ვკითხულობ. ამ უტოპოური იდეებით ვართობ ჩემს გონებას და ყველაფერს ამ იდეების კონტექსტში ვაანალიზებ. ამ სამუშაოს შესრულებით, მგონი, სამშობლოს უფრო უკეთ აღვიქვამ, ვიდრე ისინი, ვისაც დისკომფორტი და პროტესტი თავისი გარემოს მიმართ არასოდეს გასჩენიათ.

რამდი: ურთიერთსაწინააღმდეგო იმპულსები ყველა ადამიანშია. არსებობს სახლში ყოფნის და

გაქცევის სურვილი, ფესვების ქონის და წასვლის ოცნება. ჩვენ ყველას გვაქვს კომფორტის, სიმყარის, ფამილარული ეგზისტენციის შეგრძნება, როცა ვართ იქ, სადაც შინ ყოფნის განცდა გვიჩნდება. ასევე არსებობს აჩქარების, საკუთარი თავის და სხვისი აღმოჩენის სურვილი, რომელსაც ასევე მძაფრად ვესწრაფვით ჩვენი ცხოვრების მანძილზე. თუმცა, სამშობლოში ყოფნის, ფესვების ქონის ოცნება უფრო პრივილეგირებულია ჩვენს კულტურაში. ჩვენ ვთვლით, რომ ეს კარგია. ჩვენ უნდა მივეკუთვნოთ იმ ადგილს, სადაც შემთხვევით დავიბადეთ. წასვლის ოცნება, განზრახ ნაპოვნი გასასვლელის იდეა უფრო პრობლემატურია და საეჭვო. მაგრამ ეს ისაა, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესოა... შემოქმედებით პროდუქციას რომ გადახედო, იქნება ეს კინო, წიგნები თუ მუსიკა, ჩვენ იმ ხელოვანებს მოვყავართ ალტაცებაში, ვინც “წავიდა”, “დატოვა”. როგორც კი გზას დაადგები, არაფორმალის, ბანდიტისა და კრიმინალის ბედი გბილავს, იმ ადამიანის ბედი, ვინც გზიდან უხვევს. ჩვენი ოცნებაც ეს არის. თითქოს, ჩვენი არანარმოსახვითი “მე” ცდილობს ააშენოს სახლისა და “მიკუთვნების” იდეა, ჩვენს წარმოსახვით “მეს” კი ანარქისტობა უნდა. აი, ეს წინააღმდეგობა მოქმედებს თითოეულ ჩვენგანში.

თქვენთვის, როგორც მწერლებისათვის, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო, თქვენი წარმომავლობა თუ მწერლების საერთაშორისო საზოგადოება?

ფაშუქი: მგონი, ორივე. მწერლად ყოფნა ამიტომაც არის საინტერესო – იღებ ზოგად, უნივერსალურ ღირებულებებს წიგნებიდან, გჯერა მათი და გინდა ისინი შენს სამშობლოშიც დაამკვიდრო. ეს ზოგადსაკაცობრიო იდეები საინტერესოა, იმიტომ, რომ ისინი სამშობლოში არ გვაქვს და სამშობლო საინტერესოა, იმიტომ, რომ იქ არ არის

ეს უნივერსალური ღირებულებები. მთელი შემოქმედებითობაც, წიგნების წერის იმპულსიც ეს არის – გრძნობ ვალდებულებას წერო, ეძებო, აღმოაჩინო ის იდეები, რომლებიც უნივერსალურია. როცა ახალი იდეების დამკვიდრებას იწყებ, გეუბნებიან: ეს შენი “ევროპული” იდეები აქ არ მუშაობს, აქ თურქეთიაო, და პირიქით, დასავლეთში გეუბნებიან, თურქული მემკვიდრეობა გაქვს, რაც ჩვენთვის ეგზოტიკურიაო. ამის მიმართ ჩემი პროტესტი ბევრჯერ გამოომთქვამს. როცა ჩემი ახალი წიგნი გამოდის, ინერება რეცენზია – თუ სასიყვარულო ისტორიაა, აღნიშნავენ, ფაშუქი თურქულ სიყვარულზე წერსო. მე კი მგონია, რომ სიყვარულზე ვწერ. ასე რომ, ამ “შინ” და “გარეთ”-ს შორის ქრონიკული ჭიდილია. კაცობრიობას, ცხადია, ორივე სჭირდება – შენი მიკუთვნება როგორც უნივერსალურ ღირებულებებთან, ისევე შენს კონკრეტულ სამშობლოსთან.


დიდი პრივილეგია, რაც დასავლელ მწერლებს აქვთ, ის პრივილეგია, რაც ბალზაკის დროს ფრანგულ ლიტერატურას ჰქონდა და ახლა ინგლისურენოვან ლიტერატურას აქვს, ისაა, რომ დასავლელი მწერლები, ერთდროულად, სახლშიც არიან და – “უნივერსალურებშიც”. როცა ამას ჩემი “პერიფერიიდან” ვუყურებ, გულწრფელად ვგრძობ და მინდა გავიბრძოლო ამის წინააღმდეგ. ზოგიერთი პრივილეგირებული ავტორისათვის, სახლი იქ არის, სადაც მათ კაცობრიობის სახელით, თითქმის პლატონური უნივერსალუბრით შეუძლიათ ლაპარაკი და იმავდროულად იქ არიან, სადაც თავისი პატარა ქუჩის სუნი და ფერები შეუძლიათ შეიგრძნონ. ეს მხოლოდ იმ ქვეყნებში ხდება, რომლებიც მართავენ მსოფლიოს და აკონტროლებენ კულტურულ სამყაროს... თუმცა, ეს უკვე სხვა მხრივ ხდება პრობლემატური.

რამდი: როცა დამწყები მწერალი ვიყავი, არ მინდოდა მწერა ინდოეთზე, როგორც ინდოელ მწერალს. ჩემს პირველ გამოქვეყნებულ რომანში, რომელიც საშინელი ქაქი გამოვიდა, დავესესხე სუფიზმს, მაგრამ მოქმედება დასავლურ გარემოში, თითქმის ფანტასტიკურ კონტექსტში გადავიტანე. ამით მინდოდა მეთქვა, რომ სუფიზმი და მსგავსი ფილოსოფიები არ არის მხოლოდ კონკრეტული კულტურის დამახასიათებელი, რომ ისინი აქტუალობას არც ერთ კონტექსტში არ კარგავენ. ამ მცდელობის რეზულტატი საშინლად ცუდი წიგნი იყო, რომლისაც, ახლა საშინლად მრცხვენია და ჩემი გამომცემლები მასხენებენ, ნულა ლაპარაკობ ამ რომანზე. მაგრამ ამ გამოცდებამ მაიძულა ფუნდამენტურად გადამხედვა ჩემი, როგორც მწერლის დამოკიდებულებებისათვის და, შედეგად, ჩემს საწყისებს დავბრუნებოდი. გადავნიტე, რომ იმაზე დამეწერა, რაც გულთან უფრო ახლოს მქონდა და რაც ვიცოდი. იქამდე, ვიდრე მივხვდებოდი რა იქნებოდა “შუალამის ბავშვები”, ვფიქრობდი, რომ ჩემს ბავშვობაზე დაწერდი რომანს. ამ წიგნის გააზრების პროცესში წარმოდგენაც კი არ მქონდა იმაზე,


სხელი შოკოლადი და ფარმაცევტული კომპანია „ჰი-პი-სი“
წარმოგიდგენთ ეტბარ ქერბის მოთხრობების ქრბულს,
„ნებროთმა ბარკა“ პირველ ქართულ ბამოცემას



ნებროთმა ბარკა



ეტბარ ქერბი



უკვე ბაყიდვანია!

იკითხეთ წიგნის მალაზიებში

სხელი
შოკოლადი

ჯივისი  GPC

რომ, საბოლოოდ, ის მიიღებდა სხვა დატვირთვასაც – საჯარო განზომილებას. უბრალოდ, დაგრძელებული, საკუთარი თავი რომ მეპოვა, მშობლიურთან უფრო ახლოს უნდა მივსულიყავი. ასე რომ, ჩემთვის ეს შინ დაბრუნება ის გასაღები გახდა, რომელმაც კარი გა- მიღო. როცა ამ კარში გახვალ, მერე სადაც გინდა იქ შეგიძლია წახვიდე, მაგრამ ჩემთვის ეს “მშობლიუ- რი” რომ არ აღმოჩენინა, ვერ ვიპოვედი სანყისს, წიგნის პირველ წინადადებას.

შეიძლება თუ არა მწერლის წარმოდგენა მისი ქვეყნის გარეშე? იარსებებდა თუ არა ბორხესი არ- გენტინის გარეშე, ან პრუსტი – საფრანგეთის გარე- შე, ან ფოლკნერი – ამერიკის გარეშე?

ფამუქი: რა თქმა უნდა, არა. მაგრამ თქვენი კი- თხვა პასუხსაც გულისხმობს.

რამდი: ჰემინგუეი იარსებებდა ამერიკის გარეშე.

ფამუქი: მაგრამ ეს გულისხმობს იმას, რომ ამე- რიკელებს რაღაც იმპერიული ხედვა აქვთ, რომ ისინი ყველგან “შინ” გრძნობენ თავს. მოგზაურე-ობენ, მაგრამ უცხო ქვეყნებში არაფერს ეკითხებიან, “რატომ ხარ აქ?” თითქოს ამერიკელებისთვის ყველგან ყოფნა ბუნებრივია. მაშინ, როცა ბოლო 25 წლის მანძილზე, ზუსტად მილიონჯერ მკითხეს, “ნიუ-იორკში” პირველად ხომ არ ხართო.

რამდი: როცა რამე კომენტარი წამომცდება იმაზე, თუ, მაგალითად, რამდენად აქვს რუდი ჯულიანის შანსი გახდეს რესპუბლიკელების სა- პრეზიდენტო კანდიდატი, მეუბნებიან, აჰა, ესე იგი, მიგაჩნია, რომ გესმის ამერიკული პოლიტი-კა? ჩემი პასუხია: დიხა! ეს მართლაც უცნაური განსხვავებაა, რომლის ანალიზიც მსოფლიოს ისტორიის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზ-მის ისტორიის გააზრებასთან მიგვიყვანს. ნაგუ-ლისხმებია, რომ დასავლელი მწერლები მსოფლიო მწერლები არიან, ხოლო აღმოსავლელი მწერლები თავის რეგიონში უნდა იყვნენ გამოკეტილი.

ფამუქი: სალმან, სამწუხაროდ ეს არა მხოლოდ დაშვებაა, ეს ფაქტია. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ ტენდენციას და “ფაქტი” “დაშვებით” ჩავანაცვლოთ.

რამდი: ანუ, ერთი ფაქტი მეორეთი ჩავანა- ცვლოთ. ეს ძალიან კარგად მქონდა გაცნობიერებული, როცა “მრისხანებას” ვწერდი. იქ კონ-ფრონტაციაზე ვწერ და, ამის გამო, უფრო მეტი უსიამოვნება შემემთხვა: ესე იგი, რა, ის ჩამოვიდა და ახლა ჩვენ ჩვენს თავზე გვიყვება?

ფამუქი: მოკლედ, ჩვენს სამშობლოზე გვეკითხე- ბიან იმიტომ, რომ მიაჩნიათ, რომ ჩვენ აქ “შინ” არ ვართ. მოდი, მათ ვკითხოთ ეს.

რამდი: მაქვს სახლი და, სხვათა შორის, მანჰა- ტენზე. და იქ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობ.

თვლით, რომ ამერიკელი მწერალი ხართ?

რამდი: არა, ტრადიციული გაგებით, ცხადია, არ ვარ ამერიკელი მწერალი. მაგრამ ამ ქალაქის ყვე- ლაზე დიდი ხიბლი ის არის, რომ ყველას, ვისაც აქ თავისი ამბავი ჩამოაქვს, ის ავტომატურად ნიუ-იო- რკის ამბავი ხდება ხოლმე. ნიუ-იორკში ცხოვრების სიამოვნებაც ეგ არის, რომ აქ მსოფლიოს ამბები თავმოყრილი და ეს ამბები ერთი ქალაქის ამბები ხდება. სწორად ასეთი წიგნის დაწერა მინდოდა. ვერ დავწერდი რომანს ბიჭზე, რომელიც 40-იანი და 50- იანი წლების ნიუ-იორკში იზრდებოდა. მაგრამ შემი- ძლია დავწერო ნიუ-იორკელზე, რომელიც ახლახან ჩამოვიდა და რომლის ამბავიც ამ ქალაქის ისტო- რიის ერთ-ერთი შრე ხდება. ეს უკვე ჩემი თემაა.

ფამუქი: ახლა, როცა უკვე ჩამოვედით ნიუ-იო- რკში, როცა უკვე აქ ვართ, ჩემთვის საინტერესო ერთ-ერთი თემა პასუხისმგებლობის თემაა. როცა სახლში ხარ, შენს ქვეყანაში, ყველას კარგად უნდა მოუქცე. აქ კი, ეს ვალდებულება არ გაქვს.

რამდი: მე კი მეგონა, რომ სახლი ის ადგილია, სადაც ზუსტადაც რომ არ არის აუცილებელი კარგად მოქცევა, ადგილი, სადაც ყველაფრის მიუხედავად გიტანენ და უყვარხარ.

ფამუქი: კარგი, მაგრამ გაგიზიარებთ ჩემს ერთ- ერთ დეფინიციას, რასაც ამ ბოლო დროს გადავეყა- რე ლონსძიება მქონდა ნიუ-იორკის საჯარო ბი- ბლიოთეკაში და იქ ერთ-ერთმა დამსწრემ მკითხა, რით განსხვავდება თქვენთვის ნიუ-იორკი სტამბო- ლისგან? ჩემი ძალიან ინსტინქტური პასუხი იყო, რომ სახლში, თურქეთში მე ყველაფერზე ვგრძნობ პასუხისმგებლობას, აქ კი, ამ პასუხისმგებლობის გრძნობისაგან თავისუფალი ვარ. აქ რომ საკმარი- სად დიდი ხანი ვიცხოვრო, ალბათ, მეც გამიჩნდება ეს დოსტოევსკისეული განცდა, რომ ყველაზე და ყველაფერზე ვაგებ პასუხს. აქ ვგრძნობ, რომ შინ არ ვარ, იმიტომ, რომ ეს პასუხისმგებლობა თან არ წა- მომიღია და აქ მხოლოდ საკუთარი თავისუფლების ამარა ვარ. სახლში განცება მიკუთვნების და პასუ- ხისმგებლობის განცდა ყველაფერზე, რაც გარშემო ხდება და ყველა კითხვაზე მოგეთხოვება პასუხი. მით უფრო, რომ იქ, სადაც მე ვცხოვრობ, არის ასე- თი სტერეოტიპი, თუ მწერალი ხარ, მაშინ ყველა- ფრის პროფესორი ხარ. უნდა ფლობდე ყველა ინ- ფორმაციას და პასუხი გქონდეს ყველა იმ კითხვაზე, რაც ქვეყნისა და ერის წინაშე დგას. მაშინ როცა, აქ უფრო მეტი თავისუფლებას გრძნობ. ხარ მწერალი, წერ წიგნებს, იძლევი ინტერვიუებს, პრომოუშენს უნებ შენს წიგნებს და წიგნის ხარისხი ერთადერთი რამეა, რაზეც პასუხს აგებ. შეიძლება, ამიტომაც, ჯერ არ გამიჩენია აქ მტრები, არ ვგრძნობ პრო- ტესტს არაფრის მიმართ. ჯერჯერობით მხოლოდ დამკვირვებელი ვარ. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში უფრო რადიკალური განცხადებები გა- ვაკეთო ამა თუ იმ მოვლენისა თუ იდეების მიმართ.

რამდი: ძალიან ამიჩუყა გული ორჰანის პასუხის- მგებლობის გრძნობამ!

ფამუქი: შენზეც ვგრძნობ პასუხისმგებლობას, სალმან!

რამდი: მე კი – არა! ყოველთვის უპასუხისმგე- ბლო ადამიანი ვიყავი. შენ ამბობ, რომ აქ ყოფნით, თითქოს ჩამოხსენი პასუხისმგებლობის სიმძიმე და განთავისუფლდი. მე კი, ყოველთვის უპასუხის- მგებლობის მომხრე ვიყავი. მაგრამ ის ამბავი, რომ მწერლებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ, მართლა აბსურდია. როცა ვმოგზაურობ, დაუსრულებლად მეკითხებიან, როგორ ხედავთ ახლო აღმოსავლე- თის პრობლემის მოგვარების საკითხსო. როგორც ჩანს, მე ყველა კითხვაზე მაქვს პასუხი და რა უც- ნაურია, რომ მსოფლიოს მთავრობები ვერასოდეს აცნობიერებენ, რომ ახლო აღმოსავლეთის პრო- ბლემის გადასაჭრელად, მე უნდა მკითხონ აზრი. ის, რომ მწერლებს აქვთ პასუხები, მითია, და ეს მითი ჩვენ უნდა გავაძლიეროთ, ორჰან!

ფამუქი: აუცილებლად. ამას არ ვაკეთებთ ახლა?

რამდი: ამ მითის ზედმეტად დეკონსტრუქცია ამ აუდიტორიას წინაშე ცოტა საშიშია.

თქვენ, ორივე, შედარებით სეკულარული ადამია- ნები ხართ, მაშინ როცა თქვენს ქვეყნებში რელიგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამის გამო ნაკლე- ბად “შინ” ხომ არ გრძნობთ იქ თავს?

რამდი: არა, იმიტომ რომ ყოველთვის არის ვი- ლაც, ვინც შენაირად ფიქრობს. ორივე ქვეყანაში არსებობს სეკულარიზმის ტრადიცია.

ფიქრობთ, რომ რელიგია თქვენს ქვეყნებს ორად ყოფს?

რამდი: არა, უბრალოდ გრძნობ, რომ რაღაც დისკუსიის ნაწილი ხარ. ეს არა-ლიტერატურული პასუხია თქვენს კითხვაზე. ლიტერატურული პასუ- ხი კი ის არის, რომ არ აქვს მნიშვნელობა, გჯერა თუ არა რამის. თუ წერ ადამიანებზე, რომელთაც სწამთ ღმერთის, ეს გულწრფელად უნდა გადმოს- ცე შენს ხელოვნებაში. ძალიან ცუდი მწერალი იქნებოდი, მხოლოდ საკუთარი მსოფლმხედველო- ბის მატარებელი გმირების შექმნა რომ შეგიძლოს. უნდა მოახერხო და სხვის გონებაში შეძკვრე. ამი- ტომ, პროზის წერისას, არ ვფიქრობ ჩემს რელი- გიურ მრწამზე ან მის ნაკლებობაზე. უბრალოდ, ვცდილობ ჩემმა გმირებმა თავისი ცხოვრებით იცხოვრონ და თუ ისინი რელიგიური ადამიანები არიან, ხომ კარგი. თუ არა და – არა.

თქვენ, ორივე, კარგად გათვითცნობიერებული ხართ ისლამში. თქვენს წიგნებში რელიგიას ცენტრა- ლური ადგილი უჭირავს. ბოლო რომანში “თოვლი”,

ორჰან, თქვენ წერთ იმაზე, თუ როგორ შედის არარელიგიური ადამიანი ძალიან რელიგიურ გარემოში. თითქმის ფუტურისტული დამოკიდებულებაა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ რელიგია თქვენთვის მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს პირად ცხოვრებაში ის არ არის მნიშვნელოვანი.

ფამუქი: ლიტერატურა გაძლევს იმის საშუალებას, იდენტიფიცირება მოახდინო შენგან განსხვავებულ ადამიანებთან. სწორედ ისაა საინტერესო, წერო ადამიანზე, რომელსაც შენგან განსხვავებული პოლიტიკური და კულტურული შეხედულებები აქვს. “თოვლში” არის გმირი, რომელიც ფუნდამენტალისტი მუსულმანია და ძალიან ვეცადე, მასთან იდენტიფიცირება მომეხერხებინა იმისათვის, რომ ის, როგორც იტყვიან, კარგ ადამიანად წარმოემჩინა. მიუხედავად იმისა, რომ გონების კუნჭულში გაქვს ღირებულებები, რომელიც განსჯის ამ ადამიანს, წერის დროს მაქსიმალურად უნდა ეცადო დაივიწყო ეს ღირებულებები და შენი გმირის ხმას და სწორ ტონალობის მიაგნო. ეს არის ლიტერატურის გამოწვევა.

მინდა, დაგუბრუნდე იმას, რაზეც ადრე ვსაუბრობდით. კაფკა არის მწერალი, რომელიც ყველგან შინ არის. სალმან, შენ თქვი, რომ ის ადამიანი, რომელიც არასოდეს ტოვებს მშობლიურ სახლს, უბედური ადამიანია. მე კი მგონია, რომ ის არის უბედური, ვინც ყველგან შინ გრძნობს თავს. ყველგან დედას და ძმას ხედავს.

რაშდი: ორჰანის დედას დღეს, ალბათ, ნათელი გადასდის, იმდენჯერ ვახსენეთ.

რამდენიმე წლის წინ დაგწერე ესე ჯადოქარ ოზზე და იქ ვთქვი, რომ ერთადერთი, რისიც ამ წიგნში არ მჯერა, ის ადგილია, სადაც დოროთი ამბობს, სახლზე უკეთესი ადგილი არ არსებობსო. ყოფილხართ კანზასში? შავ-თეთრი ქალაქია. ცარიელი. სად კანზასი და სად ჯადოსნური სამყარო! ეს აბსურდია! რა თქმა უნდა, უამრავი ადგილია სახლზე უკეთესი. თუ ოზის გაგრძელებებს ნაიკითხავთ, მიხვდებით, რომ დოროთი ბრუნდება ოზში, სახლდება იქ და მერე თავისი ბიძაც თან მიჰყავს. ასევე, არ მომწონს, როცა ბოლოს დოროთი აცნობიერებს, – იმისათვის, რომ ის ესწავლა, რაც ისწავლა, შინიდან წასვლა საერთოდ არ იყო საჭირო. რა თქმა უნდა, სრული სისულელეა. უნდა წასულიყო!

გეუბნებიან ხოლმე, რომ თქვენ ზედმეტად “ვესტერნიზებული” ხართ და, ამის გამო, აღარ ეკუთვნით თქვენს ქვეყანას?

რაშდი: არა, ჩემს ოჯახს და მეგობრებს მოვწონვარ.

ფამუქი: მე ხშირად მეუბნებიან ამას. მაშინაც კი მეუბნებოდნენ, როცა სულ თურქეთში ვცხოვრობდი. ადამიანს უთხრა ის, რომ ის აღარ ეკუთვნის თავის ქვეყანას, პოლიტიკური იარაღია, რომელსაც მძიმე “არტილერიული თავდასხმისათვის” იყენებენ. ეს პრობლემისგან თავის არიდებაა.

არასოდეს ვუსმენ ხოლმე იმათ, ვინც მეუბნება, რომ მე აღარ ვეკუთვნი სტამბოლს, ან ჩემს სამეზობლოს, ან ჩემს ოჯახს. ვიცი, რომ ეს პოლიტიკური რიტორიკაა ვინმესთან საომრად, ან ვინმეს საჯარო დისკრედიტაციისათვის. თითქოს, ჩემი გამოცდილება ამ რეალობას არ ეკუთვნის. ამ დროს, სწორედ ჩემი განცდების, ჩემი პროტესტის მეშვეობით უფრო მძაფრად და ნათლად შევიგრძნობ რეალობას.

რაშდი: ვეთანხმები ორჰანს, რომ პოლიტიკური იარაღია შენი იდეების, შენი დამოკიდებულების, შენი ნაშრომის დისკრედიტირება. ინდოეთის აკადემიურ წრეებში მყავს მეგობრები, რომლებიც ლიტერატურული პროგრამების მოდერნიზებასა და განახლებას თანამედროვე ავტორებით ცდილობენ. ამ დროს ჩნდება კითხვა: და ვინ არის “საკმარისად” ინდოელი იმისათვის, რომ მოხვდეს სასწავლო ნუსხაში? მოკლედ, ბევრი პრობლემაა...

... რადგან გვაცნობეს, რომ დრო ამოიწურა, დასასრულ, ორჰან, მოდი, არ ვულაღატოთ პირველ ჩვენებას და ვთქვათ, რომ ჩვენ, მწერლებმა, მართლა ყველაფერი ვიცი. ჩვენ გვაქვს პასუხი ყველა კითხვაზე!

ფამუქი: არავითარ შემთხვევაში!

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



ქარიშხლის მიმართულებით

<<< **ლასაწყისი** გვ. 90

ნუკრი აბაშიძესთან დამაკავშირებელი იმან კი ზურა რამიშვილთან მიმიყვანა. მაშინ პირველად გავიგე ქით ჯარეთის შესახებ. ზურამ ბევრი რალაცები მასწავლა. მოგვიანებით, ბექა რომ შემეძინა და წამოიზარდა, იმას, რის გარჩევასაც მე სამი კვირა ვანდომებდი, ბექა რამდენიმე საათის განმავლობაში ითვისებდა. ზურას ვუთხარი ჩემი უმცროსი შვილი ასეთი და ასეთია-მეთქი. მომიყვანეთ. მიუყვანე... დანარჩენი უკვე იცით. ბექა ზურასთან ექვსი წლის ასაკში მივიყვანეს. ზურამ ვალერის ურჩია, კლასიკაზე სიარული გააგრძელოს და სამი წლის შემდეგ მომიყვანეთო. მიუყვანეს. მერე რა მოხდა, ესეც იცით. ჩვენ სადღეგრძელოებს და საუბარს ვაგრძელებთ. ბექა ამ დროს უკვე პიანინოსთან ზის და უკრავს თან წამდაუნუმ რალაცებს მეკითხება, - ხან ერთ ჯაზ-სტანდარტზე, ხან მეორეზე. და უკრავს. ბევრს. თავდავიწყებით. ვუსმენ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ეს ბავშვი დროზე უნდა გაეცალოს აქაურობას. მხოლოდ იმიტომ, რომ საჭირო კონტექსტში მოხვდეს და იქ გაირკვეს რამდენად ღრმად მისი მონაცემები. "რას ამბობ, - მიყვებოდა ზურა, - იცი, როგორი ტემპებით მიდიოდა წინ? არადა, ჯაზი საერთოდ მოსმენილი არ ჰქონდა, უბრალოდ ნებისმიერ თემაზე ახერხებდა იმპრო-

ვიზირებას. ცხრა წლის იყო მაშინ. მაგხელა რომ ვიყავი, "გარშოკით" ხელში დავრბოდი აქეთ-იქით... ჰო, ვიცი რომ მკაცრი ვარ, მაგრამ ასეა საჭირო. იქ რომ მოხვდება წყალში გადაადგდებენ და ან გამოცურავს ან ვერა, ამიტომაც, მოუშვადებელი რომ მოდის, ვალერისაც კი ეშინია ჩემი". ჩვენ უკვე კარგა ბლომად დავლიეთ, მაგრამ მაინც მუსიკაზე და ბექაზე ვსაუბრობთ, არადა, ლაშაც, ბექას უფროსი ძმაც ოთახშია. "ზომ არ ეჭვიანობს ბექაზე?" — ვეკითხები ვალერის. "მგონი, ბექა უფრო ეჭვიანობს მაგაზე, ისე თამაშობს ფეხბურთს" — იცინის ვალერი. — ჩემთვის მაგის გატანად გოლებზე მოყოლილ ისტორიებს ზუსტად ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბექას დაკრულს". ოთახში ახლა უკვე ოჯახის ყველა წევრია შეკრებილი. ის კი არა, სოფიკოს და, მისი მეუღლე და მათი ბავშვებიც აქ არიან. ბექა დაკვრას აგრძელებს. ჩვენ ვსაუბრობთ. მიყვებიან, რომ თუ ბექა ამერიკაში წავიდა, დედა გაჰყვება. უდელივ ვერ ძლებს. შევამჩნიე კიდეც, სანამ პიანინოს მიუჯდებოდა როგორ სიყვარულით დაადო დედას ხელი ხელზე. ჩვენ საუბარს და სიცილს ვაგრძელებთ. მერე კი ჩემი წასვლის დროც დგება. "ერთი სადღეგრძელო მაქვს, ბატონო კახა, - მეუბნება ვალერი. ხელისგულზე ღვინით სავსე ჭიქას უდგას. "გისმენთ" — ვეუბნები. "მოდი ქით ჯარეთს გაუმარჯოს!" — ამბობს ვალერი.

"მაგ დიდი ადამიანის დღეგრძელობა იყოს" — ეპასუხება სადღეგრძელოს ბექას ელმაგალმშენებელი ბაბუა ბორია.

ესაა და ეს. თუმცა, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ისტორიას დასასრული არა აქვს. ის მხოლოდ ახლა იწყება. მომდევნო დღეები ინტერნეტში გავატარე იმის ძიებაში, თუ რას ამბობენ მეცნიერები ვუნდერკინდ ბავშვებზე და რამდენადაა ეს ფენომენი შესწავლილი. იმდენი ვიკითხე, რომ კინალამ დავბრმავდი, მაგრამ ერთადერთი, რაც აღმოვაჩინე ისაა, რომ ამ მხრივ მეცნიერებაში დიდი ქაოსი და გაურკვეველობა სუფევს. ტერმინის დეფინიციაზეც ვერ შეთანხმებულან. ყველაზე მიღებული განმარტება მაინც ესაა: ვუნდერკინდი ის ბავშვია, ვისაც მძლავრი და ფოკუსირებული ტალანტი გააჩნია ადრეული ასაკიდან და დაუოკებელი სწრაფვა ამ ტალანტის რეალიზებისათვის. ამ მხრივ ბექა ხვდება და, ამავე დროს, ნაწილობრივ ვერ ხდება ამ კატეგორიაში. ის მძლავრი ნიჭითაა დაჯილდოებული, მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, რამდენად მოახერხებს ამ მონაცემების გაღრმავებას. თანაც, ვუნდერკინდებიც არიან და ვუნდერკინდებიც. მათი ნიჭი ისე მრავალფეროვნად ვლინდება ხოლმე და ვუნდერკინდი ბავშვის იმდენი ტიპი არსებობს, რომ ყველას შესწავლა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. ის კი არა, თუ ინტერნეტში არსებულ მასალებს დავუჯერებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ სამი მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს ამ თემაზე და მხოლოდ 20 შემთხვევაა ამომწურავად შესწავლილი. თანაც, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში, სპორტული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებზე საუბარი არაა. მათი რიცხვი იმდენად დიდია, რომ კიდევ უფრო მეტ გაურკვეველობას შემატება ისედაც არეულ-დარეულ სურათს. კიდეც კარგი, ბექა მათ რიცხვს არ მიეკუთვნება, ვისაც ღმერთმა მუსიკის ნიჭის გარდა "პაკეტში" სხვა დანარჩენი უცნაური უნარები და ჩვევები მოაყოლა, მაგალითად, აუტიზმი ან ტელეფონების ნიგნის დაზეპირების უნარი. ასეთები ბევრნი არიან. ეს კიდეც რაა, ზოგ ვუნდერკინდ ბავშვს ფეხსაცმლის თასმების დამოუკიდებლად შეკვრის უნარიც არა აქვს. დანარჩენები ძალიან ადრეული ასაკიდან იწყებენ, მაგალითად ხატვას, როგორც ეს ერთ ჩინელ გოგონას უანგ იანის დაემართა, რომელმაც ფერად-ფერადი მაიმუნების ხატვით დაიწყო "კარიერა" სამი წლის ასაკში, მაგრამ შემდეგ ეს ნიჭი სადღაც გაიფანტა და გაქრა. ცალკე საკითხია ვუნდერკინდი ბავშვების და მათი მშობლების ურთიერთობა ან ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ბავშვის შემდგომ ზრდაში. მოკლედ, ყველაფერი ეს ძალიან საინტე-

რესო და საიდუმლოებით მოცული ისტორიები, მაგრამ მოდი ისევ ბექას დავუბრუნდეთ. ამ წუთში მას არ ჭირდება ყველაფერ ამის ცოდნა. სამაგიეროდ, დადგა დრო, როდესაც მან უნდა გადანიჭოს რას აპირებს მომავალში. ხუმრობა ხომ არაა, ვუნდერკინდი ჯაზმენი ბავშვი აბსოლუტურად “არა-ჯაზურ” საქართველოში? ზურა ქარუმიძე, მწერალი და ჯაზის დიდი ენთუზიასტი ხუმრობს ხოლმე, თუ ქართველი ვუნდერკინდი ჯაზმენი უნდა გაჩენილიყო ამისთვის, გურია უფრო შესაფერისი ადგილი იყო ვიდრე კახეთი. სად გურია თავის ჩახვეული კრიმინალებით და ქარაფშუტული სილალით და სად დინჯი და ვაზის ფოთლოვანი კახეთი? ამიტომაცაა, ბექას კახელ ბაბუას შვილიშვილის დაკრული რომ არ ესმის და სულ იმას ამბობს, ეს ჯაზი რაღა ოხრობაა... არადა, სულ რამდენიმე ხანში, თუ ყველაფერი ისე მოხდა როგორც მისი ოჯახის წევრები, მასწავლებლები და კეთილი ადამიანები ვარაუდობენ და ის ნიუ-იორკში მოხვდა, მაშინ ეს ის ბექა უკვე ველარ იქნება, ვინც სულ რაღაც ერთი თვის წინათ გავიცანი. იქ არაფერი ეცოდინებათ იმის შესახებ, თუ გლდანის რომელ მოედანზე თამაშობდა ფეხბურთს, კახეთის და ქართლის რომელ სოფლებში ჩადიოდა ბებიებთან და ბაბუებთან დასასვენებლად და არც ის, თუ სად ეძებონ საქართველო რუკაზე. დასაწყისისთვის ის მათთვის მხოლოდ ის მასალა იქნება, რასაც მათ ფორმა უნდა მისცენ და, დამერწმუნეთ, იმ ადამიანებმა ძალიან კარგად იციან, თუ როგორ მიაღწიონ ამას. თუ ზურა რამდენიმე ას-მაგის გაკეთებას თხოვს, ისინი ათასმაგს მოსთხოვენ უბრალოდ იმიტომ, რომ სწორედ ამაში უხდინან მათ ფულს. რა თქმა უნდა, როდესაც ვამბობ ეს ის ბექა ვერ იქნება-მეთქი, მხოლოდ და მხოლოდ იმ ბექას ვგულისხმობ, ვინც დღეს თავისი მონაცემებით ყველას აკვირვებს. როგორც ადამიანი, იმედი მაქვს, რომ ის ისეთივე ლალ, გახსნილ, მოსიყვარულე და მომღიმარ კაცად დარჩება. ჩვენ ერთად ვიცინოდით, როდესაც ის თავის სიზარმაცეზე მიყვებოდა, მაგრამ, ალბათ, უკვე დადგა იმის დრო, ნელ-ნელა დაიწყოს ფიქრი იმაზე, თუ რას აპირებს ცხოვრებაში. ვიცი, ბევრი მისი ასაკის ბავშვისთვის ასეთ რამეებზე ფიქრი ნაადრევია, მაგრამ სულ რამდენიმე დღის წინ ელდერ ჯანგროვთან ინტერვიუს ვკითხულობდი და სწორედ მისმა სიტყვებმა დამარწმუნეს იმაში, რომ მე მართალი ვარ. ჯანგროვიც ბექასხელა იყო, დაკვრა რომ დაიწყო; ერთი უბრალო ყაზახი ბიჭი ბიშქეკიდან. დღეს კი, თვრამეტი წლის ასაკში, უკვე თავისი სტილი აქვს და მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე და საკონცერტო დარბაზებში უკრავს ჯაზს. აი, რას ამბობს ის: “თორმეტი წლის რომ გავხდი, კიდევ უფრო დავრწმუნდი იმაში

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მუსიკა ჩემს ცხოვრებაში. ამას მივხვდი თუ არა, დღეს რვა საათი დაკვრა დავიწყე. მოგვიანებით, მეცადინეობაზე დახარჯული დრო დღეში ჯერ თორმეტ, მერე კი თოთხმეტ საათამდე გავზარდე. ზოგჯერ, რაღაცას რომ დავისახავდი, მთელ დღეს ვანდომებდი იმის მიღწევას და მხოლოდ მაშინ ვეშვებოდი ინსტრუმენტს, როდესაც დავრწმუნდებოდი, რომ ეს ბარიერიც დაძლეულია. ძალიან ადრე მივხვდი იმას, რომ დღეს თუ რამე არ გავაკეთე, ხვალ თავისით არაფერი მოვა...” მზად არის ბექა ამისთვის? მზად არის თავისი ბავშვობის მთელი დრო ფორტეპიანოს და მუსიკას შეალიოს? მზად არის დაივიწყოს ვიღაც მამაოს სიტყვები, მისთვის რომ უთქვამს, ჯაზი სატანური მუსიკააო და თავით გადაეშვას ამ საოცრად მრავალფეროვან და საინტერესო მუსიკაში, რომელსაც თითქოს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული? თუმცა, მთლად ასე არაა საქმე. ჯაზი პირველად მაშინ შეამინებს, როდესაც რაღაც მომენტში ეჭვი გაუჩნდება, რომ უკვე ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დაკრულია. ბექამდე ბევრი საოცარი ჯაზმენი “ეჭვიდავებოდა” საფორტეპიანო ჯაზს და ცდილობდა თავისი ხმა ეპოვნა ამ ინსტრუმენტზე, დანაყბული, თუნდაც, ართ თეითუ-მით და ელდერ ჯანგროვით დამთავრებული. და იცით რა? ბექასთვის ერთი კარგი რამ მაქვს სათქმელი, – მათ ეს მოახერხეს. არ ვიცი როგორ, მაგრამ მოახერხეს. ჯაზ-სტანდარტების უმრავლესობა სხვადასხვა დროს შექმნილი პოპულარული სიმღერებია, მაგრამ მოდი და უბრალო პოპ-სიმღერად აღიქვი ის სიღრმეები, რომელსაც თელონიუს მონქი, ბად ფაუელი, ბილ ევანსი, მაქქოი თაინერი ან თუნდაც ბექას საყვარელი ქით ჯარეთი აღწევნ. ისინი წარსულის ჰიტებს იმიტომ კი არ უკრავენ, რომ საკუთარის შექმნა არ შეუძლიათ (ბევრი თავის საკუთარ კომპოზიციებსაც ასრულებს და მერე, უკვე ეს კომპოზიციები იქცევიან სტანდარტებად ხოლმე), არამედ იმიტომ, რომ იციან, – ეს ყველაზე დიდი გამონევეა მათთვის. სტანდარტების შემთხვევაში ისინი დიდი ოსტატების ენერგეტიკულ ველში ხვდებიან; ხუმრობა ხომ არაა დაუკრა ის, რასაც შენამდე ათეულობით დიდი მუსიკოსი უკრავდა? ოლონდ, დაუკრა ისე, როგორც ეს არცერთ მათგანს არ გაუკეთებია! რაღაც შენი შემატო მუსიკას და ასეთი სახით “შეაგლო” ის მომავალში. ბექას შემთხვევაში, ეს შეიძლება მოხდეს ან შეიძლება არა, მაგრამ ცდად ნამდვილად ღირს. მას ისიც არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჯაზი ის მუსკაა, რომელსაც სწავლის პერიოდში სულ უნდა უსმენდე თუნდაც იმიტომ, რომ “სხვადასხვა ენებზე” ალაპარაკდე, ხოლო მერე კი, რომ წამოიზრდები, ყველაფერი ნასწავლი უნდა “დაივიწყო” (დიდმა მუსიკოსებმა ზედმეტი სიმძიმით რომ არ

დაგრთუნონ) და ამ ქაოსში შენი თავი, შენი ბგერა, შენი ხმა მოძებნო. თუ ბექას ეს გამოუვიდა, მისი პასუხისმგებლობაც ათმაგად გაიზრდება... თუმცა, მოდი, ჯერ ამას შევეშვათ. იმ დროისათვის, თუ ეს მართლა მოხდა, მას უკვე ჩემზე კარგად ეცოდინება, რა და როგორ გააკეთოს. მაგრამ, ამავე დროს, მან ცხოვრებაც უნდა მოასწროს და, რაც მთავარია, მოახერხოს თავისი ცხოვრების მისივე მუსიკაში “შეთრევა”. ვიცი, ადრე თუ გვიან, ის არა მარტო მოსმენას, არამედ ბევრ კითხვასაც დაიწყებს მუსიკაზე და მუსიკოსებზე და სწორედ მაშინ მიხვდება, რომ ყველა დიდი მუსიკოსი თავის ცხოვრებას უკრავდა და უკრავს. ცარიელი ვირტუოზობა არავის აღარ აინტერესებს დღეს. შეიცვალა გარემო, შეიცვალა ხმები ჩვენ გარშემო, შეიცვალა მუსიკალური ტექნოლოგიები, და მუსიკოსებიც ცდილობენ ახალ გარემოს მოერგონ. ზოგს გამოდის, ზოგს არა. ზოგს ნიჭი არ ყოფნის, ზოგს ზედმეტი ტაში ღუპავს, ზოგს კი ზედმეტი ფული (არადა, არაა ჯაზი “ფულიანი” მუსიკა!). მოკლედ, ზედაპირზე ყველა ვერ ჩერდება. ჩერდებიან ისინი, ვინც მთელი ცხოვრება მიუძღვნა ამ მუსიკას და მერე ეს ცხოვრება მუსიკაშივე “შეაჩერა”. თუ ბექა ამას მოახერხებს, მაშინ მისი მუსიკა საცხე იქნება ყველაფერი იმიტომ, რაც მას უნახავს და გამოუცდია. იქ იქნებიან მისი ოჯახის წევრები და მეგობრები, მისი სიყვარული მათ მიმართ და მათი მისდამი სიყვარული, მისი ბინა გლდანში, სათამაშოები, ოთახის კუთხეში მდგარი პიანინოს ფერი, დედამისის გამომცხვარი ნამცხვრის გემო, გაკვეთილების მსვლელობის დროს იქვე ჩამომჯდარი მამის სახე, ის გოგონა, ვინც მას პირველად შეუყვარდება, მისივე შიშები და სიხარული, სიზმრები და ოცნებები, მისი ბებიების და ბაბუების ღიმილი და ყურადღება, თბილისი, კახეთი, ქართლი, საქართველო, ნიუ-იორკი, პარიზი, ბერლინი და ყველა ის ადგილი სადაც ის შეიძლება მოხვდეს. გააჩნია, რა ექნება “მოსაყოლი” დანარჩენი სამყაროსათვის... მზადაა ეს პატარა ბიჭი ამისთვის? პასუხი ამ შეკითხვაზე მალე უნდა გასცეს და თუ საკუთარ თავს გამოუტყდება, რომ ამისთვის მზადაა, მაშინ უნდა მიანვეს. ჩვენ აქედან დავეხმარებით, ჯერ ოჯახი, მასწავლებლები, ნათესავები, ახლობლები და ნაცნობები, მერე კი, შეიძლება მთელი საქართველოც. ვერ ხედავთ რა ამბავია ატეხილი “ევროვიზიაზე” გამოსული ქართველების გარშემო?.. მოკლედ, იმედი მაქვს ამ სტატიის დაწერას არასდროს ვინანებ. იმედი მაქვს, რომ როდესაც ერთ უფასო ბილეთს მომცემს თავის კონცერტზე, რა მნიშვნელობა, აქვს მსოფლიოს რომელ კუთხეში მოხდება ეს. იმ დროისთვის ის უკვე მსოფლიო მოქალაქე იქნება.



როგორ გადაწყვიტა ჰილარი კლინტონმა სენატის დაკარგვა

<<< დასაწყისი გვ. 102

უხეშ, ამკარა შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, – როგორცაა, “იანქიზ” კეპით სიარული და იასირ არაფატის ქერიის სუჰა არაფატის გულში ჩაკერა – კლინტონის საარჩევნო კამპანიას თავიდანვე შავ ლაქად დაჰყვა ძველი, ღიად დარჩენილი კითხვები მისი ვინაობის შესახებ. ერთი მხრივ, პირველი ლედი თავის ვინაობას ვერსად გაურბოდა; და მეორე მხრივ, სწორედ მისი ვინაობა იყო პრობლემა. კლინტონის იმიჯი სასწაულებრივად ამაღლდა მონიკა ლევისკის სკანდალისა და ბილ კლინტონის იმპიჩმენტის საქმის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ბევრი (მათ შორის იყვნენ კლინტონის უახლოესი მეგობრებიც) ამტკიცებდა, რომ ტანჯული და მოტყუებული ცოლის მიმართ ხალხის თანაგრძნობა არ გახლდათ მყარი და სანდო საფუძველი, რაზეც საარჩევნო კამპანია უნდა აგებულიყო. ჰილარი კლინტონის სენატისკენ სწრაფვა აუცილებლად აცდუნებდა სხვებს, კლინტონის ადმინისტრაციის დროს მომხდარი მრავალრიცხოვანი სკანდალები ამოქექდა და ხელახლა გამოქიდა. ამ უსიამოვნო მოგონებებში შედიოდა უაითუოთერის სკანდალიც და პირველი ლედის შესახებ გავრცელებული არცთუ სასიამოვნო შეფასებებიც (“ლედი მაკბეტი აბადოკში” მათ შორის ყველაზე გავრცელებული ფორმულირება გახლდათ). კამპანიის ერთ ეტაპზე კლინტონის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, გამოეხიზნებინათ კლინტონის რეიტინგი გარეუბნულ ქალებს შორის და უეჩესტერის საგრაფოში ქალებით დაკომპლექტებული ფოკუს-ჯგუფები შექმნეს. ეპითეტები, რითაც ეს ქალბატონები კლინტონს ახასიათებდნენ, იყო: გა-

მჭრიახი და პრაგმატულად მოაზროვნე, მიმწოლი და ცივი. ერთმა ქალმა ასეც თქვა: “ჰილარის ემონია, ჩვენს წინაშე სისუსტე გამოამჟღავნოს”, მეორემ კი – ასე: “სინამდვილეში ვერც ვხვდებით, ვინ არის ჰილარი კლინტონი”. კითხვას, ვინ არის ჰილარი კლინტონი, კლინტონის საარჩევნო კამპანიამ კითხვის შებრუნებითვე უპასუხა. დაიგეგმა ე.წ. “მოსმენის ტური” – კლინტონის უბრალოებისა და თავმდაბლობის წარმოსაჩენად დადგმული შოუ, რომელიც ნიუ-იორკის მოქალაქეებზე იყო გათვლილი. ამ ტურით კლინტონმა ამომრჩევლებს საარჩევნო კამპანიის სახეცვლილი ვერსია შესთავაზა. იმის ნაცვლად, რომ მხარდამჭერებისთვის პუნქტებად ჩამოყალიბებული შეხედულებები გაეცნო, კლინტონი ნიუ-იორკის შტატში მოგზაურობისას თვითონ შეუდგა სხვების შეხედულებების შეგროვებას. ის ამომრჩევლებისგან აზრის გამოთქმას ითხოვდა (როგორც საარჩევნო კამპანიის ერთმა ყოფილმა კონსულტანტმა ამისნა, “მოსმენის ტურის” უკან ერთი კონკრეტული თეორია იმალეზოდა – “ხალხს სურდა, სცოდნოდა, რომ ეს კამპანია მათთვის იყო და არა კლინტონისთვის”). ვიდრე გაღიზიანებული ყურნალისტები წუნუნებდნენ, კლინტონის საარჩევნო კამპანიას ტკივილგამაყუჩებელი ტაბლეტის ეფექტი აქვსო, ამომრჩევლებს ეს არ აღუვებდათ. ისინი ჰილარი კლინტონს იმედინად უყურებდნენ. მათ წინაშე იდგა ქალი, რომელსაც შეეძლო რასაც მოისურვებდა, ის ეკეთებინა, მას კი კატარაუგუსის საგრაფოში ინტერნეტ-მომსახურების გაუმჯობესება სურდა. საარჩევნო შეხვედრების ფარგლებში კლინტონს ათიოდე შეხვედრაზე მანაც გავეყვი.

ერთხელ, ბაფალოში ვიზიტისას, ადგილობრივი რადიოს ცოცხალ ეთერში კლინტონს ჰკითხეს, ოდესმე წოლილა თუ არა ვინს ფოსტერთან. მისი გუნდის წევრები ამ ინტერვიუმ გააცოფა, თვითონ კლინტონს კი აღუვებდა არ დატყობია. მშვიდად განაგრძო განრიგით გათვალისწინებული ლონისძიებები და ბაფალოს მოხუცებულთა სახლში დაგეგმილ სადილზე მივიდა. ის ყოველ მაგიდასთან ჩერდებოდა და ყველა მსურველს ხელის ჩამორთმევით ესალმებოდა, თითქოს, სულ ცოტა ხნის წინ არაფერი უსიამოვნო არ მომხდარიყო. ერთმა ქალბატონმა კანდიდატთან მისალმებისას დაიწუნუნა, ახალგაზრდები სამსახურის ძებნისას აქ საშინელ სირთულეს აწყდებიანო – მსგავსი უკმაყოფილება კლინტონს ათასჯერ თუ არა, ასჯერ მანაც ჰქონდა მოსმენილი. მაგრამ ამ ქალბატონმა კლინტონთან დაშორების შემდეგ მანაც დაასკვნა: “როცა ელაპარაკები, ის ყურადღებით გისმენს, და შენც იჯერებ, რომ შენი სათქმელი მართლა აინტერესებს, ანუ მხოლოდ თავიდან მოცილების მიზნით არ გეთანხმება”.

გამოადგებოდა თუ არა ჰილარი კლინტონს მოსმენის საოცარი ნიჭი რუდოლფ ჯულიანის დასამარცხებლად, უცნობია. იყო ეტაპი ჯულიანის საარჩევნო კამპანიაში, როცა ის კლინტონს სერიოზულ მეტოქედ არც განიხილავდა. თუ შემთხვევით ახსენებდა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მასხრად აეგდო. ჯულიანის ამომრჩეველი თემა, ძირითადად, კლინტონის არაგულწრფელობა იყო – საზოგადოებას თავს აჩვენებს, როგორც ნიუ-იორკის ცნობილი ბეისბოლის გუნდის “იანქიზის” ფანსო, როგორც ნამდვილ ნიუ-იორკელს და როგორც გულწრფელ ადამიანსო – ამტკიცებდა ის. მერი დაჟინებით იმეორებდა და მის ნათქვამს შემდეგ სხვებიც ციტირებდნენ, რომ კლინტონს ნიუ-იორკის სენატორობის ერთადერთი ინტერესი ჰქონდა – პოსტი მორიგი კარიერისტული ნახტომისთვის გამოეყენებინა. “თუ ის ნიუ-იორკში გაიმარჯვებს, შემდეგ რაც მოხდება, მხოლოდ დროის ამბავი იქნება – აუცილებლად პრეზიდენტობისთვისაც დაიწყებს ბრძოლას” – აცხადებდა ნიუ-იორკის რესპუბლიკელთა ლიდერი უილიამ პაუერსი.

კლინტონის მიმართ ჯულიანისებური მიდგომა აირჩია რიკ ლაციომაც – ლონგ აილენდელმა კონგრესმენმა, რომელმაც საარჩევნო ბრძოლაში ჯულიანი მას შემდეგ შეცვალა, რაც გაირკვა, რომ ნიუ-იორკის მერი პროსტატის სიმსივნით იყო ავად. ლაციო აცხადებდა, “მეტსის” კეპი პირველად ექვსი წლისამ დაეიხურეო”. თუმცა, ლაციოს ჯულიანის კლასი აკლდა, ამიტომ, კლინტონის კრიტიკა დიდად არ გამოსდიოდა. ბევრ დემოკრატს სჯერა, რომ სწორედ ლაციოს, როგორც კანდიდატის, სისუსტემ და არა კლინტონის ქარიზმამ განსაზღვრა საარჩევნო ბრძოლის საბოლოო შედეგი. ამკარად წინასწარ ჩაფიქრებულ დაპირისპირებაში, რომელიც ბაფალოში გამართული დებატების დროს მოხდა, ლაციო პირდაპირ მიეჭრა კლინტონს და

საცხოვრებელი კომპლექსი ქავთარაძის ქუჩაზე

კომფორტული ბინები

DREAM TOWN



ტერასული ტიპის



სარეკრეაციო ზონა



სარეკრეაციო ზონა,
13.000 აკ.მ. შიდა ეზო,
სპორტული მოედნები,
ბავშვთა სათამაშო მოედნები,
ფანჯანები, 24 საათიანი დაცვა.

877 233 233

MAGI STYLE
www.magistyle.ge

თანამედროვე ბინის სავაჭრო
ცენტრი შესაღებოდად,
პანორამული ლიფტებით
აუზებით, ბუბინებით,
გასართობი ცენტრით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გუდაურში

ვასლუში
ჩაბარებით



899 13 06 05
☎ 98 74 99
39 75 01



მოსთხოვა, ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომელიც ფედერალური საარჩევნო კანონით დაურეგულირებელ ფულად შემოწონილობებს კრძალავდა. “როცა ლაციომ სცენა გადაჭრა და კლინტონისკენ დაიძრა, ის საშუალო სტატისტიკურ ქმარს ჰგავდა, სამზარეულოდან რომ გამოდის, ცოლისკენ მიემართება და ხმა მრისხანებით უთრთის” – ასე დაახასიათა ეს ინციდენტი ერთმა ცნობილმა ნიუ-იორკელმა დემოკრატმა, – “მათ კლინტონს ისეთი კარგი საქმე გაუკეთეს, რასაც თავის თავს ვერაფრით გაუკეთებდა. ის სასიამოვნო და სიმპათიური გამოაჩინეს”.

სენატი გახლავთ ორგანო, რომელიც მთლიანად კანონებით და ტრადიციებით იმართება. ტრადიციებში შედის ერთი ასეთიც – ახალბედა სენატორი აუცილებლად უნდა ეწვიოს დასავლეთ ვირჯინიის შტატის დემოკრატ სენატორს რობერტ ბერდს. ბერდი სენატში, უკვე 50 წელია, მსახურობს, როგორც თვითონ ამბობს, ყველა დანარჩენ სენატორზე უფრო ხანგრძლივად, თუ არ ჩავთვლით ორ სხვა წევრს, რომლებიც სენატში მისი დაარსების დღიდან მსახურობდნენ. ბერდი სენატის კანონების სრულყოფილებიან ექსპერტადაც ითვლება. კლინტონი მას სენატამდეც კარგად იცნობდა. მათი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა 1993 წელს მოხდა, კლინტონისთვის ძალიან დაძაბულ დროს, როცა ის ჯანდაცვის რეფორმის პრეზიდენტის სპეც-კომისიას ხელმძღვანელობდა. პირველ ლედის ერთ-ერთი კანონპროექტის გასატანად, ბერდის მხარდაჭერა სჭირდებოდა, მაგრამ მამის ბერდმა ჰილარი კლინტონს უარი უთხრა. ამით ხანდაზმულმა სენატორმა კლინტონის ინიციატივაზე – შეგნებულად თუ შეუგნებლად – დამლუპველი გავლენა იქონია. კანონპროექტი ჩავარდა, კლინტონის იმედებიც, შემოელო უნივერსალური ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა, წყალში ჩაიყარა.

“ჰილარი კლინტონი თავიდანვე არ გამხდარა ჩემი ფავორიტი, – მითხრა ამასწინათ ბერდმა, როცა კაპიტოლიუმში, საკუთარ კაბინეტში ვწვიე, – “მაგრამ ახლა კი, ნამდვილად ჩემი ფავორიტი, რადგან ძალიან მომწონს საკითხებისადმი მისი მიდგომა. მომწონს მისი გულწრფელობა. მომწონს მისი თავდაჯერებულობა”. ბერდი ამბობს, რომ ის კლინტონის ბეჯითი შრომითა და ღირსების შეგრძნებით მოხიბლულია. როცა 2000 წლის ნოემბერში ახალბედა სენატორი ტრადიციისამებრ ბერდს ესტუმრა, ბერდმა პირდაპირ უთხრა, რომ მისი შრომისმოყვარეობა და ურთიერთობების პატივისცემაზე დამყარება იქნებოდა ის თვისებები, რითაც კოლეგები კლინტონს შეაფასებდნენ. “ფიქრობ, შესანიშნავი სტუდენტი გამოდგა”, – ასკვნის ბერდი.

პირველი საკანონმდებლო ინიციატივა, რაც კლინტონმა სენატს წარუდგინა, გახლავთ შვიდი კანონპროექტისგან შემდგარი პაკეტი, რომელიც, მისივე სიტყვებით, “ჩრდილოეთ ნიუ იორკსა და საერთოდ მთელ ქვეყანაში სამუშაო ადგილე-

ბის გაზრდას შეუწყობდა ხელს”. ეს იყო პაკეტი, რომლითაც ჰილარი კლინტონი ასრულებდა საარჩევნო კამპანიის დროს დადებულ პირობას და რომელიც, ბევრ სხვა საკითხთან ერთად ითვალისწინებდა ტექნოლოგიური კავშირის შექმნას პერიფერიულ დასახლებებში. 2001 წლის 1 მარტს საკანონმდებლო პაკეტის წარდგენისას, კლინტონმა კოლეგებს მოკლე ცნობებით სავსე საქალაქო დებულებები და სხვადასხვა ფერად დაყოფილი რუკები დაურიგა, ამ რუკებზე აღნიშნული იყო, თუ როგორ ისარგებლებდნენ დანარჩენი სენატორების შტატები კლინტონის ინიციატივით.

საერთო ჯამში, თავისი “საინუგურაციო” საკანონმდებლო მცდელობებისთვის კლინტონს მაღალი ნიშნები დაუწერეს. არა იმიტომ, რომ მისი იდეები შორსმჭრეტელური, ან ორიგინალური იყო – პირიქით. ბევრი სხვა დამწყები სენატორის მსგავსად, კლინტონმა სენატის პირველი წლები ძირითადად ფედერალური თანხების ნიუ-იორკისკენ მიზიდვას შესწირა.

“ხალხი ფიქრობდა, ღმერთო, ის ხომ პირველი ლედია, ალბათ, ბევრ რამეზე აიზუებს ცხვირს” – მითხრა გერი დუგლასმა, პლატსბურგ-ნორთ ქანთრის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა, რომელიც ერთ-ერთ პროექტზე კლინტონთან ერთად მუშაობდა, – “ის კი, არა მხოლოდ პასუხობს ჩვენს სატელეფონო ზარებს, შიგადაშიგ, თვითონაც გვირეკავს ხოლმე”. დუგლასმა ისიც დასძინა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება კლინტონის ხელქვეითებამაც მოახდინეს. შემდეგ იგივე აზრი ბევრი ჩემი სხვა წყაროსგანაც მოვისმინე. სხვა ოფიციალურმა პირებმა ისიც კი მითხრეს, რომ არ არსებობდა არც ერთი, თუნდაც მცირე ზომის, ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართული პროექტი, რომელსაც კლინტონი უწყურადღებოდ ტოვებდა. მაგალითად, შარშან, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროპაგანდისთვის, მან კაპიტოლიუმში საგანგებო ლონისძიება მოაწყო, სახელწოდებით ნიუ-იორკული ფერმის დღე. მსგავსი ღონისძიება წინა თვეშიც გაიმეორა. ორივეჯერ სტუმრებს ნიუ-იორკში მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით გაუმასპინძლდა. “კლინტონი ნიუ-იორკში დაყენებული ღვინისა და მოყვანილი პროდუქტის ნამდვილი მისიონერია”, – მითხრა ნიუ-იორკის ღვინისა და ყურძნის ფონდის პრეზიდენტმა ჯიმ ტრეზისმა.

ყველა კანონმდებელმა, რომელთაც კლინტონის შესახებ აზრი ვკითხე, ის ისევე ქებით დაახასიათა, როგორც – სენატორმა ბერდმა. მათი თქმით, კლინტონი ერთგულად ესწრება კომიტეტის მოსმენებს, პატივისცემით ეპყრობა უფროს კოლეგებს და, საერთოდ, ცდილობს სხვებს წინ უხეზდეს არ გადაუდგეს. “ჩვენს შეხვედრებზე – ნიუ-იორკის დელეგაციის წევრები ხშირად ვაწყობთ ხოლმე ასეთ შეხვედრებს – ის ისე უბრალოდ და უპრეტენზიოდ ზის ხოლმე დარბაზში, როგორც ერთ-ერთი ჩვენგანი”, – მითხრა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ლონგ აილენდიდან, პიტერ კინგმა, –

“წინ გამოხტომას და შენთვის სათქმელის წართმევას არასდროს ცდილობს. რადგან იცის, რომ პრესის ყურადღებას ისედაც მიიპყრობს. მის ფოტოს გაზეთში ისედაც დაბეჭდვენ”.

კლინტონისა და გრემის შესწორების დამტკიცებიდან რამდენიმე კვირა იყო გასული, როცა ვაშინგტონში კვლავ ჩავედი. ის დღე მთლიანად 2004 წლის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ კანონს ეთმობოდა. 11 სექტემბრიდან მოყოლებული, კლინტონს უამრავი მიზეზი დაუგროვდა იმისთვის, რომ დროის დიდი ნაწილი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხისთვის დაეთმო. უფრო კონკრეტულად კი, ამ მიმართულებით ნიუ-იორკში მეტი თანხა მიეზიდა. კლინტონის ძალისხმევა იყო გადაამყვებო, როცა საშინელი ტრაგედიადან მალევე, სენატორებმა ნიუ-იორკისთვის ოცი მილიარდი დოლარის გამოყოფა შეძლეს. გასულ ზამთარში, რამდენიმე თვიანი ლობირების შემდეგ, კლინტონმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიაღწია – დამატებით გამოიყო 90 მილიონი დოლარი ტერაქტების დროს მომუშავე მშველეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაკონტროლებლად.

“ეს ისეთი ჩახლართული საკითხი იყო, რომ კლინტონს შეეძლო ეთქვა – ასეთი არაფერი მინახავს და ხელი ჩაქენია, მიუხედავად ამისა, მას უკან მაინც არ დაუხევია”, – მითხრა უნიფორმიან მეხანძრე ოფიცერთა ნიუ-იორკის ასოციაციის პრეზიდენტმა პიტერ გორმანმა, – “სწორედ ეს თვისება მაცდებს მასში. ის გახლავთ ქალი, რომელსაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი არც ერთი საკითხი არ აშინებს”.

კლინტონს “ცოცხალი ისტორიის” წერაში მწერალთა ჯგუფი ეხმარებოდა. წერდა ლამ-ლამობით და უქმეებზე, როცა კი სენატორის გადატირებული დღის განრიგი ამის საშუალებას აძლევდა. ერთხელ ვკითხე, როგორ მოახერხა ნიგნისთვის საჭირო ამდენი დეტალის დამახსოვრება. დავინტერესდი, დღიურს ხომ არ აწარმოებდით-მეთქი. მან კი ისე, სხვათაშორის მითხრა: “არა, დღიური რომ მქონოდა, აუცილებლად სასამართლოს განხილვებზე მოხვედებოდა”.

“ცოცხალი ისტორია” ილინოისის შტატის პატარა და წყნარ ქალაქ პარკ რიჯში გატარებული ბავშვობით იწყება: “მამაჩემი ხმელ-ხმელი აღნაგობის, თვითნასწავლი და კონსერვატორი რესპუბლიკელი იყო და ძალიანაც ეამაყებოდა ეს”, – წერს კლინტონი და შემდეგ მოკლედ აღწერს, თუ როგორ შეუყვარდა იელის იურიდიული სკოლის თანაკურსელი, რომელიც “სიცოცხლის ჟინს და ენერჯიას ერთი გამოხედვით აფრქვევდა”. თუმცა, ნიგნის 534 გვერდის უმრავლესობა, მაინც სულ სხვა თემას – კლინტონის პირველი ლედობის წლებს ეხება. არის თავები, რომლებშიც განხილულია, თუ როგორ ცდილობდა კლინტონი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის გადარსწვას, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქალების ცხოვრების გაუმჯობესებას, და იმ სკანდალებთან გა-

kikala studio



www.KIKALASTUDIO.ge

მკლავებას, რომლებიც, დრო და დრო, ამ წლების განმავლობაში სულ იჩენდა ხოლმე თავს. კლინტონი ნიგნში ეხება თითქმის ყველა ბრალდებას, ძირითადად, ერთი მიზნით – ნათლად რომ ახსნას, თუ მაინც რომელი მისი ნაბიჯი აღიქვა საზოგადოებამ არასწორად.

თუმცა, ნიგნის ყველაზე ცნობილი ნაწილი, ცხადია, ლეინსკის სკანდალს უკავშირდება, იმ ეპიზოდის ჩათვლით, როცა კლინტონმა მეუღლის აღსარება პირველად მოისმინა. ჭორი პრეზიდენტისა და ლეინსკის რომანის შესახებ 1998 წლის 21 იანვარს გასკდა. იმ დღეს პრეზიდენტმა მეუღლე დილაადრიან გააღვიძა და უთხრა: “მისმინე, დღეს გაზეთები ისეთ რაღაცას წერენ, შენც რომ უნდა იცოდე”. იმ დილას ბილმა სასტიკად უარყო ლეინსკისთან რამენაირი კავშირი, ექვსი დღის შემდეგ კი ჰილარი “თუდვი” შოუში გამოვიდა და წამყვანს მეტ ლოიერს უთხრა: “ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ყველას პირზე აკერია, რომლის გარკვევას, ახსნასაც და რომელზე წერასაც ცდილობენ დღეს, გახლავთ მემარჯვენეთა ფართომასშტაბიანი კონსპირაცია, რომელიც ჩემი მეუღლის წინააღმდეგ ააგორეს. ეს კამპანია იმ დღიდან ბოხოქრობს, რაც მან პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატურა დაასახელა”. შემდეგი შვიდი თვის მანძილზე უამრავი საპირისპირო ხასიათის მტკიცებულება დაგროვდა, ჰილარი კლინტონს კი მაინც ღრმად სწამდა, რომ მისი მეუღლე პოლიტიკური სარჩულის მქონე ბოროტი ჭორების მსხვერპლი იყო. მერე კი, 15 აგვისტოს დილას, ის ბილ კლინტონმა ისევ ადრე გააღვიძა, ამჯერად იმის სათქმელად, რომ ლეინსკისთან “მიუღებელი ინტიმური ურთიერთობა” მართლა აკავშირებდა.

“სუნთქვა შემიქრა, ვტიროდი და თან ვუყვიროდი, “რას ნიშნავს ეს? რას მეუბნები? რატომ მომატყუე?” ნიგნის პრეზენტაციამდე ერთი კვირით ადრე ნიგნის ეს ნაწყვეტი “ესოპიეტიდ პრესმა” გადაბეჭდა და გაავრცელა, რითაც ნიგნის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გააცხოველა. პრეზენტაციამაც წარმატებით ჩაიარა.

კლინტონი მისი სტატუსისთვის უჩვეულოდ აქტიურად ენეოდა ნიგნის საპრომოუტერო კამპანიას. ჯერ გამოდიოდა ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და ფილადელფიაში, მოგვიანებით კი, ზაფხულის შედარებით მსუბუქ დღეებში ლითონ როქსა და სიეტლსაც ეწვია (ნიგნის ტურნეს შემდეგ გაირკვა, რომ 45 ათასი ეგზემპლარზე მოუწერია ხელი). პირადად მე, პირველი ლედის მემუარების პრეზენტაციას უჩქესტერის საგრაფოს ქალაქ ჩაპაქუაში დავესწარი, სადაც კლინტონები ცოტა ხნის წინ დასახლდნენ. ღონისძიება საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში გაიმართა, დასწრება მხოლოდ ბილეთებით იყო, ამიტომ უბილეთოდ დარჩენილი ასზე მეტი ცნობისმოყვარე იქვე, ავტოსადგომზე იყო შეკრებილი. გარეთ ემპაკის ნითელ ფორმაში გადაცმული კაციც შევნიშნე, რომელსაც ხელში ეჭირა პლაკატი, წარწერით: “სული ჰილარის მივყიდე”. შიგნით კი, კლინტონი ღონისძიების დაწყებისთვის

ემზადებოდა. შეკრებილთა შორის რამდენიმე ნაცნობს მოჰქრა თვალი და ღიმილით დაუქნია ხელი. შემდეგ ნიგნიდან რამდენიმე ნაწყვეტი ნაიკითხა – ერთი იყო პირველი ლედის ვიზიტი სამხრეთ აზიაში, მეორე ეხებოდა ჩელსის სტენფორდში დატოვებას. მერე კი, მემუარების ბოლოსწინა თავზე შეჩერდა, რომელსაც ჰქვია – “გაბედე ბრძოლა” და ეხება კლინტონის გადაწყვეტილებას, კენჭი იყაროს სენატში.

“ცოცხალ ისტორიაში” ერთი უცნაური ტენდენცია ფიქსირდება, თითქოს სენატის არჩევნებში ჩართვა კლინტონის პირადი ამბიცია არ ყოფილა. კლინტონი ამბავს ისე ჰყვება, თითქოს, თავისი კანდიდატურა მხოლოდ სხვების ძალდატანების გამო წამოაყენა. კლინტონის ვერსიის მიხედვით, მის საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენა ყველაზე წარმოუდგენელმა ადამიანმა მოახდინა, კერძოდ კი, ერთმა სკოლის მოსწავლე გოგონამ, კალათბურთელმა სოფია ტოტიმ. ერთ დღეს კლინტონს კომპანია HBO-მ პრომო-გადაცემა მოუწყო სათაურით “გაბედე ბრძოლა”. კლინტონის წარდგენის პატივი სოფია ტოტის ხვდა: “ის იყო, ხელი უნდა ჩამომერთმია სოფიასთვის, როცა ჩემსკენ გადმოიხარა და ყურში მიჩურჩულა: “გაბედეთ ბრძოლა, მისის კლინტონ, გაბედეთ”. მისმა საქციელმა ისე დამაზნია, ვერაფერი მოვიმოქმედე. წამოვედი ღონისძიებიდან და ჩემთვის ვფიქრობდი: “შეიძლება, რომ თვითონვე შემეშინდეს იმის, რის გაკეთებასაც უამრავ ქალს ვურჩევდი? რატომ ვყოყმანობ, რატომ ვერ გადავწყვეტია ამ ბრძოლაში ჩართვა? რატომ არ ვუდგები საკითხს უფრო სერიოზულად? იქნებ, მართლა უნდა გავბედო ბრძოლა!”

უამრავი პირადული თემის მიუხედავად – სკანდალები, დილის საუბრები მეუღლესთან საძინებელში, საკუთარ ძაღლებში დაეჭვება – “სიცოცხლის ისტორია” მაინც არ გახლავთ ისტორია ჰილარი კლინტონის ცხოვრების შესახებ; ის უფრო პოლიტიკური აქტია. ნიგნი გვთავაზობს კლინტონის ქმედებების ანგარიშს. ამ ამბების უმეტესობა კლინტონმა შეგნებულად ამოშალა გონებიდან, მაგრამ ნიგნში მათ მაინც მოუყარა თავი ერთი მიზნით: თუ მომავალში კვლავაც წამოიჭრება კითხვები, უკან რომ მიუბრუნდეს და დაიმონოს.

ერთ პარასკევ დღეს, როცა კლინტონი ნიგნის ტურნეს ბოლო ნაწილს ამთავრებდა, მისი სამომავლო მიზნების შესახებ ჭორი აგორდა. ინტერნეტში გაჟონილი ხმების მიხედვით, კლინტონი იწვევდა სასწრაფო თათბირს თავის წამყვან მრჩეველებთან, მათ შორის, მეუღლესთანაც, რათა პრეზიდენტად კენჭისყრის იდეაზე ემსჯელა. ფინგერ ლეიქსში გამართულ პრესკონფერენციაზე კლინტონმა უარყო ცნობა თათბირის დანიშნის შესახებ და დასძინა, რომ ის საკუთარი მხარდამჭერებისთვის უბრალოდ სამადლობელ სადილს აწყობდა. მერე კი დამაჯერებელი ხმით დაამატა, “ვიმეორებ უკვე 975-ჯერ ნათქვამს, რომ გამოვრიცხავ პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაში ჩარ-

თვას”. რამდენიმე საათის შემდეგ ჭორი ერთ-ერთ გამოსვლაში კვლავაც მტკიცედ უარყო. თუმცა, ამ ოფიციალურმა განმარტებებმა ჭორი მაინც ვერ გაანელა. პარასკევს გავრცელებული ხმა კლინტონის საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ შაბათ-კვირასაც აქტუალური იყო, უკვე ორშაბათს კი, ჭორმა გზა “ნიუ-იორკ პოსტის” პირველ გვერდამდეც გაიკვლია. “პოსტის” პუბლიკაციაში, რომლის სათაურიც იყო “ჩემი გოგო”, მოხმოილი იყო გუბერნატორ მარო კუომოს სიტყვები: თუ კლინტონი პრეზიდენტად კენჭისყრაზე მართლაც იფიქრებს, მას “თვალის დაუხამამებლად მივემხრობი”. ერთი კვირის შემდეგ დანიშნული სადილი ზუსტად იმ შინაარსის აღმოჩნდა, როგორც კლინტონმა დააანონსა. თუმცა, ახალი წყება ჭორები ამ სადილის შემდეგაც აგორდა. კლინტონმა თავის მხარდამჭერებს გამოუცხადა – მოგვიანებით კი ამტკიცებდა, ვიხუმრეო – თუ როგორი მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი დახმარება მისი შემდგომი კამპანიის დროს, “რაც არ უნდა იყოს ის”.

კლინტონის სამომავლო გეგმების შესახებ ინტერესი ბოლო დროს კიდევ უფრო გააცხოველდა იმ ფონზე, რომ დემოკრატების ფრთა საგრძნობლად შესუსტდა. სხვათა შორის, კუომომ საქვეყნოდ მიღებული მოსაზრება გაიმეორა, როცა თქვა, რომ დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერისთვის მებრძოლი საპრეზიდენტო კანდიდატები ლუღლუღის მეთს არაფერს აკეთებენ. ამ ფონზე კი ბილ კლინტონმა თავისი მეუღლის მხარდამჭერებს გამოუცხადა, რომ დემოკრატიულ პარტიას ორად ორი ვარსკვლავი ჰყავდა – გენერალი უესლი კლარკი და ჰილარი. როცა მალევე კლარკმა საკუთარი კანდიდატურა დაასახელა, გავრცელდა ხმები, რომ კლინტონები მას უჭერდნენ მხარს – ჰილარის კანდიდატურისგან ყურადღების გადატანის მიზნით. ჭორებმა ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ ბილი იძულებული გახდა ხმების გასაფანტად რამდენიმე სხვა კანდიდატიც დაესახელებინა. (ჰილარიმ, თავის მხრივ, Christian Science Monitor-ის ორგანიზებულ ღონისძიებაზე ჟურნალისტებს განუცხადა, მხოლოდ “მდიდარი ფანტაზიის აბსურდული ნაყოფია” და სხვა არაფერი ცნობა იმის შესახებ, რომ კლინტონები კლარკს უჭერენ მხარს).

აღსანიშნავია, რომ კლინტონის საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ ხმების გავრცელების საფუძველი ერთი ადრინდელი დასკვნა გახდა, რომლის მიხედვითაც ჰილარი კლინტონი ნიუ-იორკში მხოლოდ ინტერნეტ კავშირის გასაუმჯობესებლად არ ჩასულა. ცოტა ხნით გვერდზე რომ გადავდოთ მისი გულწრფელი დაინტერესება ნიუ-იორკლების პრობლემებით, ჰილარი კლინტონმა ბოლო ერთი წლის მანძილზე რამდენიმე ისეთი ნაბიჯი გადადგა – მათ შორისაა, მემუარების გამოქვეყნება – რომლებიც მის საპრეზიდენტო ამბიციებზე, მართალია, პირდაპირ არ მეტყველებენ, მაგრამ მსგავსი ინტერპრეტაციისთვის საფუძველს მაინც ქმნიან (ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის



საუკეთესო სარეზერვო თვეები 19 ლარიდან

ჰამაკი



Authorized
Dealer

თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 41
ტელ: +995 32 200700
ელ.ფოსტა: info@hamaki.ge
ვებ საიტი: www.hamaki.ge
პროექტის საიტი: iPod.ge

შედეგად, რომელიც წინის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე ჩატარდა, ნიუ-იორკელი ამომრჩევლის 28 პროცენტი ფიქრობდა, რომ მემუარების დასაწერად კლინტონის მთავარი მოტივაცია იყო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სამზადისი, ხოლო 27 პროცენტი ფიქრობდა, რომ მას მხოლოდ მომხდარის შესახებ საკუთარი ვერსიის დაფიქსირება სურდა. გასულ იანვარს, სენატში გატარებული ორი წლის თავზე, კლინტონმა საკმაოდ პრესტიჟული თანამდებობა ჩაიბარა – გახდა სენატის დემოკრატთა იმ კომიტეტის თავმჯდომარე, სადაც დაქარბული ტემპით განსახილველ კანონპროექტებს არჩევენ. ეს გახლავთ თანამდებობა, რომელიც კლინტონს სენატის დემოკრატების წამყვანი ფრთის მოთამაშედ აქცევს, ანუ ის უფლებამოსილია, პარტიის მთავარი პოლიტიკური გზავნილები განსაზღვროს. ბოლო პერიოდში კლინტონი დემოკრატიული პარტიის ყველაზე წარმატებული ფანდ-რეიზერიც გახდა – მასავით ეფექტურად და აქტიურად ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად თანხებს ვერავინ იზიდავს. ვაშინგტონში საკუთარ რეზიდენციაში მან თანხების მოსაზიდად რამდენიმე ლონისძიება დემოკრატ სენატორებსაც გაუმართა, სხვა დემოკრატებისთვის კი საბანკო ჩეკები საკუთარი პოლიტიკური ლონისძიებების კომიტეტიდან HILLPAC-იდან გამოწერა. ამ ფონდმა 2003 წლის პირველ ექვს თვეში უფრო მეტი თანხა მოიზიდა, ვიდრე დანარჩენი დემოკრატების ასეთივე კომიტეტებმა. სულ ბოლოს, კლინტონმა თანხების მიზიდვის ოპერაციებისთვის ვებ-საიტიც გახსნა (friendsofhillary.com), სადაც აღწერს ის ფაქტები, თუ როგორ ცვლის ზოგად სურათს ჰილარი სხვადასხვა სფეროში – სოფლის მეურნეობიდან დანყებულ, ქალთა პრობლემებით დამთავრებული. იქვეა განთავსებული ჰილარის მისამართით გაგზავნილი წერილები, რომელთა ავტორებიც სენატორს პრეზიდენტად კენჭისყრისკენ მოუწოდებენ. როგორც თვითონ კლინტონს უყვარს ხოლმე აღნიშვნა, ის ნიუ-იორკის შტატის პირველი სენატორია, რომელიც სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტში მსახურობს. სხვათა შორის, ეს გახლავთ თანამდებობა, რომლისთვისაც ჰილარი კლინტონმა სენატის ბიუჯეტის კომიტეტში დათმობა ადგილი. ამასწინათ, ერთ ნიუ-იორკელ პოლიტიკურ ექსპერტს ვკითხე, საქვეყნო ინტერესების გარდა, თუ მოუძებნიდა ჰილარის არჩევანს რამე სხვა მიზეზს. მიპასუხა, რომ ამ გადაწყვეტილებით გაცემული იყო: “ჩემი ხომ გეგმის, იქნებ ეს იმ ლონგ აილენდელი რიგითი ჯარისკაცებისთვის გააკეთა, რომლებიც ოცი წლის წინ ტესასში გადასახლდნენ?”

კლინტონმა ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა ახალი ლიბერალური კვლევითი ცენტრის “ამერიკული პროგრესის ცენტრის” დაფუძნებაშიც. ორგანიზაციას ბილ კლინტონის ადმინისტრაციის შტაბის ხელმძღვანელი ჯონ პოდესტა ხელმძღვანელობს.

ინსტიტუტი ექსკლუზიურად დემოკრატიულ

პარტიაზე გათვლილი არ არის, თუმცა ბევრი დემოკრატი ღიად გამოთქვამს იმედს, რომ სხენებულ ცენტრში მათი პარტიისთვის გაცილებით უფრო საინტერესო პროგრამას შეიმუშავებენ – და თუ 2004 წლამდე არა, 2008-მდე მაინც (კლინტონის ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ ჰილარი საპრეზიდენტო არჩევნებში მომავალ წელს კენჭისყრას არ აპირებდა, თუმცა, მან იქვე ისიც დაამატა, რომ ჰილარი “ძალიან მტკიცედ არასდროს გამოიცხადებს” არჩევნებში მონაწილეობას რომელიმე სხვა საარჩევნო წესს).

ერთ დღეს, როცა სენატში გამოსასვლელად საკუთარ რიგს უცდიდა, კლინტონს ვკითხე, თუ რა აზრის იყო დემოკრატების პოლიტიკის ახლანდელ მდგომარეობაზე. “ჩემი აზრით, ჩვენმა პარტიამ ძალიან ცუდად გადაიტანა ეს ორმაგი დანაკარგი – ერთის მხრივ, თეთრი სახლის დაკარგვა და მეორეს მხრივ – კონგრესისა. მსგავსი პრეცედენტი აქ არავის ახსოვს. თუმცა, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან ვფიქრობ, რომ მოქმედი ადმინისტრაციის პოლიტიკა ზედმინეწით მცდარია; და მაშინ, როცა პრესის ინტერესი განელდება, დარჩება მხოლოდ ფაქტები და მტკიცებულებები იმის ასახსნელად, მაინც როგორ ცხოვრობს დღეს ხალხი. მე კი მეჯერა, რომ დროც და მტკიცებულებებიც ჩვენს მხარესაა”, – მიპასუხა მან.

კენჭისყრის დროს კლინტონმა მხარი დაუჭირა ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. საერთოდ ის ძალიან ფრთხილად, ბუშის სამხედრო გადაწყვეტილებებში შეიტანოს ეჭვი. თუმცა, პრეზიდენტს ის ყველა სხვა საკითხში აკრიტიკებს, მათ შორის, ომის შემდგომი სიტუაციის კონტროლშიც. რამდენიმე ხნის წინ, როცა ერაყში ოპერაციების გასაგრძელებლად ბუშმა დამატებითი თანხები მოითხოვა, კლინტონმა თქვა: “ჩემთვის 87 მილიარდი დოლარი არა მხოლოდ ერაყის ანგარიში გახლავთ – ეს არის არშემდგარი ადმინისტრაციის ანგარიშიც”. ბოლო დროს კლინტონი ბუშს ეკონომიკურ გადამწყვეტილებებშიც სდებს ბრალს. “ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ადმინისტრაციის მიერ არჩეული გზა მკურნალობის არასწორი მეთოდია”, – მითხრა მან, – “ისინი ერთნაირ დიაგნოზს უსვამენ და ერთნაირად მკურნალობენ ყველაფერს: ესაა გადასახადების შემცირება, გადასახადების შემცირება და კიდევ გადასახადების შემცირება”. ამასობაში კი – ფიქრობს კლინტონი – საშინაო უსაფრთხოების სფეროში ადმინისტრაციის წინდაუხედაობის გამო კიდევ ერთი 11 სექტემბრის წინაშე ქვეყანა აბსოლუტურად დაუცველია. “ამიტომ, ხან სასწრაფოდ დამრევს ხოლმე ხელს, ხანაც გაგულისება და განცვიფრება – რატომ არ ვაკეთებთ მეტს”, – დასძინა მან, – “ვინ იცის, შეიძლება ძალიან, ძალიან, ძალიან გაგვიმართლოს და 11 სექტემბერი აღარ განმეორდეს, მაგრამ სუფთა სინდისით თუ ვმსჯელობ, თავს ამით ვერ დავიიმედებ”.

ბუშის ადმინისტრაციის კრიტიკა არა მხოლოდ კლინტონის მხრიდან ისმის. მისი პოზიცია ძალიან

ჰგავს დემოკრატების უმრავლესობის პოზიციას, მათ შორის კი, იმ დემოკრატების უმრავლესობის აზრსაც, რომლებიც საპრეზიდენტო მარათონში არიან ჩართულნი. თუმცა, დროდადრო, კლინტონი გადაუხვევს ხოლმე საერთო გეზიდან და საკუთარ გზას ირჩევს.

გაზაფხულის ერთ შუადღეს, მანჰეტენზე რუზველტის კლინიკაში წავედი, კლინტონს იქ მედლებთან ჰქონდა შეხვედრა. “კარგად მოგეხსენებათ, რომ ზოგ ჩვენგანს სხვებზე მეტი ზრუნვა და მხარდაჭერა სჭირდება”, – უთხრა მათ კლინტონმა, – “ზოგი ჯანმრთელი იბადება, ზოგი არა. ზოგის ცხოვრებას ტრავმები, ავარიები და სხვა დრამატული მოვლენები განსაზღვრავს. მაგრამ არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, რა გველის ხვალ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთთან ვართ დაკავშირებული. ჩვენს შორის გაბმულია ურთიერთობების ფართო ქსელი, და ჩვენც – არა მხოლოდ რელიგიური ანდა მორალური მოსაზრებების, არამედ პრაქტიკული მიზეზების გამოც – ვალდებული ვართ ერთმანეთს გვერდში ამოვუდგეთ. ეს გვერდით დგომა ჩვენი შანსიცაა”.

კლინტონმა ისიც აღნიშნა, რომ ქვეყნის პრიორიტეტები “იცვლებოდა”. შემდეგ კი ხაზი გაუსვა მსხვერპლის გალების, თავგანწირვის მნიშვნელობასაც – “ვფიქრობ, რომ სწორედ ეს თვისება აძლიერებს ქვეყანას” – და საზოგადოებას “სამომავლო უპირატესობის” კონცეფცია წარუდგინა, რომლის მიხედვითაც ხვალინდელი დღე დღევანდელთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს. უკვე გამოსვლის დასასრულს კი, კლინტონმა ეჭვქვეშ დააყენა ყველაზე ძირეული ამერიკული ფასეულება – საკუთარი ძალების რწმენა. “იმედი მაქვს, არ გვავიწყდება, რომ ძლიერი ადამიანის იდეა შესანიშნავი იდეაა კინოსა და წიგნებისთვის, მაგრამ რეალურად, ძალიან ცოტა ადამიანი თუ ახერხებს სხვისი თანადგომის გარეშე ცხოვრებას”.

იმავე ლონისძიებაზე კლინტონმა კლინიკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს უთხრა: “მომწონს ეს ტერმინი – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, თვითონ სიტყვა “პრეზიდენტი” მირჩევნია”.

კლინტონთან ინტერვიუ, ინტერნეტში მისი საპრეზიდენტო გეგმების შესახებ გაჟონვიდან მეორე დღეს უნდა ჩამეწერა. ეს ჩემი მეორე ინტერვიუ იყო. მანქანაში უნდა გვესაუბრა, სანამ სქინთიელესიდან ნიუ-იორკის შტატის ბაზრობაზე სირაკუზაში ჩავიდოდით. წინა ღამე სასტუმროში გავატარე და როცა დილას სასტუმროს მისაღებად ანგარიში უნდა გამეწირებინა, გაირკვა, რომ ნომრის გასაღები დამკარგვოდა. ამოვატრიალე ჩემოდანი, ლოგინი და ოთახის კუთხეები, მაგრამ გასაღებს მაინც ვერ მივაგენი. ბოლოს მიმღების მორიგეს ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავი, რადგან ჰილარი კლინტონთან ინტერვიუზე მეჩქარებოდა. “იმ ჰილარი კლინტონს გულისხმობთ?” – მკითხა მან.



ლიტერატურული კავშირები "ქარავანი"
წარმოგიდგინო:

20 იანვარი, კვირა, 15 სთ
შეხვედრა გივი შაჰნაზართან

27 იანვარი, კვირა, 15 სთ
შეხვედრა პოეტ დავით ჩიხლაძესთან



„ცხელი შოკოლადის“ ძველი ნომრები შეგიძლიათ შეიძინოთ ლიტერატურულ კავშირებში „ქარავანში“, 3 ლარად
მისამართი: ფურცელაძის 10, საჯარო ბიბლიოთეკის შენობა

დავუდასტურე. “თუ ეგრეა, იცოდეთ არ აღელდეთ და საკუთარი ცოდნის გამოყენება არ მოინდომოთ. იყავით ის, რაც ხართ”.

კლინტონის თქმით, მის შესახებ “მილიონობით სიტყვაა” დაწერილი, მისი მემუარები კი, სიტყვების ამ საერთო ჯამს კიდევ 200 ათას ერთეულს უმატებს. თუმცა, ამ წერილებიდან საუკეთესოები და ყველაზე ამომწურავებიც კი, თითქოს დაუსრულებელი ჩანს. იგივე შეიძლება ითქვას, “ცოცხალ ისტორიაზეც”. ერთ-ერთ პუბლიკაციაში, რომელიც კლინტონის სენატის საარჩევნო კამპანიაში შედიოდა, პრობლემა ასე იყო დასმული: “ჩვენ ვიცით ყველაფერი – და ამ დროს არაფერი – მის შესახებ”.

პირველი ინტერვიუს დროს კლინტონს ვკითხე, თუ როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება თეთრი სახლის შემდეგ. მისი მეგობრისგან ვიცოდი, რომ ახლა, როცა საკუთარ პოლიტიკურ ოფისს ხელმძღვანელობდა, კლინტონი გაცილებით უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს.

“ასე არ ვიტყვი”, – უარყო მან, – “საკუთარი ოფისი ბილ კლინტონის გაპრეზიდენტებამდეც მქონდა, სრულიად დამოუკიდებლად ვმუშაობდი. მაგრამ, პირველ ლედის სამსახურს ვერაფერს შევადარებ. ეს სამსახური არ არის; ეს უფრო როლია, ანდა მდგომარეობა, რომელიც გამუდმებით იცვლება, როცა კი ახალი ადამიანი ირგებს მას არჩევნების გზით, რომელშიც დღემდე, მუდამ ქმარი იღებდა მონაწილეობას და პრეზიდენტი ხდებოდა”.

“რთული იყო ამ მდგომარეობას მორგება”, – განაგრძო იქვე, – “ამიტომ, ახლანდელი ჩემი საქმიანობა იმ საქმესთან დაბრუნებაა, რომელსაც თეთრ სახლში გატარებული რვა წლის წინ ვაკეთებდი. პირველი ლედი ეს განსაზღვრებაა. მას თავისი ვალდებულებები აქვს. რაღაცების გაკეთება, უბრალოდ, გველება და შენც მაქსიმალურად ცდილობ, კარგად გააკეთო. ასე რომ, ჩემს ახლანდელ სამსახურში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ეს უკვე სამსახურია. პირველი ლედი კი – არა”.

ვკითხე, რამდენად შეიცვალა მისი შეხედულებები თეთრი სახლიდან სენატში გადაბარების შემდეგ: “ფიქრობ, ძალიან გამიმართლა, ეს ორი განსხვავებული ამპლუა რომ გამოვცადე, რადგან ძალიან ბევრ თემაზე უკეთესი წარმოდგენა შემექმნა და ამ საკითხებთან ზუსტი მიდგომაც ვისწავლე”, – მიპასუხა მან, – “ჩემი მეუღლის პრეზიდენტობის რვანწლიან ვადაში უამრავი რამ ვისწავლე ვაშინგტონზე, ნაციონალურ პოლიტიკასა და საკანონმდებლო პროცესზე. ბევრი შეცდომა დავუშვი და ამ შეცდომებზეც ვისწავლე. იმედი მაქვს, სწავლა მართლა შეეძლო”. შემდეგ კლინტონმა საუბარი ისევ თავისი ყოფილი სტატუსის სირთულეებზე გადაიტანა. “არა მგონია, არსებობდეს რამე, რაც თეთრი სახლიდან წამოსვლის იდეას შეგაგუებს”, – მითხრა მან, – “ის ხომ ნებისმიერი სხვა გამოცდილებისგან უამრავი სინათლის წე-

ლინადით შორს დგას”.

პირველი ლედის ოფისის წინაშე არსებულ არასწორად დაყენებულ მოთხოვნებს “ცოცხალ ისტორიაში” ბევრი ეპიზოდი ეთმობა. “რუკაზე დაუტანელ ტერიტორიაზე მიხედვოდა მუშაობა და საკუთარი გამოცდილებით, ჩემს შესახებ გავრცელებული ურთიერთსაინანაღმდეგო შეხედულებების მიზეზი თვითონვე გავხდი”, – წერს ის ერთგან. “ჯერ კიდევ ვმინაურდებოდი და ვცდილობდი, გამომეცნო, რას ნიშნავს, იყო ამერიკის პირველი ლედი”, – აღნიშნავს მეორეგან. შეიძლება, მართალიც იყოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი ლედის როლს საჭიროა მსუბუქად მიუდგე, მაგრამ კლინტონი იყო პირველი ქალი, რომელმაც ჩათვალა, რომ წნორედ პრეზიდენტის ცოლს ევალეობდა ამერიკული ჯანდაცვის სისტემის გარდაქმნა. რაც კლინტონის მონათხრობს აკლია და, სხვათა შორის, არა უნებლიედ, ისაა, რაც სენატში მისვლის მისეულ ახსნას აკლდა – ჰილარი კლინტონის პირადი ამბიციის რაიმე ფორმით მაინც ხსენება.

მიზეზებს კლინტონი მხოლოდ გარშემო უტრიალებს და ბოლომდე მათ შესახებ არსად წერს. ამიტომ, მხოლოდ სქესთა როლის შესახებ ზოგად მსჯელობას სჯერდება. “ჩვენ იმ ეპოქაში ვცხოვრობდით, როცა ადამიანთა ნაწილს ჯერაც არ სჯეროდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ქალების მქონე ქალების, ქალი-მმართველებისა და ქალი-ლიდერების”, – წერს ის, მაგრამ ამ ზოგადი მსჯელობის დროსაც კი, ის აზრს ისე ღრმად და საფუძვლიანად არ ავითარებს, როგორც შეეძლო. ცხადია, უსამართლობაა, ქალისთვის მიუღებლად ჩათვალო ის ამბიციები და სურვილები, რომელთა მაკაცში დანახვაც აღგაფრთოვანებს. მაგრამ ამ ორმაგ სტანდარტზე რომ უკმაყოფილება გამოთქვა, ეს ნიშნავს ალიარო ის, რის დავინყებასაც კლინტონი ასე ბეჯითად ცდილობდა – რაზეც, მისი სენატორის სტატუსიც შესანიშნავად მეტყველებს.

ერთი სიტყვით, ჩვენი მეორე ინტერვიუს დროს, გადავწყვიტე, ბედი მეცადა – იქნებ როგორმე კლინტონის ბუნდოვანი განცხადებებით გაჯერებული მსჯელობა ძალაუფლების მქონე ქალების შესახებ, უფრო გამეღრმავებინა. თავიდან ვკითხე, სხვადასხვანაირად დაარიგებდა თუ არა ჭკუას პოლიტიკის კარიერის სტარტზე მყოფ ახალგაზრდა ქალსა და კაცს. კლინტონმა მიპასუხა: “ქალის შემთხვევაში არსებობს უამრავი, წვრილ-წვრილი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვანი შტრიხები – როგორებიცაა: ვარცხნილობა, გარდერობი, ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლე, რომლითაც მარმარილოს იატაკზე უნდა იარო და ეს შტრიხები აუცილებლად უნდა იცოდე”.

კითხვა: ურჩევდა თუ არა ჰილარი ჩელსის პოლიტიკაში ჩართვას?

პასუხი: “არასდროს ვისაუბრებ ხმამაღლა იმაზე, თუ რის გაკეთებას ვურჩევ ჩემს გოგონას”.

კითხვა: ექცეოდნენ თუ არა მას, როგორც ქალს, განსხვავებულად სენატში?

პასუხი: “დღემდე შთაბეჭდილების ქვეშ ვარ – აქ ძალიან კოლეგიალური გარემო დამხვდა”.

ინტერვიუდან მალევე დღეით ჯონსონს ვესაუბრე – მარკეტინგული საკითხების კონსულტანტს, რომელიც კლინტონის სენატის საარჩევნო შტაბმა დაიქირავა იმ მიზნით, რომ ჯონსონს დაედგინა, თუ რატომ ჰყავდა ასე ცოტა მხარდამჭერი კლინტონს გარკვეულ ჯგუფებში – კერძოდ კი, პერიფერიებში მცხოვრებ ქალებში – რომელთა ხმების მოპოვებაც აუცილებელი იყო. ჯონსონმა ასეთი რამ მითხრა: “როცა ძლიერი, ძალაუფლების მქონე ქალი ხარ, ორგვარად აღგიქვამენ. ადამიანებისთვის ან ხარ დედა – რადგან დედებიც ასეთი ძლიერი და უშიშარი ქალები არიან და ისინი ჩვენ გვიყვარს, ანდა – მანიპულატორი, კარსმომდგარი ყველა შანსის გამოყენებულ ამბიციური ძუქნა”. ჯონსონის ამ შეფასების შესახებ აზრი კლინტონსაც ვკითხე.

ჯერ ნამით შეყვინდა. შემდეგ კი მიპასუხა: “მგონი, კიდევ უფრო სიღრმისეული ხედვაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, არსებობენ ადამიანები – ისევე, როგორც არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც ვერაფრით მიიღეს სამოქალაქო უფლებების რევოლუცია და ის ფაქტი, რომ ყველა ადამიანი თანასწორია – რომლებიც ცხოვრობენ და მოქმედებენ სტერეოტიპებით, მაგრამ არა მგონია, ეს ტენდენცია დღესაც ასეთი გავრცელებული და აქტუალური იყოს”.

ბოლოს, როცა უკვე ბაზრობას მივადექით, ვკითხე, ოდესმე ხომ არ უნატრია, რომ ჰილარი კლინტონის შესახებ აღარცერთი სტატია აღარ დაწერილიყო. გაიღიმა. “მართალი გითხრა, ხანდახან ეგ სურვილი მართლა გამიეღვებოდა ხოლმე თავში”.

სენატში შესვლის პირველივე წლიდან ჰილარი კლინტონი ნიუ-იორკის შტატის ბაზრობაზე საზეიმო მიღებას აწყობს ხოლმე, რომელზე დასწრებაც მხოლოდ მოსაწვევებითაა შესაძლებელი. სტუმრებს შორის, როგორც წესი, არიან ადგილობრივი ამხანაგობების ლიდერები, ცენტრალური ნიუ-იორკის ოფიციალური პირები და კიდევ სხვებიც. მაგალითად, შარშანდელი მიღების თემა სოფლის მეურნეობა იყო და ამიტომ სტუმართა შორის რამდენიმე მერძვე ფერმერიც მოხვდა. წელს ჰილარი კლინტონმა სამხედრო თემა აარჩია. მიღებამდე პირადი შეხვედრა ჰქონდა დანიშნული, ამიტომ სადილზე მასზე ადრე მივედი. იმ დღეს ისე ცხელოდა, მიწას ოხშივარი ადიოდა და ამიტომ, ჩემი არ იყოს, ბევრმა უნიფორმიანმა სამხედრო ბაზრის მოედნის გახურებული ჰაერისგან თავდასაცავად მიღებაზე ადრე მოსვლა არჩია. შტატის “სიერა” კლუბის ყოფილი თავმჯდომარე რი ჯეზერი თავის რაბინ მეუღლესთან დენიელთან ერთად იჯდა. “როცა დედაჩემი გარდაიცვალა, როცა ფეხზე ოპერაცია გავიკეთე და ინფექცია შემეჭრა, ჰილარი სულ

FM 104.3



SYNDICATE
JAZZ

WWW.RADIOSYNDICATE.GE

მირეკავდა. ის მზრუნველი ქალია. არადა, ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ცივია. არ მესმის მათი”.

ჯეზერმა ონონდაგას საგრაფოს ერთი ნაწყვანი ოფიციალური პირი, რესპუბლიკელი ნიკ პირო გამაცნო. როგორც ჩანს, პირო ჰილარის მიღებაზე პარტიათა შორის თანამშრომლობის გამო იყო მინვეული. “ჰილარის შესახებ შუალედური აზრი არ არსებობს”, – მითხრა მან, – “ხალხი ან მთლიანად მისკენაა, ანდა მთელი შეგნებით ეწინააღმდეგება მას. ძალიან ბევრ ადამიანს სჯერა, რომ ის პრეზიდენტად მართლა იყრის კენჭს”.

იმავე დღიას, გაზეთმა “სირაკუს პოსტ-სტანდარტი” პატარა ცნობა გამოაქვეყნა და მკითხველს აცნობა, რომ ნიუ-იორკის ბაზრობას მეუღლესთან ერთად ბილ კლინტონიც დაესწრებოდა. მსგავსი რამ რამდენჯერმე ადრეც მომხდარა, ამიტომ ხალხი კლინტონის გამოჩენას ახლაც ელოდა. ბაზრობის სტუმრებმა საშინელ სიციხეში შენობასთან მოიყარეს თავი. ბილის გამოჩენას ჰილარის ასისტენტებიც ელოდნენ, მაგრამ ყოფილმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ჩრდილოეთ ნიუ-იორკში ნასასველად არ ეცალა, რადგან საკუთარი მემუარების წერით იყო დაკავებული.

ამ ეტაპზე უკვე რთულია, განსაზღვრო, რა როლს ასრულებს ბილი ჰილარის კარიერაში. წყვილი საზოგადოების წინაშე იშვიათად ჩნდება. პირადად მე, ისინი ერთად ერთადერთხელ ვნახე – სასტუმრო Four Season-ში, მანჰეტენზე, ჰილარის წიგნის აღსანიშნად მოწყობილ წვეულებაზე. იმ საღამოს ბილმა პუბლიკას გამოუცხადა, რომ “ცოცხალი ისტორია” იყო “ზუსტი და გულწრფელი ამბავი იმ ადამიანისა, რომელმაც, ჩემი აზრით, პირველი ლედობის ხანაში გაცილებით უფრო მეტი გააკეთა გაცილებით მეტი ადამიანისთვის, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ქალბატონმა, რომელიც ამ სტატუსს ოდესმე ფლობდა”. ჰილარამ კი, თავის მხრივ, აზრი ასე ჩამოაყალიბა: “უკან რომ ვიყურები, ვხვდები, ცხოვრებას ისე ვერ გავატარებდი და ვერ ვიქნებოდი ის ადამიანი, რომელიც დღეს ვარ, ჩემ გვერდით რომ არ ყოფილიყო ჩემი ქმარი”. ამ წერილისთვის ბილ კლინტონთან ინტერვიუს ჩანერა რამდენჯერმე ვცადე, ბოლოს იმეილით კითხვებიც გავუგზავნე. რამდენიმე კვირის შემდეგ, პასუხები იმეილითვე დამიბრუნდა. კითხვაზე, აოცებდა თუ არა მას მეუღლის კარიერა სენატში, ყოფილმა პრეზიდენტმა ასე მიპასუხა: “ერთადერთი რამ მოაცებს – გაცილებით უკეთ ართმევს თავს ყველაფერს, ვიდრე წარმოვიდგენდი. ეს კი რალაცაზე ამკარად მეტყველებს”. ხოლო კითხვაზე, თუ მისი აზრით, რა შესძინა მისმა მეუღლემ სენატს, მან ასეთი სია დამიწერა:

1. მას უყვარს ადამიანები და ზრუნავს მათ პრობლემებზე;
2. მას კარგი კანონების შექმნა შეუძლია;
3. ძალიან ნიჭიერია და ძალიან შრომისმოყვარე;

4. ის არასდროს ყრის ფარ-ხმალს და რისიც სჯერა, მისთვის ბოლომდე იბრძვის;

5. ყოველთვის ეძებს ახალ მოკავშირეებს, თვით რესპუბლიკელთა რიგებში;

6. მას უყვარს თავისი ქვეყანა და შტატი;

7. ის მუდამ ფიქრობს იმაზე, თუ როგორი ცხოვრება ექნებათ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

როცა კლინტონი დარბაზში შევიდა, ნემსის ჩასაფარდნი ადგილიც აღარსად იყო. არადა, ადგილები 400-ზე მეტ ადამიანზე იყო გათვლილი. სენატორმა სიტყვა იმის აღნიშვნით დაიწყო, თუ “რამხელა პატივი” იყო მისთვის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტში მუშაობა. შემდეგ გაისენა, როგორ თანამშრომლა სენატორ გრემთან ერთად, ნაციონალური გვარდია და რეზერვისტები ჯანმრთელობის დაზღვევით რომ უზრუნველყო. “შეიძლება, ზოგ თქვენგანს ახსოვდეს, რომ სენატორ გრემსა და მე ხშირად განსხვავებული მოსაზრებები გავგაჩნია”, – აღნიშნა მან, – თუმცა, ამ თემაზე ჩვენ აბსოლუტურად ერთნაირად ვფიქრობდით”. ბოლოს, პუბლიკის აპლოდისმენტების ფონზე, კლინტონმა ყველას მოუწოდა, ებრძოლათ, რათა კანადანი გუას შტატის მახლობლად მდებარე ვიცე-ადმირალის კლინიკა დახურვას გადაერჩინათ.

“ეს შემთხვევა ერთ გლობალურ საკითხს უკავშირდება: რა არის ჩვენი, როგორც ქვეყნის, პრიორიტეტები? რა არის ის, რაც მუდამ მიზანში ამოღებული უნდა გვქონდეს და რასაც მუდამ უნდა ვაფასებდეთ, რა არის ის, რისთვისაც თანხები არ უნდა დავიშუროთ? ნამდვილად იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, სულ რაღაც ორწელიწად-ნახევარში მიღწეული ბიუჯეტის ზრდა, უზარმაზარ და რაც მთავარია, მზარდ დეფიციტად იქცა. და მე, უბრალოდ, იძულებული ვარ, თავზაიანად არ დავეთახმო იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რასაც მოქმედი ადმინისტრაცია ახორციელებს. ვერ ვხედავ შექმნილ სამუშაო ადგილებს; მეტიც, ჰერბერტ ჰუვერის შემდეგ ასეთი მდგომარეობა სამუშაო ადგილების მხრივ არასდროს გვქონია, ჰუვერის ეპოქა კი, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესო დრო იყო”.

მიღების შემდეგ, კლინტონმა მეზობელ შენობაში პრესკონფერენციის ჩასატარებლად გადაინაცვლა. იქაურობაც ხალხით იყო გადაჭედილი. ზოგს ჯერაც ეგონა, რომ ჰილარის ბილთან ერთად ნახავდა. მიკროფონი ვაშლებითა და ვაშლის პროდუქტებით სავსე სტენდის უკან იყო დამაგრებული, იქვე იდგა ნარინჯისფერ ტაფტის კაბაში გამოწყობილი გოგონა შარფით, რომელზეც ეწერა: “უილიამსონის ვაშლის ყვავილობის დედოფალი” და იცდიდა. სიტყვებ ხალხს აიძულა, ვაშლის წვენი სავსე კოლოფებს მისდგომოდა. კლინტონმა პუბლიკას ახალი პროგრამის შესახებ აცნობა, რომლის მიხედვითაც, “ჯენერალ მილსი” ნიუ-იორკული ვაშლის ბრენდების სანაცვლოდ, ფულს შტატის სკოლებს შესწირავდა.

“ჩვენ მთელ მსოფლიოში ყველაზე გემრიელი ვაშლები მოგყავს, ჩვენი სტუდენტები და ბავშვები კი, მსოფლიოში ყველაზე კარგები არიან. ასე რომ, გამოდის, მშვენიერი კომბინაციაა”, – თქვა კლინტონმა. შემდეგ პრესის რამდენიმე კითხვას უპასუხა, ერთი მათგანი მის მეუღლეს ეხებოდა – “ნელს აქ ჩამოსვლა, უბრალოდ, ვერ მოახერხა”, – მოკლედ მოუჭრა მან ჟურნალისტს და შემდეგ პუბლიკას შეერია. ხალხი ფოტოაპარატების წინ პოზირებას და ავტოგრაფს სთხოვდა. ხელის მოსაწერად ზოგი “ცოცხალი ისტორიას” აწოდებდა, მაგრამ, იყო ასევე ბეისბოლის ბურთები, ბაზრობაზე აღებული ბროშურები, ძველი გაზეთებისა და კონვერტების ნაგლეჯები. ერთმა კაცმა ჟურნალ “თაიმის” ძველი ნომერი გაუწოდა, რომლის ყდაზე დაბეჭდილი ფოტოდანაც კლინტონი მრისხანედ იყურებოდა, იქვე იყო სათაური: “სიმართლე უაითუოთერის შესახებ”. ფოტოს დანახვა კლინტონს არ ესიამოვნა, მაგრამ ხელი მაინც მოაწერა. “როდის მომეცემა შანსი, საპრეზიდენტო არჩევნებზეც მოგვცეთ ხმა?” – ჰკითხა მერე ერთმა ქალმა. მეორემ კი დაამატა – “თქვენ ჩვენ ძალით და იმედით გვაფსებთ”.

თანდათან, კლინტონმა მეზობელი შენობისკენ გაიკვლია გზა, სადაც “პროგრესის ცენტრია” განთავსებული. მაგიდები დაფარული იყო სახელდახელოდ შექმნილი ბარათებით, რომელთა ნაწილიც ბავშვებზე იყო გათვლილი და მსგავს თემებს მოიცავდა: “იცოდით თუ არა, რომ ნიუ-იორკს მსოფლიოში უგრძესი ფასიანი ავტოსტრადა აქვს?” (გუბერნატორ თომას დიუის სახელობის ტრანზიტული გზატკეცილი 559 მილის სიგრძისა).

ერთი შეხედვით, ისე ჩანს, რომ მეუღლისგან განსხვავებით, ჰილარი კლინტონი ენერჯიას მხარდამჭერთა მრავალრიცხოვანი ბრბოსგან არ იღებს. ეს მისი პირადი დისციპლინაა, თუმცა, როცა კამერების წინ პოზირობს, ანდა მემილიონედ აძლევს თავყვანისცემელს ავტოგრაფს, ყოველთვის მაქსიმალურად ჩართული ჩანს, ყოველთვის გულიანად იღიმება. ერთმა ქალმა, რომელიც “ცოცხალი ისტორიის” კითხვისას ჩაპაქუაში გავიციანი, საკითხი ასე დასვა: “ყველა, ვისაც შეუძლია, საზოგადოებრივ სამსახურში იდგეს ისევე, როგორც დგას ჰილარი, ნამდვილი გმირი იქნება”.

საკუთარ ოფისში დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყო, შემდეგ კლინტონს საქველმოქმედო საღამოზე ეჩქარებოდა. სანამ შენობიდან გამოვიდოდა, ინსპექტორთა კაბინასთან შეჩერდა, ფოტოც გადაიღო იქაურ თანამშრომლებთან და ავტოგრაფებიც დაარიგა. ბაზრობაზე ყოფნისას მას საიდუმლო სამსახურის დაცვასთან ერთად ათობით სამხედრო იცავდა. ბოლოს კლინტონთან დასამშვიდობებლად ყველანი კართან ჩამწკრივდნენ. მანქანაში ჩაჯდომამდე კლინტონმა მათ მადლობა გადაუხადა და უკლებლივ ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

ანუკა მურვანიძის



Professional Make-up studio

გილორჯავთ შობა-ახალ წელს!



გთავაზობთ

- მაკიაჟს
- ვარცხნილობას
- სპეც-პროექტებს
- სეზონურ პროექტებს

Face & Body Art

სტუდიაში შეგიძლიათ დაეუფლოთ

ვიზაჟისტის ხელობას 3 თვეში

პედაგოგი: ანუკა მურვანიძე

ვიზაჟისტი ადგილზე გამოძახებით

ვიზაჟისტთა ჯგუფი დაგეხმარებათ თქვენი ინდივიდუალური სტილისა და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევაში



41 E. Tatishvili (Kazbegi) str.
Studio: (+995 32) 23 20 91
Mob.: (+995 77) 46 59 68
(+995 99) 24 29 00
(+995 77) 20 82 11

E-mail: grim_mask@yahoo.com
www.make-up.ge



არასოდეს აღაზავოთ პოლიტიკოსები!

<<< ლასაწყისი გვ. 110

პოლიტიკოსთა რისხვა

მამა – ობრონ ვო, „დეილი ტელეგრაფის“ შეუცვლელი მიმომხილველი. მის სტატიებს ასევე ხშირად ბეჭდავენ: „სპექტიტორი“, „პრაივიტ აი“ და „ივნიგ სტანდარტი“. 40 წლის განმავლობაში ბრიტანელი მკითხველი დილაობით ჩაის სმას ობრონ ვოს კომენტარით ინყებდა. 40 წლის განმავლობაში ყოველ დილას ბრიტანელ პოლიტიკოსებს „დეილი ტელეგრაფის“ გადაშლა მეხის გავარდნასავით ემინოდათ.

„Papa – ასე ვეძახდით ოჯახში, მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო, მის შესახებ ყველგან ლაპარაკობდნენ, მის ციტატებს იმონებდნენ. მამას ნაწერები გემრიელი იუმორით, დახვეწილი ინგლისური ენითა და დაწყობილი ლოგიკით გამოირჩეოდა. ობრონ ვოს სტატიები ისეთი მსუბუქი და ღიმილისმომგვრელი იყო, რომ ერთი შეხედვით თითქოს ბავშვურად გულუბრყვილოც კი ჩანდა; მაგრამ მსუბუქი ხუმრობის მიღმა გონივრული ანალიზი იკითხებოდა. ეს იყო შეუვალი კომბინაცია პოლიტიკოსების გასამასხარავებლად. ასეთი პოზიცია ჰქონდა: ვერ იტანდა პოლიტიკოსებს, იმ ადამიანებს, რომლებიც მიგვითითებენ, რა უნდა ვაკე-

თოთ. სძულდა პოლიტიკა, მთავრობა, კანონები...

რასაკვირველია, მტერიც ბევრი ჰყავდა. ის სრულყოფილად ფლობდა ყველაზე გამანადგურებელ იარაღს – სიცოცხლს, რომელიც მართლაც რომ მომაკვდინებელი იარაღია. წარმოიდგინეთ, უამრავი ადამიანი იცინის შენზე და შენ პასუხის გაცემაც კი არ შეგიძლია. სიცოცხლით ნებისმიერ ადრესატს მიწასთან გაასწორებდა. ამის ჭეშმარიტი ოსტატი გახლდათ. თუმცა, მამამისისგან განსხვავებით, უხეში არასოდეს ყოფილა.“

ობრონ ვოს სიცოცხლის ყველაზე სკანდალური რეალიზაცია 70-იან წლების რავალპინდის მოვლენები იყო, როდესაც მისი ქილიკნარევი სტატიით აღშფოთებულმა მუსულმანებმა ბრიტანეთის საკონსულოს ბიბლიოთეკა დაწვეს...

თითქოსდა სკანდალური უნდა ყოფილიყო 1983 წლის ნობელის პრემიის ისტორიაც. დეკემბერში, როდესაც ცნობილი რომანის – „ბუზთა ბატონის“ ავტორი უილიამ გოლდინგი შედედეთში პრემიის ასაღებად ჩავიდა, Spectator-მა ობრონ ვოს სტატია გამოაქვეყნა, რომელიც გოლდინგს პლაგიატში სდებდა ბრალს, ნაწარმოების პირველწყაროდ უ.ლ. ჯორჯის „დილის შვილებს“ (Children of the Morning) ასახელებდა, იქვე ლიტერატურულ-

ლი მტკიცებულებებიც მოჰყავდა, ბოლოს კი ცინიკურად დაასკვნდა: „ჯორჯს მეორე ქორწინებიდან ორი ვაჟი დარჩა. რალა თქმა უნდა, გოლდინგს იმას ვერ მოვთხოვ, რომ ფულადი პრემია იმათაც გაუნაწილოს, მაგრამ ის კი კარგი იქნებოდა, შედედეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ჯორჯის ვაჟებს თევზის კონსერვს ან რამე ასეთს მაინც თუ გაუგზავნიდაო.“

„მამაჩემს ეგონა, რომ ამას სკანდალი მოჰყვებოდა, მაგრამ შეცდა. როგორც ჩანს, დრო ისე სწრაფად გარბის, იმდენი რამ იცვლება, რომ ხალხსაც ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად ყველაფერი ავიწყდება. ასე რომ, არც არაფერი მომხდარა.“

ჟურნალისტების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, ობრონ ვო კიდევ ერთი თავისებურებით გამოირჩეოდა. ის არასოდეს მანიპულირებდა თავისი პროფესიით, მას არასოდეს ჰქონია მეოთხე ხელისუფლების ამბიცია და არც არასოდეს მიუჩნევია, რომ მედია ის ძალაა, რომელიც ქმნის მოვლენებს და რომელსაც მსოფლიოს გადატრიალება ძალუძს.

„ფიქრობდა, რომ ჟურნალისტიკის არსი, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ საერთოდ არსებობს, მკითხველის გართობა, თავშექცევა და სიამოვნება; და თუ ჟურნალისტიკას რაიმე სტრუქტურული ფუნქციური არსი აქვს, მაშინ ეს არსი სწორედ პოლიტიკოსთა გაცამტვერებაში მდგომარეობს. არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, — ამბობდა ხოლმე, — არასოდეს აღაზევით ისინი! არასოდეს დაეხმაროთ პოლიტიკოსების აყვავების პროცესს! მხოლოდ ზენოლა! მხოლოდ ამით მოახერხებთ, რომ ხელისუფლებამ თავის ძალაუფლებას არ გადაამეტოს. საშინლად აღიზიანებდა ის კოლეგები, რომლებმაც ვითომდა რალაც მორალური ტვირთი იკისრეს, სამყაროს გაკეთილშობილების ტვირთი.“

ობრონ ვო, მართლაც, ბევრ ადამიანს დააკლდა. „დეილი ტელეგრაფმა“ მესამე მსოფლიო ომის დაწყებასავით ამცნო მისი გარდაცვალება მკითხველს.“

მონატრება

„მამის სიკვდილის შემდეგ განსაკუთრებით მომეძალემა ხოლმე წარსულის მონატრების ნოსტალგიური გრძნობა. ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს. როცა ოჯახის პირველი წევრი მიდის ამ ქვეყნიდან, განსაკუთრებული ნოსტალგიის გრძნობა გუუფლება, იწყებ ფიქრს იმაზე, თუ რისთვის ცხოვრობ, რა არის საერთოდ ცხოვრების არსი...“

ბავშვობის ერთი მოგონება განსაკუთრებით ჩარჩა გონებაში: „სკოლაში მივდიოდი. ძალიან მზიანი დღე იყო. ვერ გეტყვი, რომ

იმ დღეს ძალიან ბედნიერი ვიყავი. მაგრამ მასხოვს, რატომღაც ჩემს თავს ვუთხარი, აი, დიდი ხნის მერე, უკან გამოიხედავ და ეს შენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები იქნება-მეთქი. არ ვიცი, რატომ ვთქვი, იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ, მაინცდამაინც, ბედნიერი არ ვიყავი, მინდოდა, ცუდი ფიქრებისთვის თავი დამეღწია და ჩემს მესხიერებაში კარგი მოგონებები დამეტოვებინა...”

ვოების ნოსტალგიური მოგონებების ერთი ნაწილი ოქსფორდს უკავშირდება, ადგილს, რომელსაც გარკვეული დროით ტოვებენ, როგორც ბრაიდსპედს და მერე ისევ უბრუნდებიან. „ივლინის მამას - ართურს თავზარი დაეცა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ოქსფორდში რომ ჩავიდა. ამდენი ცვლილება ვერ აიტანა. მას ჯერ კიდევ ეტლებითა და ცხენებით მოსიარულე ხალხი ახსოვდა.“ ივლინმა თავისი ნოსტალგია რომანში გაგვიზიარა და „ქვეყნის მომავლის სიმბოლური სახე დახატა“.

ალექსანდრე ვოს ოქსფორდთან ერთი არცთუ სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. ახლაც ახსოვს იმ პროფესორის სახელი და გამომეტყველება, რომელმაც უნივერსიტეტში მიღებისას გასაუბრებაზე მისი კანდიდატურა დაიწუნა: „ეს ჩემთვის დიდი იმედგაცრუება იყო, თანაც, ძალიან გავბრაზდი. ყოველ ჯერზე, როცა ოქსფორდში მივდივარ, რისხვისა და სიბრაზისგან ვინვი. ჰო, ცოტა ვაჭარბებ, მაგრამ არც მთლად უმაგისობაა. ბრაზი მაინც ვერ მოვიწვლე, მწყინს. ისე მომწონს აქაურობა, წარმომიდგენია, როგორ მეყვარებოდა ეს ადგილი, აქ რომ მესწავლა. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ დღემდე ვერ გამიგია, რატომ არ მიმიღეს. გული მწყდება.“

გული ბევრ რამეზე წყდება: იმაზე, რაც იყო წარსულში და ახლა აღარ არის, ისევე როგორც ართურ ვოს დასწყდა გული, ცხენებშებმული ეტლების მაგივრად პირველი ავტომანქანა რომ დაინახა.

დაბრუნება ოქსფორდში

ოქსფორდს მაინც დაუბრუნდა, უფრო მოგვიანებით, თანაც არა სტუდენტის როლში. ამასწინათ, მარჯვენა ხელი სტკიოდა და მარცხენათი დაიწყო დაკვრა ფორტეპიანინოზე. და უცებ პოლ ვიტგენშტიინი გაახსენდა, ამბავი ცალხელა მუსიკოსისა, რომელმაც I მსოფლიო ომში მარჯვენა დაკარგა. გადაამონმა და დააზუსტა, რომ აქამდე არავის გაახსენებია, პოლ ვიტგენშტიინზე წიგნი დაენერა. ჰოდა, რალა სხვას დალოდებოდა, გადაწყვიტა, ამ საქმისთვის თავად მოეკიდა ხელი. სამი წელი მოანდომა მისი ქალიშვილის ძებნას, რომელსაც ბოლოს ამერიკაში

მიაკვლია. იპოვა მუსიკოსის ნაცნობები. მასალის მოძიება ძნელი იყო, მუსიკოსს საკმაოდ გასაიდუმლოებული ცხოვრება ჰქონდა. ჩანაწერებიც ბევრი არაფერი დაუტოვებია. ბოლოს ოქსფორდის ბიბლიოთეკაში მემუარებს ჩაუჯდა და... როგორც თავად ამბობს, წერის დროს ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი ფიქრის პროცესია, როცა კარგად ნაფიქრი და გააზრებული გაქვს სათქმელი, წერით უფრო სწრაფად გენერება. ასე რომ, ამ ლოგიკით რომანი უკვე დამთავრებულ-გა-

მოცემული უნდა ჰქონდეს.

ცოტა სწობურად მინდა დავასრულო. ჰოდა, ავდგები და ჩემი წიგნის გარეკანზე დაწერილ ავტოგრაფს გამოვამზებურებ: „თამარს, იმ ძალიან ბედნიერი დღის სამახსოვროდ, როდესაც ვსაუბრობდით მამებზე, შვილებზე, ჭემმარტებაზე, ცხოვრებაზე... ყველაფერზე! ავტორისაგან. თარიღი უცნობია. 28 ?“

ესეც ასე. ჯეინი გულზე არ გასკდება?!



GE-ART

„ჯე-არტ“-ი

თუ ქვენ აპირებთ კინო, სატელევიზიო ან ნებისმიერი სახის პროდუქციის წარმოებას, ან მათში მონაწილეობის სურვილი გაქვთ, ჩვენთან ურთიერთობა თქვენი კომფორტის გარანტიაა.

მსახიობების სააგენტო „GE-ART“ პირველი და ერთადერთი სააგენტოა საქართველოში: 350 პროფესიონალი მსახიობი, უამრავი საინტერესო ტიპაჟი, არაჩვეულებრივი ბავშვები, სპეც. შემოთავაზებები, ივენთები და ა.შ.

რეჟისორებისა და პროდიუსერების სწორი არჩევანი!

მსახიობებისათვის მაქსიმალური თვითრეალიზაციის შანსი!

თქვენ გვირჩევთ,

ჩვენ გვირჩევთ!

დარეკეთ: 98 94 64; E-mail: agency@ge-art.ge
ან დაათვალიერეთ ჩვენი საშახიობო გალერეა: www.ge-art.ge



FM უცნობი 98.0

www.ucnobifm.ge




19 ნოემბერს, რადიო უცნობის ვებ გვერდზე ირაკლი ჩარკვიანიის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ინტერნეტ LIVE კონსერტი გაიმართა. საღამოზე, ირაკლის მეგობრებმა მეოცს სიმღერების ქავერ ვერსიები შეასრულეს.


გვისმინე ყურადღებით,

რადიო უცნობი კიდევ ბევრ ასეთ ინტერნეტ კონსერტს გეგმავს.

შეგოიხედა, ჩვენ ვართ www.ucnobidm.ge - ზე



წარმატებული ტანდემი



ლესია უკრაინკას 3, თბილისი, საქართველო
ტელ. +995 (32) 922536, 922562, 922563
ფაქსი +995 (32) 922537

info@investbank.ge • www.investbank.ge



සමස්ත ජාතික
සහතිකයන්